

178
1976



საბჭოთა სამართალი

საქართველოს კვლევითი კომიტეტის გამომცემლობა

1976 1

გავააქტიურთ შინაგან საქმეთა ორგანოების, პროკურატურისა და სამართლოების საქმიანობა დამნაშავეების თავიდან აცილებისა და მართლწესრიგის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზაციისათვის, უზრუნველვყოთ სოციალისტური კანონიერების განუხრელი დაცვა, ავამაღლოთ სამართლებრივი პროპაგანდის დონე, მივადწიოთ ადმინისტრაციული ორგანოების მჭიდრო ურთიერთკავშირს, მათს ოპერატიულობას დამნაშავეების წინააღმდეგ ბრძოლაში.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV
ყრილობის დადგენილებიდან

საბჭოთა სამართალი

№ 1

1976 წელი

იანვარი — თებერვალი

მუხრანელი გამომცემის 1928 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, კრიკაძე-კვიციანი და
უმაღლესი სასამართლოს ორგანო
ორთვიური ჟურნალი

შინაარსი

13251

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობა და ჩვენი ამოცანები	3
ბ. რიგვევა — გაეაუმჯობესოთ სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საზოგადო- ებრივი და მილიციის საყრდენი პუნქტების მუშაობა	9
გ. ლილუაშვილი — ყოველმხრივ მომზადებული შეგვხვდეთ სახალხო მოსამარ- თლეთა არჩევნებს	18
ვ. ღორია — გაეძლიეროთ ბრძოლა მაგნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ	23
თ. წინიძე — სახელის უფლების შინაარსი	29
ნ. ბაღაძე — საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლის და მისი ოჯახის წევრთა საბინაო უფლებები	40
ა. მიქაძე — შედეგისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების საკითხი ბრალის ცნებაში	48
გ. ნადარეიშვილი — მაგნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების ისტორიიდან	63
ა. მენაბდე — ნამდვილი აღმზრდელი	71

ვახტანგ ბაგრატიონის დაბადების 950 წლისთავისათვის

ი. სურგულაძე — რამდენიმე ეპიზოდი ვახტანგ VI-ის მოღვაწეობიდან	73
მ. კეკელია — ქართული სამართლის წიგნების ზოგიერთი მუხლის მართებული წაკითხვისათვის	80
რ. ლომინაძე — ვახტანგ VI კანონთა კრებულის თარგმნის, პუბლიკაციის და გამო- ყენების ისტორიიდან XIX საუკუნის პირველ ნახევარში	84
ტალაშვილი — სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები ი. ბაგრატიონის „კალმასობაში“	89

ბ. ბარკოსის სსრ. სსრ. სსრ.
სამართლებრივი მეცნიერებათა
კანონმდებლობა

СО ДЕРЖАНИЕ

XXV съезд Компартии Грузии и наши задачи	3
С. Ригвава — Улучшить работу опорных пунктов милиции и общественности по профилактике правонарушений	9
Г. Лилуашвили — Всесторонне подготовимся к выборам народных судей	18
В. Лория — Усилить борьбу с вредными традициями и обычаями	23
Т. Нинидзе — Содержание права на имя	29
Н. Бадагдзе — Жилищные права съемщика жилого помещения и членов его семьи	40
А. Микадзе — Вопрос о психическом отношении к последствию в понятии вины	48
Г. Надареишвили — Из истории вредных традиций и обычаев	63
А. Менабде — Истинный воспитатель	71

К 350-летию со дня рождения Вахтанга Багратиони

И. Сургуладзе — Несколько эпизодов из деятельности Вахтанга VI	73
М. Кекелия — о правильном прочтении некоторых статей грузинских судебныхников	80
Р. Ломинадзе — Из истории перевода, публикации и применения сборника законов Вахтанга VI в первой половине XIX столетия	84
А. Талиашвили — Вопросы государства и права в «Калмасоба» И. Багратиони	89



სარედაქციო კოლეგია

შეგვ. № 683
ცირა 21.900
შე 4159

მ. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), ბ. ბარათაშვილი,
თ. დადიანი, გ. ინჭკირველი, ავ. კარანაძე,
მ. ლომიძე, ვ. მაისურაძე, ა. ტაკიძე, ვ. ქვაჩახია,
თ. წერეთელი, ს. ჯორბენაძე.

© „საბჭოთა სამართალი“, 1976 წ.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

რედაქციის მისამართი: თბილისი, პლესანოვის პროსპ. 103. ტელ. 95-58-87; 95-88-49

გადაეცა წარმოებას 19/11-76 წ. ხელმოწერილია დასაბუქდად 5/IV-76 წ. ქაღალდის ზომა 70x108¹/₁₆; ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 6, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 8,4. საბარბეჭდო-საგამომცემლო თაბახი 8,87.

საქ. კვ. ცვ-ის გამოცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობა და ჩვენი ამოცანები

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის დახურვის წინ იტყვა: „ეს ყრილობა განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს საქართველოს კომპარტიის ისტორიაში. მან ყველაზე მაღალ იდეურ, ყველაზე მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე ჩაიარა“. რესპუბლიკის კომუნისტთა ეს ფორუმი მართლაც მრავალმხრივ არის საგანგებო და საგულისხმო. დღეგატთა შემადგენლობით იგი ყველაზე უფრო წარმომადგენლობითი იყო. ყრილობა მაღალი ინტელექტუალური დონით გამოირჩეოდა. ყველა საკითხი, დიდი თუმცით, მთელი სისრულითა და სიღრმით, კომპეტენტურად იქნა განხილული. იგრძნობოდა მიღწეული შედეგებით დაუკმაყოფილებლობის ჯანსაღი გრძნობა, მოვლენების განვითარების პერსპექტივაში დანახვის უნარი, ოპტიმიზმი დასახული დიდი ამოცანების გადაწყვეტაში. ყრილობის მასალები ბევრი ფიქრის აღმძვრელია და მეტად სერიოზულ, საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს.

ყრილობის განსახილველად წარდგენილ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო და სხვა მოხსენებებში, დღეგატთა გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი როლი შეასრულა საქართველოს კომპარტიის იდეურ ცხოვრებაში პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ ამ ოთხი წლის წინათ მიღებულმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცნობილმა დადგენილებამ.

ხელმძღვანელობდნენ რა ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური დოკუმენტით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, საბჭოთა ორგანოებმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა, 1972 წლის ნოემბრის პლენუმის შემდეგ გეგმაზომიერი, უკომპრომისო და პრინციპული ბრძოლა გააჩაღეს ნეგატიური მოვლენების დასაძლევად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის შესაქმნელად, შემოქმედებითი შრომისა და სამართლიანობის ვითარების დასამყარებლად.

განვლილი დრო და უკვე მიღწეული შედეგები თვალნათლივ გვიჩვენებს თუ რაოდენ დროული, აუცილებელი იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩარევა და ამ საეტაპო მნიშვნელობის პარტიული დოკუმენტის მიღება, რომლის თვითთველი სტრიქონი რესპუბლიკის მომავალი განვითარებისათვის, მშრომელთა კეთილდღეობისათვის უდიდესი ზრუნვით არის გამსჭვალული.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, პრინციპული პარტიული პოზიციებიდან გააკრიტიკეს ადმინისტრაციული ორგანოები, რომელთა საქმიანობაში ბევრი სერიოზული ნაკლია. დასამალავი არ არის, რომ დიდი ხნის მანძილზე საქართველოში ყურადღება არ ექცეოდა სოციალისტური კანონიერების დაცვასა და განმტკიცებას, არსებითად წინააღმდეგობა არ ეწეოდა კერძომესაკუთრულ ტენდენციებს. ყველა ჯუ-

რის მრავალი არამზადა მოურიდებლად და უცერემონიოდ აფათურებდა ხელს სახელმწიფოს ჯიბეში, გაქნილი საქმოსნები გმირის რანგამდე იყვნენ აყვანილნი, ყოველი ფეხის ნაბიჯზე ვხვდებოდით სოციალისტური საზოგადოების შეუფერებელ ანტიპოდს — მექრთამეობას. ლაპარაკი მართლწესრიგის და კანონიერების განმტკიცებაზე ხშირად ფორმალური იყო.

ყრილობაზე განსაკუთრებით მწვავედ გააკრიტიკეს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტრო, რომლის საქმიანობაზე ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში შემდეგი ითქვა: „ჩვენ მრავალგზის შევხვებივართ იუსტიციის სამინისტროს მუშაობის გაუმჯობესების პრობლემებს. ცენტრალური კომიტეტის ბიუროზე მოვისმინეთ ანგარიში. მივიღეთ სპეციალური, ვრცელი, შეიძლება ითქვას ფუნდამენტური გადაწყვეტილება ამ სამინისტროს მუშაობის შესახებ. ფორმალურად ყველაფერი სწორად გამოიყურება. ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილება განიხილეს სამინისტროს კოლეგიის სხდომასა და აქტივის კრებაზე. შეადგინეს გეგმა ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესასრულებლად. მას შემდეგ ერთი წელი გავიდა, მაგრამ არავითარი ძვრები არ არის; ყველაფერი ძველებურად დარჩა. რა უნდა ეწოდოს ასეთ დამოკიდებულებას ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებისადმი? აშკარაა, ან ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლობა, ან ის, რომ არ სურთ შეასრულონ ცენტრალური კომიტეტის დირექტივები, ანდა საერთოდ უნარი არ შესწევთ თავი გაართვან დაკისრებულ ამოცანებს. ბოლო უნდა მოეუღოთ ასეთ ვითარებას. ზემდგომ ორგანოთა ამა თუ იმ დადგენილების შეუსრულებლობა გარკვეული აზრით პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების დარღვევაა“¹;

ნათქვამია მკაცრად და პირუთვნელად, მაგრამ, როგორც იტყვიან, სიმართლეს ვერსად გაექცევი. ამ კრიტიკიდან დასკვნები უნდა გამოიტანოს ყველამ, დაწყებული სამინისტროს ხელმძღვანელებიდან, კოლეგიის წევრებიდან და დამთავრებული იუსტიციის დაწესებულებების, სასამართლო ორგანოების რიგით მუშაკამდე. აუცილებელია უმოკლეს დროში გადაჭრით გაუმჯობესდეს იუსტიციის დაწესებულებათა ყველა რგოლის საქმიანობა, სახალხო სასამართლოების, ადვოკატურის, ნოტარიატის, მმაჩის ორგანოების მუშაობის ხარისხი.

წარსულისა და აწმყოს შეცდომებს და ნაკლოვანებებს რომ ვაკრიტიკებთ, ხაზგასმით ითქვა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე, უნდა ვეძიებდეთ და ვბოულობდეთ გარანტიებს, რათა ისინი აღარასოდეს განმეორდეს. ასეთი გარანტიაა კოლექტიურობის პრინციპი, რომელიც შეხამებული იქნება პერსონალურ პასუხისმგებლობასთან პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. ეს ლენინური პრინციპი არასოდეს არ უნდა ირღვეოდეს.

ამ მხრივ ჯერ კიდევ ყველაფერი რიგზე არ არის რესპუბლიკის მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანოს — საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს საქმიანობაშიც. ამის გამო იყო, რომ „ცენტრალურმა კომიტეტმა — როგორც აღნიშნულია საანგარიშო მოხსენებაში — სერიოზულად გააკრიტიკა რეს-

¹ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ანხ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, თბილისი, 1976 წ. გვ. 133.

პუბლიკის უმაღლესი სასამართლოს ხელმძღვანელობა, იქ დამკვიდრებული მუშაობის სტილი და მეთოდები“².

სასამართლო ორგანოების ყველა რგოლის მოღვაწეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს რესპუბლიკის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტაში. სოციალისტური კანონიერების მცირეოდენი დარღვევაც კი სასამართლოს საქმიანობაში დაუშვებელია, ვინაიდან თვით სასამართლო პროცესი იწყება და მიმდინარეობს სწორედ კანონის ფაქტის დარღვევის გამო. ამიტომ სასამართლო თვითონ უნდა იძლეოდეს კანონების უმწიკვლოდ და ზუსტად დაცვის მაგალიტს.

საბჭოთა სასამართლოს დანიშნულება მართოდენ ის როდია, რომ დასაჯოს დამნაშავენი. მას უდიდესი აღმზრდელობითი როლი აკისრია კომუნისტური მორალისა და მაღალი შეგნების სულისკვეთებით აღზრდაში. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს ვ. ი. ლენინის მითითება, რომ „სასამართლოებს, თუ ისინი მართლა მოწყობილია საბჭოთა დაწესებულებების პრინციპის მიხედვით, ეკისრებათ სხვა, კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა. ეს ამოცანაა — მშრომელთა დისციპლინისა და თვითდისციპლინის უმკაცრესი გატარების უზრუნველყოფა“³ იქვე ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „სასამართლო არის დისციპლინის აღზრდის იარაღი“⁴.

სამწუხაროდ, რესპუბლიკის სასამართლო ორგანოები ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ ასრულებენ მათთვის დაკისრებულ ამ ამოცანებს.

რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები ხშირად უგულვებელყოფენ მოქალაქეთა კანონით გარანტირებულ უფლებებს, მათ მუშაობაში ბევრი არსებითი ნაკლია, აღმოფხვრილი არ არის ფორმალიზმი, უსულგულობა, საქმის გაჭიანურება. ყრილობაზე აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში უფლების გარკვეული გაუფასურების ტენდენციამ, რასაც ადგილი ჰქონდა უახლოეს წარსულში, ხელი შეუწყო ადამიანთა ერთ ნაწილში ჩვენი საზოგადოებრივი წყობილებისათვის შეუფერებელი შეხედულებებისა და საქციელის ჩამოყალიბებას. „საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა დროულად მიაპყრო პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის მთავარი ყურადღება უფლების სოციალური მნიშვნელობის აღდგენას, საზოგადოებრივი ურთიერთობის სრულყოფასა და განმტკიცებაში მისი როლისა და ქმედითობის ამაღლებას“⁵.

საანგარიშო მოხსენებაში და დღევანდელ გამოცვლებში დიდი ყურადღება დაეთმო ადმინისტრაციულ ორგანოებში ფეხმოკიდებული დიდი ბოროტების — ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების საკითხებს.

ბიუროკრატიზმი ეს ისეთი სენია. რაც ხელს უშლის სოციალისტური კანონიერების დაცვასა და განმტკიცებას, ამასთან მორალურ-პოლიტიკურ ზიანს აყენებს საზოგადოებას, იწვევს ცალკეულ მოქალაქეთა ტრაგედიებს. საანგა-

² იქვე, გვ. 150.

³ ვ. ი. ლენინი, ბზ., ტ. 27. გვ. 252.

⁴ იქვე, გვ. 315.

⁵ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობას, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ანგ. ე. ა. შევარდნაძის მოხსენება, საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობა, თბილისი, 1976 წ., გვ. 145.

რიშო მოხსენებაში მოტანილ იქნა ბიუროკრატიზმის ერთი აღმამფოთებელი მაგალითი, როდესაც „ქალაქ თბილისის ორჯონიკიძის სახალხო სასამართლო და რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ექვეს წელიწადს უგზავნიდა ერთ-მანეთს ერთ მარტივ სამოქალაქო საქმეს. მისი გარჩევა 65-ჯერ გადაიდო“⁶.

სახელმწიფო მმართველობის, განსაკუთრებით ადგილობრივი ორგანოების საქმიანობაში ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის მაჩვენებელია, მაგალითად, ის ფაქტი, რაც ყრილობის საანგარიშო მოხსენებაში განხილვის საგანი გახდა მარტოოდენ ერთი წლის მანძილზე, 1974 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო მშრომელთა 32 ათასზე მეტი წერილი და განცხადება, რომლებიც შეიცავდა საჩივრებს საბჭოების აღმასკომების მიმართ.

ამიტომ სავსებით განონზომიერი იყო, რომ ყრილობამ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების, მშრომელთა დეპუტატების საბჭოების საქმიანობის შემდგომი სრულყოფის საკითხებს. საბჭოების დეპუტატები ეს უზარმაზარი არმიაა, რომლის შემოქმედებითი ენერჯის სწორად წარმართვას შეუძლია ბევრი გამოუყენებელი რეზერვის ამოქმედება. ყრილობამ უმნიშვნელოვანეს ამოცანად დასახა ყველა საბჭოს მუშაობის გამოცოცხლება, დეპუტატების აქტივობისა და პასუხისმგებლობის ამაღლება, რაც ხელს შეუწყობს საბჭოთა დემოკრატიის შემდგომ გაღრმავებასა და გაფართოებას.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ საერთოდ მაღალი შეფასება მისცა ქართული მეცნიერების მიღწევებს, მაგრამ ამასთან ერთად მთელი პრინციპულობით ამხილა ჩამორჩენა მეცნიერების ცალკეულ დარგებში, გააკრიტიკა ბევრი სამეცნიერო დაწესებულება და ცალკეული მეცნიერი კრიტიკის უგულველყოფისათვის. ყრილობამ მოითხოვა საზოგადოებრივი მეცნიერება უფრო მეტად დაინტერესდეს ადამიანის მსოფლმხედველობის, მისი ზნეობრივი სახის ჩამოყალიბების, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის საკითხებით.

საანგარიშო მოხსენებაში ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა: „სამწუხაროდ საზოგადოებათმცოდნე მეცნიერები მეტისმეტად არიან გატაცებული ისტორიზმით თანამედროვეობის პრობლემების საზიანოდ, რომლებსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს ისტორიული განვითარების თანამედროვე ეტაპზე. ცნობილია, რომ ეკონომიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური განვითარების თანამედროვე პრობლემების, პიროვნების ჩამოყალიბების აქტუალური საკითხების ღრმა მეცნიერული კვლევა უფრო რთულია, ვიდრე გარდასულის კვლევა“⁷.

ეს კრიტიკა მთლიანად და სავსებით შეეხება იურიდიულ მეცნიერებასაც. ქართული იურიდიული მეცნიერება თავის ღრმზე მკაცრად და სამართლიანად იქნა გაკრიტიკებული ისტორიულ-სამართლებრივი თემატიკით ზედმეტად გატაცებისათვის. სამწუხაროდ, აქედან აუცილებელი დასკვნები ჯერ კიდევ არ არის გამოტანილი. დღემდე გამოკვეთილად ჩანს დისპროპორცია, რაც შეიქმნა სამართლის ისტორიის შემსწავლელ და იურიდიული მეცნიერების სხვა დარგებს შორის. ბოლო დრომდე ქართული სამართლის ისტორიის კათედრა უფრო

⁶ იქვე, გვ. 145.

⁷ იქვე, გვ. 167.

მრავალრიცხოვანი იყო თავისი შემადგენლობით, ვიდრე სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და სხელმწიფო სამართლის კათედრები დისერტაციების დიდი უმრავლესობაც ქართული სამართლის ისტორიის, ამასთან უძველესი ისტორიის საკითხებზეა დაცული.

მარქსისტული პოზიციებიდან დაწერილი სამართლის ისტორიის ნარკვევები აუცილებელი და საჭიროა. მაგრამ არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს, რომ ამ დარგის სპეციალისტები უმთავრესად მუშაობენ უძველეს და შუასაუკუნეების საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის საკითხებზე, უახლესი ისტორიის თემატიკას კი დომინირებული ადგილი არ უჭირავს. ამის შედეგია, რომ დღემდე არ არის არა თუ მონოგრაფიები, არამედ ცოტად თუ ბევრად სერიოზული ნაშრომები, საბჭოთა საქართველოს სასამართლო ორგანოების, პროკურატურის, ადვოკატურის ისტორიაზე.

თვითკრიტიკის წესით უნდა ითქვას, რომ ყურნალმა „საბჭოთა სამართალმაც“ ვერ შესძლო თავიდან აეშორებინა ეს ნაკლი, თუმცა მდგომარეობა ამ მხრივ ბოლო წლებში საგრძნობლად გამოსწორდა.

ყურნალის ერთ-ერთ სერიოზულ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ისიც, რომ იგი თანმიმდევრულად არ ააშკარავებს რეაქციულ ბურჟუაზიულ სამართლებრივ თეორიებს, ნაკლებად ბეჭდავს სტატიებს ამ თემებზე.

ყურნალში ბევრი წერილი იბეჭდება ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის ცალკეულ ნაკლოვანებებზე, მაგრამ ის, რაც კეთდება, არასაკმარისია და გაუმჯობესებას მოითხოვს. აუცილებელია ყოველ ნომერში გამოქვეყნდეს მასალები, რომლებშიც მთელი პირდაპირობით, პრინციპულად და კომპეტენტურად იქნება მხილებული სასამართლოს, პროკურატურის, იუსტიციის დაწესებულებათა საქმიანობის ხარვეზები.

სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს პრაქტიკოს იურისტთა და მეცნიერთა თანამშრომლობას. დღეისათვის კონტაქტი მათ შორის უმნიშვნელო და არაარსებითია.

ამითაც აიხსნება ქართული იურიდიული მეცნიერების ჩამორჩენა. ამიტომაც, რომ იგი ჯერ კიდევ სრულყოფილად ვერ უპასუხებს რესპუბლიკაში მიმდინარე დიდმნიშვნელოვან ძვრებს, საგრძნობლად ჩამორჩება ცხოვრების მოთხოვნებს. მეცნიერ იურისტთა ერთი ნაწილი, ინერტულობას იჩენს, განზე დგას მოვლენებისაგან, ანგარიშს არ უწევს იმ ფაქტს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების ბევრ სფეროში სამართლებრივი თვალსაზრისით მოსაწესრიგებელია მრავალი პრობლემა.

ჩვენი სწავლული იურისტები თავიანთ სამეცნიერო შრომებში თითქმის არ იყენებენ საზოგადოებრივი მეცნიერების მომიჯნავე დარგების მიღწევებს. არ არიან დაკავშირებული ფილოსოფოსებთან, ფსიქოლოგებთან, ეკონომისტებთან, პედაგოგებთან, ისტორიკოსებთან, იურიდიული აზროვნების განვითარება კი ისევე როგორც პრაქტიკის წარმატებები ამ მეცნიერებათა მონაპოვების გაუთვალისწინებლად დღეს წარმოუდგენელია.

საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობამ სათანადოდ შეაფასა რა რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობა, არასაკმარისად მიიჩნია იგი და მოთხოვა მათ ძირფესვიანად გარდაქმნან მუშაობა. საანგარიშო მოხსენებაში ე. ა. შევარდნაძემ აღნიშნა: „პარტიული, საბჭოთა ორგანოებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სახელ-

მწიფო უშიშროების ორგანოების საქმიანობის აქტივიზაციამ გააჩანსადა და უფრო გაწმინდა ატმოსფერო რესპუბლიკაში. პატიოსან მშრომელ კაცს აღუდგა და გაუძლიერდა რესპუბლიკის, ქვეყნის ბატონპატრონის გრძნობა, განუმტკიცდა პიროვნების უფლების, მისი ხელშეუვალობის გარანტია.

მაგრამ არ ვაპირებთ თავი დავიმშვიდოთ, რადგან სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის დონე ჯერ კიდევ არ შეესაბამება პარტიის მაღალ საპროგრამო მოთხოვნებს.

რესპუბლიკის პარტიული კომიტეტები და ადმინისტრაციული ორგანოები უნდა იღვწოდნენ იმისათვის, რომ კანონის სადარაჯოზე იდგნენ მაღალი პოლიტიკური, პროფესიული და ინტელექტუალური კულტურის ადამიანები, რომლებიც პასუხს აგებენ მინდობილი საქმისა და ადამიანთა ბედისათვის⁸.

რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები მოვალენი არიან უზრუნველყონ საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის სახელმძღვანელო მითითებათა განუხრელი შესრულება, განამტკიცონ სოციალისტური კანონიერება, გაამართლონ ის დიდი პატივი და ნდობა, რასაც მათ ხალხი უცხადებს.

გავეუფოვასოთ საპარტიო-საზოგადოებრივი და მილიციის პროფილაქტიკის საზოგადოებრივი და მილიციის საყრდენი პუნქტების შექმნა

ს. რიგვაძე.

მშრომელთა დემუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარის პირველი მოადგილე

კომუნისტური მშენებლობის გრანდიოზული ამოცანების განხორციელებაში ღირსეული წვლილი შეაქვთ თბილისის მშრომლებს. ემზადებიან რა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობისათვის, ისინი ძალღონეს არ ზოგავენ დედაქალაქის გადაქცევისათვის კომუნისტური შრომისა და ყოფის ქალაქად.

კომუნიზმის მშენებლობა რთული და მრავალმხრივი პროცესია. იგი მოითხოვს ეკონომიური, სოციალური, აღმზრდელითი ხასიათის პრობლემათა კომპლექსის გადაჭრას, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკუთვნის მართლწესრიგის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებას. ამყამად განსაკუთრებით იზრდება სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის როლი, რაც განპირობებულია ჩვენი საზოგადოების ჰუმანიზმით, ყოველი ადამიანისათვის ზრუნვით. დანაშაულის გაფრთხილება, დამნაშავეობის მიზეზებისა და პირობების აღკვეთა საერთო სახელმწიფოებრივი ამოცანაა და იგი წყდება პარტიული, საბჭოთა სახელმწიფო, ადმინისტრაციული ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელების, შრომითი კოლექტივებისა და მოსახლეობის ერთობლივი ღონისძიებებით.

საკვ ცენტრალური კომიტეტის ცნობილ დადგენილებაში, პარტიის თბილისის კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გამო, აღინიშნა სუსტი მუშაობა ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის. ამასთან დაკავშირებით 1972 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და მინისტრთა საბჭომ, ქალაქკომმა და ქალაქის საბჭოს აღმასკომმა, მიიღეს სპეციალური დადგენილება დანაშაულობათა აღკვეთა-აცილებისა და მართლწესრიგის დარღვევის რეაგირებაზე ქალაქის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროკავშირული და საზოგადოებრიობის როლის შემდგომი გაძლიერების შესახებ. მეტად აქტუალური პრობლემის გადაჭრასთან ერთად დასახული იქნა ეფექტური ღონისძიებები დამნაშავეობასთან ბრძოლაში შრომითი კოლექტივების როლის ამაღლებისათვის.

გადავქციოთ ჩვენი დედაქალაქი კომუნისტური კულტურისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის ქალაქად — აი ჩვენი დღევანდელი დევიზი.

საკვ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეუნევმა 1974 წლის 14 ივნისს ქ. მოსკოვის ბაუმანის საარჩევნო ოლქის ამომრჩევლებთან შეხვედრისას აღნიშნა, რომ „კომუნისტური ქალაქი — ეს არის ქალაქი, სადაც ცხოვრობენ უადრესად კულტურული, შეგნებული ადამიანები, ეს არის

სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის ქალაქი, რომელშიაც სუფევს კეთილმოზრ-
 წმუნეობის, ერთმანეთის პატივისცემისა და გულისხმიერების ატმოსფერო“.

დანაშაულთა დინამიკის და სტრუქტურის ანალიტიკურმა შესწავლამ გვიჩ-
 ვენა, რომ ჩვენს დედაქალაქში დანაშაულის შემცირების ტენდენციის მიუ-
 ხედავად, მისი საერთო რაოდენობა ჯერ კიდევ დიდია, ხოლო 1975 წელს და-
 ნაშაულთა საერთო რაოდენობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან გაიზარდა,
 რაც იმაზე მიუთითებს, რომ ჯერ კიდევ არადაამაკმაყოფილებელია პროფილაქ-
 ტიკურ-აღმზრდელი მუშაობა და მისი ძირფესვიანად გაუმჯობესება ყვე-
 ლასათვის № 1 ამოცანად უნდა იქცეს.

დედაქალაქში შექმნილ ოპერატიულ ვითარებაზე დიდ გავლენას ახდენენ
 სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შემორჩენილი მუქთახორები, ალკოჰოლიკები, ნარ-
 კომანები და სხვა გადაგვარებული ელემენტები.

დღეს, ისე როგორც არასდროს, განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება
 მთელი საზოგადოებრიობისა და ადმინისტრაციული ორგანოების შეთანხმებულ
 ქმედით მუშაობას დამნაშავეობის პროფილაქტიკის პრობლემათა გადაჭრისათ-
 ვის. გაიზარდა მართლწესრიგის დაცვაში საზოგადოებრიობის მონაწილეობა,
 მნიშვნელოვნად გაძლიერდა სახალხო რაზმელთა აქტივობა. ნებაყოფლობითი
 სახალხო რაზმელთა რიგები ორგანიზაციულად განმტკიცდა, გაიზარდა მათში
 კომუნისტთა და კომკავშირელთა რაოდენობა. დღეისათვის ქალაქში 20.000-
 მდე რაზმელია. საწარმოო კოლექტივებში შექმნილია სამართალდარღვევათა
 პროფილაქტიკის საბჭოები, ამხანაგური სასამართლოები და მშრომელთა სხვა
 თვითმოქმედი ორგანიზაციები.

საკუკო ყოფაქცევის ადამიანების მიმართ დაწესებულია ადმინისტრაციის,
 პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციის, კოლექტივის
 კონტროლი.

ამჟამად შექმნილი ვითარება მოითხოვს გაუმჯობესდეს პროფილაქტი-
 კურა მუშაობა საცხოვრებელი ადგილების მიხედვით. ჩვენს დედაქალაქში დაგ-
 როვდა მოსახლეობაში ასეთი მუშაობის გარკვეული გამოცდილება. მხედვე-
 ლობაში გვაქვს მიკრორაიონების საბჭოები ორჯონიკიძის რაიონში, საზოგადო-
 ებრივი წესრიგის დაცვის საბჭოები კალინინის რაიონში და სხვ. მაგრამ ბოლო
 ხანს მოსკოვში იწერება მოსახლეობაში სამართალდარღვევათა პროფილაქტი-
 კის უფრო პროგრესული ფორმები საზოგადოებრიობისა და მილიციის საყრ-
 დენი პუნქტების სახით. გაითვალისწინა რა ეს საქალაქო საბჭოს აღმასკომმა
 შარშან 10 აპრილს დაამტკიცა ამ პუნქტების დებულება, რომელშიც კონკრე-
 ტულად განსაზღვრულია მათი უფლება-მოვალეობანი.

დღეისათვის ქ. თბილისში ორმოცდასამი ასეთი საყრდენი პუნქტია. რას
 წარმოადგენენ ისინი? საყრდენი პუნქტები საზოგადოებრივი ორგანიზაციაა,
 რომელიც მოქმედებს საბინაო საექსპლოატაციო კანტორის ტერიტორიაზე და
 არსებითად წარმოადგენს მოსახლეობაში სამართალდარღვევათა პროფილაქტი-
 კისა და გაფრთხილების ცენტრს. ყოველი საყრდენი პუნქტის სამოქმედო მიკ-
 რო-რაიონზე მიმავრებულია მსხვილი საწარმოს ან დაწესებულების პარტიული
 ორგანიზაცია. მათი მუშაკები ადგილობრივი საბჭოების დებუტატებთან, სახ-
 ლის კომიტეტების წარმომადგენლებთან ნებაყოფლობით სახალხო რაზმელთა
 შტაბებთან, ამხანაგურ სასამართლოებთან, საზოგადოებრივ საწყისებზე მომუ-
 შავე ბავშვთა ოთახებთან, საბინაო საექსპლოატაციო კანტორების ადმინისტრ-

რაციასთან უბნის უფროს ინსპექტორებთან ერთად, შედიან საყრდენი პუნქტების საბჭოებში. საბჭო მუშაობს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, მკიდრო კავშირი აქვს პარტიის რაიონულ კომიტეტთან, აღმასკომთან; დებუტატთა ჯგუფებთან, შინაგან საქმეთა რაიონულ განყოფილებასთან და ნებაყოფლობით სახალხო რაზმელთა შტაბებთან. საყრდენი პუნქტების საბჭოების ყურადღების ცენტრშია საზოგადოებრივ ორგანიზაციათა და ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის კოორდინაცია სამართალდარღვევათა გაფრთხილების საქმეში. პერიოდულად ისინი ანალიზებენ მიკრორაიონში ოპერატიულ ვითარებას, ლეზულობენ, ქმედით ზომებს, ლოთობის, ხულიგნობის და სხვა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისათვის, იმ პირებს, რომლებმაც აქვთ დანაშაულისადმი მიდრეკილება, ამაგრებენ შეფებს, საზოგადოებრივ-აღმზრდელებს. საბჭოს სხდომებზე ცალკეულ მოქალაქეთა არამართლზომიერი მოქმედების განხილვისას იწვევენ საწარმოს, უწყების, სასწავლებლის წარმომადგენლებს, სადაც ისინი მუშაობენ ან სწავლობენ.

დღეისათვის თბილისში 70 საბინაო საექსპლოატაციო კანტორიდან საყრდენი პუნქტების დად ნაწილს მუშაობის ნორმალური პირობები არა აქვთ. მხედველობაში გვაქვს კეთილმოწყობილი სათავსო, სატელეფონო კავშირი და სხვ. ამას არავითარი გამართლება არა აქვს. იქ, სადაც რაიონის ხელმძღვანელები სერიოზულად, მთელი პასუხისმგებლობით მოეკიდნენ ამ საქმეს, საყრდენი პუნქტები კარგად მუშაობენ. მაგალითად კიროვის რაისაბჭოს აღმასკომმა მოახერხა ყველა საექსპლოატაციო კანტორასთან შეექმნა საყრდენი პუნქტი და უზრუნველყო ისინი ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი სათავსოებით.

პარტიის კიროვის რაიონული კომიტეტი და აღმასკომი პროფილაქტიკის ცენტრებს უწევენ მხარდაჭერასა და დახმარებას, ახორციელებენ მათზე მუდმივ კონტროლს. პარტიის რაიკომის ბიუროსა და აღმასკომის სხდომებზე იხილება საყრდენი პუნქტების მუშაობის გაუმჯობესების საკითხები, ეწყობა თათბირ-სემინარები საზოგადოებრიობის საბჭოების თავმჯდომარეებთან. საინტერესო იყო აქ ჩატარებული საზოგადოებრიობის აქტივის კრება, რომელმაც განიხილა და დასახა რაიონის საზოგადოებრიობის მობილიზაციის ღონისძიებები თბილისის კომუნისტური ყოფისა და შრომის ქალაქად გადაქცევისათვის.

პარტიის რაიკომის ბიურო და რაიკომის სხდომის იმენს საყრდენი პუნქტების შეფი საწარმოების ხელმძღვანელთა ანგარიშს, იხილავს და ამტკიცებს პროფილაქტიკის ცენტრთა ღონისძიებების ყოველთვიურ გეგმას ოპერატიული ვითარების გათვალისწინებით, სისტემატურად ახდენს დაგროვილი გამოცდილების განზოგადებას.

ასეთმა დამოკიდებულებამ წარმოშვა კიდევ ერთი ახალი ინიციატივა — შეჯიბრება უფლებისათვის, რათა საყრდენი პუნქტის სამოქმედო ტერიტორია იწოდებოდეს მაღალი კულტურისა და სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის მიკრორაიონად“.

ის, რომ ამ რაიონის 50-ე საყრდენი პუნქტის ტერიტორიაზე ამხანაგური სასამართლოს მიერ 1974 წელს განხილული 26 საქმე ყველა შედეგიანი და ქმედითი გამოდგა და შარშან ერთ საქმემდე დავიდა, გვიჩვენებს, რომ ამხანაგურ სასამართლოს მოსახლეობა დიდ ნდობას უცხადებს. საყრდენ პუნქტს ექვსი ოთახი გამოეყო, სადაც ცალ-ცალკე მოთავსდა საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი საბავშვო ოთახი, მილიციის უბნის ინსპექტორი, ამხანაგური სასამართლო და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მოეწყო სატელეფონო



კავშირი. აქ სისტემატურად მორიგეობენ სახალხო რაზმელები, დანაშაული მკვეთრად შემცირდა.

შარშან ჩატარებულმა საყრდენი პუნქტების დათვალიერების ორთვიურმა დაგეანახა, რომ ასევე კარგად არის დაყენებული მუშაობა საყრდენ პუნქტ № 2-ში (ხელმძღვანელი რ. თოლორაია), № 5-ში (ხელმძღვანელი ო. ფერაძე), № 7-ში (ხელმძღვანელი გ. ტაბიძე), № 25-ში (ხელმძღვანელი თ. ჩიქოვანი), № 51-ში (ხელმძღვანელი ზ. ბაბუნაშვილი) და სხვა პუნქტებში.

ამ საბჭოებმა სწორედ გაიგეს პარტიისა და მთავრობის მითითებანი და მიკრორაიონებში ფართოდ გაშალეს სამართალდარღვევათა წინააღმდეგ პროფილაქტიკური მუშაობა, საყრდენი პუნქტების საქმიანობაში ჩააბეს მოსახლეობა, მიიღწიეს საყრდენი პუნქტებისათვის სათანადო ფართობის გამოყოფას. საყრდენი პუნქტების შენობები გაფორმებულია ლოზუნგებით, ლამაზად მოწყობილ სტენდებზე გამოკრულია საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებები: ხულიგნობისათვის, ლოთობისათვის, და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოქმედებისათვის პასუხისმგებლობის გაძლიერების შესახებ. საყრდენ პუნქტებში აქვთ მიკრორაიონის ოპერატიული რუკები, რომლებზეც აღნიშნულია სახალხო მეურნეობის ობიექტები, პარკები, კინოთეატრები, რესტორნები, და მოქალაქეთა თავშეყრის სხვა ადგილები. იქვე აღნიშნულია მიკრორაიონში სახალხო რაზმელების, პატრულირების მარშრუტები და ა. შ. წარმოებს სამომსახურო ტერიტორიის პასპორტიზაცია, სადაც დახასიათებულია უბანი, აღრიცხვაზე აყვანილია მეტი წილი იმ პირებისა, რომელთაც მიდრეკილება აქვთ დანაშაულისაკენ. აღრიცხვის ჟურნალშია პიროვნების დემოგრაფიული მონაცემები, აღრიცხვაზე აყვანის საფუძველი და გატარებული პროფილაქტიკური ღონისძიებათა შედეგები. შედგენილია საბჭოს წევრების და სახალხო რაზმელების მორიგეობის გრაფიკი, შემოღებულია მოქალაქეთა მიღების ჟურნალი, მოქალაქეთა მიღება როგორც საბჭოს წევრების, ასევე მილიციის უბნის ინსპექტორის მიერ წარმოებს ერთდღიანვე საათებში, ერთობლივი ღონისძიებათა გატარების მცხნით.

საბჭოები ამხანაგურ სასამართლოზე იხილვენ მტრულად განწყობილ მეზობლების საკითხებს, საბჭოს სხდომებზე იძახებენ საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევაში შემჩნეულ პირებს. მათთან გასაუბრებისას არკვევენ თუ როგორი საყოფაცხოვრებო პირობები აქვთ, საჭიროებენ თუ არა დახმარებას სამუშაოზე, სასწავლებელში მოსაწყობად და უწევენ მათ ასეთ დახმარებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა არასრულწლოვანთა შორის პროფილაქტიკურ აღმზრდელობით მუშაობას. ამ მხრივ აღსანიშნავია № 2, № 83, № 92 საყრდენი პუნქტების პედაგოგ-ორგანიზატორების და ბავშვთა ოთახის ინსპექტორების მუშაობა.

სამწუხაროდ ამას ვერ ვიტყვით ბევრი საყრდენი პუნქტის მიმართ. მაგალითად კალინინის რაიონის № 60 და № 68 საყრდენ პუნქტებში ორჯონიკიძის რაიონის № 73, № 75 და № 78 საყრდენ პუნქტებში დამტკიცებული არ არის საბჭოს შემადგენლობა და სათანადო პროფილაქტიკური მუშაობა არც წარმოებს.

პირველი მაისის რაიონის № 22 (თავმჯდომარე ა. ალანია), № 31 (თავმჯდომარე გ. იორამაშვილი) საყრდენ პუნქტებში შექმნილი არ არის სექციები, საბჭოს წევრთა შორის არ არის განაწილებული ფუნქციები, სამუშაო გეგმები

შედეგნილია უხარისხოდ, მიკრორაიონში, შექმნილი ოპერატიული ვითარების გაუთვალისწინებლად.

საყრდენი პუნქტების მუშაობის გაცნობა გვიჩვენებს, რომ ბევრი მათგანი არ ეყრდნობა შრომით კოლექტივებს. არა საკმაო კავშირი იმ საწარმოებთან, დაწესებულებებთან, პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან, პროფილაქტიკურ საბჭოებთან, სადაც მუშაობენ დანაშაულის ჩადენის მიღრეკილებაში შემჩნეული პირები, რათა განახორციელოს ერთობლივი პროფილაქტიკური ღონისძიებები. უფრო მეტიც, აღმოჩნდა, რომ ბევრ საწარმოში არ არის შესრულებული პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტისა და ქალაქის საბჭოს აღმასკომის მოთხოვნა პროფილაქტიკური საბჭოების შექმნის შესახებ.

საზოგადოებრიობისა და მილიციის საყრდენმა პუნქტებმა, თავისი სიტყვა უნდა თქვან მუქთახრობისა და ლოთობის წინააღმდეგ. ამ კატეგორიის პირთა ბრძოლა პუნქტებისათვის გაადვილებულია, რადგან მათ მხედველობის არეშია მოქცეული მიკრორაიონის თითქმის მთელი მოსახლეობა.


№ 92 საყრდენ პუნქტში (თავმჯდომარე ნ. ნათაძე) საბჭოს წევრები აცხადებენ რომ, მათ სამოქმედო ტერიტორიაზე გამოვლინებულია 21 პირი, რომლებიც სისტემატურად ეწეოდნენ ლოთობას, მათ შორის შვიდი იძულებით ვაიგზავნა სამკურნალოდ. დანარჩენების მიმართ განხორციელდა პროფილაქტიკური მუშაობა. დღეს ყველა ისინი კარგი მეოჯახე მამები არიან. საბჭომ სა-მუშაოზე მოაწყო 50 დროებით უმუშევარი პირი.

№ 2 საყრდენ პუნქტში (თავმჯდომარე ო. თოღარაია), საზოგადოებრივმა საბჭომ გამოავლინა 29 დროებითი უმუშევარი, აქედან სამუშაოზე უშუალოდ მათ მოაწყვეს 20, აღმასკომის საშუალებით სამუშაოზე ვაიგზავნა 7 პირი.

მაგრამ ასეთი მდგომარეობა ყველგან როდია. პირველი მაისის რაიონის № 28 საყრდენი პუნქტში (თავმჯდომარე ი. მიქელაძე) პატიმრობიდან დაბრუნებულ პირებთან არავითარი პროფილაქტიკური მუშაობა არ წარმოებს. ჩაშლილია ამ სახის მუშაობა არასრულწლოვანთა ხაზითაც, რამაც სავალალო შედეგი გამოიღო. შარშან 10 იანვარს დღის 12 საათზე ფანჯრის მინის ამოღებით ორჯონიკიძის ქ. № 130-ში გაქურდულ იქნა ო. სოიანის ბინა. გატარებული ოპერატიული ღონისძიებით ბოროტმოქმედნი დაკავებულ იქნენ. ისინი აღმოჩნდნენ ძმები ვაჟა და რაფიკ სმოიანები 1957-58 წლებში დაბადებულები, მცხოვრებნი ფოთის ქ. № 37-ში, რომლებიც არსად არ მუშაობდნენ და არავითარი საზოგადოებრივ სასარგებლო საქმიანობას არ ეწეოდნენ. ნ. აზნაურაშვილი, 15 წლის ჭაბუკი, საშუალო სკოლის მოსწავლე, მცხოვრები, იქვე, ფოთის ქ. № 30-ში.

ამ მაგალითიდან გამოჩნდა საყრდენი პუნქტის საზოგადოებრივი საბჭოსა და მილიციის უბნის ინსპექტორის ბ. ბარბაქაძის სრული უმოქმედობა. ერთ ქუჩაზე ერთ სახლში ცხოვრობს ორი პარაზიტი, რომლებიც ქმნიან დანაშაულებრივ ჯგუფს, ითრევენ ბოროტმოქმედებაში მოზარდს და ჩადიან სისხლის სამართლის დანაშაულს.

რამდენიმე თვის შემდეგ ძმები სმოიანები, როგორც არასრულწლოვანები ამნისტიის შეფარდებით გაანათვისუფლეს პატიმრობიდან. არც განთავისუფლების შემდეგ დაინტერესებულა სმოიანების საქმიანობით საყრდენი პუნქტის საზოგადოებრივი საბჭო და მილიციის უბნის ინსპექტორი და შედეგმაც არ დააყოვნა. შარშან 1 სექტემბერს ვაჟა სმოიანმა შურისძიების მოტივით დანით, მრავალი სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა კ. ბარბაქაძეს, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.



ეს სავალალო და დამაფიქრებელი ფაქტია, რომლიდანაც სათანადო კენებო უნდა გაკეთდეს. სამწუხაროდ ასეთივე მდგომარეობა № 5, № 66, № 89 საყრდენ პუნქტებშიც. ექვსი თვის მანძილზე სამოქმედო ტერიტორიაზე მათ არ გამოუვლენიათ არც ერთი წვრილმანი ხულიგანი, სპეკულანტი, კერძო მეწარმე, თუმცა როგორც შემოწმებამ გვიჩვენა ასეთი პირები იქ საკმაოდ არიან.

სამართალდარღვევათა პროფილაქტიკაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ამხანაგურ სასამართლოებს. საყრდენი პუნქტის საზოგადოებრივი საბჭოს წევრებთან მჭიდრო კავშირში ამხანაგურმა სასამართლომ შექმნა მართლწესრიგის დამრღვევთა წინააღმდეგ მებრძოლი სიცოცხლისუნარიანი ბირთვი, რამაც საგრძნობლად აამაღლა მოსახლეობაში მათი ავტორიტეტი.

ამხანაგური სასამართლოების აქტიური ჩარევით და მონაწილეობით ბევრი სასარგებლო საქმე გაკეთდა. თავიდან აცილებულია მოსალოდნელი არა ერთი დანაშაული, გადაწყვეტილია მეზობლებს შორის წარმოშობილი დავები, აღკვეთილია საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები და სხვ. ყველაფერი კეთდება რათა თანმიმდევრულად განხორციელდეს ის დადგენილებანი, რომლებიც მართლწესრიგის დარღვევათა პროფილაქტიკაში საზოგადოებრიობის ფართო მონაწილეობას ითვალისწინებს.

ჩვენს ქალაქში ჯერ კიდევ ხშირია განზრახი მკვლელობის, სხეულის დაზიანების, ხულიგნობის ფაქტები, რომელთა მოტივია მეზობლური დავები და ოჯახური უთანხმოებანი. მათი თავიდან აცილება შესაძლებელი იყო ადმინისტრაციული ორგანოების და საზოგადოებრიობის დროულად ჩარევის შემთხვევაში.

დანაშაულის აცილებისათვის ოჯახური და მეზობლური კონფლიქტები უნდა გახდეს საბჭოს და მიკრორაიონის აქტივის ზრუნვის საგანი. საკმარისია დავის მიზეზები განიხილონ ამხანაგურ სასამართლოებზე და მიიღონ ყველა ზომა უთანხმოებათა მოსაგვარებლად.

თუნდაც ის ფაქტი, რომ 1975 წლის 6 თვეში ქალაქში რეგისტრირებული მკვლელობების შემთხვევებიდან თითქმის ნახევარი ჩადენილია საყოფაცხოვრებო უთანხმოების ნიადაგზე, იმაზე მეტყველებს, რომ ამ სახის პროფილაქტიკური მუშაობა მიკრორაიონებში ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე. ცალკეული საყრდენი პუნქტების საზოგადოებრივი საბჭოები და ამხანაგური სასამართლოები არ ავლენენ მიკრორაიონის ტერიტორიაზე მტრულად განწყობილ მეზობლებს და უთანხმოების გამოწვევებ მიზეზებს, ღრმად არ სწავლობენ რითაა გამოწვეული ოჯახური კონფლიქტები.

1975 წლის 10 იანვარს, ვარკეთილის მასივის ზედა პლატოს № 8 კორპუსში მცხოვრებმა ი. ზუიკოვმა ოჯახური უთანხმოების ნიადაგზე დანით მოკლა თავისი ცოლი ა. ელშოვა. როგორც შემდეგ გამოირკვა ოჯახში დიდი ხანია სუფევდა უთანხმოება, ქმარი ცოლს ხშირად აყენებდა ფიზიკურ და სიტყვიერ შეურაცხყოფას, ამის შესახებ იცოდნენ მეზობლებმა, ეს ამბავი № 97 საყრდენი პუნქტის საზოგადოებრივმა საბჭომაც იცოდა, მაგრამ უთანხმოებათ მოსაგვარებლად არავითარი ქმედითი ზომები არ უხმარიათ.

უკანასკნელ ხანს პარტიამ და მთავრობამ განახორციელეს ღონისძიებანი ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის გასაუმჯობესებლად. ხშირად ამბობენ, რომ მილიცია საბჭოთა ხელისუფლების სარკეა. თუ ეს ასეა, მაშინ უბნის ინსპექტორს შეაძლება მილიციის სარკე ვუწოდოთ. ეს მათ ავალებს იყ-

ვნენ თავიანთი საქმის კარგი მცოდნენი, იდეურ პოლიტიკურად მომზადებულნი, კარგბ აღმზრდელნი, იცოდნენ საზოგადოებაში თავის დაჭერა და შესძლონ იმ ეთიკური ნორმების დაცვა, რაც სავალდებულოა ყველა განათლებული ადამიანისათვის.

უბნის ინსპექტორი ვალდებულია უზრუნველყოს სანიმუშო საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა გაპიროვნებულ უბანში, დაიცვას მოქალაქეთა უშიშროება და ქონება დანაშაულებრივი ხელყოფისაგან, გამოიჩინოს ინიციატივა მომხდარი დანაშაულის გახსნაში, დამნაშავეებისა და უგზო-უკვლოდ დაკარგული პირების დაძებნაში, ებრძოდოს ბავშვთა უზედამხედველობას, მიიღოს ზომები არასრულწლოვანთა მხრივ მოსალოდნელ სამართალდარღვევების აღკვეთისათვის, ჩაატაროს ინდივიდუალური პროფილაქტიკური მუშაობა თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან დაბრუნებულ პირებთან, ადმინისტრაციული ზედამხედველობა განახორციელოს იმ პირებთან, რომელთაგანაც მოსალოდნელია დანაშაულის ჩადენა, დაიცვას საპასპორტო რეჟიმი, იზრუნოს მოძრაობის უშიშროებისათვის. ამასთან ერთად ლოთობის, მაწანწალობის, წვრილმანი ხულიგნობის, სპეკულაციის, ნარკომანიის და სხვა ანტისაზოგადოებრივი მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლა საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მოსალოდნელი დანაშაულის აღკვეთა-აცილება, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, სახალხო რაზმებებთან მუშაობა და სხვა უბნის ინსპექტორის ყოველდღიური საზრუნავია.

ქ. თბილისის მილიციის ქალაქად გადაქცევასთან დაკავშირებით გაიზარდა უბნის ინსპექტორების რაოდენობაც. შემოღებული იქნა უფროსი უბნის ინსპექტორის თანამდებობა, რომელიც ხელმძღვანელობს საყრდენ პუნქტზე გაერთიანებულ რამდენიმე უბნის ინსპექტორს.

იქ, სადაც უბნის ინსპექტორი მოწოდების სიმძლავრეა, პირნათლად ასრულებს თავის მოვალეობას, დანაშაულთა წინააღმდეგ აქტიურად იყენებს საყრდენი პუნქტის საზოგადოებრივ საბჭოს, მის წევრებს და მოსახლეობის ფართო მასებს, შედეგებიც დადებითია, ასეთებია მაგ. ინსპექტორი მილიციის ლეიტენანტი წ. ქუმარიტოვი (საყრდენი პუნქტი № 2), მილიციის ლეიტენანტი ჯ. ბოდოკია (საყრდენი პუნქტი № 51), ინსპექტორი მაიორი მ. მენაბდე (საყრდენი პუნქტი № 52), უფროსი ლეიტენანტი გ. ოვანოვი (საყრდენი პუნქტი № 74), ლეიტენანტი ა. ლომაშვილი (საყრდენი პუნქტი № 92), მაიორი ი. გლინკოვი (საყრდენი პუნქტი № 99) და სხვები.

სამწუხაროდ, გვყავს ისეთი ინსპექტორებიც, რომლებიც უპასუხისმგებლოდ ეკიდებიან სამსახურებრივ მოვალეობას, დანაშაულის პროფილაქტიკას სთვლიან მეორეხარისხოვან საქმედ, სათანადოდ ვერ აფასებენ საზოგადოებრიობის როლს დამნაშავეობასთან ბრძოლაში, არ უწევენ საჭირო დახმარებას საყრდენი პუნქტების საზოგადოებრივ საბჭოებს, მათ მუშაობის ცუდი მაჩვენებლები აქვთ.

უბნის ინსპექტორებისათვის ნორმალური სამუშაო პირობების შექმნის მიზნით ამ რამდენიმე დღის წინ სადირექტივო ორგანოებმა მიიღეს სათანადო დადგენილება, რომლითაც რაიადმასკომებს ევალებოდათ უზრუნველყოთ მილიციის უბნის ინსპექტორები სამუშაო ოთახებით, ტელეფონებით, საცხოვ-

რებელი ბინებით. როგორ სრულდება ეს დადგენილება? დღეისათვის 227 უბნის ინსპექტორიდან 94-ს არ გააჩნია სამუშაო ოთახი, ასევე ტელეფონი, ხოლო ნახევარს კი საცხოვრებელი ბინები. საჭიროა ქალაქისა და რაისაბჭოს აღმასკომებმა მეტი ყურადღება დაუთმონ ამ საკითხს და გამოძებნონ სამუშაოები ამ დადგენილების შესასრულებლად.

ქ. თბილისის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად დიდი მუშაობა გაწიეს ბავშვთა უზენაესეფელობისა და არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. თუ გადავხედავთ დანაშაულის დინამიკას, ბოლო ხუთი წლის მანძილზე დედაქალაქში მათ მიერ ჩადენილი დანაშაული თანდათან მცირდება.

არასწლოვანთა დანაშაულის გამომწვევი მიზეზების ობიექტური ახსნა რთული პრობლემაა და მის ირგვლივ შეიძლება მრავალი აზრის გამოთქმა. მაგრამ როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს უმთავრესი გარემოებანია: ოჯახში ცუდი აღზრდა, მშობლებს შორის არაჯანსაღი დამოკიდებულება, ზოგიერთ სკოლაში, წარმოებასა და დაწესებულებაში აღმზრდელობითს მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, ცალკეული ანტისაზოგადოებრივი ელემენტების მავნე ზეგავლენა და სხვ.

მისაბაძად უნდა ჩაითვალოს ორჯონიკიძის რაიონის № 82 საყრდენ პუნქტში არასრულწლოვანთა შორის მუშაობა. პედაგოგ-ორგანიზატორმა ნ. ბერიძემ მიუხედავად სივიწროვისა თავის ირგვლივ შემოიკრიბა მიკრორაიონში მცხოვრები მოზარდები. მაცხოვრებელთა მხარდაჭერით ჩამოაყალიბა კლუბი „ენძელა“, შექმნა მისი შტაბი 17 წევრისაგან, ჩამოაყალიბა ფეხბურთის, ფრენბურთის სექციები, ქორეოგრაფიული და საესტრადო ანსამბლი, უცხო ენების შემსწავლელთა ჯგუფი. რომლებშიც 200-მდე მოზარდია გაერთიანებული. ამ სექციებს შეფობას უწევენ მიკრორაიონში მცხოვრები სპეციალისტები, პედაგოგიური და უცხო ენების ინსტიტუტების სტუდენტები არდადავების დროს მუშაობს პიონერთა ბანაკი „ენძელა“ საღაც 80-მდე მოზარდი ერთიანდება. მათივე თაოსნობით საცხოვრებელ კორპუსებში შექმნილია მშობელთა საბჭოები, რომლებთა შორის წარმოებს შეჯიბრი დღეებით „კორპუსი ორიანის გარეშე“.

არასრულწლოვანთა სამართალ-დარღვევათა თავიდან აცილებისათვის საბჭოების აღმასკომებმა ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან ერთად მოზარდთა შორის აღმზრდელობითი მუშაობაში ფართოდ უნდა ჩააბან საზოგადოებრიობა, ქუჩის და სახლის კომიტეტები, ადგილობრივი საბჭოს დეპუტატები, ომისა და შრომის ვეტერანები, მრეწველობის, ლიტერატურის, ხელოვნების მოღვაწენი, მიიღონ ზომები სკოლებიდან და სასწავლებლებიდან მოსწავლეთა განთესვია აღსაკვეთად, უკეთ მოაწყონ ახალგაზრდათა თავისუფალი დროის გამოყენება, სისტემატურად ჩაატარონ ლექცია-მოსხენებები, ლიტერატურული დისპუტები, სპორტული შეჯიბრებები, ლაშქრობები, თვითმოქმედების კოლექტივების დათვალიერებები, შეხვედრები ჩვენი ქვეყნის გამოჩენილ ადამიანებთან და სხვ.

16 წელია, რაც ნებაყოფლობითმა სახალხო რაზმელებმა ჩვენს ქვეყანაში მოქალაქეობრივი უფლება მოიპოვეს და მილიციის ორგანოების მხარდამხარ დგანან საზოგადოებრივი წესრიგის სადარაჯოზე. დიდი გამოცდილება დააგროვეს თბილისელმა სახალხო რაზმელებმაც. ბოლო ხანს გადაისინჯა და განახლდა რაზმელთა მთელი შემადგენლობა, მათ მიიღეს ფიცი საზეიმო ვითა-

რებაში. განახლდა რაზმეულთა ხელმძღვანელობა. რაიონული და საქალაქო შტატები. რაიონებში და ქალაქში შემოღებულ იქნა შტატი განთავისუფლებული მუშაკისა სახალხო რაზმელთა მუშაობის დარგში. ჩამოყალიბდა რაზმელთა მიზნობრივი ჯგუფები. წარმოება-დაწესებულებების რაზმეულები მიმაგრებულები არიან საყრდენ პუნქტებზე. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ყველგან არ არის სასურველი მდგომარეობა. სახალხო რაზმელთა დაკომპლექტების დროს ადგილი აქვს ნებაყოფლობითი პრინციპების დარღვევის შემთხვევებს, სახალხო რაზმელებთა რიგებში არიან პირები, რომლებიც ფორმალურად ასრულებენ თავიანთ მოვალეობას. იშლება მორიგეობა, სათანადო ყურადღება არ ეთმობა სახალხო რაზმელთა პასუხისმგებლობის ამადლებას. იშვიათად ეწყობა მშრომელთა კოლექტივების წინაშე რაზმელთა ხელმძღვანელობის და შტაბის უფროსების გამოსვლა ანგარიშით, ჩატარებული მუშაობის შესახებ. რაიადმასკომები ჯერ კიდევ სუსტად ხელმძღვანელობენ სახალხო რაზმელთა მუშაობას. რაიონულ შტატებისათვის 26 კომისიის, საქარხნო, ორჯონიკიძისა და I მაისის რაიონებში ჯერაც არ არის გამოყოფილი ფართობი, არ არის მათთვის შექმნილი მუშაობის პირობები.

რაიადმასკომებმა და ადმინისტრაციულმა ორგანოებმა უნდა გაითვალისწინონ სახალხო რაზმელების მუშაობაში აღნიშნული ნაკლოვანებანი, დასახონ კონკრეტული ღონისძიებანი მათი აქტივობის შემდგომი ამადლებისათვის, შექმნან ისეთი ატმოსფერო, რომ სახალხო რაზმელთა გამოჩენა მართლწესრიგის დამრღვევთა შიშს იწვევდეს.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საზოგადოებრივი და მილიციის საყრდენი პუნქტები, წარმოება-დაწესებულებათა პროფილაქტიკური ჯგუფები, ამხანაგური სასამართლოები, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულები ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად უზრუნველყოფენ სანიმუშო საზოგადოებრივ წესრიგს, ხელს შეუწყობენ თბილისის გადაქცევას მაღალი კულტურის, კომუნისტური შრომისა და ყოფის ქალაქად.

13254



კ. მარქსის სახ. საქ. სსრ-ის
სახალხო

ყოველგვარი მომზადებული შეხვედრით სახალხო მოსამართლეთა არჩევნებს

ა. ლილუაშვილი,

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს სახამართლო
ორგანოების სამმართველოს უფროსი

1976 წლის 11 აპრილს მთელი ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა აირჩევს რაიონისა და ქალაქის სახალხო სასამართლოთა სახალხო მოსამართლეებს. არჩევნებისათვის მზადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის შესახვედრად საბჭოთა ხალხის არნახული პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობს.

დაიწყო თავდადებული ბრძოლა მეათე ხუთწლედით დასახული ახალი მიჯნების დასაძლევად, ეფექტიანობისა და ხარისხის ხუთწლედის იმ გრანდიოზული გეგმების ხორცშესახმელად, რაც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პროექტით — „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1976-1980 წლების ძირითად მიმართულებათა შესახებ“.

საქართველოს თვითეულ კომუნისტს, რესპუბლიკის მუშათა კლასს, კოლმეურნე გლეხობას, ინტელიგენციას საქმიანობისა და გამარჯვებათა მოპოვების კონკრეტული ღონისძიებანი დაუსახა საქართველოს კომუნისტური პარტიის XXV ყრილობამ, რომელმაც ჩაიარა დიდი მომთხვენელობის, ნაკლოვანებებისადმი პრინციპული შეურიგებლობისა და უაღრესად საქმიან ვითარებაში.

რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმმა შეაჯამა საანგარიშო პერიოდში პარტიული ორგანიზაციების მიერ გაწეული კოლოსალური შრომა, ამასთან ბოლშევიკური პირდაპირობით ამხილა ჯერ კიდევ არსებული ხარვეზები და ნაკლოვანებები, გვიჩვენა მათი დაძლევის, ახალი რეზერვების ამოქმედების გზები.

ყრილობამ მთელი სიცხადით დაადასტურა თუ იდეურად როგორ გამოიწერთო ბოლო სამი წლის მანძილზე საქართველოს კომპარტია, როგორ განმტკიცდა ორგანიზაციულად, რა თვალსაჩინო საქმიანობას ეწევა პარტიულ, სახელმწიფო და საბჭოთა ორგანოებში ჭეშმარიტად ლენინური სტილის აღდგენისათვის, მშრომელთა ფართო მასებზე ზეგავლენის გაძლიერებისათვის.

ყრილობაზე პრინციპულად ითქვა, რომ კიდევ უფრო გაძლიერდება და განმტკიცდება მკაცრი, უკომპრომისო ბრძოლა ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ნეგატიური მოვლენების დასაძლევად და აღსაკვეთად იმ სერიოზული ხარვეზების მხილებისათვის, რასაც ჯერ კიდევ ადგილი აქვს სოციალისტური მართლმსაჯულების განხორციელების საქმეში.

ყრილობის მიერ დასახული დიდი ამოცანების გადაწყვეტაში, დამნაშავეობასთან და სხვა სამართალდარღვევებთან ბრძოლაში მეტად მნიშვნელოვანია იუსტიციის დაწესებულებებისა და მართლმსაჯულების ორგანოების როლი. სასამართლოებს ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი

უჭირავთ. მათ და მხოლოდ მათ შეუძლიათ მართლმსაჯულების აღსრულება საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს სახელით. მათ და მხოლოდ მათ აქვთ უფლება იცნონ მოქალაქე დამნაშავედ სამართალდარღვევაში და განუსაზღვრონ სასჯელის სახე და ზომა, საბოლოოდ გადაწყვიტონ მრავალი დავა, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქეთა კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვასთან. სასამართლოს გადაწყვეტილებას აქვს კანონის ძალა და საგალებულია ყველა ორგანიზაციისათვის, თანამდებობის პირისა და მოქალაქისათვის.

არ არის სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის უბანი, რომელიც არ იყოს სახალხო მოსამართლის მხედველობის არეში, რომელსაც არ ახმარდეს იგი მთელ თავის ცოდნასა და უნარს. ჩვენი სახალხო მოსამართლეები წყვეტენ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას — ახალი ადამიანის აღზრდას.

საბჭოთა სახელმწიფომ აღჭურვა რა მოსამართლენი ასეთი ფართო რწმუნებებით, მოითხოვს, რომ თვითეული მათგანი სარგებლობდეს უმწიკვლო რეპუტაციით, უჩვენებდეს სამშობლოსადმი, ხალხისადმი უანგარო სამსახურის მაგალითს.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს X წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე მ. ი. კალინინი ამბობდა: „მე რომ მკითხონ, თუ როგორი უნდა იყოს მოსამართლის პიროვნება, ვინ შეიძლება ამყამდ იყოს მოსამართლე, ვიტყვი, რომ მოსამართლეს უნდა ჰქონდეს ცოდნა თუნდაც კომუნისტური უნივერსიტეტის ფარგლებში, უნდა იყოს ადამიანი, რომელიც თავისი პირადი საქციელით, საქმისადმი დამოკიდებულებით დაიმსახურა ხალხის ნდობა და ავტორიტეტი, ადამიანი, რომელსაც აქვს დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცდილება, შეუძლია გაერკვეს ადამიანებში და, ამას კიდევ დავამატებდი, არის კულტურული ადამიანი“¹.

სახალხო სასამართლოს თვითეულ მუშაკს, უწინარეს ყოვლისა კი სახალხო მოსამართლეს, მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ყოველ მის მოქმედებას, მთლიანად სასამართლოს საქმიანობას, დაწყებული მოქალაქეთა მიღებითა და დამთავრებული სამსჯავრო სხდომის ჩატარებით, განაჩენისა და გადაწყვეტილების დადგენით, უდიდესი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს.

თვით ის ფაქტი, რომ საბჭოთა კონსტიტუციის შესაბამისად სახალხო მოსამართლენი აირჩევიან საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, იმაზე მეტყველებს, რომ მათს შერჩევას ენიჭება უდიდესი მნიშვნელობა და ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა თვით ხალხს აქვს მინდობილი.

სასამართლოთა მუშაობის დონის ამაღლებისათვის, მათთვის პრაქტიკული დახმარების გაწევისა და მოსამართლეთა საქმიან-პოლიტიკური თვისებების ღრმად შესწავლისათვის, ბოლო ხანს მოეწყო ბევრი სახალხო სასამართლოს კომპლექსური და მიზნობრივი შემოწმება. მოსამართლეთა და რეზერვის მნიშვნელოვანმა ნაწილმა იურიდიული კვალიფიკაცია აიმაღლეს საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს მუდმივმოქმედ კურსებზე.

ბევრი რამ გაკეთდა სასამართლოთა საქმიანობის პირობების გაუმჯობესებისათვის. მარტო IX ხუთწლეულში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა

¹ М. И. Калинин, «О социалистической законности». 1959 г., стр. 177.

სახალხო სასამართლოს 22 ტიპიური შენობა, რომელიც გაიწყო თანამედროვე მაღალხარისხის ხარისხიანი ავეჯით.

სასამართლოთა ნაწილი აღჭურვილია შესაბამისი ორგტექნიკითაც. მაგალითად, კასპის რაიონის სახალხო სასამართლოს შესანიშნავი შენობა მთლიანად რადიოფიციურებული. სამსჯავრო სხდომის მიმდინარეობა თუ საჭიროა გამაძლიერებლით გადაიცემა მოსაცდელ დარბაზშიც. მოწმეთა გამოძახება სხდომის დარბაზში ხდება მიკროფონით. ფართოდ გამოიყენება სხდომის მონაწილეთა გამოსვლების ჩაწერა მაგნიტოფონის ფირზე. სასამართლოს შენობაში მყოფთ წესრიგის დაცვისაკენ მოუწოდებთ ელექტროტაბლოები: „დაიცავით სიჩუმე“, „მიმდინარეობს სხდომა“ და ა. შ. ყველა ეს ხელს უწყობს მოქალაქეებში სასამართლოს საქმიანობისადმი, მართლმსაჯულების ორგანოებისადმი პატივისცემის გრძობის ჩანერგვას, ხოლო სასამართლოს მუშავეებში ამაღლებს მინდობილი საქმისადმი პასუხისმგებლობას.

ცნობილია, რომ სასამართლო საქმიანობის გვირგვინს წარმოადგენს სამსჯავრო სხდომის მაღალორგანიზაციულ და პროფესიულ დონეზე ჩატარება. ვ. ი. ლენინი გვასწავლის, რომ სასამართლო პროცესიდან შეიძლება და აუცილებლად უნდა გამოვიტანოთ კიდევ საზოგადოებრივი მორალისა და პრაქტიკული პოლიტიკის გაკვეთილები.

ამიტომ არის, რომ უკანასკნელ ხანს განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამსჯავრო სხდომის ჩატარების კულტურას, მოსამართლეთა მხრივ ეთიკურ და საპროცესო ნორმების აბსოლუტურად დაცვას.

რესპუბლიკაში ბევრი მოსამართლე ახორციელებს მართლმსაჯულების ფუნქციებს მთელი პასუხისმგებლობით. მორალურ-ზნეობრივი ნორმებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, ამჟღავნებს დიდ შინაგან კულტურას და სათანადო პროფესულ ოსტატობას, მათ მიერ შედგენილი სასამართლო დოკუმენტები გამოირჩევიან წიგნიერებით, კანონებისა და ნორმატიული აქტების ცოდნით, დებულებათა ლოგიკურობით, დასაბუთებულობით, დამაჯერებლობით.

სამწუხაროდ, ყველა მოსამართლე როდი ითვისებს თუ რა დიდი მოვალეობა აკისრია, ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ მარტო ამ ბოლო სამი წლის განმავლობაში სხვადასხვა დარღვევის დაშვებისათვის, კერძომსაჯუთრული ტენდენციების გამოვლინებისა და აშკარა დანაშაულისათვის ვადამდე იქნა გამოწვეული ოცზე მეტი სახალხო მოსამართლე. ხოლო ერთმა ნაწილმა საქმიანობაში დაუდევრობის, შეცდომებისა და ხარვეზებისათვის პასუხი აგო დისციპლინარული წესით.

ამჟამად იუსტიციის სამინისტრო ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებთან ერთად ყველაფერს აკეთებს სახალხო მოსამართლეთა არჩევნების მაღალ იდეურ-ორგანიზაციულ დონეზე ჩატარების უზრუნველსაყოფად.

რესპუბლიკის სახალხო მოსამართლეებმა ამ უმნიშვნელოვანეს პოლიტიკური კომპანიის ჩატარებასთან დაკავშირებით საგრძნობლად გააძლიერეს კავშირურთიერთობა ამომრჩევლებთან. მარტო 1975 წელს ისინი შეხვდნენ ამომრჩევლებს და ანგარიში ჩააბარეს 1840-ჯერ. საშუალოდ ეს შეადგენს 11 ანგარიშს ერთ მოსამართლეზე.

მოსამართლეთა ნაწილი ამომრჩეველთა წინაშე გამოდის ღრმად გააზრებული საანგარიშო მოხსენებით, რომელშიც ყოველმხრივ გაანალიზებულია

სასამართლოს მუშაობა, მხილებულია ნაკლოვანებანი. ისინი გულდასმით სწავლობენ ამომრჩეველთა მიერ გამოთქმულ შენიშვნებსა და საქმიან წინადადებებს, ახდენენ დროულ რეაგირებას მათზე.

მიმდინარე წლის 16 იანვარს თბილისის ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის მრავალრიცხოვანი კოლექტივის ამომრჩევლებს ანგარიშობა ჩააბარეს თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო მოსამართლემ ს. ბოსტოლანაშვილმა, აგრეთვე სახალხო მსაჯულებმა ლ. აბრამიშვილმა და ც. გეჭაძემ. ანგარიში დიდი ყურადღებით იქნა მოსმენილი, რის შემდეგ გაიმართა აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

ფაბრიკის ახალგაზრდა მუშამ, კომკავშირის კომიტეტის წევრმა გ. ჩქიმიკიამ ახალგაზრდების სახელით მოითხოვა, რომ გაუმჯობესდეს მოსახლეობის სამართლებრივი აღზრდა. ინიცირმა გ. ჩხაიძემ გულისტკივილი გამოთქვა ზოგიერთი განმაურებული სისხლის სამართლის საქმის გამოძიებისა და სამსჯავრო განხილვის დაუშვებელი გაჭიანურების გამო, რაც მოქალაქეთა უკმაყოფილებას იწვევს. სიტყვით გამოვიდნენ აგრეთვე, მუშები ვ. ძაგანიშვილი და ლ. დგებუაძე.

ამომრჩეველთა კრიტიკული შენიშვნების შესახებ იმჯელეს სასამართლოს მუშაკთა ოპერატიულ თათბირზე, ზოგიერთი მათგანის გამო მოსამართლე შესაბამისი წარდგინებით შევიდა რაისაბჭოს აღმასკომსა და რაიონის პრაქტიკურაში.

გასული წლის დეკემბერში № 92 მიკრორაიონის ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის სახალხო მოსამართლემ ი. მესხიშვილმა. ამომრჩევლებმა: გ. ბერძენიშვილმა, ვ. ჯღამიამ, ნ. რეხვიანიშვილმა, ვ. გამცემლიძემ მთელი რიგი წინადადებები წამოაყენეს, რომელთა მოსაგვარებლად სასამართლო წარდგინებით შევიდა რაისაბჭოს აღმასკომში.

ამომრჩევლებთან მალალ დონეზე აწყობენ ანგარიშს, გულისხმიერად ეკიდებიან კრიტიკულ შენიშვნებს სახალხო მოსამართლეები გ. მათიაშვილი (გურჯაანის რაიონი), გ. თევზაძე (ქ. ჭიათურა), ქ. მეგრელიშვილი (ლანჩხუთის რაიონი) და სხვები.

ამასთან ერთად უნდა ითქვას, რომ მოსამართლეთა ერთი ნაწილი უპასუხისმგებლოდ ეკიდება საანგარიშო მოხსენების შედგენას. მასში ასახული არ არის სასამართლოს დღევანდელი ამოცანები, არ არის მონაცემები იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც განახორციელა სასამართლომ დამნაშავეობასთან, მათ შორის არასრულწლოვანთა დამნაშავეობასთან, და სხვა სამართალდარღვევებთან ბრძოლის უზრუნველსაყოფად, ამ საქმეში საზოგადოებრიობის როლის ასამაღლებლად და ა. შ. ამის გამო ამომრჩევლებთან შეხვედრები ჩნებულად, საქმიანი სჯა—ბაასის გარეშე ეწყობა.

მოსამართლეთა უმრავლესობა წარმატებით იყენებს ამომრჩევლებთან საქმიანი კონტაქტის სხვა ფორმებსაც. ასე მაგალითად გასულ წელს სახალხო მოსამართლეებმა იურიდიულ თემებზე წაიკითხეს 4 410 ლექცია-მოხსენება.

უკანასკნელ პერიოდში დიდი ყურადღება ექცევა საქმეთა განხილვას დანაშაულის ჩადენის ან სამართალში მიცემულის მუშაობისა თუ სწავლის ადგილზე. 1975 წელს გამსვლელ სხდომაზე განხილულია თითქმის ყოველი მეოთხე საქმე, ზოლო ყოველი მეხუთე საქმე განხილულია საზოგადოებრივ-

ბის წარმომადგენლების, საზოგადოებრივი ბრალმდებლისა და საზოგადოებრივი დამცველის მონაწილეობით.

ეს მონაცემები სასამართლოთა საქმიანობაში მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობის გაფართოებასა და დამნაშავეობასთან ბრძოლაში მათი როლის ამაღლების შესახებ მეტყველებენ.

სახალხო სასამართლოები დიდ ყურადღებას უთმობენ მშრომელთა განცხადებების, საჩივრებისა და წინადადებების განხილვას, რასაც შედეგად მოჰყვა საჩივრების განმეორებით შემოსვლის შემთხვევათა საგრძნობი შემცირება, თუმცა ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზია.

ამომჩიველებთან, მიუღეს საზოგადოებრიობასთან საქმიანი კავშირითიერობის შემდგომი განმტკიცება სახალხო სასამართლოთა გადაუდებელი ამოცანაა. რესპუბლიკის სახალხო მოსამართლეებმა სწორი დასკვნები უნდა გამოიტანონ მართლმსაჯულებისა და იუსტიციის ორგანოების პრინციპული კრიტიკიდან, რაც გამოითქვა საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობაზე.

სახალხო მოსამართლეთა არჩევნების მაღალ ორგანიზაციულ-პოლიტიკურ დონეზე ჩატარება ხელს შეუწყობს მათი საქმიანობის შემდგომ სრულყოფას.

გავაძლიეროთ ბრძოლა მავნე ზრდილობისა და ნეს-ჩვეულებათა წინააღმდეგ

ლოც. 3. ლოცობა

მავნე ტრადიციები და წეს-ჩვეულებები ადამიანთა შეგნებაში მახინჯი შეხედულებების, წარსულის გადმონაშთების გამოვლინებაა. მათ წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება არის არა მარტო სოციალისტური ყოფის განმტკიცების საფუძველი, არამედ დანაშაულებრივ ქმედობათა თავიდან აცილების საწინდარიც. სუბიექტივიზმისა და მოშვებულობის პირობებში, რასაც ახლო წარსულში ჰქონდა ადგილი ჩვენს რესპუბლიკაში, თავი იჩინა ზოგიერთმა არაჯანსაღმა გამოვლინებებმა საზოგადოებრივ ყოფა-ცხოვრებასა და ადამიანთა პირად ურთიერთობებში. ისინი არა მარტო სოციალისტური თანაცხოვრების წესებისათვის არიან შეუთავსებელი, არამედ მიუღებელია საერთოდ ადამიანების ნორმალური ცხოვრებისა და შრომისათვისაც კი.

მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ მთელი საზოგადოებრიობის მობილიზაციის მიზნით საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 1975 წლის ნოემბერს მიიღო სპეციალური დადგენილება, რომელშიც დასახულია ჩვენს რესპუბლიკაში მავნე წეს-ჩვეულებებს წინააღმდეგ ბრძოლის გაშლილი პროგრამა.

მავნე ტრადიციები და წეს-ჩვეულებები პირობითად შეიძლება სამ ჯგუფად დაიყოს: რელიგიურ, საზოგადოებრივ-ყოფითსა და პირად-ოჯახურ წეს-ჩვეულებებად. მათ წინააღმდეგ ძირითადად გამოყენებულია მხოლოდ მორალური სანქციები, იშვიათად სამართლებრივი ნორმებიც.

ჯერ კიდევ 1918 წლის 23 იანვარს დეკრეტით — „სახელმწიფოსაგან ეკლესიისა და ეკლესიისაგან სკოლის გამოყოფის შესახებ“, საფუძველი ჩაეყარა საბჭოთა ხელისუფლების დამოკიდებულებას რელიგიისადმი. დეკრეტის მე-5 მუხლით დაშვებული იყო რელიგიური წეს-ჩვეულებების შესრულება თუ იგი არ არღვევდა საზოგადოებრივ წესრიგს და არ ხელყდფდა საბჭოთა მოქალაქის უფლებებს. მაგრამ ზოგიერთი რელიგიური ცერემონია, თუმცა არ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს, მაგრამ მას თან სდევს მავნე შედეგები, უმსგავსო, ამორალური ქცევა, და ამიტომ ყოველმხრივ გასაკიცხია. ასეთი ცერემონიები იმართება, მაგალითად, რელიგიური დღეობების — „მცხეთობის“, „თელეთობის“, „ალავერდობის“ დროს. რაც შეეხება მაჰმადიანური რელიგიის ზოგიერთ დღესასწაულს („ყურბან-ბაირამობა“, „მაგერამი“, „ყალიმი“, „ყალანი“ და სხვ.) ისინი კიდევ უფრო მეტად აქვეითებენ ადამიანთა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობას. როგორც პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაშია აღნიშნული, რესპუბლიკის ტერიტორიაზე გააქტიურდნენ სხვადასხვა სექტები და რელიგიური გაერთიანებები, შეიმჩნევა იუდეველთა რელიგიის გამოცოცხლება.

ყველა რელიგიური დღესასწაული აღინიშნება წრეგადასული ღრეობას ვითარებაში, მათი მონაწილენი უმსგავსოდ, დამამცირებლად იქცევიან, ხში-

რად ველურობამდეც კი დადიან. მაგალითად, ყოველი წლის სექტემბერ-ოქტომბერში კახეთის ცნობილ ალავერდის ტაძარში ტარდება „ალავერდობა“. XI საუკუნის ეს ტაძარი ყველაზე მაღალია საქართველოში და მცხეთის სვეტიცხოველისა და ქუთაისის ბაგრატის ტაძართან ერთად საქართველოს ყველაზე მონუმენტური და დიდმნიშვნელოვანი ძეგლია. და როგორი დამამცირებელი და გულისამრევია ამ საყდართან მოწყობილი დღესასწაული „ალავერდობა“, რომელიც სამი კვირა გრძელდება. აქ მოდიან აღმოსავლეთ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან მანქანებით, ავტობუსებით, ურბებით, ფეხით, მოაქვთ ათასნაირი ხორავი, სურსათ-სანოვავი, მოჰყავთ ცხოველები დასაკლავად და შესაწირავად. ღრეობა იმართება გადაბმით, არის გაუთავებელი ღვინის სმა, დოღგარმონი, მასობრივი ლოთობა, ჩხუბი, აყალ-მაყალი, ხულიგნობა, რომელსაც ხშირად მძიმე შედეგებზეც მოსდევს. უმიზნოდ იხარჯება აუარაცხელი სურსათი, იკვლება საქონელი, იკარგება ძვირფასი დრო. ამას კი მოსდევს ადამიანთა შეგნების დაქვეითება, მატერიალური ზარალი, სახალხო დოვლათის უმიზნო ფლანგვა, მსხვერპლი და დანაშაული. საქართველოს ზოგიერთ რაიონში კი მას თან ახლავს რელიგიურ დღეობებზე მოყვანილი ცხოველების წამებით დახრცვა, სხვადასხვა არაადამიანურ მოქმედებათა შესრულება. ყველაფერი ეს კი ხდება მოზარდებისა და ბავშვების თვალწინ, რაც ხელს უწყობს მათში შეუბრალებლობის, კაცთმოძულეობის გრძნობების წარმოშობა-გაღვივებას.

არანაკლებ საზიფათოა და საზიანო სხვადასხვა რელიგიურ გავრთიანებათა საქმიანობა. მაგალითად, 50-იანელთა სექტა უკრძალავს თავის წევრებს საზოგადოებრივ აქტივობას, კომკავშირულ და პარტიულ ორგანიზაციებში გავრთიანებას, საშუალო და უმაღლესი განათლების მიღებას და ა. შ. ზოგიერთი რელიგიური გავრთიანება კი კრძალავს კასტებს შორის ქორწინებას და სხვ.

არნახული, სამარცხვინო მასშტაბები მიიღო საქართველოში ოჯახურ-ყოფითი მოვლენების აღნიშვნამაც. პირველ რაგში უნდა დავასახელოთ ქელეხები და ქორწილები 500—1000 კაციანი სუფრის გაშლით, ე. წ. „სეფას“ მოწყობით. ასეთ ქორწილებზე და ქელეხებზე აგროვებენ დიდი რაოდენობის ფულს, რაც იწვევს ცალკეულ პირთა არა შრომით გამდიდრებას, შურსა და ჯიბრს ერთმანეთის მიმართ. ასეთი განწყობილებით მოქეიფე ადამიანები კი ხშირად უმიზეზოდ იწყებენ ჩხუბს, ერთმანეთს აყენებენ შეურაცხყოფას, ჩადიან მკვლელობას და სხვა დანაშაულს. მომხვეჭელობა, ფულითა და სიმდიდრით ადამიანების დაბრმავება კი მეტად საშიშია საზოგადოებისათვის, ვინაიდან ასეთ პირებს ყოველთვის აქვთ მიდრეკილება დანაშაულის ჩადენისა. ბრძოლა ასეთი მოვლენებისა და ადამიანების წინააღმდეგ თითოეული ჩვეთაგანის ვალია. გადამწყვეტი როლი აქ უნდა შეასრულოს საზოგადოებრივმა აზრმა, უნდა შექმნას ისეთი ატმოსფერო, რომელიც ძირშივე აღკვეთს ასეთ სულისკვეთებას.

საქმოსნები, კომბინატორები, მექრთამეები, სპეკულანტები, წამგლეჯები ყველანაირ ხერხს მიმართავენ, რათა ფული იშოვონ. მათ უფრო უადვილდებათ თავიანთ ოჯახებში დაამკვიდრონ „ტრადიციები“. „სტუმრის კულტი“, „ხელგაშლილობა“, „ღვინის კულტი“, „ნათლიღებვა“, „დაბადების დღეები“, და სხვა მახინჯი მოვლენები ზოგიერთ ოჯახებში გადაქცეულია დანაშაულებრივი გარიგებების, უკანონო გამდიდრების, ადვილად ფულის მოხვეჭის შენობულ ფორმებად. და განა მოსათმენია ამგვარი სიმახინჯე, ადამიანური ურთიერთობების გაყალბება ქართულ ოჯახში, რომელიც ადამიანურობითა


და სტუმართმოყვარეობით ოდითგანვე იყო ცნობილი. ქართველი კაცი ყოველთვის პატივს სცემდა საზოგადოებას, სტუმარს, მაგრამ ეს არ გამოიხატებოდა ღრეობაში, ღრობისა და მატერიალურ საშუალებათა მფლანგველობაში, ოჯახის დაქცევასა და განიავებაში. სამწუხაროდ, ზოგიერთი ოჯახი სტუმრის პატივისცემას სწორედ ამის მიხედვით განსაზღვრავს, ხოლო ბევრი „სტუმარი“ ამის მიხედვით აფასებს მისდამი დამოკიდებულებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ წარსულის ტრადიციების ვითომდა ერთგულების მიღმა იმალება კუთხურობა, შეზღუდულობა და კარჩაყეტილობა, ჩამორჩენილობა, აღმაშფოთებელი პროვინციალიზმი და მომძლავრებული მეშხანობა.

კერძომესაკუთრული სულისკვეთების ადამიანები არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ამართლებდნენ ქართველი ხალხის პატიოსნება-ღირსების შეურაცხყოფელ ისეთ ფაქტებსაც კი, როცა რესპუბლიკიდან ცალკეულ პირებს ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში სასპეკულაციოდ გაჰქონდათ სოფლის მეურნეობის პროდუქტები. როგორც საქართველოს კომპარტიის ყრილობაზე აღინიშნა, ეს მაგალითი უცნაოდ გამდიდრების, კაპიტალისტური სულისკვეთების გამომჟღავნების ნათელი დამადასტურებელია. საკარმიდამო ნაკვეთზე მაღალი მოსავლის მისაღებად, გლეხი თუ მოსამსახურე, სახელმწიფოსგან შეღავათიან ფასებში ღებულობს სასუქებს, შხამქიმიკატებს, ნერგებს, სარგებლობს კოლმეურნეობის თუ საბჭოთა მეურნეობის საზოგადოებრივი წარმოებით, მისი ტექნიკით, მანქანა-იარაღებით, რათა საუკეთესოდ მოუაროს, დახვას და დაეწუშაოს თავისი საკარმიდამო ნაკვეთი, ხოლო მასზე მიღებულ მოსავალს იგი მამასისხლად ყიდის ბაზარზე. ასეთი მეურნე უმეტეს დროს ანდომებს თავის საკარმიდამო ნაკვეთს, ხოლო სხვათაშორის მუშაობს კოლმეურნეობაში თუ სახელმწიფო დაწესებულებაში. გამოითქვა მოსაზრება, რომ ასეთი კერძომესაკუთრული განწყობილების წინააღმდეგ გადამჭრელი ზომები იქნეს მიღებული.

მავნე ტრადიციების აღმოფხვრაში გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით კომუნისტებს, წარმოების ნოვატორებს, მოწინავე ადამიანებს, საზოგადოებრიობას. ყველა გრძნობს, თუ რაოდენ მიუღებელია მავნე ტრადიციების, მავნე წეს-ჩვეულებების შესრულება; რა ძნელია ქორწილში, დაბადების დღეზე თუ დაკრძალვაზე მისვლა, რელიგიურ დღესასწაულებში მონაწილეობა, სადაც საჭიროა, მატერიალური მსხვერპლის გადახდა — ფულის მიტანა, მაგრამ სამწუხაროდ ბევრი ვერ ბედავს ხმის ამოღებას. არც თუ ისე იშვიათად, ხელმძღვანელი მუშაკები, მათ შორის პარტიული, საბჭოთა ორგანოების თანამშრომლები, კოლმეურნეობის თავმჯდომარეები და საბჭოთა მეურნეობის დირექტორები, საწარმოს მეთაურები თვითონ არ უჩვენებდნენ მაგალითს, არ იქცეოდნენ ისე როგორც ამას კომუნისტური ზნეობა მოითხოვს, წამდაუწუმ მართავდნენ გრანდიოზულ ბანკეტებს, ქორწილებს, დღეობებსა და ქელეხებს, არ თავილებდნენ მიეღოთ ძვირფასი ძღვენი, რითაც ნიადაგს უნოყიერებდნენ ქვენა-ინსტიტუტებს, მეშხანურ მისწრაფებებს. ამას დიდი ხნის განმავლობაში მუარველობდნენ რესპუბლიკის ყოფილი ხელმძღვანელები, რომლებიც არაფრად აგდებდნენ ბოლშევიკური თავმდაბლობის ელემენტარულ მოთხოვნებს, ცხოვრებას გამორჩენის თვალთ უყურებდნენ და საჯაროდ ნერგავდნენ მომხვეჭელობისა და უსაქმური დროსტარების კულტს.

ჩვენს პარტიას ყოველთვის მიაჩნდა, რომ საჭიროა პატივი ვცეთ, წარსუ-



ლის კარგ ტრადიციებს, ხელაღებით არ უარვყოთ ყოველი საინტერესო, რაც ხალხს შეუქმნია და საუკუნეებით შემოუნახავს. აჩქარება და ადმინისტრირება ამ საქმეში დაუშვებელია. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ ხელი ავიღოთ მავნე გადმონაშთების წინააღმდეგ გეგმაზომიერ და უკომპრომისო ბრძოლაზე. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მითითებულია, რომ მცდარია აზრი, თითქოს ტრადიციების სფერო რაღაც ხელშეუხებელი, სოციალურ-ყოფითი ავტონომია იყოს, რომელიც ვერ ეგუება კონსტრუქციულ, პრინციპულ პარტიულ ჩარევას. ამიტომ სავესებით სწორად და სამართლიანად დასახულია ვრცელი ორგანიზაციულ-პრაქტიკული ღონისძიებანი, რომლებიც მიზნად ისახავს მავნე ტრადიციების და წეს-ჩვეულებების აღმოფხვრას.

ვინაიდან ყველა მავნე ტრადიცია დაკავშირებულია ამა თუ იმ სამართალ-დარღვევასთან (საზოგადოებრივი წესრიგისადმი უპატივცემულობა, სისხლს აღება, ქალის მოტაცება ქორწინებისათვის, ორცოლიანობა, მრავალცოლიანობა, აზარტული თამაში, სოციალისტური ქონების ფლანგვა, გამოძალგა, უკანონო მითვისება და გამდიდრება, უკანონო ორგანიზაციებისა და კავშირების შექმნა და მასში მონაწილეობა და ა. შ.). ამიტომ მათ წინააღმდეგ ბრძოლა უნდა წარმოებდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამოყენებას გზითაც. მაგრამ ასეთი პასუხისმგებლობა მასობრივად არ შეიძლება გამოყენებულ იქნას. საჭიროა ისეთი ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მავნე ტრადიციების მინიმუმამდე დაყვანას და ბოლოს და ბოლოს მათ ლიკვიდაციას, მთელი საზოგადოებრიობის დარაზმვას მათი აღმოფხვრისათვის.

ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საბჭოთა ტრადიციებზე ყოველმხრივ მხარდაჭერასა და პროპაგანდას, მის წახალისებას. ყველა დაწესებულება, საწარმო თუ ორგანიზაცია ვალდებულია შინაარსიანად ატარებდეს თავის საქმიანობასთან დაკავშირებულ ისეთ დღესასწაულებს, როგორცაა: მეტალურგის დღე, მეშახტის დღე და ა. შ. საერთო სახალხო ტრადიციულ შრომით დღესასწაულებად უნდა იქცეს კომუნისტური შაბათბანი, აგრეთვე სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამება, ქალთა საერთაშორისო დღის, საპირველმაისო და საშვიდნობებო დღესასწაულების აღნიშვნა და სხვ. რელიგიურ ნათლილებვას, სახელობით დღესასწაულებს, დღეობებს და სხვა მავნე ტრადიციებს უნდა დაუპირისპირდეს ჩვენს ყოფაში უკვე დანკვიდრებული მუშად, კოლმეურნედ და მოსამსახურედ კურთხევა. დიდ სახალხო ზეიმად უნდა ვაქციოთ ხუთწლედის გმირების, რევოლუციისა და შრომის ვეტერანების, შრომითი დინასტიების წარმომადგენლების საზოგადოებრივი აღიარება, მოსავლის დღესასწაულებს, შრომითი დიდების იუბილეების მოწყობა, რომლებიც აღიდებენ შრომას.

საბჭოთა ხალხის ცხოვრების ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებულ ღონისძიებებში, მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების, გამოჩენილი რევოლუციონერების, საბჭოთა ხელისუფლებისათვის მგზნებარე მებრძოლებსა ცხოვრებისა და მოღვაწეობის ღირსსახსოვარი თარიღების აღნიშვნა აუცილებელია მოეწყოს ფართო საზოგადოების მონაწილეობით. არა მარტო ლიტერატურულ, არამედ ეროვნულ დღესასწაულებად უნდა ვაქციოთ „მოთაობა“, „ილიაობა“, „ვაჟაობა“, „გალაქტიონობა“, ვ. მაიაკოვსკის დღეები საქართველოში, მოსწავლე ახალგაზრდობის ცხოვრებაში ღირსსახსოვარ მომენტებად უნდა

დარჩეს მოსწავლეთა შესვლა ოქტომბრელთა და პიონერთა რიგებში, ქალიშვილებისა და ჭაბუკებისათვის კომკავშირული ბილეთების გადაცემა, ლენინის ძეგლთან ფიცის დადება, პასპორტის მიღება, ლაშქრობები რევოლუციურ და საბრძოლო დიდების ადგილებში. ყოველმხრივი პროპაგანდა უნდა გაეწიოს ქართველი ხალხისათვის დამახასიათებელ სახელოვან ტრადიციებს, — პატრიოტიზმს, ინტერნაციონალიზმს, კაცთმოყვარეობას, მეგობრობას, შრომისმოყვარეობას, ჭირისა და ლხინის ვაზიარებას, სიტყვის ერთგულებას და სხვ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში მოცემულია კონკრეტული ღონისძიებები მოძველებული ტრადიციების წინააღმდეგ საბრძოლველად. გადაწყვეტილია შეიქმნას მშრომელთა ყოფა-ცხოვრებაში ახალი წეს-ჩვეულებებისა და რიტუალების პროპაგანდისა და დანერგვის რესპუბლიკური და ადგილობრივი კომისიები. პირველად პარტიულ ორგანიზაციებს დავალებული აქვთ განსაზღვრონ თავისი კონკრეტული ამოცანები და ღონისძიებანი მანვე ტრადიციების აღმოფხვრისათვის და ახალი სოციალისტური წეს-ჩვეულებების დამკვიდრებისათვის. საჭიროდ არის მიჩნეული ვაერთიანდეს რესპუბლიკის თვალსაჩინო მწერლების, ისტორიკოსების, ფილოსოფოსების, სოციოლოგების, იურისტების, ეთნოგრაფების, ფსიქოლოგებისა და ფოლკლორისტების მეცადინეობა, რათა შეიქმნეს სოციალისტურ ტრადიციათა შემუშავებისა და რესპუბლიკაში მათი საყოველთაოდ დანერგვის პრაქტიკული რეკომენდაციები.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს დევალთ გამოყონ სათანადო შენობები მმაჩის ბიუროებისა და ქორწინების სახლებისათვის, ხოლო მოქალაქეთა მდგომარეობის რეგისტრაცია (ახალშობილთა სახელის დარქმევა, სახელის, გვარის გამოცემა, ქორწინების რეგისტრაცია) საზეიმო ვითარებაში მოაწყონ. მმაჩის ბიუროები გარდაიქმნებიან რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების განყოფილებებად, ხოლო ქორწინების სახლები დაექვემდებარებიან საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს ორგანოებს. ამ სამინისტროს სისტემაში შეიქმნება საწესჩვეულებო მომსახურების სამმართველო, ხოლო ოლქებში, ქალაქებსა და რაიონებში საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებთან არსებული საწესჩვეულებო მომსახურების სპეციალური სამსახურები. ეს ორგანოები მომსახურებას გაუწევენ ახალდაქორწინებულებს: უზრუნველყოფენ საბანკეტო დარბაზით, ტრანსპორტით, საქორწინო სამოსელით, მოაწყობენ ყვავილებისა და სუვენირების გაყიდვას, ფოტომომსახურებას, საქორწინო მოგზაურობის მარშრუტებისა და სამგზავრო ბილეთის შეკვეთას, სასტუმროებში ნომრების დაჯავშნას და სხვ.

საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს საწესჩვეულებო მომსახურების სამმართველო და მისი სამსახურები უზრუნველყოფენ აგრეთვე მეცადინეობას დაკრძალვის ორგანიზაციასაც. ამ მიზნით შეიქმნება და აშენდება სამგლოვიარო სახლები და პავილიონები, სადაც მოხდება გარდაცვლილი პირის ოჯახის მომსახურება სამოქალაქო პანაშვიდებისა და დაკრძალვის დღეებში. ამასთან გათავლისწინებულა, რომ საქართველოს სსრ სახმშენმა შეიმუშაოს სასაფლაოებისათვის 2—3 ტიპობრივი სასაფლაოს პროექტები, ხოლო მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს რეკომენდაცია მიეცათ სპეციალური გადაწყვეტილებით აკრძალონ საფლავების ისეთი გაფორმება, რომლებიც სცილდება ტიპობრივი ესკიზებისა და ნორმების

ფარგლებს. ცნობილია, რომ საქართველოში ბოლო დროს ინტენსიურად, უგეგმოდ და ულაზათოდ შენდებოდა მარმარილოს მკლამები, რომლებმაც სასაფლაოებიდან განდევნეს ნარგავები და ყვავილები. საფლავებს მდიდრულად აფორმებდნენ მომეტებულად ის ოჯახები, რომლებსაც დიდი და არაკანონიერი შემოსავალი ჰქონდათ. ნიავდებოდა საშენი მასალა, ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან, ყოველგვარი წესის დარღვევით ჩამოჰქონდათ ძვირადღირებული ფონდირებული ქვა. ამ უმსგავსებობათა აღსაკვეთად ზემოაღნიშნულ ღონისძიებებს მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. გადაწყდა, რომ გაზეთში გამოქვეყნდეს მხოლოდ ჭირისუფლების განცხადება.

კომუნისტთა პირადი პასუხისმგებლობის ამალღების მიზნით პარტიულ კომიტეტებს დაევაღათ განიხილონ პერსონალური საკითხი პარტიის იმ წევრის მიმართ, ვინც ჩაიდენს დადგენილების საწინააღმდეგო მოქმედებას მიუხედავად იმისა, თუ რა თანამდებობა უკავია და რა დამსახურება მიუძღვის მას წარსულში.

ჩვენს ხალხს, კომუნისტურ პარტიას არაერთი წინააღმდეგობა გადაუღა-ხავს სოციალიზმისა და კომუნიზმის შშენებლობის გზაზე. მაგნე ტრადიციები. მაგნე წეს-ჩვეულებები, რომლებიც ხელს უშლიან საბჭოთა მოქალაქეთა ნორმალურ ცხოვრებას, მათ შრომასა და დასვენებას, საბჭოთა ორგანოების, საწარმოებისა და დაწესებულებების ნორმალურ საქმიანობას, უახლოეს მომავალში აღმოიფხვრება როგორც მახინჯი მოვლენა, მიუღებელი ჩვენი სოციალისტური საზოგადოებისათვის.

სახელის უზღაბის შინააქსი

თ. ნინიძე,

იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი

სახელის უმთავრესი ფუნქციაა მოქალაქის ან ორგანიზაციის ინდივიდუალური ინიციატივა. ამით იგი შეუძლებელია სამსახურს უწყევს საზოგადოებას. სახელი სოციალური მოვლენაა, საზოგადოება კარნახობს ადამიანს მისი არჩევის აუცილებლობას.

გარდა სახელისა მოქალაქის და ორგანიზაციის ინდივიდუალური ინიციატივის ემსახურებიან კანონით დაცული ისეთი სიკეთენი, როგორცაა ღირსება, პატივი, რეპუტაცია. ისინი მიგვანიშნებენ კონკრეტული მოქალაქის ან კოლექტივის წვლილზე საზოგადოების მატერიალურ თუ სულიერ ცხოვრებაში, იმ შეფასებაზე, რომელიც საზოგადოებას აქვს მოქალაქის ან კოლექტივის შესახებ.

მიუხედავად გარკვეული შემცობლობისა, ინდივიდუალური ინიციატივის მოწოდებულ აღნიშნულ სიკეთეებს მოქმედების დამოუკიდებელი სფერო აქვთ. შესაძლებელია ერთერთის, მაგალითად, სახელის ხელყოფამ შესაბამისად მოქალაქის ან კოლექტივის პატივისა და ღირსების ხელყოფაც გამოიწვიოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს უგულვებელყოფილ იქნას თითოეული მათგანის დამოუკიდებელი სამართლებრივი დაცვა.

მოქალაქისა და ორგანიზაციის სახელის უფლება დაცულია საბჭოთა სა-მოქალაქო, ადმინისტრაციული, საოჯახო კანონმდებლობით. პრაქტიკამ დადასტურა ამ ნორმების მნიშვნელობა პიროვნებისა და კოლექტივის ინტერესების დაცვისათვის, ამასთან მიგვანიშნა მათი სრულყოფისა და განვითარების ამოცანებზე.


მოქალაქის უფლება სახელზე. ჩვენი თანამედროვეობა არ იცნობს პირადი სახელებისა და გვარების სოციალურ დიფერენციაციას. ამით საბჭოთა ანთოპონიმია განსხვავდება რევოლუციამდელისაგან. ისტორიულად კლასობრივ საზოგადოებაში ადამიანთა სახელები და გვარები წოდებრივად იმიჯნებოდნენ¹. დღეს კი სახელებს შორის განსხვავებებს რაიმე სოციალური დატვირთვა არ აქვს. მათ შეუძლიათ მხოლოდ სხვადასხვაგვარი ემოცია გამოიწვიონ. ამასთანავე შეიძლება აღნიშნოს, რომ სოციოლოგების მტკიცებით, ჩვენს სინამდვილეში შეინიშნება გარკვეული სხვაობა ქალაქსა და სოფელში გამოყენებულ სახელებს შორის².

საბჭოთა მოქალაქის სახელი სამწვერიანია. იგი მოიცავს საკუთრივ სახელს, გვარს და მამის სახელს. საბჭოთა მოქალაქის სახელის სამწვერიანი ფორმულა სავალდებულო სახით დადგენილია საბჭოთა ადმინისტრაციული და საოჯახო კანონმდებლობით.

ზოგიერთი სახელმწიფოს მოქალაქეების სახელი ერთწვერიანი, ორწვერი-

¹ ლევ ტოლსტოიმ უწოდა რა თავის ცნობილი რომანის „ადღომის“ გმირს კატიუშა, მწვენივრად დასაბუთა პირადი სახელის ფორმების სოციალური არსი: „ამ ორგვარი გავლენის ქვეშ ის ნახევრად მოახლე და ნახევრად აღზრდილი ქალი დადგა. სახელიც საშუალო შეერქვა: არც კატა და არც კატენკა, კატიუშას ეძახდნენ. „იხ. ლ. ნ. ტოლსტოი“, „ადღომა“, თბზ., ტ. 9, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1965 წ. გვ. 10.

² В. А. Николов, Имя и общество, Изд во «Наука», М., 1974, стр. 80.



ანი ან მრავალწევრიანია. ისლანდიელებს არ აქვთ გვარები, ჩეხები, პოლონელები, ბულგარელები არ ასახელებენ მამის სახელებს, ჩინელების სახელებს თითქმის არაფერი აქვთ საერთო საბჭოთა სახელების სამწევრიან ფორმულასთან, საბჭოთა საპასპორტო სისტემის ენაზე ძნელი გასარკვევია სად მთავრდება კორეელის ან იაპონელის სახელი და სად იწყება გვარი. სწორედ ამის შედეგია ის, რომ ხშირად ენციკლოპედიებში, ლექსიკონებში და სახელების უცხო ენაზე გადატანის სხვა შემთხვევებში ადგილი აქვს დამახინჯებებს, რაც უდავოდ საზიანოა პიროვნების ინტერესებისათვის.

საბჭოთა საოჯახო და საქორწინო კანონმდებლობის თანახმად სახელის დარქმევა ხდება მშობლების შეთანხმებით (საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო სამართლის კოდექსის 56-ე მუხლი). ეს ნორმა მნიშვნელოვანი სოციალური მონაპოვარია. რევოლუციამდე სახელის დარქმევის წესი მკაცრად იყო რეგლამენტირებული მთელი შეზღუდვებით. არავის არ შეეძლო სახელის დარქმევა გარდა ეკლესიისა, ეკლესიის მიერ სახელები მხოლოდ წმინდანთა სიის მიხედვით ირჩეოდა³.

მამის სახელი, ზოგადი წესის თანახმად, ბავშვის მამის სახელის მიხედვით იწერება. თუ ბავშვი შეეძინება დედას, რომელიც დაუქორწინებელია და თუ არ არსებობს მშობელთა ერთობლივი განცხადება ან სასამართლოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ, დაბადების ჩაწერის წიგნში ბავშვის მამის სახელი ჩაიწერება დედის მითითებით (საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო სამართლის კოდექსის 54-ე მუხლი).

ბავშვის გვარი განისაზღვრება მშობლების გვარის მიხედვით. თუ მშობლებს საერთო გვარი არა აქვთ, შვილს მიეკუთვნება დედის ან მამის გვარი მშობლების შეთანხმებით. მშობლების შეუთანხმებლობის შემთხვევაში — მეურვეობის და მზრუნველობის ორგანოს მითითებით (საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო სამართლის კოდექსის 56 მუხლი). თუ დედა დაუქორწინებელია და არ არსებობს სასამართლოს გადაწყვეტილება მამობის დადგენის შესახებ ან მშობელთა ერთობლივი განცხადება, ბავშვის მამის გვარად ჩაიწერება დედის გვარი (საქართველოს სსრ საქორწინო და საოჯახო სამართლის კოდექსის 54-ე მუხლი).

პრაქტიკაში ხშირია სახელის (ფართო გავებით) შეცვლის შემთხვევები. ამას მრავალი მიზეზი შეიძლება ჰქონდეს: სახელის, გვარის, მამის სახელის არაკეთილხმოვანება, წარმოთქმის სირთულე, მოქალაქის სურვილი იწერებოდეს მეუღლის გვარზე, დაიბრუნოს ქორწინებამდელი გვარი, სურვილი იწერებოდეს მშვილბელის ან აღმზრდელის გვარზე და ასე შემდეგ. ჩამოთვლილი მიზეზები იძლევიან იმის საფუძველს, რომ მოქალაქის მოთხოვნა სახელის შეცვლის შესახებ დაკმაყოფილებული იქნას.

არაკეთილხმოვანი სახელი უარყოფით გავლენას ახდენს მოზარდის ფსიქიკაზე. სწორედ აქ იგრძნობა სახელისა და ღირსების ურთიერთდამოკიდებულება. გავიხსენოთ თევდორე დოსტოევსკის რომანი „ყმაწვილი“ და მთავარი გმირის განცდები, რაც გამოწვეულია საკუთარი, არასასურველი გვარით უმრავლეს შემთხვევაში საკუთარი სახელის არაკეთილხმოვანებას მოზარდი აღრეულ ასაკში ამჩნევს. საბჭოთა კანონმდებლობის მიხედვით კი სახელის, გვარის, მამის სახელის შეცვლის უფლება მოქალაქეს 18 წლის ასაკი-

³ «Личные имена в прошлом, настоящем, будущем», М., 1970, стр. 20—25.

დან ენიჭება⁴. ამ შემთხვევაში კანონმდებელს მხედველობაში აქვს მოქალაქის სრული ქმედუნარიანობა. ჩვენი აზრით კანონის ეს მითითება გადასინჯვას მოითხოვს. მხედველობაშია მისაღები შემდეგი გარემოებები:

1.16 წლის ასაკში მოქალაქეს ენიჭება მნიშვნელოვანი უფლება — შრომის უფლება. ეს იმას ნიშნავს, რომ მოქალაქე ჯერ კიდევ სრული ქმედუნარიანობის მიღწევამდე შეიძლება შევიდეს ახალ კოლექტივში, გაეცნოს საზოგადოების ახალ, მისთვის უცნობ წრეს, სადაც იგი მისთვის არასასურველი და დამამცირებელი სახელით უნდა წარდგეს.

2. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის თანახმად მოქალაქეს მინიჭებული აქვს პატივისა და ღირსების დაცვის უფლება. ჯანონი არ ზღუდავს დაზარალებულთა წრეს ასაკის მიხედვით. ნებისმიერ მოქალაქეს უფლება აქვს მოითხოვოს სასამართლოს საშუალებით მისი პატივისა და ღირსების შემლახველი ცნობების უარყოფა, თუ ასეთი ცნობების გამავრცელებელი მათ სინამდვილეს ვერ დაამტკიცებს. არასრულწლოვანს საკუთარი პატივისა და ღირსების დაცვის უფლება შეუძლია განახორციელოს წარმომადგენლის მეშვეობით.

3. 16 წლის ასაკში მოქალაქე იღებს პასპორტს, იგი ამ ასაკში შეიძლება იყოს კომკავშირული, პროფკავშირული, და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრი, რაც ითვალისწინებს შესაბამისი დოკუმენტების არსებობას. დაახლოებით იმავე ასაკში იგი ღებულობს სიმწიფის ატესტატს. მათში შესწორებების შეტანა კი გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

4. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ საქართველოს სსრ და ზოგიერთი სხვა მოკავშირე რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კანონმდებლობით საქორწინო ასაკად დადგენილია 18 წელი. გამონაკლის შემთხვევაში, მშრომელთა დებუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ ერთი წლით შეამცირონ საქორწინო ასაკი და მოქალაქე სრულ ქმედუნარიანობას იპოვებს დაქორწინების დღიდან. შესაბამისად, ამ დროს შეიძლება დადგეს გვარის შეცვლის საკითხი, რომელიც მეუღლეთა მოთხოვნის მიხედვით უნდა დაკმაყოფილდეს.

ამრიგად, სრული სამოქალაქო ქმედუნარიანობის მიღწევამდე კანონი იძლევა ბევრ მნიშვნელოვან ქონებრივი და არაქონებრივი უფლების დაცვის გარანტიას. სახელის (ფართო გაგებით) გამოცვლის უფლების დაწესება მხოლოდ 18 წლის ასაკში დაწესებული მოქალაქისათვის ჩვენი აზრით არამართებულად უნდა ჩაითვალოს, რადგან მხედველობაშია მისაღები სხვა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო დებულებანი, რომლებსაც სახელის უფლებასთან მჭიდრო შემხებლობა აქვს. სახელის შეცვლის უფლება უნდა მიენიჭოს იმ მოქალაქესაც, რომელიც შეზღუდული ქმედუნარიანობის ასაკში იმყოფება და შესაბამის მოთხოვნას თავისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით აყენებს.

სახელის გამოცვლის მიზეზი შეიძლება იყოს მოქალაქის სურვილი, ატაროს მეუღლის გვარი ან დაიბრუნოს ქორწინებამდელი გვარი. დაქორწინების დროს მეუღლენი თავიანთ სურვილისამებრ იტოვებენ ქორწინებამდელ გვარს ან თავის გვარს უერთებენ მეუღლის გვარს. გვარების შეერთება არ შეიძლება, თუ ორივე მეუღლეს ან ერთ-ერთ მათგანს ორმაგი გვარი აქვს (საქართველოს

⁴ Ст. 1. Положении о порядке рассмотрения ходатайств о перемене гражданами СССР фамилии, имен, отчеств. Утверждено Советом Министров СССР 20 августа 1971 г. № 537.

სსრ საქორწინო და საოჯახო სამართლის კოდექსის მე-20 მუხლი). მეუღლეს რომელმაც გვარი შეიცვალა დაქორწინების დროს, უფლება აქვს განქორწინების შემდეგაც ატაროს იგივე გვარი ან მისი მოთხოვნით შეიძლება მიეკუთვნოს ქორწინებამდელი გვარი. მშობლებს შორის ქორწინების შეწყვეტა არ იწვევს შვილის გვარის შეცვლას. თუ შვილი არასრულწლოვანია, მხოლოდ მისი ინტერესების შესაბამისად აქვს მშობელს უფლება, მიმართოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს შვილისთვის თავის გვარის მიკუთვნების შესახებ. თუ ბავშვი ათ წელზე მეტი ხნისაა, გვარის შეცვლისათვის საჭიროა მისი თანხმობაც.

სახელის შეცვლის საკითხი შეიძლება დადგეს შვილად აყვანასთან დაკავშირებით. სასამართლომ, ბავშვის ინტერესების შესაბამისად, შვილად აყვანისას უნდა გადაწყვიტოს ბავშვისათვის მიკუთვნებული გვარის, სახელის, მამის სახელის შენარჩუნების საკითხი. თუ ბავშვს შეუსრულდა ათი წელი, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ბავშვის სურვილიც.

სახელის შეცვლა კანონით აკრძალულია თუ მას თხოულობს გამოძიებაში მყოფი პირი ან თუ პირს აქვს ნასამართლობა, ან კიდევ მისი სახელის შეცვლის წინააღმდეგაა დაინტერესებული სახელმწიფო ორგანო.

სახელის უფლების დაცვის საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამთმობილი საავტორო სამართალში. იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის თანახმად ავტორის სახელის უფლება დამოუკიდებელი უფლება არ არის, იგი ავტორობის უფლების შემადგენელი ელემენტია⁵. არსებობს საპირისპირო მოსაზრებაც, რომლის თანახმად ავტორობის უფლება და ავტორის სახელის უფლება დამოუკიდებელი, ერთმანეთისაგან განსხვავებული შინაარსის მქონე უფლებებია⁶. ჩვენი აზრით, უფრო მართებულად მეორე მოსაზრება უნდა ჩაითვალოს.

პირი, რომელიც ქმნის შემოქმედებითად ახალ ნაწარმოებს, უფლებამოსილია საკუთარი თავი ამ ნაწარმოების ავტორად ჩათვალოს. ნაწარმოების შექმნის პროცესში, როცა ადამიანი ავლენს საკუთარ შემოქმედებით ინიციატივას, ჯერ კიდევ არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ როგორ გამოხატავს იგი ავტორობას იურიდიული გაგებით. როცა ნაწარმოები გამოსაქვეყნებლად ან საჯაროდ შესასრულებლად გადაეცემა, ავტორის ინდივიდუალიზაციის მიზნით ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერული ნაწარმოების შემქმნელს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 93-ე მუხლით უფლება ენიჭება საჯაროდ აღზაროს იგი თავისი ნამდვილი სახელით, პირობითი სახელით (ფსევდონიმით) ან სახელის აღუნიშვნელად (ანონიმურად).

თუ ნაწარმოები უვარგისია და რედაქციამ ან სხვა დაწესებულებამ იგი არ მიიღო, ავტორობის უფლება პირს მასზე მაინც რჩება, რადგან „საავტორო უფლება ვრცელდება მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებზე, მიუხედავად ფორმისა, დანაშნულებისა, ღირსებისა და აგრეთვე რეპროდუქციის წესისა“ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 488-ე მუხლი). მაგრამ ამ დროს არ არსებობს ავტორის მიერ მისი სახელის უფლების რეალიზაციის საშუალება. ზემონათქვამიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა: სახელის უფლებისა და ავტორობის უფლების წარმოშობისა

⁵ В. С. Антимонов, Е. А. Флейшиц, Авторское право, Госюриздат, М., 1975, стр. 46.

⁶ О. С. Иоффе, Советское гражданское право, т. 3, Изд-во Ленинградского ун-та, Л., 1965, стр. 37.

და განხორციელების საწყისი ერთმანეთს არ ემთხვევა, შესაბამისად ისინი სხვადასხვა ხასიათის არაქონებრივი უფლებებია და არამართებული იქნებოდა სახელის უფლება შეგვეტანა ავტორობის უფლების ცნებაში.

შესაძლებელია დაირღვეს ავტორის სახელის უფლება და არ დაირღვეს ავტორობის უფლება. მაგალითად, თუ პირმა გამომცემლობასთან ხელშეკრულება დადო ნაწარმოების ფსევდონიმით გამოქვეყნების შესახებ, გამომცემლობამ კი ნაწარმოები ავტორის ნამდვილი სახელით გამოაქვეყნა. მაგრამ მოსალოდნელია საპირისპირო შემთხვევაც, კერძოდ, ავტორის სახელის უფლების დაცვა დაემთხვევა ავტორობის უფლების დაცვას. მაგალითად თუ ნაწარმოები ავტორის სახელით არ გამოქვეყნდა, ან გამოქვეყნდა ავტორის სახელის მიუთითებლად, პირი ამ შემთხვევაში სახელის უფლების დაცვასთან ერთად, არსებითად ავტორობის უფლების დაცვას ითხოვს.

ავტორის სახელის უფლების დაცვა ხდება ამ უფლების ხელშეუხებლობის აღიარებით. „ნაწარმოების გამოცემის, საჯაროდ შესრულების ან სხვა სახით მისი გამოყენების დროს აკრძალულია რაიმე ცვლილების შეტანა ავტორის ნებართვის გარეშე როგორც თვით ნაწარმოებში, ისე მის სახელწოდებაში და ავტორის სახელში“ (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 503-ე მუხლი).

შესაძლებელია შემთხვევა, როცა ავტორი საკუთარი სახელით აქვეყნებს ნაწარმოებს, მაგრამ მისი სახელი ემთხვევა რომელიმე ცნობილი მწერლის ან გამოჩენილი მოღვაწის სახელს, უკანასკნელს კი არ სურს საკუთარი სახელის წაკითხვა სხვისი რომელიმე იაფფასიანი ან თუნდაც მაღალი ხარისხის ნაწარმოების ქვეშ. ამ შემთხვევაში, გარკვეული თვალსაზრისით სახელის უფლების დაცვა ღირსების დაცვასაც ემთხვევა. რედაქციამ ამ დროს უნდა მიმართოს ავტორს მეტი კონკრეტიზაცია შეიტანოს საკუთარ სახელში.

ლიტერატურაში საკითხი ასეც ისმის, როგორ მოვიქცეთ მაშინ თუ ავტორის სახელი კი არა, ფსევდონიმი ემთხვევა სხვა პირის ოფიციალურ სახელს. გამოთქმულია მოსაზრება, რომ სახელის ოფიციალურ მატარებელს უფლება უნდა ჰქონდეს მოითხოვოს ავტორის ფსევდონიმისა და მისი ოფიციალური სახელის შერევის შესაძლებლობის აღკვეთა⁷.

ფსევდონიმი დაცვის ისეთივე გარანტიით სარგებლობს როგორც ავტორის ნამდვილი სახელი. რევოლუციამდე ფსევდონიმის მნიშვნელობა გარკვეულად უკაშირდებოდა საზოგადო მოღვაწეთა პოლიტიკური დევნის საშიშროებას. კონსპირაციის პირობებში პოლიტიკური თუ ლიტერატურული მუშაკები იძულებულნი იყვნენ მიემართათ ფსევდონიმებისათვის. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საზოგადოების განვითარების ყველა ეტაპზე ფსევდონიმი ავტორის კონსპირაციითაა განპირობებული.

საბჭოთა პრესაში გამოთქმული იყო მოსაზრება, რომელიც მიიჩნევდა, რომ ვინაიდან ჩვენს პირობებში აღარ არსებობს ის მიზეზები, რომლებიც ავტორებს აიძულებენ მიმართონ ფსევდონიმებს, უმართებულოდ უნდა ჩაითვალოს მათი გამოყენება⁸.

იურიდიულ ლიტერატურაში სწორად აღინიშნა, რომ მართალია დღეისათ-

⁷ Е. А. Флейшиц, Личные права в гражданском праве Союза СССР и капиталистических стран. Юридическое изд-во НКО СССР, М., 1941, стр. 142

⁸ М. Бубеннов, Нужны ли сейчас литературные псевдонимы, «Комсомольская правда», 27 февраля 1951 г.

ვის აღარ არსებობს ის მიზეზები (კერძოდ, პოლიტიკური დევნის საშიშროება), რომლებიც ოქტომბრის რევოლუციამდე აიძულებდნენ ავტორებს მიემართათ ფსევდონიმისათვის, მაგრამ ჯერჯერობით არის სხვა მიზეზები, რომელნიც მისი გამოყენების საჭიროებას იწვევს. დღევანდელ პირობებში ფსევდონიმს ჩვეულებრივ მიმართავენ, როცა ავტორი აქვეყნებს ისეთ ნაწარმოებს, რაც საერთოდ დამახასიათებელი არ არის მისი შემოქმედებისათვის⁹. ხშირად ავტორი მას მიმართავს კეთილხმოვანებისათვის ან კიდევ ნაწარმოების ერთიან სტილს უმორჩილებს და შესაბამისად ფსევდონიმი ხდება ავტორის შემოქმედებითი უნარის გარკვეული გამოვლინება.

ითვალისწინებს რა ყოველივე ამას, კანონმდებელი მიუთითებს, რომ „ფსევდონიმით ან ანონიმით გამოქვეყნებული ნაწარმოების ავტორის ქონებრივ და პირად უფლებებს, იმ დრომდე სანამ ავტორი თავის ნამდვილ სახელს საყოველთაოდ არ გამოამჟღავნებს, იცავს ის ორგანიზაცია, რომელსაც ავტორთა უფლებების დაცვა ეკისრება“.

ავტორის გარდაცვალების შემდეგ მისი სახელის უფლებას იცავენ მემკვიდრეები ან ორგანიზაციები, რომლებსაც დავალებული აქვთ საავტორო უფლების დაცვა. ავტორთა უფლებების დამცველი ორგანიზაციები იცავენ ავტორის სახელის უფლებას, როცა მემკვიდრეები არ არიან ან მათი საავტორო უფლების ვადა გავიდა.

საბჭოთა კანონმდებლობის ანალიზიდან ნათლად ჩანს, რომ სახელის უფლების დაცვას გაცილებით მეტი ყურადღება ეთმობა მაშინ, როცა საქმე გვაქვს ავტორთან. კანონმდებლობას სახელის უფლების დაცვის საკითხი ერთგვარად შეუმჩნეველი რჩება, როცა საქმე ეხება არა შემოქმედს, არამედ რიგით მოქალაქეს. საავტორო სამართალში არსებულ სპეციალურ მითითებათა გვერდით, სამოქალაქო სამართლის კოდექსის იმ ნაწილში, სადაც ზოგადი დებულებებია გადმოცემული, საჭიროა არსებობდეს ზოგადი მითითება სახელის უფლების დაცვის შესახებ.

ეს შეიძლება განხორციელდეს სახელის უფლების დაცვაზე ცალკე, სპეციალური მითითებით, ან იმ ნორმათა უნიფიკაციით, რომლებიც პირად არაქონებრივ სიკეთეთა დაცვას ეხება. ჩვენი აზრით უფრო მართებული უნდა იყოს მეორე ხერხის გამოყენება.

ნორმის პირველი ნაწილი უნდა დაეთმოს პირად არაქონებრივ უფლებათა აღიარებას, რაც წარმოადგენს სამოქალაქო უფლებათა დაცვის ერთერთ საშუალებას (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-6 მუხლი). კერძოდ, მითითებული უნდა იყოს, რომ ადამიანის პატივი, ღირსება, სახელი, ფსევდონიმი, მიმოწერის საიდუმლოება, საკუთარი გამოსახულება, ლიტერატურული, გამომგონებლობითი, რაციონალიზატორული შემოქმედება დაცულია სამოქალაქო კანონმდებლობით.

ნორმის მეორე ნაწილში მითითებული უნდა იყოს დასახელებულ უფლებათა დარღვევამდე არსებული მდგომარეობის აღდგენისა და უფლების დამრღვევის მოქმედების აღკვეთის შესახებ. ასეთი წესითაა სახელის უფლება დაცული პოლონეთის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსში (იხ. მუხ. 23—24).

⁹ ზ. ახვლედიანი, ლიტერატურული ნაწარმოების ავტორის უფლებები, „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1974, გვ. 15.

იურიდიული პირის უფლება სახელზე. ფირმის ცნება. იურიდიულ პირს უნდა ჰქონდეს თავისი სახელწოდება. სახელის მეშვეობით ხდება დაწესებულებების, საწარმოების, საზოგადოებრივი და კოოპერაციული ორგანიზაციების ინდივიდუალიზაცია, რაც ხელს უწყობს მათი საქმიანობის პროცესში მორალური და მატერიალური სტიმულის ოპტიმალურ შეთანხმებას.

საფირმო სახელწოდებით სარგებლობის წესები იურიდიული პირის ყველა სახეობისათვის არაა გათვალისწინებული. ფირმა წარმოადგენს მხოლოდ საწარმოს სახელწოდებას.

ტერმინი „ფირმა“ მრავალმნიშვნელოვანია. დიდი ხნის განმავლობაში ყოფაცხოვრებასა და ლიტერატურაში იგი სხვადასხვა მნიშვნელობით იხმარებოდა. რაც შეეხება ბოლო პერიოდის იურიდიულ ლიტერატურას, აქ ცნებას „ფირმა“ ძირითადად ორი მნიშვნელობით იყენებენ: ა) როგორც სამეურნეო ორგანიზაციის სახელწოდებას და ბ) სპეციალიზებულ საწარმოო გაერთიანების აღმნიშვნელ ტერმინად.

„ფირმის“ მრავალმნიშვნელოვანება განპირობებულია ფირმის ინსტიტუტის ისტორიით, რასაც საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური პირობები განსაზღვრავენ.

სოციალიზმის დროს, როგორც სხვა მთელი რიგი სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტების, ასევე ფირმის ინსტიტუტის შენარჩუნება განაპირობა სასაქონლო წარმოების შენარჩუნებამ და ღირებულების კანონის მოქმედებამ.

სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ნაბიჯებიდანვე აუცილებელი გახდა იურიდიული პირის ინსტიტუტის გამოყენება, რომელთანაც ფირმის ინსტიტუტი განუყრელადაა დაკავშირებული.

როგორც კაპიტალისტურ, ასევე სოციალისტურ საზოგადოებაში ფირმა ითვლება სამეურნეო პოლიტიკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად. მაგრამ, თუ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ფირმის ინსტიტუტი გამოიყენება საქონლის რეკლამისა და ბაზარზე სხვა საწარმოებთან კონკურენციის საშუალებად, სოციალისტურ საზოგადოებაში მას სხვა ფუნქციები აქვს.

სოციალიზმის დროს ფირმის ძირითადი მიზანია ორგანიზაციების არა როგორც მხოლოდ სასაქონლო-ფულად ურთიერთობათა მონაწილეების, არამედ მათი როგორც საგემო-ორგანიზაციულ ურთიერთობათა მონაწილეების ინდივიდუალიზაცია. სახალხო მეურნეობის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ამ ფუნქციებს გარკვეული სპეციფიურობა ახლავს. მაგალითად, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პერიოდში ფირმა წარმოადგენდა სახელმწიფო საწარმოებისაგან კერძო საწარმოების განსხვავების საშუალებას და გარდა ამისა სოციალისტურ საწარმოთა ურთიერთშორის განსხვავების საშუალებასაც.

სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში კერძო სექტორის ლიკვიდაციის შემდეგ ფირმა წარმოადგენს ნაკისრ ვალდებულებებზე საწარმოების პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის საშუალებას და შესაბამისად პროდუქციის ხარისხის ამაღლების ერთ-ერთ ეფექტურ ხერხს¹⁰.

სოციალისტური სახალხო მეურნეობის განვითარების თანამედროვე ეტაპ-

¹⁰ И. Фридман, Фирма гарантирует качество, «Стандарты и качество», 1971, № 1 стр. 6.

ზე ფირმის ინსტიტუტი ემსახურება არა მხოლოდ საწარმო ორგანიზაციის პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის მიზანს და ამით ხელს უწყობს პროდუქციის ხარისხის ამაღლებას, არამედ დიდ სამსახურს უწევს ორგანიზაციის საზოგადოებრივი შეფასების ინდივიდუალიზაციას, ე. ი. საწარმოს რეპუტაციის, ღირსების ჩამოყალიბებასა და განმტკიცებას.

სოციალისტურ შეჯიბრებაში მორალური სტიმულის როლის ზრდასთან დაკავშირებით ფირმა წარმოადგენს შრომითი კოლექტივის ღირსებისათვის ბრძოლაში მშრომელთა ერთსულოვნების ნიშანს, ემსახურება რა კოლექტივის სახელოვანი ტრადიციების შენარჩუნებასა და გაზრდას. ამგვარად ჩვენს პირობებში ფირმა ემსახურება მშრომელთა შორის კოლექტივიზმის ამხანაგური ურთიერთდახმარების, საკუთარი საწარმოს გამო პროფესიული სიამაყის და სხვა მაღალი ადამიანური ღირსების აღზრდას¹¹.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებით ფართოვდება ეკონომიური და სამეცნიერო ტექნიკური თანამშრომლობა სოციალისტურ და არასოციალისტურ ქვეყნებს შორის. ფართოვდება სხვადასხვა სახის პროდუქციის მიწოდება, ტარდება საერთაშორისო გამოფენები და ბაზრობები, სადაც საბჭოთა პროდუქციას საყოველთაო აღიარება აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ ფირმა ემსახურება საბჭოთა საწარმოების ინდივიდუალიზაციის ფუნქციას საზღვარგარეთ, სადაც წარმოდგენილია ჩვენი პროდუქცია.

მიუხედავად იმ ადგილისა, რაც ფირმის ინსტიტუტს უჭირავს ჩვენს სახალხო მეურნეობაში, მას ჯერ კიდევ არა აქვს დათმობილი სათანადო ყურადღება, როგორც იურიდიულ ლიტერატურაში, ასევე კანონმდებლობაში.

თეორიულ გააზრებასა და განმარტებას მოითხოვს ფირმის ცნება, შინაარსი, ფირმის სარგებლობის წესები. საჭიროა გაირკვეს დამოკიდებულება შემდეგ ცნებებს შორის, „ფირმა“, „საფირმო სახელწოდება“, „საწარმოს სახელწოდება“. დასახელებული ტერმინები საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ხშირად იხმარება სინონიმების სახით. მათ ნორმატიული აღიარება პპოვეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და ცაკის 1927 წლის 22 ივნისის ერთობლივი დადგენილებით გამოცემულ დებულებაში¹². ეს დებულება დღემდე მოქმედებს, ამიტომ ჩამოთვლილი საკითხების გარკვევისას მითითებული დებულებით ვიხელმძღვანელებთ.

ფირმის შესახებ დებულების პირველ მუხლში ნათქვამია, რომ სახელმწიფო საწარმოს ფირმა უნდა შეიცავდეს მითითებას საწარმოს საქმიანობის საგნის შესახებ, მითითებას იმ სახელმწიფო ორგანოზე, რომელსაც ემორჩილება საწარმო და საწარმოს სახე. გარდა ამისა ფირმაში აღნიშნული უნდა იყოს ის ნიშნები, რომლებიც საწარმოს გამიჯნავენ სხვა ამგვარი საწარმოებისაგან (ადგილმდებარეობა, ნომერი).

მაგალითისათვის ავიღოთ თბილისის ერთ-ერთი საწარმო ფირმა, რომელიც შემდეგი ელემენტებისაგან შედგება:

სსსრ მმს

თბილისის სამკერვალო ფაბრიკა „ამირანი“.

¹¹ Е. Жбанов, Репутация, что может сделать коллектив, которому дорого его имя, «Известия», 10 января 1972 г.

¹² Положение о фирме, Утверждено постановлением ЦИК и СНК СССР от 22 июня 1927 г. «Гражданское законодательство» (Сборник нормативных актов), составитель А. Ю. Кабалкин, «Юрид. лит.», М., 1974, стр. 61.

ასეთი სახელწოდებით ფირმა შედის სხვადასხვა სახის ურთიერთობებში. გამოვყოთ ფირმის შემადგენელი ელემენტები: 1. სსსრ მმს-ორგანო, რომელსაც ექვემდებარება საწარმო, 2. სამკერვალო ფაბრიკა-საწარმოს სახე და საქმიანობის საგანი; 3. „ამირანი“ — საწარმოს სახელწოდება, 4. თბილისი — საწარმოს ადგილმდებარეობა.

ფირმის შესახებ დებულების მე-7 მუხლით, გარდა ჩამოთვლილი ელემენტებისა, ფირმაში შეიძლება შეტანილი იქნას შემოკლებული საფირმო სახელწოდებაც. დებულების მე-7 მუხლი წინააღმდეგობაშია პირველ მუხლთან, სადაც ნათელია, რომ ფირმა და საფირმო სახელწოდება ადექვატური ცნებებია. გარდა ამისა, აღნიშნული მუხლი წინააღმდეგობაშია სამოქალაქო სამართლის კოდექსთან. მაგალითად საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 28-ე მუხლი, როცა მიუთითებს, რომ „სამეურნეო ორგანიზაციის უფლებები და მოვალეობანი, რომლებიც დაკავშირებულია საფირმო სახელწოდების, საწარმოო მარკის და სასაქონლო ნიშნის გამოყენებასთან“, საფირმო სახელწოდების ქვეშ ფირმას გულისხმობს. ჩვენი აზრით ფირმის შემადგენლობაში შემოკლებული სახით საფირმო სახელწოდება კი არ შედის არამედ საწარმოს სახელწოდება. მაგ. «Московский автомобильный завод им. Лихачева—ЗИЛ» აქ „ЗИЛ“ საწარმოს შემოკლებული სახელწოდებაა და თუ იგი გადმოცემული იქნება იმ ორგანოსთან ერთად, რომელსაც საწარმო ექვემდებარება, საწარმოს სახეს, საქმიანობასა და საწარმოს ადგილმდებარეობასთან ერთად, სახეზე გვექნება ფირმა ანუ საფირმო სახელწოდება.

საწარმოს სახელწოდება და საფირმო სახელწოდება სხვადასხვა შინაარსის ცნებებია. ამ განსხვავების ახსნას ფირმის ინსტიტუტის ტრადიციებში ვხვდებით. საბჭოთა სამოქალაქო სამართლის მეცნიერების განვითარების პირველ პერიოდში ჯერ კიდევ არ იყო გაცემული დამაჯერებელი პასუხი კითხვაზე, თუ ვის ინდივიდუალიზაციას ახდენს ფირმა, თვითონ საწარმოს, თუ საწარმოს მფლობელის¹³. კაპიტალიზმის პირობებში საწარმოს სახელწოდება უკვე წარმოადგენს საფირმო სახელწოდებას. თუკი არსებობს ასეთი წარწერა, „ექვთიმე ხელაძის სტამბა“, ეს უკვე ითვლება სტამბის სახელწოდებად და მის საფირმო სახელწოდებადაც. სტამბის ინდივიდუალიზაციისათვის იმ დროს ეს სრულიად საკმარისი იყო და ასეთი ფირმით საწარმო გვევლინებოდა სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად.

საბჭოთა სახალხო მეურნეობას გეგმიური საფუძველი აქვს მართვის დარგობრივი სისტემის მეშვეობით. ამიტომ ყველა სოციალისტური ორგანიზაცია თავის საქმიანობას ახორციელებს გარკვეული სამინისტროს ან უწყების ხელმძღვანელობით. სამინისტრო პასუხს აგებს მათი საქმიანობისათვის, მათ მიერ გამოშვებული პროდუქციის ხარისხისათვის, ამიტომ თითოეული საწარმო-სამეურნეო ერთეულის ფირმა უნდა შეიცავდეს შესაბამისი სამინისტროს ან უწყების დასახელებას.

თუ დღეს ვკითხულობთ წარწერას გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, ამით მხოლოდ გამომცემლობის სახელწოდებაა გადმოცემული, ხოლო რაც შეეხება ფირმას, რომლითაც გამომცემლობა მოქმედებს როგორც სამართლის სუბიექტი, იგი შეიცავს შემდეგ ელემენტებს „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტი, გამომცემლობა „საბჭოთა

¹³ Хр. Вахчисарайцев, О фирме предприятия, «Еженедельник советской юстиции, 1924, № 19—20, стр. 447.

საქართველო“, „თბილისი“. ამდენად, ფირმის შინაარსი ჩვენთან განპირობებულია სსრ კავშირის ეკონომიური საფუძვლით — მეურნეობის სოციალისტური სისტემისა და წარმოების იარაღებსა და საშუალებებზე სოციალისტური საკუთრებით.

სოციალისტური სახალხო მეურნეობის პირობებში საწარმოს სახელწოდება და საწარმოს საფირმო სახელწოდება სხვადასხვა მნიშვნელობის ცნებებია. მეორე უფრო ფართოა პირველთან შედარებით. როცა საწარმოს შესახებ დებულების მე-7 მუხლში, მითითებულია რომ საწარმოს წესდება სხვა ელემენტებთან ერთად უნდა შეიცავდეს საწარმოს სახელწოდებას (ან ნომერს)¹⁴, ეს იმას ნიშნავს, რომ აქ საწარმოს სახელწოდება არ უნდა იქნას გაგებული როგორც საფირმო სახელწოდება.

ზემოთ გადმოცემულ საკითხებს აქვთ როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული მნიშვნელობაც. კერძოდ, ფირმის ცნების განსაზღვრისა და ფირმის იურიდიული რეგლამენტაციისათვის.

ფირმის ცნება შეიძლება გადმოცემული იქნას შემდეგნაირად: ფირმა არის სამეურნეო ორგანიზაციის ინდივიდუალიზაციისათვის განკუთვნილი წერილობითი გამოსახულება, რომელშიც მოცემულია მითითება იმ ორგანოს შესახებ, რომელსაც ორგანიზაცია ექვემდებარება, თვით ორგანიზაციის სახელწოდება, საქმიანობის შინაარსი და ადგილმდებარეობა.

სახალხო მეურნეობის მართვის მეთოდებისა და სტრუქტურის შემდგომი სრულყოფის პროცესი განუხრელად უკავშირდება საწარმო და სამეცნიერო-საწარმო გაერთიანებათა წარმოქმნას. თანამედროვე საწარმო გაერთიანებათა ფირმის შინაარსი შეიძლება აგებული იქნას ტრესტების ფირმის შინაარსის შესაბამისად. გაერთიანებათა ფირმაში შედის იმ ორგანოს სახელწოდება, რომლის დაქვემდებარებაშიც გაერთიანება იმყოფება და თვითონ გაერთიანების სახელწოდება; მაგალითად:

სსსრ კმს

სამრეწველო გაერთიანება

„საქმინხილწყალი“

ორივე საკანონმდებლო წესით არაა გადაწყვეტილი იმ საწარმოს ფირმის შინაარსი, რომელიც თავის საქმიანობას ახორციელებს გაერთიანების შიგნით. საწარმოს შესვლა ამა თუ იმ გაერთიანებაში, რასაკვირველია გავლენას არ უნდა ახდენდეს მის ინდივიდუალიზაციაზე. თვით გაერთიანების შექმნისა და ფუნქციონირების პრაქტიკა ამ პრინციპის მომხრეა. თუ საწარმო შედის გაერთიანებაში, მაშინ მისი ფირმა შეიცავს: სამინისტროს ან უწყების დასახელებას, რომელსაც გაერთიანება ექვემდებარება, გაერთიანების სახელწოდებას, რომელშიაც შედის მოცემული საწარმო და თვით საწარმოს სახელწოდებას ან ნომერს, მაგალითად:

სსსრ კმს

სამრეწველო გაერთიანება

„საქმინხილწყალი“

ჩამომსხმელი ქარხანა № 2.

საწარმოს ინდივიდუალიზაციის ასეთ ფორმას შეუძლია დააკმაყოფილოს

¹⁴ ЦП СССР 1965 г., № 19—20, стр. 155.

როგორც მთლიანად გაერთიანების, ასევე მისი ყოველივე სტრუქტურული ნაწილის და მომხმარებელთა ინტერესებიც.

სამეურნეო ერთეულების ინდივიდუალიზაცია თვითმიზანი არ არის, გაერთიანების შიგნით ყველა საწარმოს ინდივიდუალიზაციის საკითხს არ შეიძლება ერთნაირად მივუღდეთ. საჭიროა გავითვალისწინოთ მათი სამეურნეო და სამართლებრივი სტატუსი, რადგან ეს ფაქტორები განსაზღვრავენ ფირმის ფუნქციას და მნიშვნელობას. საწარმო, რომელიც სამეურნეო საქმიანობას ეწევა გაერთიანების შიგნით, გამოსცემს ერთგვაროვან პროდუქციას და სარგებლობს იურიდიული პირის უფლებებით, უფრო საჭიროებს ინდივიდუალიზაციას, ვიდრე საწარმო, რომელიც იგივე გაერთიანებაშია და სხვა საწარმოებთან დაკავშირებულია ნედლეულის გამოშვების ტექნოლოგიური ეტაპებით, გარდა ამისა არ სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით¹⁵.

მაგრამ თუ გაერთიანებაში არსებული საწარმო არ სარგებლობს იურიდიული პირის უფლებით, მისი პროდუქციის რეალიზაცია კი გაერთიანების გარეშე ხდება, იგი არანაკლებ საჭიროებს ინდივიდუალიზაციას, ვიდრე ის საწარმო, რომელიც იურიდიული პირის უფლებით სარგებლობს, მაგრამ პროდუქციის რეალიზაციას გაერთიანების შიგნით ახდენს. მხოლოდ დასახელებული ფაქტორების ოპტიმალური შეთანხმებით შეიძლება ფირმის როლის სწორად გამოყენება.

საწარმო საქმიანობას ეწევიან არა მხოლოდ სახელმწიფო, არამედ კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც. ფირმის შესახებ დებულების მე-2 მუხლის თანახმად იმ საწარმოს ფირმა, რომელიც კოოპერაციულ ორგანიზაციას ეკუთვნის უნდა შეიცავდეს მითითებას საწარმოს საქმიანობის და კოოპერაციული ორგანიზაციის სახეობის შესახებ. მაგრამ თუ ორგანიზაცია წარმოადგენს კოოპერაციების გაერთიანებას, ვარდა დასახელებულისა, მითითებული უნდა იყოს გაერთიანების მასშტაბიც (რესპუბლიკური, საოლქო, სარაიონი).

ამგვარად, დებულება ფირმის შესახებ იძლევა რა ფირმის შემადგენელი ელემენტების დასახელებას, ამით უზრუნველყოფს ყველა სამეურნეო ორგანიზაციის ინდივიდუალიზაციის შესაძლებლობას. ამასთან აღნიშნული დებულება წინააღმდეგია ფირმაში ისეთი გამოსახულებების შეტანისა, რომელსაც შეუძლია დააბნოს და შეცდომაში შეიყვანოს მკითხველი.

ფირმის შინაარსის შესახებ კანონმდებლობისა და ლიტერატურის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნა: სამეურნეო რეფორმის პირობებში საწარმოს ფირმას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ფირმის ცნებასთან დაკავშირებულმა მრავალმა საკითხმა უკვე ჰპოვა სათანადო საკანონმდებლო რეგლამენტაცია. საჭიროა ისეთი ახალი ნორმატიული აქტის მიღება, რომელიც სინათლეს შეიტანს ტერმინების „საწარმოს სახელწოდების“ და „საფირმო სახელწოდების“ შინაარსში, განსაზღვრავს ყველა სახის საწარმო გაერთიანებათა ფირმის შინაარსს, ორგანულად დაუკავშირდება იმ ნორმატიულ აქტებს, რომლებიც სოციალისტური ორგანიზაციისათვის სახელწოდების მინიჭების წესებს აწესრიგებენ და მოახდენს საფირმო სახელწოდების სარგებლობის წესების დეტალურ რეგლამენტაციას.

¹⁵ П. В. Волчинский, Понятие и содержание фирменного наименования, «Вестник московского университета», серия XII, Право, 1973, № 1, стр. 68.

საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის და მისი ოჯახის წევრთა საბინაო უზღუდვები

6. ბაღაბაძე,

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი

საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება ორმხრივი ხელშეკრულებაა. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 290-ე მუხლის საფუძველზე ქირავნობის ხელშეკრულებით ერთი მხარე (გამქირავებელი) სასყიდლით აძლევს მეორე მხარეს (დამქირავებელს) საცხოვრებელ სადგომს (ბინას ან ოთახს) საცხოვრებლად.

მშრომელთა დეპუტატების სახლებში, აგრეთვე სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციების სახლებში საცხოვრებელი სადგომის გამქირავებლად გამოდიან სახლმმართველობები, საბინაო საქსპლოატაციო კანტორები და საწარმოთა საბინაო კომუნალური განყოფილებები.

პირადი საკუთრების სახლებში ბინის გამქირავებლად მესაკუთრეები გამოდიან.

კანონი ითვალისწინებს სახლმმართველობის მოვალეობას დადოს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება მოქალაქესთან, (294-ე მუხლი), რომელმაც მიიღო საცხოვრებელი სადგომის დაკავების ორდერი. ხელშეკრულება ფორმდება წერილობით ხუთი წლის ვადით, მაგრამ ორდერი არ წარმოადგენს საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების დადების ერთადერთ საფუძველს. არის შემთხვევები, როცა საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება შეიძლება გაფორმდეს ორდერის გარეშეც. იგი გათვალისწინებულია სამოქალაქო სამართლის კოდექსის 307-ე მუხლით, როცა საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების შეცვლა ხდება დამქირავებლის ოჯახის სრულწლოვანი წევრის მოთხოვნით, და ისეთ შემთხვევაში, როცა ქირავნობის ხელშეკრულების პირობების შეცვლა ხდება დამქირავებელთა მოთხოვნით, რომლებიც ერთ ოჯახად გაერთიანდნენ. ამ შემთხვევაში მათ უფლება აქვთ მოითხოვონ, რომ მათ მიერ დაქირავებულ მთელ სადგომზე ერთ-ერთ მათგანთან იქნეს დადებული ქირავნობის ხელშეკრულება.

საქართველოს სამოქალაქო სამართლის კოდექსის 295-ე მუხლის შესაბამისად მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო, კოოპერატიული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში შეიძლება გაქირავებულ იქნეს მხოლოდ იზოლირებული საცხოვრებელი სადგომი, რომელიც წარმოადგენს ერთიან ბინას ან ერთი-ორი და მეტი ოთახისაგან შედგება.

ამ სახლებში არ შეიძლება ქირავნობის ხელშეკრულების დამოუკიდებელ საცნად გახდეს ოთახის ნაწილი, ან მეორე ოთახთან საერთო შესასვლელით დაკავშირებული ოთახი (მომიჯნავე ოთახები), აგრეთვე დამხმარე სათავსოები (სამზარეულო, დერეფანი, საკუჭნაო და სხვ.).

იზოლირებულ საცხოვრებელ სადგომად ივლისხმება გამოცალკევებული ბინა, ოთახების რაოდენობის მიუხედავად, ანდა გამოცალკევებული საცხოვ-

რებელი ოთახი, რომელსაც დამოუკიდებელი შესასვლელი აქვს საერთო სარგებლობის ადგილიდან. სამოქალაქო კოდექსი არ უშვებს ერთ ოთახში მცხოვრებ რამდენიმე პირთან ერთდროულად რამდენიმე ქირავნობის ხელშეკრულების დადებას. ასევე აკრძალულია ქირავნობის რამდენიმე ხელშეკრულების დადება არა იზოლირებულ მომიჯნავე ოთახებში მცხოვრებ მოქალაქეებთან.

სამოქალაქო კოდექსით დადგენილი მოთხოვნა იზოლირებულ სადგომზე ქირავნობის ხელშეკრულების დადების შესახებ არ ვრცელდება ამ კოდექსის სამოქმედოდ შემოღებამდე არა იზოლირებულ სადგომზე დადებულ ხელშეკრულებებზე. ასეთი ხელშეკრულებები შეიძლება განახლდეს მათი მოქმედების გადის დამთავრების შემდეგაც.

მოქმედი სამოქალაქო სამართლის კოდექსის 296-ე მუხლით დადგენილია საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლის ოჯახის წევრების თანაბარი უფლება-მოვალეობანი.

საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლის ოჯახის წევრებს, რომლებიც დამქირავებელთან ერთად ცხოვრობენ, აქვთ მისი თანაბარი უფლებები, ისევე როგორც ეკისრებათ ყველა მოვალეობა, რაც ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს.

დამქირავებლის ოჯახის სრულწლოვან წევრებს ეკისრებათ სოლიდარული პასუხისმგებლობა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულები-სათვის.

296-ე მუხლის მესამე ნაწილით საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლის ოჯახის წევრებად ითვლებიან დამქირავებლის მეუღლე, მათი შვილები და მშობლები. სხვა ნათესავები და აგრეთვე შრომისუუნარო პირები შეიძლება ცნობილი იქნენ დამქირავებლის ოჯახის წევრებად თუ ისინი დამქირავებლებთან ერთად ცხოვრობენ და აქვთ საერთო საოჯახო მეურნეობა.

დამქირავებელთან ერთად მცხოვრები სხვა პირები დამქირავებლის ოჯახის წევრებად შეიძლება ცნობილი იქნენ თუ ისინი დამქირავებლის ნათესავები არიან, ანდა დამქირავებლის კმაყოფაზე იმყოფებიან. ორივე შემთხვევაში საჭიროა მათ დამქირავებელთან ჰქონდეთ საერთო საოჯახო მეურნეობა.

შრომისუუნარო პირად ითვლება ის, ვინც მთლიანად ან ნაწილობრივ იმყოფება დამქირავებლის კმაყოფაზე. ეს პირები თუ დამქირავებლის სადგომში ცხოვრობენ, მაგრამ მასთან საერთო საოჯახო მეურნეობას არ ეწევიან არ შეიძლება აღიარებულ იქნენ დამქირავებლის ოჯახის წევრებად. ასევე არ შეიძლება დამქირავებლის ოჯახის წევრებად ჩაითვალოს დამქირავებელთან მცხოვრები სხვა პირები, რომლებიც დამქირავებელთან ერთად ეწევიან საერთო საოჯახო მეურნეობას, მაგრამ დამქირავებლის ნათესავთა რიცხვს არ ეკუთვნიან. (მეგობარი, მზრუნველი, მეურვე, შინამოსამსახურე) მიუხედავად ბინაში ცხოვრების ხანგრძლივობისა და გაწერისა, ასეთი პირი საცხოვრებელ ფართზე უფლებას ვერ მოიპოვებს და მისი გამოსახლება შეიძლება სასამართლოს გადაწყვეტილებით¹.

ცალკეულ შემთხვევაში, კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით დამქირავებელს და სასამართლოს შეუძლია კანონში ჩამოთვლილ დამქირავებლის ოჯახის წევრთა წრეს გასცდეს და დამქირავებლის ოჯახის წევრად

¹ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის № 3 დადგენილების მე-6 პუნქტი.

იცნოს სხვა, მაგალითად, დამქირავებელთან ან მისი ოჯახის წევრთან ფაქტიურ ცოლქმრულ ურთიერთობაში მყოფი პირი.

ო. დათიაშვილმა 1971 წლის 24 აპრილს ცოლად შეირთო ლ. თიბილაშვილი. ისინი ქორწინების რეგისტრაციაში არ გატარებულან, რადგან ლ. თიბილაშვილი 14 წლის იყო. მათ ერთად დაიწყეს ცხოვრება სამოთახიან ბინაში, რომლის დამქირავებელი იყო ი. დათიაშვილის მამა. ლ. თიბილაშვილი ერთი წლის განმავლობაში ცხოვრობდა ამ ბინაში გაუწერავად, როგორც ბინის დამქირავებლის ოჯახის წევრის ფაქტიური ცოლი. აქ ცხოვრების დროს ლ. თიბილაშვილს შეეძინა ბავშვი, რის შემდეგ ბინის დამქირავებელმა აიძულა 15 წლის ლ. თიბილაშვილი ჩვილი ბავშვით წასულიყო ბინიდან. ლ. თიბილაშვილმა სარჩელი აღძრა სასამართლოში და მოითხოვა საცხოვრებელი ფართობის გამოყოფა. ქ. თბილისის 26 კომისრის რაიონის სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილებული იქნა; რაც უცვლელად იქნა დატოვებული საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1973 წლის 22 ნოემბრის განჩინებით. ამით დაცულ იქნა დედის და შვილის ინტერესები.

სამოქალაქო სამართლის კოდექსის 296-ე მუხლის შესაბამისად, თუ მოქალაქე დამქირავებლის ოჯახის წევრი აღარ არის, მაგრამ განაგრძობს დაქირავებულ სადგომში ცხოვრებას, იგი სარგებლობს ისეთივე უფლებებითა და მოვალეობებით, რაც აქვს დამქირავებელსა და მისი ოჯახის წევრებს.

საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელსა და მისი ოჯახის წევრებს უფლება არა აქვთ გააფართოვონ თავიანთი ოჯახი იმ პირებით, რომელთაც კანონი არ ცნობს დამქირავებლის ოჯახის წევრებად.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 297-ე მუხლით განსაზღვრულია დამქირავებლის უფლება, თუ როგორ ჩაისახლოს სხვა მოქალაქე თავის დაქირავებულ სადგომში.

მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს, სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციის სახლებში დამქირავებელმა, მოქალაქე რომ ჩაისახლოს თავისი ოჯახის წევრად, საჭირო არ არის დამქირავებლის თანხმობა. მაგრამ ყოველგვარ სახლში დაქირავებულ სადგომში მოქალაქის ჩასახლებისათვის საჭიროა დამქირავებლის ოჯახის წევრების წერილობითი თანხმობა. გამონაკლისია მხოლოდ, 18 წელს მიუღწეველი ბავშვების მშობლებთან ჩასახლება. ამ დროს ოჯახის სხვა სრულწლოვანი წევრების თანხმობა საჭირო არ არის.

დაქირავებულ ბინაში სხვა მოქალაქის ჩასახლების ინიციატორი შეიძლება იყოს, როგორც დამქირავებელი ისე მისი ოჯახის ყოველი სრულწლოვანი წევრი. უკეთეს ოჯახის სრულწლოვანი წევრი ბინაში სხვა მოქალაქის შესახლების წინააღმდეგია, იგი ვერ შესახლდება და ვერ მოიპოვებს ბინით სარგებლობის უფლებას მის მიერ ფაქტიურად დაკავებულ ფართობზე.

პირადი საკუთრების უფლებით მოქალაქეთა კუთვნილ სახლებში დამქირავებელს დამქირავებლის თანხმობის გარეშე არა აქვს ოჯახის წევრების ჩასახლების უფლება. აქაც დაშვებულია ერთი გამონაკლისი. დამქირავებელს შეუძლია დამქირავებლის თანხმობის გარეშე ჩაისახლოს თავის ფართობში არასრულწლოვანი შვილები, ხოლო თუ დაქირავებული აქვს იზოლირებული სადგომი აგრეთვე მეუღლე და მშობლები.

ამ წესების შესაბამისად ჩასახლებული მოქალაქეები იძენენ დამქირავებ-

ლისა და მისი ოჯახის სხვა წევრების თანაბარ უფლებას ისარგებლონ საცხოვრებელი სადგომით თუ კი ეს მოქალაქეები ითვლებიან დამქირავებლის ოჯახის წევრებად, და შესახლებისას დამქირავებელს, მასთან მცხოვრებ მისი ოჯახის სრულწლოვან წევრებსა და ჩასახლებულებს შორის სხვა შეთანხმება არ იყო.

ოჯახის წევრთა შორის საცხოვრებელი ფართობი ნაწილდება თანაბრად. საცხოვრებელი ფართობის არათანაბრად განაწილება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ოჯახის წევრთა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

დამქირავებლის ოჯახის იმ სრულწლოვან წევრს, რომელსაც არსებობის დამოუკიდებელი წყარო მოეპოვება, უფლება აქვს მოითხოვოს, რომ მასთან დადონ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ცალკე ხელშეკრულება, მასთან ერთად მცხოვრები ოჯახის სრულწლოვანი წევრების თანხმობით, თუ მისი ხვედრი საცხოვრებელი სადგომი გამოყოფის შემთხვევაში დააკმაყოფილებს საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 295-ე მუხლით გათვალისწინებულ პირობებს. კერძოდ გამოყოფილი ფართობი თუ 12 კვ. მ. ნაკლები არ არის და იზოლირებულია, შესდგება ერთი ან ორი ოთახისაგან და არ წარმოადგენს ოთახის ნაწილს, აგრეთვე არ არის სხვა საცხოვრებელ ფართობის მომიჯნავე.

საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელს შეიძლება ჰქონდეს ოჯახის თვითეულ სულზე საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 309-ე მუხლით დადგენილი ნორმა — 12 კვ. მ. საცხოვრებელი ფართობი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ აღმასკომი ვალდებულია საცხოვრებელი ფართობის განაწილებისას მოქალაქეებს მისცეს ბანები საცხოვრებელ ნორმის მიხედვით.

მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს ზოგიერთი დამქირავებლების უფლებას დამატებით საცხოვრებელ ფართზე. თუ დამქირავებელი ფაქტიურად სარგებლობდა დამატებითი საცხოვრებელი ფართობით, მისთვის მისაცემი ახალი ბინაც უნდა შეესაბამებოდეს საცხოვრებელი ფართობის ნორმას დამატებით ფართობზე უფლების გათვალისწინებით. მაგრამ საცხოვრებელი ფართობის განაწილებისას აღმასკომი არ არის ვალდებული დააკმაყოფილოს იგი დამატებითი საცხოვრებელი ფართობით.

დამატებით საცხოვრებელ ფართობზე უფლების მქონე დამქირავებლებს საერთო ნორმის ზევით მიეცემათ ცალკე ოთახი ან დამატებითი ფართობი 10 კვ. მ. ოდენობით, ხოლო მეცნიერ მუშაკებს, მწერლებსა და კომპოზიტორებს 20 კვ. მ. ოდენობით.

როცა დამქირავებელსა და მისი ოჯახის წევრებს ესპობათ დამატებითი ფართობით სარგებლობის უფლება სამი თვის შემდეგ შეიძლება დაისვას საკითხი ზედმეტი საცხოვრებელი ფართობის ჩამორთმევის ან ბინის ქირის გადიდებული ოდენობით გადახდის შესახებ. თუ დამქირავებელს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოს, სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახლში დაქირავებულ სადგომში ნორმაზე მეტი საცხოვრებელი ფართობი გაუჩნდა, ასეთი შეიძლება ჩამოერთვას საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 310-ე მუხლით დადგენილი წესით.

ამ წესით საცხოვრებელი სადგომის დამქირავებელს შეიძლება ჩამოერთვას ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი თუ ეს ნამეტი წარმოადგენს იზოლირებულ ოთახს და მისი ზომა 12 კვადრატულ მეტრზე ნაკლები არ არის. ჩა-

მორთმევა დაუშვებელია, თუ მის შედეგად სხვადასხვა სქესის პირები, გარდა მეუღლეებისა, იძულებული გახდებიან იცხოვრონ ერთ ოთახში.

კანონით დამქირავებელს აქვს გარკვეული უფლებები, როცა მას აღმოაჩნდება ზედმეტი საცხოვრებელი ფართობი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს სახლში. მას უფლება აქვს ზედმეტ იზოლირებულ ოთახში თვითონ ჩასახლოს მობინადრე. ეს უფლება მას ენიჭება ზედმეტი ფართობის აღმოჩენის დღიდან, მიუხედავად იმისა, ჩაბარდა თუ არა მას საბინაო ორგანოს წერილობითი გაფრთხილება ამ ოთახის ჩამორთმევის შესახებ².

ასეთი წესით ჩასახლებული პირები იძენენ დამოუკიდებელ უფლებას ოთახზე და მასთან დადებულ უნდა იქნას საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულება. თუ ასეთი ქირავნობის ხელშეკრულების დადებაზე უარს აცხადებს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს საბინაო ორგანო, დანტერესებულმა პირმა ეს უარი შეიძლება გაასაჩივროს სასამართლოში³.

გარდა ამისა, როცა ზედმეტი იზოლირებული ოთახი აღმოჩნდება ერთი ოჯახისათვის მიცემულ ბინაში, დამქირავებელს, რომელსაც საცხოვრებელი სადგომი მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს სახლში უკავია, უფლება აქვს ან ჩასახლოს ამ ოთახში მობინადრე, ან მოითხოვოს გამქირავებლის ნაკლები ზომის ცალკე ბინაში გადაყვანა. ამასთან დამქირავებელს უფლება არა აქვს მიმართოს სასამართლოს სარჩელით ნაკლები ზომის ცალკე ბინის მიცემის შესახებ⁴.

თუ დამქირავებელი უარს იტყვის მისთვის გამოყოფილ ნაკლები ზომის ცალკე ბინაზე და მიცემული გაფრთხილების შემდეგ არ ისარგებლებს ზედმეტ იზოლირებულ ოთახში მობინადრის ჩასახლების უფლებით, დამქირავებელს შეუძლია სასამართლო წესით მოითხოვოს ზედმეტი იზოლირებული ოთახის ჩამორთმევა, მაგრამ ვერ მოითხოვს დამქირავებლის გადაყვანას ნაკლები ზომის ცალკე ბინაში. ამავე დროს დამქირავებელს, რომელიც არ მიცემს დამქირავებელს მისი თხოვნის შესაბამისად ნაკლები ზომის ცალკე ბინას, უფლება არა აქვს მოითხოვოს ზედმეტი იზოლირებული ოთახის ჩამორთმევა⁵.

ზედმეტ იზოლირებულ ოთახში მობინადრეთა ჩასახლების და ნაკლები ზომის ცალკე ბინის მოთხოვნის უფლებით არ სარგებლობენ ის დამქირავებლები, რომლებსაც საცხოვრებელი სადგომი უკავიათ სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში, რამდენადაც ეს საცხოვრებელი ფართობი სპეციალური დანიშნულებისაა და განთავსებულია შემთხვევაში შეიძლება მიეცეს საცხოვრებლად მხოლოდ სახლის მფლობელი ორგანიზაციის მუშაკს.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 310-ე მუხლი ით-

² სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის № 3 დადგენილების მე-8 პუნქტი.

³ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის № 3 დადგენილების მე-8 პუნქტი.

⁴ იქვე.

⁵ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის № 3 დადგენილების მე-8 პუნქტი.

⁶ Научно-практический комментарий к ГК РСФСР стр. 372.

ვალისწინებს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს, სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ბინაში განთავსდნენ უფლებულ არაიზოლირებულ, მომიჯნავე ოთახის დამქირავებელზე გადაცემის მოთხოვნის უფლებას. მაგრამ თუ არსებობს ტექნიკური შესაძლებლობა, რომ განთავსდნენ უფლებული მომიჯნავე ოთახი გადაკეთდეს იზოლირებულ ოთახად სასამართლოს შეუძლია არ დააკმაყოფილოს დამქირავებლის მოთხოვნა ამ ოთახის მის სარგებლობაში გადაცემის შესახებ. ამასთან იმ პირობით თუ მისი ფართობი მომიჯნავე ოთახის დამქირავებლისათვის ზედმეტია და გადაკეთებით არ გაუარესდება ამ დამქირავებლის ან იმავე ბინაში მცხოვრები სხვა დამქირავებლის საცხოვრებელი პირობები.

კანონმდებლობით გათვალისწინებულია საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლისა და მისი ოჯახის წევრების უფლებები დამქირავებელი სადგომიდან დროებით სხვაგან წასვლის შემთხვევებში.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 300 მუხლის შესაბამისად თუ დამქირავებელი, მისი ოჯახის წევრი ან ყველა ერთად დროებით სხვაგან იმყოფებიან, საცხოვრებელი სადგომის სარგებლობის უფლება მათ ენახებათ არა უმეტეს ექვსი თვის ვადით. სხვა შემთხვევაში დამქირავებელი კარგავს საცხოვრებელი სადგომით სარგებლობის უფლებას მიუხედავად იმისა ამოწერილი იყო თუ არა საბინაო წიგნიდან.

მაგრამ ეს წესი გამოიყენება ყველა ცალკეულ გარემოებათა გათვალისწინებით. მაგალითად არ შეიძლება ჩავთვალოთ საცხოვრებელ ფართზე უფლებდაკარგულად დამქირავებელი ან მისი ოჯახის წევრი, თუ ამ ფართობზე მის ცხოვრებას დაბრკოლებას უქმნის სხვა პირი. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ექვს თვეზე ზევით სხვაგან ყოფნის მიზეზის დადგენას (საპატიოა იგი თუ არაა საპატიო).

დამქირავებელი და მისი ოჯახის წევრები თუ მუდმივ საცხოვრებლად წავლენ სხვა ადგილას ქირავნობის ხელშეკრულება მოშლილად ითვლება მათი წასვლის დღიდან (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 322-ე მუხლი.)

კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როცა დამქირავებელი და მისი ოჯახის წევრები ინარჩუნებენ უფლებას საცხოვრებელ სადგომზე ექვს თვეზე მეტი ვადით. ასეთებია:

1) ვადიან სამხედრო სამსახურში გაწვევა ვადიან სამხედრო სამსახურში ყოფნის განმავლობაში;

2) მუშაობის პირობებისა და ხასიათის გამო (გემის ეკიპაჟი, გეოლოგიური, საძიებო პარტიები და ექსპედიციები, ასპირანტები და სხვ.) მუდმივი საცხოვრებელი ადგილიდან დროებითი წასვლა — მუშაობის ან სწავლის განმავლობაში.

3) სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში, ნათესავისათვის ან მეურვისათვის აღსაზრდელად მიცემულ ბავშვებისათვის ამ დაწესებულებებში ნათესავთან ან მეურვესთან ყოფნა, თუ საცხოვრებელ სადგომში, საიდანაც ბავშვი წავიდა, მისი ოჯახის წევრები დარჩნენ და ცხოვრობენ. თუ საცხოვრებელ სადგომში, საიდანაც ბავშვი წავიდა, არ ცხოვრობენ მისი ოჯახის წევრები და სადგომი სხვა მოქალაქეს მიეცა, მაშინ სახელმწიფო საბავშვო დაწესებულებაში ყოფნის ვადის დასრულების შემდეგ ბავშვი უზრუნველყოფილ უნდა იქ-

ნეს საცხოვრებელი სადგომით მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ;

4) სამკურნალო დაწესებულებაში სამკურნალოდ წასული იქ ყოფნის განმავლობაში;

5) დაპატიმრებული — მისი საქმის გამოძიების ან სამართალში მისი ყოფნის განმავლობაში; თუ დაპატიმრებულს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა, გადასახლება ან გასახლება ექვს თვეზე მეტი ხნით და სადგომში საცხოვრებლად მსაჯავრდებულის ოჯახის წევრები არ დარჩენილან, საცხოვრებელი ფართობის ქირავნობის ხელშეკრულება ითვლება მოშლილად განაჩენის აღსრულების მომენტიდან. (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 300 მუხლი).

მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლის უფლებას საცხოვრებელი სადგომის გაცვლის შესახებ. იგი განსაზღვრულია სამოქალაქო სამართლის კოდექსის 319-ე მუხლით, ხოლო საცხოვრებელი სადგომების გაცვლის წესი დადგენილია საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს 1965 წლის 30 დეკემბრის ინსტრუქციით „ადგილობრივი საბჭოების, სახელმწიფო, კოოპერაციული და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში, აგრეთვე მოქალაქეთა პირად კუთვნილებაში მყოფ სახლებში საცხოვრებელი სადგომების გაცვლის წესის შესახებ“.

დამქირავებელს ყოველთვის შეუძლია გააუქმოს ქირავნობის ხელშეკრულება ცალმხრივად წინასწარ განუცხადებლადაც კი სხვა ადგილზე საცხოვრებლად გადასვლის გამო, საკუთარი სახლის აშენების ან შეძენის გამო, საბინაო სამშენებლო კოოპერატივში წევრად შესვლის გამო და სხვ.

საცხოვრებელი სადგომის დამქირავებლის უფლებები დაცულია კანონმდებლობით დამქირავებლის ინიციატივით დამქირავებლის გამოსახლების დროს.

გამქირავებლის მიერ საცხოვრებელი სადგომის ქირავნობის ხელშეკრულების გაუქმება შეიძლება მხოლოდ სასამართლოს წესით; კანონით დადგენილი ცალკეული გამონაკლისებს გარდა.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 324-ე მუხლის საფუძველზე დამქირავებელს, რომელსაც კანონით გათვალისწინებულ საფუძველზე ასახლებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოს, სახელმწიფო, კოოპერაციული ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის სახლიდან, გამქირავებელი ვალდებულია მიცეს სხვა საცხოვრებელი სადგომი. ახალი საცხოვრებელი სადგომი უნდა იყოს იმავე დასახლებული პუნქტის ფარგლებში, კაპიტალურ სახლში, ამ დასახლებული პუნქტის პირობების შესაბამისად კეთილმოწყობილი და ფართობით არა ნაკლები იმისა, რაც გამოსახლებულს ეჭირა.

თუ დამქირავებელს ეკავა ცალკე ბინა ან ერთ ოთახზე მეტი, მას შესაბამისად, უნდა მიეცეს ცალკე ბინა ან იმდენივე ოთახებისაგან შემდგარი საცხოვრებელი სადგომი. თუ დამქირავებელს ჰქონდა ზემდგომი საცხოვრებელი ფართობი, სხვა საცხოვრებელი სადგომი მიეცემა საბინაო სანიტარული ნორ-

მით სულზე 12 კვ. მეტრი. ამასთან გათვალისწინებული უნდა იქნეს დამქირავებლის (ან მისი ოჯახის წევრის) უფლება დამატებით ფართობზე⁷.

ამავე წესით დაკმაყოფილება ბინის ფართობით ის დამქირავებელი, რომელიც ადმინისტრაციული წესით არის გამოსახლებული ადგილობრივი საბჭოების სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებიდან, იმის გამო, რომ ამ სახლებს ჩამოქცევა ემუქრება.

მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებს აგრეთვე დამქირავებლისა და მისი ოჯახის წევრების გამოსახლების რამდენიმე შემთხვევას სხვა საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად. ასეთია:

1) თუ დამქირავებელი, ან მისი ოჯახის წევრები სისტემატურად ანგრევენ ან აფუჭებენ საცხოვრებელ სადგომს;

2) თუ დამქირავებელი ან მისი ოჯახის წევრები სისტემატურად არღვევენ სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებს და ამით სხვებისათვის შეუძლებელს ხდიან მათთან ერთად ერთ ბინაში ან ერთ სახლში ცხოვრებას, ხოლო გაფრთხილებისა და საზოგადოებრივი ზემოქმედების ღონისძიებანი უშედეგო აღმოჩნდა. ორივე შემთხვევაში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპით უნდა გამოსახლდეს მხოლოდ ის პირი, რომელიც დამნაშავეა საცხოვრებელი სადგომის სისტემატურად დანგრევა-გაფუჭებაში ანდა დამნაშავეა სისტემატურ, ბოროტულ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების განზრახ ჩადენაში;

3) როდესაც დამქირავებელი და მისი ოჯახის წევრები სხვაგან იმყოფებიან, საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის მე-300 და 301-ე მუხლებში — აღნიშნულ ვადებზე მეტი ხნის განმავლობაში და ამ საფუძვლით კარგავენ ბინის ფართობით სარგებლობის უფლებას;

4) როდესაც დამქირავებელს იმავე დასახლებულ პუნქტში აქვს პირადი საკუთრების სახლი, რომელიც მუდმივ საცხოვრებლად ვარგისია და მასში შესახლების შესაძლებლობა აქვს. (საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 326-ე მუხლი).

აქ გათვალისწინებულია სამი პირობა: 1) სახლი უნდა იყოს იმავე დასახლებულ პუნქტში;

2) სახლი უნდა იყოს მუდმივ საცხოვრებლად ვარგისი;

3) პირად მესაკუთრეს უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა შესახლდეს შიგ. ე. ი. უნდა იყოს საკმარისი თავისი მოცულობით და თავისუფალი. ამ პირობების გარეშე დამქირავებლის გამოსახლება დაუშვებელია.

⁷ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1964 წლის 25 მარტის № 3 დადგენილებების მე-11 პუნქტი.



შეჯიბისადმი ფსიქიკური დამოკიდებულების საკითხი ბრალის მხარეში

ა. მიქაბაძე

საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლებს მე-8 და მე-9 მუხლებით განზრახვისა და გაუფრთხილებლობის ცნება სხვა გარემოებებთან ერთად შეიცავს აგრეთვე პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგებისადმი. განზრახვის ეს დამოკიდებულება გამოიხატება შედეგების გათვალისწინებასა და მათი დადგომის სურვილში ან შეგნებულ დაშვებაში, ხოლო გაუფრთხილებლობის დროს კი — ასეთი შედეგების დადგომის შესაძლებლობის გათვალისწინებაში და მათი აცდენის ქარაფშუტულ იმედში ან კიდევ ამ შედეგების გაუთვალისწინებლობაში მაშინ, როდესაც პირი ვალდებული იყო და შეეძლო გაეთვალისწინებინა ისინი.

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში არ არის ერთიანი აზრი, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული პირის ფსიქიკური დამოკიდებულების საკითხი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი ყოველ კონკრეტულ განზრახვაში და გაუფრთხილებლობაში. ავტორთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ იგი დამახასიათებელია ბრალისათვის ე. წ. მატერიალურ დანაშაულობებში, ხოლო ფორმალურ დანაშაულობებში კი არა¹. კრიმინალისტთა ნაწილი არ ეთანხმება ამ შეხედულებას და თვლის, რომ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების ამორიცხვა ბრალის ცნებიდან არცერთ შემთხვევაში არ შეიძლება².

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში, როგორც ქვევით დავინახავთ, არ არსებობს აგრეთვე აზრთა ერთიანობა საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების საკითხში ისეთ დანაშაულთა დროს, როგორც არის: დანაშაულის მომზადება და მცდელობა, საფრთხის შემქმნელი დელექტები, სადაც შედეგი არ დგება დამნაშავის ნებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო.

¹ Советское уголовное право. Часть общая, М., 1964, стр. 124; Курс Советского уголовного права. Общая часть, Л., 1968, т. 1, стр. 439; Советское уголовное право. Общая часть, М., 1969, стр. 161—162; Курс Советского уголовного права, М., 1970, т. 2, стр. 295; И. Г. Филиановский. Социально-психологическое отношение субъекта к преступлению, Л., 1970, стр. 146—150; Его же. Социально-психологическое отношение субъекта к преступлению. Автореферат докторской диссертации, Л., 1970, стр. 23; П. С. Дагель, Проблемы вины в советском уголовном праве. Ученые записки, выпуск 21, часть I, Владивосток, 1968, стр. 74—75 и др.

² А. С. Никифоров. Основные вопросы уголовной ответственности за преступления совершаемые по небрежности. Ученые записки ВИЮН, 1955, выпуск I, стр. 143; Н. Ф. Кузнецова. Значение преступных последствий, М., 1958, стр. 16; Б. С. Волков, Проблема воли и уголовная ответственность, Казань, 1965, стр. 41; А. Г. Пригер. Рецензия на книгу Н. А. Бушуева. «Ответственность за укрывательство преступлений и недоносительства». Советская юстиция, 1966, № 6, стр. 29 и др.

პასუხი რომ გავცეთ კოხვას, თუ რამდენად კანონიერია პირის ფსიქიკური დამოკიდებულების აღიარება ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი ყოველ კონკრეტულ ბრალში, ჯერ საჭიროა გავარკვიოთ, მოსდევს თუ არა ყოველ დანაშაულებრივ ქმედობას საზოგადოებრივად საშიში შედეგი ან ამ შედეგის დადგომის რეალური შესაძლებლობა, თუ არსებობს ისეთი ქმედობაც, რომელსაც არც ერთი მოსდევს და არც მეორე და ასეთი ქმედობა კი მაინც დანაშაულად ითვლება.

ცნობილია, რომ დანაშაულებრივი მოქმედების ან უმოქმედობის აუცილებელი ნიშანია მისი საზოგადოებრივად საშიშროება, როგორც მისი მატერიალური ნაწილი და შინაარსი. დანაშაულებრივი მოქმედების ეს დამახასიათებელი ნიშანი გარკვევით აღნიშნულია საფუძვლების მე-7 მუხლში მოცემულ დანაშაულის ზოგადი ცნების განმარტებაში, სადაც დანაშაულად აღიარებულია სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც ხელყოფს კანონით დაცულ ობიექტს.

საზოგადოებრივად საშიშროება რომ წარმოადგენს დანაშაულებრივი ქმედობის არსს, მის ორგანიულ ნიშანთვისებას ერთხმად აღიარებულია მთელ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში, ამასთან ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ასეთი საშიშროების გარეშე ქმედობა არ შეიძლება ცნობილი იქნას დანაშაულად³.

მაგრამ საიდან ღებულობს ქმედობა ამ საშიშროებას? იგი კანონმდებლის სუბიექტური შეხედულების ნაყოფია, თუ ობიექტურად არსებული რეალობა და შემდეგ ასახული კანონმდებლის მიერ?

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით, რაც გამომდინარეობს დანაშაულის ცნების საკანონმდებლო განსაზღვრიდან ქმედობის საზოგადოებრივად საშიშროება აიხსნება იმით, რომ ასეთი ქმედობა ან ზიანს აყენებს კანონით დაცულ ობიექტს ან და ქმნის ამ ზიანის დადგომის რეალურ შესაძლებლობას. „დანაშაულებრივი ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება, — წერს მაგალითად, ა. ა. პიონტოვსკი, — წარმოიშობება იმით, რომ იგი ან უშუალოდ აყენებს ზიანს სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს ან შეიცავს შესაბამისი ზიანის მიყენების შესაძლებლობას“⁴.

მაგრამ თუ ეს ასეა, ხოლო კანონმდებელი ყოველ კონკრეტულ ბრალში სხვა გარემოებებთან ერთად ცნობს აგრეთვე პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ქმედობის საზოგადოებრივად საშიშ შედეგისადმი მაშინ, როგორ ავსხნათ იგი დაუმთავრებელ დანაშაულობებში, სადაც ნაცვლად საზოგადოებრივად საშიში შედეგისა, მისი დადგომა რეალურია, ანდა როგორ გავიგოთ საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი ასეთი დამოკიდებულება ისეთ დანაშაულობებში, რომლებიც საფრთხის შემქმნელი დელიქტების სახელწოდებით არიან ცნობილი, და ბოლოს როგორ გავიგოთ პირის ფსიქიკური დამოკი-

³ Советское уголовное право. Часть общая, М., 1962, стр. 67; Курс Советского уголовного права, М., 1970, т. 2, стр. 99 и др.

⁴ Курс Советского уголовного права, М., 1970, т. 2, стр. 132; См. также, Т. В. Церетели, Причинная связь в уголовном праве, М., 1963, стр. 174; В. Н. Кудрявцев, Объективная сторона преступления, М., 1960, стр. 28; А. С. Михлин, Понятие и виды последствий преступления, «Вопросы уголовного права и процесса, ВИЮН, М., 1958, стр. 32; Ф. Полячек, Состав преступления по Чехословацкому уголовному праву, М., 1960, стр. 130 и др.

დებულება შედეგისადმი ე. წ. ფორმალურ დანაშაულობებში, რომლებიც კანონმდებელს დამთავრებულად მიაჩნია დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენის მომენტიდანვე?

პასუხი რომ გავცეთ ამ კითხვებს, საჭიროა გავარკვიოთ, რამდენადაც ყველა შემოჩამოთვლილ დანაშაულობებში საზოგადოებრივად საშიში შედეგი არა თუ არ არის მათი შემადგენელი ელემენტი, არამედ ხშირად ამ შემადგენლობის გარეთაც არ იმყოფება, ამდენად სავალდებულოა თუ არა: 1. საზოგადოებრივად საშიში შედეგი, რომლისადმიდაც აღიარებულია პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ბრალის ცნებაში იყოს ამა თუ იმ კონკრეტული დანაშაულის შემადგენელი ელემენტი და 2. შესაძლებელია თუ არა დამნაშავის ნებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო განუხორციელებელი საზოგადოებრივად საშიში შედეგი წარმოადგენდეს პირის ფსიქიკური დამოკიდებულების საგანს ბრალის განსაზღვრაში?

საბჭოთა ირიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხზეც არ არის აზრთა ერთიანობა. ავტორთა უმრავლესობას მიაჩნია, რომ საზოგადოებრივად საშიში შედეგი მხოლოდ მაშინ წარმოადგენს პირის ფსიქიკური დამოკიდებულების საგანს ბრალის ცნებაში, როდესაც იგი შეადგენს ამა თუ იმ კონკრეტული დანაშაულის შემადგენელ ელემენტს.

ასეთ შეხედულებას გამოთქვამენ მაგალითად 1962 წელს მოსკოვში გამოცემულ საბჭოთა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოს ავტორები, რომლებიც წერენ: „განზრახვა შეიცავს მხოლოდ იმ საზოგადოებრივად საშიში შედეგების გათვალისწინებას, რომელთა დადგომა ან დადგომის შესაძლებლობა აღიარებულია, როგორც ამა თუ იმ დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი. გათვალისწინება ისეთი მანერე შედეგების, რომლებიც არ მიეკუთვნება შემადგენლობის ნიშნებს, არ წარმოადგენს სავალდებულოს განზრახვისათვის“⁵.

ზოგიერთი კრიმინალისტი ავითარებს სულ სხვა მოსაზრებას. ასე, მაგალითად, ნ. დ. ღურმანოვი ეხება რა ბრალის საკითხს საფრთხის შემქმნელ დელიქტებში წერს: „ე. წ. ფორმალურ დელიქტებისაგან ეს შემადგენლობები იმით განსხვავდებიან, რომ ბრალეულის პირდაპირი განზრახვით გარემოცულია არა მარტო ის მოქმედებანი, რომლებიც დანაშაულის შემადგენლობაში შედიან, არამედ აგრეთვე შემდგომი, იმავე ობიექტსა და შედეგზე მიმართული სხვა მოქმედებანი, რომლებიც ამ დანაშაულის შემადგენლობის ფარგლებს გარეთ არიან“⁶.

შეხედულება, რომლის მიხედვით საზოგადოებრივად საშიში შედეგი მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს პირის ფსიქიკური დამოკიდებულების საგანი ბრალის ცნებაში, როდესაც იგი დანაშაულის შემადგენელ ელემენტს წარმოადგენს არ არის სწორი. დაუმთავრებელი, საფრთხის შემქმნელი დელიქტები და ე. წ. ფორმალური დანაშაულობანი თავიანთ შემადგენლობაში თუმცა არ შეიცავენ საზოგადოებრივად საშიშ შედეგს, მაგრამ, როგორც ვიცით კანონმდებელი ასეთ დანაშაულობათა დროს პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას

⁵ Советское уголовное право. Часть общая, 1962, стр. 141. См. также: Советское уголовное право. Часть общая, М., 1969, стр. 163; Н. Ф. Кузнецова, Значение преступных последствий для уголовной ответственности. М., 1958, стр. 84.

⁶ Н. Д. Дурманов, Стадии совершения преступления по Советскому уголовному праву, М., 1955, стр. 44.

სხვა გარემოებებთან ერთად (ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი და ა. შ.) საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი მანც აღიარებს.

რაც შეეხება იმას, შესაძლებელია თუ არა დამნაშავეის ნებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო განუხორციელებელი საზოგადოებრივად საშიში შედეგი იყოს პირის ფსიქიკური დამოკიდებულების საგანი ბრალის ცნებაში, აქაც ეს საკითხი დადებითად გაიგება. მაგრამ სწორად რომ გავეგოთ, ეს, აუცილებელია ვავარკვიოთ საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების ბრალად ფორმირების დროის საკითხი.

ზოგიერთი კრიმინალისტი ეხება რა პირის ფსიქიკური დამოკიდებულების საკითხს ბრალის ცნებაში, სხვა გარემოებებთან ერთად აღიარებს მას არა საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი, არამედ დამდგარ საზოგადოებრივად საშიშ შედეგისადმი. პირის ფსიქიკური დამოკიდებულების ასეთი გაგება მოცემულია მაგალითად, 1970 წელს მოსკოვში გამოცემულ სისხლის სამართლის კურსის სახელმძღვანელოში, სადაც ნათქვანია შემდეგი: „დანაშაულთა მთელი რიგი შემადგენლობანი კანონში აღწერილია ისე, რომ შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშნებს უშუალოდ მიეკუთვნება პირის მოქმედების (ან უმოქმედობის) განსაზღვრული თვისებაც და მის მიერ მიყენებული განსაზღვრული დანაშაულებრივი შედეგიც. ამასთან დაკავშირებით მათი სუბიექტური მხარის განხილვის დროს აუცილებელია განვასხვაოთ პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ჩადენილი მოქმედებისადმი (ან უმოქმედობისადმი) და პირის ფსიქიკური დამოკიდებულება დამდგარ დანაშაულებრივ შედეგისადმი“⁷ (ხაზი ჩვენია — ა. მ.)

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დამდგარ საზოგადოებრივად საშიშ შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების აღიარება ბრალის ცნებაში არ შეიძლება სწორად ჩაითვალოს, ჯერ ერთი ეს შეუთავსებელია თვით ბრალის ცნებასთან ისეთ დანაშაულობებში, როგორცაა დაუმთავრებელი დანაშაულობანი და საფრთხის შემქმნელი დელიქტები, სადაც დანაშაულებრივი შედეგი, როგორც ვიცით არ დგება დამნაშავეის ნებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ამას გარდა დამდგარი შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების აღიარებით, გამოდის, რომ პირს ბრალად შეერაცხება ისეთი დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი, რასაც იგი ჩამოაყალიბებს მისი დადგომის შემდგომ პერიოდში, რაც ყოვლად გაუმართლებელი და მიუღებელია.

ბრალის ასეთი გაგება პრაქტიკულად გამოიწვევდა ბრალის უარყოფას, როგორც დაუმთავრებელ დანაშაულობებში და საფრთხის შემქმნელ დელიქტებში, ისე ე. წ. ფორმალურ დანაშაულობებშიც. გარდა ამისა ბევრ შემთხვევაში იგი გამოიწვევდა დამნაშავე პირთა პასუხისმგებლობისაგან ვანთავისუფლებას, ან მათი ნაკლები ზომით დასჯას. თუ ჩვენ დამდგარ საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ბრალად ვა-

⁷ Курс советского уголовного права, М., 1970, т. 2, стр. 333; См. также: Уголовное право. Часть общая, М., 1948, стр. 328—329; Советское уголовное право. Часть общая, Л., 1960, стр. 313; Советское уголовное право. Часть общая, М., 1962, стр. 156—157; Советское уголовное право. Часть общая, М., 1964, стр. 124; М. Шнейдер, Формы виновности по советскому уголовному праву: «Социалистическая законность», 1947, № 3, стр. 18; В. Кириченко, Смешанные формы вины, «Советская юстиция», 1966, № 19, стр. 14; Г. Кригер, Еще раз о смешанной форме вины «Советская Юстиция», 1967, № 19, стр. 6 и др.



ლიარებთ, მაშინ პირი იმის და მიხედვით უნდა ვცნოთ დამნაშავედ თუ რა ფსიქიკური დამოკიდებულება ჩამოაყალიბა ან აყალიბებს იგი. უკვე დამდგარ საზოგადოებრივად საშიშ შედეგისადმი, რაც ბევრ შემთხვევაში როდი ემთხვევა ამ შედეგის დადგომამდე მისდამი იმავე პირის მიერ ჩამოყალიბებულ ფსიქიკურ დამოკიდებულებას. პირველ რიგში ასეთ გარემოებას ადგილი აქვს მაგალითად, ისეთ დანაშაულთა დროს, რაც ჩადენილია უეცარი და ძლიერი სულიერი აღელვების ნიადაგზე (საქართველოს სსრ სსკ 106-ე, 113-ე მუხლები), სადაც დამნაშავე პირები არა თუ არ იწონებენ ყოველთვის მათ მიერ ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედობას და დამდგარ საზოგადოებრივად საშიშ შედეგს, არამედ იმუშავებენ ამ შედეგისადმი უარყოფით ფსიქიკურ დამოკიდებლობას, რომ არაფერი ვთქვათ საერთოდ, ისეთ დამნაშავე პირებზეც, რომლებსაც შეუძლიათ ბოროტად გამოიყენონ ბრალის ასეთი გაგება შედეგისადმი და პასუხისმგებლობისაგან თავის დაძვრენის მიზნით მართლმსაჯულების ორგანოებს უჩვენონ არაგულწრფელი და მათთვის სასარგებლო ფსიქიკური დამოკიდებულებანი დანაშაულებრივი ქმედობით გამოწვეულ საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი.

იმის კითხვა, თუ ეს ასეა, მაშინ საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება რა პერიოდში უნდა ვცნოთ ბრალად? პირის ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი ყოველთვის წინ უსწრებს არა თუ ამ შედეგის დადგომას, არამედ თითონ დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენასაც, რაც ამ ქმედობის ჩამდენ პირს წარმოდგენის სახით ცნობიერებაში აქვს გააზრებული. მაგრამ საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი ასეთი დამოკიდებულება ჯერ კიდევ არ ნიშნავს ბრალს და ამ დამოკიდებულებისთვის პირი არ შეიძლება დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით.

თანახმად საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობისა პირის ფსიქიკური დამოკიდებულება საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი მხოლოდ მაშინ ფორმირდება ბრალად, როდესაც მან თავისი გამოხატულება პაოვა დანაშაულის ჩადენის საწყის მომენტში, კერძოდ, დანაშაულის მომზადებაში, თუ რა თქმა უნდა ეს დანაშაული მომზადებით იწყება, დანაშაულის მცდელობაში, თუ აგრეთვე ეს დანაშაული მცდელობით იწყება და ბოლოს ისეთ დანაშაულის საწყის პერიოდში, რომელსაც თავისი განვითარების სტადიები არ გააჩნია.

როგორც ვხედავთ პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ამა თუ იმ დანაშაულში ყოველთვის არსებობს მხოლოდ ისეთ საზოგადოებრივად საშიშ შედეგისადმი, რომელიც ჯერ კიდევ არ განხორციელებულა პრაქტიკულად. სწორედ ასეა საკითხი გაგებული საფუძვლების მე-8 და მე-9 მუხლებში, სადაც ბრალის ინტელექტუალური და ნებელობითი ელემენტები მოცემულია ზმნის წარსული დროით და ნათქვამია: „პირს შეგნებული ჰქონდა თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი“, „ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს“, „სურდა ეს შედეგები“ და სხვ. და არა „პირს შეგნებული აქვს თავისი ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი“, „ითვალისწინებდა მის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებს“, „სურს ეს შედეგები“ და ა. შ.

მსგავს შეხედულებას ვხვდებით საბჭოთა და სახალხო დემოკრატიული ქვეყნების იურიდიულ ლიტერატურაშიც, რომლის მიხედვით ბრალის განსაზ-

ღვრაში პირის ფსიქიკური დამოკიდებულების აღიარება ჩადენილ საზოგადოებრივად საშიში ქმედობისა და ამ ქმედობით დამდგარ საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი სწორად არ არის მიჩნეული⁸.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ: 1. პირის ფსიქიკური დამოკიდებულების საგანს ბრალის ცნებაში სხვა გარემოებებთან ერთად შეადგენს საზოგადოებრივად საშიში შედეგი, მიუხედავად იმისა არის იგი დანაშაულის შემადგენელი ელემენტი თუ არა. და 2. პირის ასეთი ფსიქიკური დამოკიდებულება ბრალის ცნებაში ყოველთვის აღიარებულია მხოლოდ ჯერ კიდევ განუხორციელებელ საზოგადოებრივად საშიშ შედეგისადმი.

ამის შემდეგ ძნელი აღარ უნდა იყოს საზოგადოებრივად საშიშ შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების გაგება ისეთ დანაშაულობებში, როგორცაა: დაუმთავრებელი დანაშაულობანი, საფრთხის შემქმნელი დელიქტები და ე. წ. ფორმალური დანაშაულობანი, მაგრამ როგორ უნდა გავიგოთ კონკრეტულად ისინი?


1. საზოგადოებრივად საშიშ შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების გაგება დაუმთავრებელ დანაშაულობებში, როგორცაა: დანაშაულის მომზადება და მცდელობა მთლიანად ემყარება იმავე პრინციპებს, რაც საფუძვლად უდევს ბრალის გაგებას დამთავრებულ დანაშაულობებში. მართალია დანაშაულის მომზადება და მცდელობა ნაცვლად საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომისა იწვევს ამ შედეგის დადგომის რეალურ შესაძლებლობას, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ბრალის ცნების საკითხი ასეთ დანაშაულობებში გაგებულ იქნას სხვაგვარად, ვიდრე დამთავრებულ დანაშაულობებში.

დანაშაულის მომზადების და მცდელობის დროს პირის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საკითხი არსებითად დაკავშირებულია ბრალთან, ხოლო ბრალის სხვა გაგებას კი კანონმდებელი არ იცნობს სხვაგვარად გარდა იმისა, რაც მოცემულია საკანონმდებლო აქტებში და რომლის მიხედვით ყოველი ბრალი შეიცავს ფსიქიკურ დამოკიდებულებას, როგორც საზოგადოებრივად საშიშ ქმედობისადმი, ისე ამ ქმედობის საზოგადოებრივად საშიშ შედეგისადმი და ა. შ.

მაინც რა წარმოადგენს დანაშაულის მომზადების და მცდელობის სუბიექტურ მხარეს? თანახმად საფუძვლების მე-15 მუხლისა — პირდაპირი განზრახვა. დანაშაულის მომზადების და მცდელობის სუბიექტური მხარის ეს სწორი გაგება კი თავის მხრივ მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ პირს ვიდრე ის დანაშაულის ჩადენას შეუდგებოდეს ჯერ კიდევ ცნობიერებაში ჩამოყალიბებული აქვს თავისი ფსიქიკური დამოკიდებულება იმ საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი, რომლის დადგომისაკენ იგი მიისწრაფვის და რისი დადგომაც ამდენად მის სურვილს წარმოადგენს⁹. ხოლო იმისათვის, რათა პირმა ცნობიერებაში ჩამოყალიბებული მავნე განზრახვა სისრულეში მოიყვანოს საჭიროა გარკვეული მოქმედების ან უმოქმედობის საშუალებით იგი გამოავლინოს და ამით ფაქტიურად მიადგინოს იმ საზოგადოებრივად საშიში შედეგის

⁸ В. Г. Макашвили, Понятие умысла в уголовном праве. Мацне, 1966, № 6, стр. 68; И. Лекшас, Вина как субъективная сторона преступного деяния. М., 1958, стр. 47 и др.

⁹ См. Курс Советского уголовного права, М., 1970, т. 2, стр. 403.



დადგომას, რომლის განხორციელებისაკენაც ჯერ კიდევ ქმედობის დაწყებამდე მიისწრაფვოდა.

მაგრამ პირი ამ მიზნის მიღწევას ყოველთვის როდი ასებრნებს უშუალოდ მოქმედებით ან უმოქმედობით, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში მას ამ დანაშაულის ჩასადენად სჭირდება აგრეთვე გარკვეული მოსამზადებელი დანაშაულებრივი საქმიანობის ჩატარებაც, რაც საფუძვლების მე-15 მუხლის მიხედვით გამოიხატება საშუალებების ან იარაღების გამოძებნაში თუ მომარჯვებაში ან პირობების სხვაგვარ განზრახ შექმნაში და რასაც კანონმდებელი დანაშაულის მომზადებად თვლის.

მართალია დანაშაულის მომზადება, როგორც დაუმთავრებელი დანაშაული ჯერ კიდევ შორსაა შედეგის დადგომასთან, მაგრამ ბრალი, რაც გარკვეულ საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის სურვილში გამოიხატება უკვე ამ პერიოდშიც ვლინდება მთელს მისი სისრულით ისე, როგორც დანაშაულის მცდელობისა და დამთავრებული დანაშაულის დროს, ამიტომ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ისეთი დანაშაულის მომზადება, რომელშიც არსებული ბრალი განსხვავდებოდეს დანაშაულის მცდელობაში და დამთავრებულ დანაშაულში არსებული ბრალისაგან. ბრალი დანაშაულის განვითარების სამივე სტადიაში ერთია და იგი ყოველთვის გარკვეული საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომისაკენ არის მიმართული.

სწორედ ამით აიხსნება, რომ დანაშაულის მომზადებაში ბრალი ყოველთვის სრულად არის მოცემული, ვიდრე დანაშაულის ობიექტური მხარე, რომ დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური მხარის ასეთი შეუსაბამობა ამ დანაშაულის აუცილებელ გადამწყვეტ პირობას წარმოადგენს.

ამის გამო ჩვენ ვერ დავეთანხმებით 1969 წელს მოსკოვში გამოცემულ სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოს ავტორებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ დანაშაულის მომზადების დროს განზრახვა გამოიხატება მასში, რომ „დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ჩადის საზოგადოებრივად საშიშ მოქმედებებს, რომლებიც ამზადებს პირობებს მისი დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებისათვის და სურს მათი ასრულება, რათა უზრუნველყოს შემდგომში დანაშაულის დამთავრება“¹⁰.

გამოდის, რომ განზრახვა დანაშაულის მომზადებაში არსებობს ცალკე, რომელიც განსხვავდება დანაშაულის მცდელობაში და დამთავრებულ დანაშაულში არსებულ განზრახვისაგან, რომ განზრახვა დანაშაულის მომზადებაში მათი გაგებით გამოიხატება მხოლოდ იმ საზოგადოებრივად საშიში მოქმედების გაცნობიერებისა და მისი ჩადენის სურვილში, რომელიც ქმნის პირობებს პირის დანაშაულებრივი მიზნების განხორციელებისათვის, რაც რა თქმა უნდა არასწორია და არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს. თუ ამ შეხედულებას გავყვებით მაშინ გამოვა, რომ დანაშაულის მომზადების დროს ჩვენ საქმე გვქონია არა დაუმთავრებელ, არამედ დამთავრებულ დანაშაულთან, რამდენადაც დანაშაულის სუბიექტური მხარე, რაც მოსამზადებელი მოქმედების ჩადენის სურვილში გამოიხატა ფაქტიურად დაემთხვა ამ დანაშაულის ობიექტურ მხარეს — მოსამზადებელი მოქმედების ჩადენას.

ამიტომ სავეტით სწორია თ. ვ. წერეთელი, როდესაც წერს, რომ: „გან-

¹⁰ Уголовное право. Часть общая, М., 1969, стр. 217. См. также Советское уголовное право. Часть общая, М., 1964, стр. 184 и др.

ზრახვა დანაშაულის მომზადების დროს მიმართული უნდა იყოს არა მოსამზადებელ მოქმედებაზე, როგორც ასეთზე, არამედ დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებაზე¹¹.

მაგრამ თუ ზოგიერთი დანაშაულის ჩადენა შეუძლებელია მოსამზადებელი დანაშაულებრივი საქმიანობის გარეშე, მეორე მხრივ ყოველი დაწყებული დანაშაულებრივი ქმედობა ყოველთვის როდი აღწევს თავის დასასრულს და როდი იწყებს დანაშაულებრივ შედეგს. არსებობს შემთხვევები, როდესაც პირი იწყებს გარკვეული დანაშაულებრივი ქმედობის ჩადენას, მაგრამ დანაშაული არ მთავრდება მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ასეთ დროს, როდესაც დაწყებული დანაშაული ბოლომდე არ სრულდება დამნაშავის ნებისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო სახეზე გვაქვს არა დამთავრებული დანაშაული, არამედ, როგორც წესი დანაშაულის მცდელობა.

განსხვავებით დანაშაულის მომზადებისაგან დანაშაულის მცდელობის დროს პირი უკვე პირობებს კი არ ამზადებს დანაშაულის ჩასადენად, არამედ უშუალოდ ცდილობს ზიანი მიაყენოს კანონით დაცულ ობიექტს, დანაშაულის მცდელობის ასეთი ბუნება, რაც კანონით დაცული ობიექტისადმი ზიანის მიყენების სურვილში გამოიხატება, უდავოდ მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ასეთ დანაშაულთა დროსაც ბრალის ცნებაში პირის ფსიქიკური დამოკიდებულება სხვა გარემოებებთან ერთად ნამდვილად მიმართულია ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული საზოგადოებრივად საშიში შედეგი ამ დანაშაულთა ჩადენის დროს არ ღებდა დამნაშავის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. და ეს გასაგებიცაა, რამდენადაც ბრალი, როგორც დანაშაულის მომზადების დროს, ისე დანაშაულის მცდელობის დროსაც კი არ იკვეცება დანაშაულის ობიექტური მხარის შემცირების შესაბამისად, არამედ იგი ყოველთვის სრულად არის მიცემული, როგორც ერთ, ისე მეორე დანაშაულში და დანაშაულის ობიექტური მხარის ნაკლოვანება სრულებით არ ახდენს გავლენას მის სრულყოფაზე.

კანონის ამ მოთხოვნას, როგორც წესი, მტკიცედ ადგას სასამართლო პრაქტიკა. ასე, მაგალითად, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1962 წლის 3 დეკემბრის დადგენილებაში ა-ს. საქმეზე ნათქვამია შემდეგი: „დანაშაულის მცდელობა წარმოადგენს პირის მიზანმიმართულ მოქმედებას და შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, რადგან თუ პირს არ სურს მიაღწიოს გარკვეულ შედეგს, არც შეუძლია ეცადოს მის მიღწევას“¹².

მსგავს შეხედულებას ვხვდებით საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაშიც. „დაუმთავრებელი დანაშაულის დროს, — წერენ მაგალითად, თ. ვ. წერეთელი და ვ. გ. მაყაშვილი — განზრახვა ყოველთვის აჭარბებს ქმედობის ობიექტურ მხარეს, პირი ვერ აღწევს იმ დანაშაულებრივ შედეგს, რომელზედაც მიმართულია მისი განზრახვა“¹³.

ამრიგად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დანაშაულის მომზადების და მცდელობის დროს ბრალის ცნებაში პირის ფსიქიკური დამოკიდებულება სხვა გარე-

¹¹ თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა; თბილისი, 1961, გვ. 86.

¹² Бюллетень Верховного Суда СССР, 1963, № 1, стр. 21.

¹³ Т. В. Церетели, В. Г. Макашвили — Н. Д. Дурманов, стадии совершения преступления по советскому уголовному праву. Рецензия. «Советское государство и право», 1957, № 1, стр. 130.

მოგებებიან ერთად ყოველთვის არსებობს აგრეთვე ქმედობის იმ საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი, რომლის დადგომაც დამნაშავეის სურვილს შეადგენდა.

2. მაგრამ საბჭოთა სისხლის სამართლის კანონმდებლობა იცნობს არა მარტო ისეთ დაუმთავრებელ დანაშაულობებს, როგორცაა დანაშაულის მომზადება და მცდელობა, არამედ ისეთ დანაშაულებრივ ქმედობებსაც, რომლებიც დამთავრებულად ითვლებიან დანაშაულის მომზადების ან საფრთხის დადგომის მომენტიდანაც და რომლებიც საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში საფრთხის შემქმნელი დელიქტების სახელწოდებით არიან ცნობილი. ასე მაგალითად, ისეთი დანაშაულებრივი ქმედობა, რომელიც დანაშაულის მომზადების სტადიიდან შეიძლება ჩაითვალოს დამთავრებულ დანაშაულად არის განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულობანი, რომელთა დროსაც დამთავრებულად ითვლება ყოველი ორგანიზაციული საქმიანობა მიმართული განსაკუთრებით საშიში სახელმწიფო დანაშაულის მოსამზადებლად ან ჩასადენად, ისეთი ორგანიზაციის შესაქმნელად, რომელიც მიზნად ისახავს ასეთი დანაშაულის ჩადენას. აგრეთვე ანტისაბჭოთა ორგანიზაციაში მონაწილეობა (საქართველოს სსრ სსკ 73-ე მუხლი), ან კიდევ ბანდიტიზმი, რომელიც დამთავრებულ დანაშაულად ითვლება შეიარაღებული ბანდების ორგანიზაციის მომენტიდან (საქართველოს სსრ სსკ 78-ე მუხლი), ხოლო ისეთი დანაშაულებრივი ქმედობა, რომელიც მხოლოდ საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის რეალური საფრთხის შექმნის მომენტიდან ითვლება დამთავრებულ დანაშაულად არის მოძრაობის უსაფრთხოებისა და ტრანსპორტის ექსპლოატაციის წესების დარღვევა, რომელიც აშკარად ქმნიდა დანაშაულებრივი შედეგების დადგომის საფრთხეს (საქართველოს სსრ სსკ 86-ე მუხლის მე-2 ნაწილი), ყაჩაღობა (საქართველოს სსრ სსკ 152-ე მუხლი) და მრავალი სხვა. პირველი რიგის დანაშაულობანი შორეულ და ზოგჯერ უმნიშვნელო საფრთხეს ქმნიან კანონით დაცულ ობიექტისადმი, ხოლო მეორე რიგის დანაშაულობანი კი უშუალოდ საფრთხეს.

საფრთხის შემქმნელი დელიქტების არსებობა საბჭოთა სისხლის სამართალში არსებითად გამოწვეულია იმით, რომ მიძიმე სისხლის სამართლის დანაშაულობათა დამთავრების ადრინდელ სტადიაზე გადატანით უფრო მკაცრი და უფრო ეფექტური ბრძოლა იქნას წარმოებული მათ მიმართ, რასაც, როგორც წესი, ამ დანაშაულთა მომზადება და მცდელობა არ იძლევა და ამასთან დაუსჯელი არ დარჩეს ისეთი ქმედობებიც, რომლებიც რეალურ საფრთხეს უქმნიან კანონით დაცულ ობიექტს, მაგრამ მათი სუბიექტური მხარის თავისებურებითა გამო (არაპირდაპირი განზრახვა, გაუფრთხილებლობა) დანაშაულის მომზადება და მცდელობა იქ გამოირიცხულია.

ამრიგად, დანაშაულის მომზადებისა და მცდელობისაგან განსხვავებით, რომელთა სუბიექტურ მხარეს მხოლოდ პირდაპირი განზრახვა წარმოადგენს საფრთხის შემქმნელი დელიქტები შეიძლება ჩადენილ იქნას, როგორც განზრახვით, ისე გაუფრთხილებლობით.

ისმის კითხვა, რის მიმართ უნდა იქნას ცნობილი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ბრალის ცნებაში ასეთ დანაშაულთა დროს? იგი ცნობილ უნდა იქნეს ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგის დადგომის შესაძლებლობისადმი, თუ თვით ამ საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი.

თუ გამოვალთ საფუძვლების მე-8 და მე-9 მუხლების შინაარსიდან რა

თქმა უნდა ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი, მხოლოდ იმ წესის მიხედვით, რაც ჩვენ გადმოვეცით დანაშაულის მომზადებასა და მცდელობაში ბრალის საკითხის განხილვის დროს.

3. დასასრულს, როგორ უნდა გავიგოთ ქმედობის საზოგადოებრივად საშიშ შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების საკითხი ბრალის ცნებაში ე. წ. ფორმალურ დანაშაულობათა დროს, სადაც საზოგადოებრივად საშიში შედეგი და ამ შედეგის დადგომის რეალური შესაძლებლობა საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულების მიხედვით დანაშაულის შემადგენლობის გარეთ იმყოფება და ბევრ შემთხვევაში მათი წარმოშობის დადგენა შეუძლებელიც კი არის?

როგორც ცნობილია, დანაშაულის ფორმალური და მატერიალური დაყოფის მომხრე კრიმინალისტთა უდიდესი უმრავლესობა ფორმალურ დანაშაულთა სუბიექტურ მხარედ თვლის მხოლოდ პირდაპირ განზრახვას, მაგრამ წინააღმდეგ საფუძვლების მე-8 მუხლისა მათ ბრალის აღნიშნული სახე ამ დანაშაულობებში ესმით სულ სხვანაირად. ამ შეხედულების მომხრე კრიმინალისტებს მიაჩნიათ, რომ პირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრა, რაც ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებასთან ერთად შეიცავს ამ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგის გათვალისწინებას და მისი დადგომის სურვილს გამოსადეგია მხოლოდ ე. წ. მატერიალურ დანაშაულობებში. რაც შეეხება ე. წ. ფორმალურ დანაშაულობებს იქ პირდაპირი განზრახვის ცნება არ შეიცავს პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ქმედობის საზოგადოებრივად საშიშ შედეგებისადმი და მისი შინაარსი ამ დანაშაულობებში ამოიწურება მხოლოდ ამ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებით¹⁴, ან კიდევ ზოგიერთის აზრით აღნიშნულთან ერთად მოცემული ქმედობის ჩადენის სურვილით¹⁵.

ამ შეხედულების მომხრე ზოგიერთ კრიმინალისტს მიაჩნია, რომ საფუძვლების მე-8 მუხლში მოცემული განზრახვის ცნების გავება შეიცავს ხარვეზს და წინადადებას იძლევა კანონმდებელმა ჩამოაყალიბოს იქ პირდაპირი განზრახვის ცალკე განსაზღვრა ე. წ. ფორმალურ დანაშაულთა მიმართ¹⁶.

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლისთვის დიდი ხანია ცნობილია საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული პირდაპირი განზრახვის ზემოაღნიშნული განსაზღვრა და წინადადებაც კი, იგი მაინც არ ცნობს ამ განსაზღვრას და კვლავ უცვლელ დებულებად აცხადებს ყველა პირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულისთვის ბრალის აღნიშნული სახის იმ განსაზღვრას, რაც მოცემულია საფუძვლების მე-8 მუხლში.

იქნებ სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის ზოგიერთი მუხლი ისე აქვს კანონმდებელს შედგენილი, რომ ვერც კი შეამჩნია იმ ისეთი პირდაპირი განზრახვის არსებობა, რასაც ზემოაღნიშნული კრიმინა-

¹⁴ Советское уголовное право. Часть общая. М., 1964, стр. 124; Советское уголовное право. Общая часть, М., 1969, стр. 161—162; Курс советского уголовного права, М., 1970, т. 2, стр. 295 и др.

¹⁵ И. Г. Филановский. Социально-психологическое отношение субъекта к преступлению, Л., 1970, стр. 149.

¹⁶ Курс советского уголовного права. Общая часть. Л., 1968, т. I, стр. 429; И. Г. Филановский. Социально-психологическое отношение субъекта к преступлению. Автореферат докторской диссертации, Л., 1970, стр. 23.

ლისტები ავითარებენ, ანდა შეამჩნია, მაგრამ ჯიუტად არ უნდა შეიტანოს იგი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში.

ეს მოსაზრება მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

მაშინ როგორ უნდა გავიგოთ კონკრეტულად პირის ფსიქიკური დამოკიდებულების არსებობა ქმედობის საზოგადოებრივად საშიშ შედეგისადმი ბრალის ცნებაში, ე. წ. ფორმალურ დანაშაულთა დროს?

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ბრალის ცნებაში ქმედობის საზოგადოებრივად საშიშ შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების დადგენის დროს სრულებით არ არის აუცილებელი, რომ ეს შედეგი დანაშაულის შემადგენელი ელემენტი იყოს და ამასთან იგი წარმოადგენდეს რეალურად განხორციელებულ ცვლილებას კანონით დაცულ ობიექტში, რომ პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ყოველ კონკრეტულ დანაშაულში ფორმირდება ბრალად არა დამდგარ საზოგადოებრივად საშიშ შედეგისადმი, არამედ ადრეულ სტადიაზე, ვიდრე ეს შედეგი დადგებოდეს.

ახლა თუ ჩვენ ამ ორი პირობიდან გამოვალთ, მაშინ ძნელი არ უნდა იყოს ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების გაგება ბრალის ცნებაში ე. წ. ფორმალურ დანაშაულთა დროს.

ავიღოთ მაგალითად, ისეთი ფორმალური შემადგენლობის მქონე დანაშაული, როგორიცაა სამშობლოს ღალატი (საქართველოს სსრ სსკ 65-ე მუხლი). სამშობლოს ღალატის, როგორც დანაშაულებრივი ქმედობის დამთავრებისთვის სრულებით არ არის საჭირო იმ ზიანის დადგომის მტკიცება, რაც ამ ქმედობის შედეგად ხელყოფის ობიექტმა განიცადა და როგორიცაა სსრ კავშირის საგარეო უშიშროების შესუსტება, მაგრამ მიუხედავად ამისა პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ბრალის ცნებაში თანახმად კანონისა ამ შედეგისადმიც არის აღიარებული, რასაც როდი უარყოფენ საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაშიც¹⁷.

ავიღოთ კიდევ ისეთი ფორმალური შემადგენლობის მქონე დანაშაული, როგორიცაა ანტისაბჭოთა აგიტაცია და პროპაგანდა (საქართველოს სსრ სსკ 71-ე მუხლი). ისე, როგორც სამშობლოს ღალატის დროს, ასევე აქაც დანაშაულის დამთავრებისთვის არ წარმოადგენს აუცილებელს იმ ზიანის დადგომის მტკიცება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სსკ 71-ე მუხლის დისპოზიციაში და რაც გამოიხატება საბჭოთა ხელისუფლების ძირის გამოთხრაში ან შესუსტებაში, მაგრამ პირის ფსიქიკური დამოკიდებულება აქ ბრალის ცნებაში სხვა გარემოებებთან ერთად ამ შედეგის მიმართაც არის მიჩნეული, რაც გაზიარებულია აგრეთვე საბჭოთა კრიმინალისტების მიერაც¹⁸.

ფორმალურ დანაშაულობებში განზრახვის ზემოაღნიშნული გაგების ერთ-ერთ დამადასტურებელ გარემოებად ზოგიერთ კრიმინალისტს მოყავს ცილისწამება (რსფსრ სსკ 130-ე მუხლი). „ე. წ. ფორმალურ დანაშაულობათა ჩადე-

¹⁷ См. Советское уголовное право. Часть особенная, М., 1964, стр. 34; Уголовное право. Часть особенная, М., 1969, стр. 27; Курс Советского уголовного права, М., 1970, т. 4, стр. 86—87; Курс Советского уголовного права. Часть особенная, Л., 1973, т. 3, стр. 124—128 и др.

¹⁸ Советское уголовное право. Часть особенная, М., 1964, стр. 43; Уголовное право. Часть особенная, М., 1969, стр. 36; Курс советского уголовного права, М., 1970, т. 4, стр. 119—120; Курс советского уголовного права, часть особенная, Л., 1973, т. 3, стр. 172 и др.

ნის დროს, — ნათქვამია მაგალითად, 1964 წელს მოსკოვში გამოცემულ საბჭოთა სისხლის სამართლის სახელმძღვანელოს ზოგად ნაწილში, — პირი ჩაითვლება რომ მოქმედებდა განზრახ თუ მისი ცნობიერება მოიცავს მის მიერ ჩადენილი მოქმედების ან უმოქმედობის ხასიათს, რამდენადაც თითონ ეს მოქმედება ან უმოქმედობა ქმნის მოცემული დანაშაულის შემადგენლობის ობიექტურ მხარეს. მაგალითად, ცილისწამების დროს (რსფსრ სსკ 130-ე მუხლი) დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ ის ავრცელებს სხვა პირისთვის სახელის გამტეხ მონაჭორს“¹⁹.

მაგრამ განზრახვის ასეთი გაგება, როგორც სხვა, ისე ამ დანაშაულშიც ეწინააღმდეგება საფუძვლების მე-8 მუხლის შინაარსს და ამდენად არასწორია. როგორც არაერთხელ ითქვა განზრახვა სისხლის სამართალში კანონმდებლის განსაზღვრის მიხედვით არა მარტო ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებით ამოიწურება, არამედ ამასთან ერთად იგი შეიცავს აგრეთვე ამ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგის გათვალისწინებასაც და მისი დადგომის სურვილს ან შეგნებულად დაშვების აუცილებლობასაც. ისე, როგორც სხვა განზრახ ჩადენილ დანაშაულში, ასევე ცილისწამებაშიც განზრახვის ასეთი გაგების უარყოფა ყოვლად დაუშვებელია. და ეს არა მარტო იმიტომ, რომ კანონმდებლის მიერ მოცემული განზრახვის გაგება არ გვაძლევს ამის უფლებას, არამედ თვით ამ დანაშაულის ბუნების თვალსაზრისითაც.

როგორც ცნობილია, ცილისწამების, როგორც დანაშაულებრივი მოქმედების ობიექტს ადამიანის პატივი და ღირსება წარმოადგენს, ხოლო იმ საზოგადოებრივად საშიშ შედეგს, რომელიც აღნიშნულ ობიექტში უნდა დადგეს ცილისწამების შედეგად იქნება ამ პატივის და ღირსების დამცირება. ბუნებრივია, რომ ცილისწამებით გამოწვეული საზოგადოებრივად საშიში შედეგის ასეთი გაგების შემდეგ განზრახვის ცნება უნდა შეიცავდეს პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ამ შედეგისადმიდაც.

მართალია რსფსრ სსკ 130-ე მუხლის დისპოზიციაში, სადაც ლაპარაკია ცილისწამების შესახებ ნათქვამია, რომ დამნაშავე შეგნებულად უნდა ავრცელებდეს მონაჭორს, რომელიც სახელს უტეხს სხვა პირს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ განზრახვა ამ დანაშაულში თითქოსდა ამით უნდა ამოიწურებოდეს. ძნელი არ უნდა იყოს იმის გაგება, რომ დისპოზიციაში მოცემული გამოთქმა, რომლის მიხედვით დამნაშავე შეგნებულად უნდა ავრცელებდეს მონაჭორს ნახმარია არა იმ მიზნით, რომ ამით ამოიწუროს განზრახვის გაგება ცილისწამებაში, არამედ სულ სხვა გარემოებათა გამო.

როგორც უკვე ითქვა, ცილისწამებით გამოწვეულ საზოგადოებრივად საშიშ შედეგს მხოლოდ ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვა წარმოადგენს. მაგრამ ადამიანის პატივის და ღირსების შელახვა შესაძლებელია არა მარტო მაშინ, როდესაც პირი შეგნებულად ავრცელებს მის შესახებ მონაჭორს, არამედ მაშინაც, როდესაც ასეთი სახელის გამტეხი ცნობები სინამდვილეს შეეფერება, ან კიდევ მაშინაც, როდესაც სხვა წყაროდან მიღებულ ცნობებს პირი თვლიდა ნამდვილად, მაგრამ იგი ფაქტიურად ცრუ აღმოჩნდა. თავისთავად ცხადია, რომ როგორც ერთ ისე მეორე შემთხვევაში, მიუხედავად ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვისა, ცილისწამების შემადგენლობა არ არ-

¹⁹ Советское уголовное право. Общая часть, М., 1964, стр. 128—129.

სებობს და ამდენად პირის მოქმედება ამ მიმართებით არ შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს. ცილისწამებად ჩაითვლება მხოლოდ ისეთი სახელის გამტეხი ცნობების გავრცელება, რომელსაც პირი შეგნებულად თხზავს და რაც სინამდვილეს არ შეეფერება. სწორედ ამ გაგებით არის რსფსრ სსკ 130-ე მუხლის დისპოზიციაში ნათქვამი „ცილისწამება, ესე იგი შეგნებულად მონაჭორის გავრცელება, რომელიც სახელს უტეხს სხვა პირს“ და არა იმ მიზნით, რომ ამით თითქოსდა ამოიწუროს განზრახვის გაგება ამ დანაშაულებრივ მოქმედებაში.

ისმის კითხვა: შეიცავს თუ არა ცილისწამების დროს განზრახვა სხვა პირის პატივისა და ღირსების შელახვის სურვილს? რა თქმა უნდა შეიცავს, რომელ ცილისწამებელსაც არ უნდა ვკითხოთ რა სურს მას შეგნებულად მონაჭორის გავრცელებით იგი უსათუოდ გვიპასუხებს, მეორე პირის პატივისა და ღირსების შელახვა. და ეს ბუნებრივიცაა, სწორედ იმიტომ ავრცელებს დამნაშავე წინასწარი შეცნობით მონაჭორს, რომელიც სახელს უტეხს სხვა პირს, რომ მას სურს ამ მონაჭორის გავრცელებით შელახოს მეორე პირის პატივი და ღირსება და არა იმიტომ, რომ გაავრცელოს ასეთი მონაჭორი და ამ შედეგის დადგომის მიზანი კი არ ჰქონდეს. ამიტომ სწორია ბ. ფურცხვანიძე, როდესაც წერს, რომ ცილისწამების დროს დამნაშავე მიზნად ისახავს დაზარალებულის სახელის გატეხას²⁰.

შეიძლებოდა სხვა ე. წ. ფორმალურ დანაშაულთა სუბიექტური მხარის განხილვაც, მაგრამ საყურნალო სტატიის მოცულობა ამყამად ამის შესაძლებლობას არ გვაძლევს. ისე კი ერთ გარემოებას მაინც უნდა გაეცვას ხაზი. თუ კი ყოველი დანაშაულებრივი ქმედობა იწვევს საზოგადოებრივად საშიშ შედეგს ან ამ შედეგის დადგომის რეალურ შესაძლებლობას, მაშინ რატომ არ უნდა ჰპოვოს ამ უკანასკნელმა ასახვა დანაშაულის სუბიექტურ მხარეში ყველა შემთხვევაში? რატომ არ უნდა გაირკვეს ყოველთვის რა ფსიქიკური დამოკიდებულება ჩამოაყალიბა პირმა ამ შედეგისადმი დანაშაულის ჩადენის მომენტში და რა ადგილი ეკუთვნის მას ბრალის ცნებაში?

ისმის კითხვა, მაინც რა შეცდომებს იწვევს ე. წ. ფორმალურ დანაშაულობებში ბრალის ცნებიდან ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების ამორიცხვა?

იგი პირველ რიგში იწვევს პირდაპირი განზრახვის იმ ინტელექტუალური ელემენტის უარყოფას, რითაც ამოწურავენ ბრალის ამ სახეს დანაშაულის ფორმალური და მატერიალური დაყოფის მომხრე კრიმინალისტთა უმრავლესობა და რაც გამოიხატება ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებაში.

როგორც ცნობილია, ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება ეს არის ნაწარმოები სოციალური მომენტი ბრალის ცნებაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი პირმა უნდა შეიგნოს არა იმ საფუძველზე და იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ქმედობა კანონით აკრძალულია, არამედ იმის საფუძველზე თუ რა საზოგადოებრივად საშიში შედეგი მოსდევს მას ან შეიძლება მოყვეს კანონით დაცულ ობიექტისადმი.

ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროება, როგორც ეს საბჭოთა იურიდიულ

²⁰ ბ. ფურცხვანიძე, საბჭოთა სისხლის სამართალი, განსაკუთრებული ნაწილი, თბილისი, 1966, გვ. 211.

ლიტერატურაში გაბატონებული შეხედულებითაც დასტურდება გამოიხატება მასში, რომ იგი ან ზიანს აყენებს კანონით დაცულ ობიექტს ან და ქმნის ამ ობიექტისადმი ზიანის დადგომის საფრთხეს. ამიტომ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათი რომ იცოდეს პირმა, საჭიროა ჯერ იცოდეს ეს გარემოება. ხოლო თუ პირმა ვერ ასახა და ვერ გაიგო აღნიშნული გარემოება, მაშინ იგი ვერასოდეს ვერ გაიგებს ქმედობის საზოგადოებრივად საშიშ ხასიათსაც.

როგორც ვხედავთ, ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნებას წინ უსწრებს ამ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგის გათვალისწინება, როგორც მისი წარმოშობის აუცილებელი წინაპირობა. ამიტომ ე. წ. ფორმალ დანაშაულობებში პირდაპირი განზრახვის ცნებიდან ქმედობის საზოგადოებრივად საშიშ შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების ამორიცხვა ლოგიკური აუცილებლობით იწვევს ამ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნების უარყოფას და ამით პირდაპირი განზრახვის როგორც ბრალის ერთერთი სახის უარყოფასაც.

შემდეგ, ე. წ. ფორმალურ დანაშაულობებში ბრალის ცნებიდან ქმედობის საზოგადოებრივად საშიშ შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების ამორიცხვა იწვევს სხვა შეცდომასაც.

როგორც დავინახეთ, დანაშაულის ფორმალური და მატერიალური დაყოფის მომხრე კრიმინალისტებს დანაშაულებრივი ქმედობისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ე. წ. ფორმალურ დანაშაულობებში ფაქტიურად გამოუღიბო მისი მართლწინააღმდეგობის მიმართ, რამდენადაც ამ ქმედობის საზოგადოებრივად საშიში ხასიათის შეგნება მათ მიერ ბრალის ცნებიდან, არსებითად გამორიცხულია, რასაც როდი უარყოფს ამ შეხედულების მომხრე ზოგიერთი კრიმინალისტი. ასე მაგალითად, ი. გ. ფილანოვსკის მოსაზრების მიხედვით „საპატიო მიზეზების გარეშე ავადმყოფისათვის პირის მიერ დახმარების აღმოუჩენლობის დროს, რაც კანონის ან სპეციალური წესების მიხედვით მისთვის სავალდებულო იყო (რსფსრ სსკ 128-ე მუხლის 1-ლი ნაწილი) ბრალი განისაზღვრება სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულებით მხოლოდ ავადმყოფისათვის დახმარების აღმოუჩენლობის ფაქტისადმი“²¹.

გარდა იმისა, რომ ქმედობისადმი ასეთ ფსიქიკურ დამოკიდებულებას პირდაპირი განზრახვის საკანონმდებლო განსაზღვრა არ იცნობს იგი პრაქტიკაში იწვევს უხეშ შეცდომებსაც. ამ შეხედულების მიხედვით გამოდის, რომ პირი ასეთ დროს ყველა შემთხვევაში უნდა დაისაჯოს სისხლის სამართლის წესით იმისთვის, რომ მას შეგნებული ჰქონდა რა თავისი ქმედობის მართლწინააღმდეგობა მიუხედავად ამისა მაინც ჩაიდინა იგი. ეს კი არსებითად ეწინააღმდეგება არა მარტო საფუძვლების მე-7 მუხლის მე-2 ნაწილის შინაარსს, არამედ ამავე საფუძვლების მე-13 (აუცილებელი მოგვრიება) და მე-14 (უკიდურესი აუცილებლობა) მუხლების მოთხოვნებსაც.

დასასრულ, ბრალის ცნებიდან ქმედობის საზოგადოებრივად საშიშ შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულების ამორიცხვას, როგორც საერთოდ, ისე ე. წ. ფორმალურ დანაშაულობებშიც სხვა შეცდომაც მოსდევს. მაგალითად, თუ გამოვალთ იქედან, რომ ბრალის ცნებაში ქმედობის საზოგადოებრივად საშიშ შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება არ არ-

²¹ И. Г. Филиановский. Социально-психологическое отношение субъекта к преступлению, Л., 1970, стр. 149.

სებობს ამ დანაშაულობებში, მაშინ შეუძლებელია დავადგინოთ მტრის მხარეზე გადასვლის დროს სამშობლოს დალატთან გვაქვს საქმე (საქართველოს სსრ სსკ 65-ე მუხლი), თუ ნებაყოფლობით ტყვედ დანებებასთან (საქართველოს სსრ სსკ 282-ე მუხლი), რამდენადაც იქაც და აქაც მტრის მხარეზე გადასვლა ამ დანაშაულთა ობიექტური მხარის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს. ან კიდევ, ანტისაბჭოთა ავიტაციისა და პროპაგანდის დროს პირი ჩადის საქართველოს სსრ სსკ 71-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, თუ მისი ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 75-ე მუხლით (ეროვნული და რასობრივი თანასწორფლებიანობის დარღვევა) და სხვ.

ისმის კითხვა: რომელია ის საზოგადოებრივად საშიში შედეგი ყოველ კონკრეტულ ფორმალურ დანაშაულში, რომლისადმიდაც აღიარებულია კანონით გათვალისწინებული პირის ფსიქიკური დამოკიდებულება?

ასეთ შედეგად, როგორც წესი უნდა ჩაითვალოს ის შედეგი, რომელიც უნდა დადგეს ანდა შეიძლება დადგეს ყოველი კონკრეტული დანაშაულის უშუალო ობიექტში, ხოლო დაადგენს რა ამ შედეგს (და არა მის დადგომას), შემდეგ სასამართლო ვალდებულია ამტკიცოს დანაშაულის ჩადენის მომენტში პირმა რა ფსიქიკური დამოკიდებულება ჩამოაყალიბა მისდამი.

ამრიგად, ყველა საფუძველი გვაქვს დავასაბუთოთ, რომ ბრალის ცნებაში ქმედობის საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი პირის ფსიქიკური დამოკიდებულება ყოველთვის არსებობს და მისი უარყოფა არ არის სწორი.

მავნე ზრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლისა და წეს-ჩვეულებების თანდათანობით და განუხრებლად დანერგვა დიდი სოციალური და კულტურული მნიშვნელობის პრობლემაა.

ახალი აღმართის აღზრდა არ შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც სტიქიური პროცესი, რომელიც თვითღონებით მიგვიყვანს სასურველ მიზნამდე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში — „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლას გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“ სამართლიანად არის აღნიშნული, რომ საქირთა აქტუური, მიზანდასახული და მეტად მრავალმხრივი აღმზრდელობით მუშაობა წარსულის მავნე გადმონაშთების დასაძლევად. დროა გაბედულად უარა ვთქვათ ყოველივე მავნესა და დრომოჭმულზე, რომელიც ჩვენი საზოგადოების წინსვლას ხელს უშლის. ამასთან რაოდენ მავნე და დრომოჭმულიც არ უნდა იყოს ტრადიცია, ხელის ერთი დაკვრით მისი მოსპობა შეუძლებელია. საქირთა უარსაყოფი, საზოგადოებისათვის მავნე წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ გულმოდგინე, ხანგრძლივი და ბოლომდე შეუპოვარი ბრძოლა. ამ ბრძოლაში დიდი მნიშვნელობა ექნება მაგალითის ძალას. თუ ჩვენი საზოგადოების მოწინავე აღმართები ხელმძღვანელებში შეიბრძოლებიან მავნე ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს, ეს გამარჯვების დიდი საწინდარი იქნება. კარგადაა ნათქვამი, რომ კატა ხელთათმანებით თავს ვერ დაიჭერსო. მარტო წერილების წერით საქმეს ვერ ვუშველით. საქირთა მაგალითით პრობლემა ექნება საბჭოთა ხელისუფლებას პირველხარისე წლებში ძველი, მავნე ადათ-წესებისადმი უარის თქმას მაშინდელი მოწინავე კომუნისტები თავიანთ მოვალეობად თვლიდნენ. მაგრამ ძველი, მავნე ადათ-წესების წინააღმდეგ ბრძოლა შენედა. დავიწყეს ჭირ კიდევ ამ სამოცდაათი წლის წინათ ხალხის მოწინავე ნაწილის მიერ წა-


მოყენებული ღოწუნგი „ზურგი ვაქციოთ ძველ ადათ-წესებს“.

მავნე ტრადიციებიდან და წეს-ჩვეულებებიდან ზოგს დიდი ხნის წარსული აქვთ და პირველყოფილ-თემური წყობილების ხანებიდან მომდინარეობენ. მაგალითად, სისხლის დების ანუ შურისძიების ჩვეულება. საზოგადოებისათვის მეტად მავნე ეს ჩვეულება ძველი აღმოსავლეთის ზოგიერთ მონათმფლობელურ სახელმწიფოშიც კი აღმოუფხვრიათ. სამურაბის ცნობილ კოდექსში, რომელიც სამი ათას შვიდასზე მეტი წლის წინათაა შედგენილი, უკვე აღარა ჩანს სისხლის ადების ჩვეულება, თუმცა მას რაღაც ფეოდალური ხანის კოდექსებშიც კი ვხვდებით.

აკად. ბ. ა. ტურევის სამართლიანი თქმით, „სამურაბის კოდექსისათვის დამახასიათებელია თითქმის მთლიანად უარის თქმა საჯარეულო შურისძიებაზე. ეს მიუთითებს კარგად ორგანიზებულ კულტურული სახელმწიფოს არსებობაზე, რომელმაც თავის ხელში აიღო ქვეშევრდომთა დაცვა და მკვლელების დასჯა. თვითგასწორებას ასეთ საზოგადოებაში ადგილი არა აქვს“.

და რარიც დასაწინაა, რომ იშვიათი გამოცემის სხობი, მაგრამ მაინც სისხლის ადების ჩვეულებას ზოგან დღემდე შემოუნახავს თავი. ცხადია, ასეთი უძველესი დროიდან მომდინარე მავნე ჩვეულებებისათვის ადგილი აღარ უნდა იყოს არამარტო სოციალისტურ, არამედ საერთოდ ცივილიზებულ საზოგადოებაში. ასევე მიუღებელია და დასაგმობია კავკასიელ მთიელებში ოდესღაც გავრცელებული საცოლის მოტაცების ჩვეულება.

ფეოდალური ხანის ბარის საქართველოში უკვე არ არსებობდა ურვადით ცოლის შერთვის ჩვეულება. რაც შეეხება საქართველოს ზოგიერთ მთიან მხარეს, აქ ვაუები XIX საუკუნის პირველ ნახევარშიც კი ურვადს იხდიდნენ საცოლის გამოსასყიდად. ურვადის გადახდა სწორად საქონლის — ძროხების სახით ხდებოდა.



ურვადათ ცოლის შერთვის წესის შესახებ ცნობა დაცული აქვს ცნობილ ქართველ მწერალს ალ. ყაზბეგს „ელგუჯაში“. ელგუჯასა და სვიმონს შორის ქალის თაობაზე დადსთან დაკავშირებით განჩინებს ერთ-ერთი პუნქტი ასეთი იყო: „ქალი ღარჩეს სვიმონს, როგორც ნასყიდი; და თუ ელგუჯამ წაყვანა მონიღომა, ურვადათ გადაეწაღოს ორმოცი ძროხა“ (თხზ., ტ. I, 1946, გვ. 67).

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის მთიულეთში ქართველი კანონმდებელი კრძალავდა ე. წ. ქვრივის „დაძახებით შერთვას“. საკანონმდებლო ძეგლში, რომელსაც „ბარისა და მთიულთა ადგილთა განჩინება“ ეწოდება, ნათქვამია: „ღღუეს იქით დაძახებით ქვრივის შერთვა აღარ იქნება არას კაცისაგან, რომელსაც კაცის შერთვა ქვრივის ნება იყოს, ის უნდა შეირთოს“-ო.

ჯერ კიდევ ფეოდალურ საქართველოში კანონმდებელი ებრძოდა ქალის პიროვნების დამამცირებელ წესჩვეულებას — ქვრივი ქალის „დაძახებით“ შერთვას. წინათ სხვში არსებული ჩვეულების მიხედვით, თუ ახალგაზრდა ქალი დაქვრივდებოდა და ეს უკანასკნელი ვინმეს მოეწონებოდა, მაშინ მთხოვარი სახლის ბანზე ავიდოდა, თოფს გაისვრიდა და დაძახებდა, რომ ესა და ეს ქვრივი (დასასწებლა) მე მომწონს და არავინ შეირთოსო. პროფ. ს. მაკალათიას ცნობით ამის შემდეგ ქვრივის შერთვა სხვას არ შეეძლო, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გამოიწვევდა მტრობასა და შურისძიებას (იხ. ს. მაკალათია, ხევი, 1984, გვ. 165-166).

ქვრივის დაძახებით შერთვის წინააღმდეგ კანონი დაწერილი იყო ლევან ბატონიშვილის მიერ და იგი პროკრესისტის ქვეყნის ბრძოლის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. ყოველ შემთხვევაში ფეოდალურ საქართველოში ტრადიციების სფერო რაღაც ხელშეუხებელ, სოციალურ-ყოფით ავტონომიად არ მიაჩნდათ და იგი საკანონმდებლო რეგულირებას ექვემდებარებოდა. ასევე თავის ქვეშევრდომთა ყოფის სფეროში აქტიურად ერეოდა აგრეთვე ძველი საბერძნეთის და რომის კანონმდებლობა. ცნობილია ბერძნული და რომაული კანონები ფუფუნების წინააღმდეგ, უცოლშვილობის აღსაკვეთად, მრავალშვილიანობის წასაქეზებლად. ავგუსტუსის კანონმდებლობით სახელმწიფო თანამდებობების დაკავების დროს უპირატესობა ეძლეოდათ იმათ, ვისაც შვილები ჰყავდათ. კონსული, რომელსაც შვილები ჰყავდა, თვითონ ირჩევდა სამართავ პროვინციას. უცოლოების სამემკვიდრეო უფლებებზე შეზღუდული იყო. ქვრივებს ევა-

ლებოდათ მეორედ დაქორწინება. ძველი რომაელის ყოფა-ცხოვრება ზნეობრივ ცენზურას იქამდე ექვემდებარებოდა, რომ ზოგიერთი სახეობის ფუფუნების საგნის წარმოება და მისაღება იკრძალებოდა. მდიდარ რომაელს ეკრძალებოდა ფუფუნებისა და გარყვნილების მიზნით მოხმარება ქონებისა.

ზოგი რამ დასაგამობი წესჩვეულებებიდან ფეოდალური ხანაშია წარმოშობილი.

მაგალითად XIV საუკუნის კანონმდებლის ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნის 84-ე მუხლის მიხედვით — „ქორწილისა სანიჭარი ვალია კაცისაგან კაცსა ჴედა; აგრევე საჭირისუფლო შესაწევარიცა ვალია, — წაზურგა მიცვალებულისა და სხვა მისაღებელიცა. და სამღურავით რასათ ვისმე დაჭირვასა არას ემართლების, თუ არა ოდესღაცა გაიბჭობიან; დაურვებას ემართლების დაუკლებლად“.

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი სოციალური ყოფის საკითხებს არ თვლიდა ისეთ ხელშეუხებელ სფეროდ, რომელიც საკანონმდებლო მოწესრიგებას არ ექვემდებარება. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ სხენებული საკანონმდებლო ნორმა გარკვეულად კლასობრივი შინაარსით იყო გახდენილი. ფეოდალურ ქვეყანაში გლეხობას ევალებოდა თავისი მებატონის ოჯახში ქორწილისა და მიცვალებულის გასვენების ხარჯებში მთელი მონაწილეობა.

რაც უფრო მაღალი წოდების იყო კაცი, მით მეტი პატივით უნდა დამარხულიყო, თავადის სულის სამახსურისათვის სამღვდელობას კარგი შემოსავალი ერგებოდა.

1669 წელს შედგენილ ე. წ. „წილენელის სარგოს“ მიხედვით „მუხრანის ბატონი რომ მიიცვალოს, საწირავსა და ნიშანს, ერთსა გარდასახურავს წილენელს მისცემენ. სხვას მთელ ნიშანს როგორც მართებულთა, ბატონთა კათალიკოზი წაიღებს“.

თუ წილკანში ვინმე უზიარებლად ან მოუნათლავად მოკვდებოდა, წილენელს დამწავისაგან „საკანონოდ“ ერთი ხარი ერგებოდა. თუ ციხებდავს მსახური მოკვდებოდა ვინმე, წილენელს საწირავად ერგებოდა ცხენი „თავისი იარაღით“.

თუ ძალისს ზედგენიძემების სახლის უფროსი კაცი გარდაიცვლებოდა, წილენელისათვის უნდა მიერთმიათ შეკაშმული ცხენი, „სუფრის იარაღი“ თავისი თასით. და ეს ყველაფერი ოფიციალური დოკუმენტით იყო დადასტურებული და ფიქსირებული.

ფეოდალურ საქართველოში, საკმაოდ განვითარებული ნატურალური მეურნეობის პი-

რომლებში ქორწინებას, განსაკუთრებით მოსახლეობის საშუალო და მაღალ ფენებში, ეკონომიკური გარემოს ხასიათი ჰქონდა. ქალს გათხოვებისათვის ესაჭიროებოდა მშობევი, რომელიც ჩვეულებრივ შესდგებოდა მოძრავი ქონებისაგან. იშვიათ შემთხვევაში შეიძლებოდა ადგილ-მამულიც შეეცათ.

ქორწინებას თან ხდებდა წვეთულება და ღრეობა. ქორწინებამდე ცალკე ხარჯებს ითხოვდა „დაწინდვაც“. ძველ საქართველოში მოსახლეობის დაბალ ფენებში, გლეხობაში, ხელოსნებში და ა. შ. ქორწინება წარმოგვიდგება, როგორც ოჯახისათვის ეკონომიკურად სამძიმო ღონისძიება.

რაც შეეხება გაბატონებულ წრეებს, მათი ქორწილის და „ტირილის ხარჯები“ მხრებზე აწვიათ გლეხობასა და მოსახლეობის სხვა უშუალოდ მწარმოებელ ფენებს. ძველ საქართველოში მეფეებისა და გაბატონებულ წოდებებისთვის დამახასიათებელი იყო ქორწილი, რომელიც რამდენიმე დღეს გრძელდებოდა.

„ვეფხისტყაოსანში“ მოთხრობილია, თუ როგორ გადაიხადეს ტარიელისა და ნესტან-დარეჯანის ქორწილი ფრიდონის სამფლობელოში. ქორწილი რვა დღეს მიმდინარეობდა და სანიჭარიც მრავალი გაიცა.

ფრიდონისგან უსაზომო ქორწილია დღესა რვასა, ყოვლთა დღეთა მიართმიდეს უფასოსა ძღვენსა მასა“ (1468).

„ვეფხისტყაოსანიდან“ ჩანს, რომ ქორწილის დროს მაყრიონიც მრავალიცხოვანი იყო და ამიტომაც მაყრების მოხვეწება ცალ-ცალკე შეუძლებელი ხდებოდა. სატელთა მოციქულები, როგორც რუსთაველი ამბობს „ერთგან დაწვეც ვით მაყრები“ (სტრ. 481).

უფრო გვიანდელი ცნობებით დასტურდება რომ რუსთაველის პოემაში ასახული საქორწილო წეს-ჩვეულებათა რვალიები მეფე-მთავართა ვიწრო წრის ფარგლებს ვასცილებია.

გვიანი შუა საუკუნეების ეპოქის ქართული წყაროებიდან ჩანს, რომ საქართველოში მოსახლეობის იმ ფენებში, რომლებიც სხვისი შრომის ექსპლოატაციით ცხოვრობდნენ ქორწილი სამ, შვიდ და ზოგჯერ ცხრა დღესაც კი გრძელდებოდა. საქართველოს მეზობელ თურქეთშიც, ჰამმერის ცნობით, საქორწილო ზეიმი შვიდ დღეს გრძელდებოდა. აკად. ვ. გორდღევსკის აღნიშნული აქვს, რომ ოსმალური ზღაპრების მიხედვით დღევ-

ბულთა წრეში საქორწილო ღონის ორმოც დღესაც კი გრძელდებოდა.

ცხადია, გლეხი და ხელოსანი, თავისი შრომით რომ ცხოვრობდა, დიდ საქორწილო ღონის და ღრეობას ვერ მოაწყობდა და მრავალი დღის მანძილზე ვერ გაუმასპინძლებოდა მრავალრიცხოვან სტუმრებს.

რაც შეეხება მეფეთა ქორწინებას, აქ ქორწილის დღეთა სიმრავლე ზოგჯერ მართლაც ზღაპრულ ციფრებს აღწევდა. მეფე — პოეტს — არჩილს აღწერილი აქვს თეიმურაზ მეფის ქორწილი, რომელიც თურმე ორმოც დღეს გრძელდებოდა. არჩილი ათქმევინებს თეიმურაზს:


„ენა ვით იტყვის მაშინდელს ჩემსა ღონისა და შვებასა“?
ორმოც დღეს ქორწილობასა, სიხარულს არ თუ ვებასა“ (291).
„თორღას ვიდექით ოდეს ვქენ ქორწილი გამორჩენება.
ცხადათ არ დაიჭრება, თუ იყო ძილ-მოჩვენება,
მუნ ორმოც დღემდის ზედა-ზედ სმა, ღონისი, არ მოსვენება,
ბურთობა, ყაბახის სროლა, ვის რა ასპარეზს ენება“ (292).

ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძის ცნობით თეიმურაზ მეფის ქორწინების დროს, როდესაც მან გურიელის ასული შეირთო, „სამ თვეს ღონის, ბურთობა და ნადირობა“ გაგრძელებულა. კახელები, პატარძლის მაყრებს „ყველას კარგად დახვდნენ და მრავალი საჩუქარი მიათვეს, ამდენი, რომ გაკვირვებულნი წავიდეს და ახლაც გურიაში მაყრების საჩუქრებისაგან რომ მიუტანიათ, სიბევრე გაკვირვებით იხხენიების“-ო.

ფეოდალურ საქართველოში, როგორც ვთქვით, ქორწილი დიდ ხარჯებთან იყო დაკავშირებული. აქედან გასაგებია, რომ ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნიც გვერდს არ უვლის მის მოწესრიგებას. კანონმდებელი ადგენს, რომ ქორწილის დროს, ისევე როგორც ლაშქარს წასვლის და მიცვალებულის გახვეწებისას („წახურვა მიცვალებულისა“), მეზობლები და ნათესავები ერთმანეთს უნდა დაეხმარონ ეკონომიურად.

სავალდებულო „სანიჭარის“ დაწესებით კანონმდებელი ცდილობდა გადაერჩინათ ოჯახების არც თუ ისე მცირე რიცხვი, ქორწინების ხარჯთა ტვირთის ქვეშ გაქცეუტისაგან.

„სანიჭარის“ ჩვეულება, რომელიც ბექა



მანდატურთუხუცესმა კანონის ხარისხში აიყვანა, ტრადიციათა კონსერვატიულობის მეშვეობით სამხრეთ დასავლეთ საქართველოში მეოცე საუკუნის ოციან-ოცდაათიან წლებშიაც კი არსებულია.

ასე აქვს იგი დადასტურებული ეთნოგრაფს, აწ განხვეწებულ პროფ. სერგო მაკალათიას.

ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე შესაძლებელი ხდება უფრო დანერგვით დადგინდეს „სანიჭარის“ შინაარსი, ვიდრე ამის შესაძლებლობას ბეჭა მანდატურთუხუცესის სამართლის წიგნი იძლევა.

ეკლესიაში გვირგვინის კურთხევის ცერემონიალის შესრულების შემდეგ იწყებოდა „ქორწინება“ ანუ ქორწილი.

ქორწილი იმართებოდა, როგორც სარძლოს ისე სასიძოს სახლში. სარძლოს მშობლები თავის მხრივ ქორწილში დამპატივებდნენ ახლო ნათესავებს, თავის „განაყოფებს“. ეს უკანასკნელნი ცხადებოდნენ ქორწილში სხვადასხვა საჩუქრებით — „ქორწილის სანიჭარი“. ქორწილის დროს ხდებოდა „სანიჭარის“ დაძახება. ჩვეულებრივ ყველაზე მახლობელი ნათესავი იწყებდა „სანიჭარის დაძახებას“ და უველაზე მეტი ღირებულების „სანიჭარსაც“ ის მოიტანდა. ასეთი შტრიხებით იყო შემოსხენებული ჩვეულება შემონარჩუნებული სამხრეთ საქართველოში მიმდინარე საუკუნის დასაწყისში.

ქალის სახლში ქორწილის დამთავრებისთანვე პატარძლის მოძრავი სახის მშითევი და „სანიჭარი“ ქმრის ოჯახში გადმოქონდათ. სიძის სახლში გამართული ქორწილის დროს დაქორწინებულებს ქმრის მშობლები და მათი ნათესავები მიაერთებდნენ „სანიჭარს“.

საეკლესიო წესით ქორწინებაც გარკვეულ ხარჯებთან იყო დაკავშირებული, რომელიც დაქორწინებულებს უნდა გაედოთ სასულიერო პირებისთვის გასამრჩელოდ.

XIII საუკუნის დასაწყისში, მაგალითად ანელი ხუცესნი ქართველ და ქალკილონიან სომეხ სამწყსოს გვირგვინის კურთხევაში ასეც დრამის ახდევინებდნენ. ამასთან დაკავშირებით მრევლსა და ხუცებს შორის წარმოშობილა უთანხმოება და როდესაც 1218 წელს ეტიფანე კათალიკოსი ქართული ეკლესიის საკურთხეველად ჩავიდა ანისში, იგი იძულებული გახდა მრევლის აზრისთვის ანგარიში გაეწია. „ყოვლად უწყესო არს ადება თუქუნვანცა გურიგუინთა კურთხევისათვის ასისა დრამისა“ო, ეუბნება კათალიკოსი ანისელ მღვდლებს და ადგენს, რომ მომავალში გვირგვინის კურთხევისათვის მხოლოდ მს

დრამა გადახდესო.

„კალმასობაში“ მღვდლების შესახებ ნათქვამია: „ასე რომ მონათლვენ ვისმე, იმ ქმარწილის ნათლიას, ან დედამას გამოართმევენ მოსანათლავსა. დაქორწინებენ ვისმე, საყდრის კარსაც დაუკეტენ, ვინემ არას მისცემენ და ჯვარის საწერსაც გადახდევინებენ. იმასაც არ დასჯერდებიან, სალიჩა და ფარჩაც უნდა ქვენე გაუშალონ მექორწინეთა რა იმათ წაილონ“.

თუ მექორწინე დაბალი, დამოკიდებული ფენის წარმომადგენელი იყო, იგი ბატონის სასარგებლოდაც იხდიდა გამოხადებს.

ამასთანავე დასაქორწინებულთა ერთწოდებრიობის პრინციპი ფეოდალური საქართველოს საოჯახო სამართლის ერთ-ერთი უმთავრესი დებულება იყო.

დაბალი წოდების ხალხს, რომელიც თავისი შრომით თავს ძლივს ირჩენდა, უჭირდა საქორწილო ღვინის გამართვა. ამიტომაც მიღებული იყო, რომ ქორწინებისათვის (ჯვარის დაწერისათვის) ქორწილი არაა აუცილებელიო. დავით გურამიშვილს „ქაცვია მწყემსში“ მღვდელი ამბობს: „ჯვარის დაწერას უქორწილობა მოუშლის ვერას“-ო. უმაგლებს ქალს რომ გათხოვების ნებართვა მიეცო, ამისათვის გადასახდელი უნდა გადაეხადა მეუბატონისათვის. ვანტანგის სამართლის წიგნის 203-ე მუხლის მიხედვით გლეხი კაცის ქვრივის გათხოვების შემთხვევაში იმ ქვრივის წამყვანსან მეუბატონეს „ავს ქვრივსა და კარგს ქურთვუდაც“ ხარი და მარჩილი უნდა გადაუხადოს. მაგრამ მეუბატონეები არა მარტო ქვრივი ქალების გათხოვების დროს იღებდნენ გასამრჩელოს სასიძოებისაგან.

საქორწინო გადასახადი გლეხის ქალებისათვის გათხოვების ნებართვის მიცემისათვის არსებობდა, აგრეთვე თურქეთის მიერ მიტაცებულ საქართველოს მიწა-წყალზე.

მიცვალბულის გახვეწებას ფეოდალურ საქართველოში თან სდევდა მძიმე ხარჯი. ფეოდალები ამ ხარჯს გლეხებს აკისრებდნენ. მიცვალბულის გახვეწების დროს საეკლესიო მსახურისთვის უნდა გადაეხადათ გარკვეული გადასახადი. შეძლებული ფეოდალები მღვდლებს რამდენიმე ძროხის ან ხარის საფასურსაც კი აძლევდნენ.

დავით გურამიშვილი ასე მიმართავს მღვდელს:

„მკვდრისა პატრონსა სიკვდილის დროსა ბევრს ნუ შეუკვეთ სამარხ-სამკვდროსა“-ო.

როგორც „წილწილის სარგოს გარიგებიდან“ ჩანს ეს „სარგო“ საქმოდ დიდი იყო.

ოჯახის ეკონომიურად გამჩანაგებელი ხარჯები მიცვალებულის გავსენებასთან დაკავშირებით ცნობილი იყო აგრეთვე რსებში.

კაპიტალიზმის განვითარებასთან და ბატონყმობის გაუქმებასთან ერთად რიგი ცვლილებები განიცადეს მავნე ტრადიციებმა და წესჩვეულებებმაც. კაპიტალისტურ საზოგადოებისათვის განვითარების პირველ საფეხურზე მაინც დამახასიათებელია მომჭირნეობა. ბურჟუაზიულ წრეებში იშვიათად ხდებოდა ხელგაშლილი ქეიფები, ხალხმრავალი ქორწილები და ქელებები. ასეთი ჩვევები რამდენადმე შეიზღუდა, თუმცა ძველი ტრადიციის ძალა, რომელიც როგორც კ. მარქსი ამბობს, კომშარად აწევს ცოცხალთა ტვინს, კვლავ იგრძნობოდა. ფეოდალური საზოგადოების ფილოსოფია, რომელიც არსებული სიმდიდრის მოხმარებაში მდგომარეობდა, იცვლება ბურჟუაზიული საქმოსნის შეხედულებით, რომ დრო ფულია და ფულმა ფული უნდა აკეთოს.

ხალხმრავალი, წრეს გადასული ქელებების და ქორწილების მავნე ტრადიცია, რომელიც ფეოდალური არისტოკრატის წრეში წარმოიშვა და განვითარდა, უპირაინა რომ გავატანოთ მითოლოგიურ ლეტას — დავიწყების მდინარეს. გადაჭარბებული გლოვა, ტირილი, მძიმე წესჩვეულებითობა დამახასიათებელი იყო მეფეებისა და დიდებულებისთვის.

შოთა რუსთაველის პოემის მიხედვით გლოვის წესი შემდეგნაირად წარმოგვიდგება: მეფის გარდაცვალების შემთხვევაში შავით იმოსებოდნენ ქვეშევრდომნი. როდესაც მეფე ფარსადანი გარდაიცვალა, ინდოეთში ყველამ შავი ჩაიცვა, დიდებულები და ვაჭირნი ფლასით შეიმოსნენ. ნესტან-დარეჯანმა და ტარიელმა მეფის სიკვდილი რომ გაიგეს, არსებული ჩვეულების თანახმად ხმამაღლა ტირილი მორთეს, თმა დაიგლიჯეს, თავს იცემდნენ. პოეტს აღწერილი აქვს გლოვის ქართული წესი ტირილისა, როდესაც ნიშნად გლოვისა ჩვეულებად იყო თმისა და წვერის დაგლეჯა, პირის ხოკვა.

ჩვეულებრივად გლოვა ერთ წელიწადს გრძელდებოდა, როგორც ჩანს, რადგანაც ტარიელი მამის სიკვდილს ერთი წელიწადი გლოვობდა. „მე წელიწადმის ბნელსა ვჯე საწუთრო-გაცულებულნი“-ო, აღნიშნავს იგი, როგორც ვთქვით ერთი წლის გლოვა მამის გარდაცვალებასთან დაკავშირებით საქმაოდ ითვლებოდა და ამ ვადის გავლის შემდეგ

შეგებს იხილდნენ. სამეფო წრეში „გლოვის გახსნა“ — გლოვის დამთავრება საუბიშო წესით, „ქორ-წინწილასა ჰკვრიო“, „დიდი ზაქითი“ აღინიშნებოდა.

როდესაც როსტომ მეფის მეუღლეს — მარიამ დედოფალს გარდაცვალა შვილი, ოტია, რომელიც მას გურიელისაგან ჰყავდა, გლოვა-ტირილი თორმეტს დღეს გაგრძელდა. ქართლის თავად-აზნაურობა გორში დასვენებულ ბატონისშვილის დასატირად მოდიოდა ჯალაბობით, „თვინათი ჭართა და შეძლებითა ზარის თქმით“.

დედოფალი მარიამი, ისტორიკოს ფარსადან გორგიჯანიძის თქმით მკვდარს მიმსგავსებული, სახე დახეული, თმა დაგლეჯილი, შვენება შემოილი, ტანსამოს სისხლით გასვრილი მიწაზე იჯდა — ხალხი ჭერ „დღონე იმედ-დაკარგულ ბატონ დედოფალს“ მოუსამძიმრებდა, მერმე გამდელსა და ჩარიგებით მათს მსლებლებსა, მერმე მეფესა და ჭირის უფლებსა თავადთა და აზნაურთა და მსახურთა და მოხელეთა.

მოსამძიმრეთა და ჭირის მოზიარეთა მოსვლის დროს ხდებოდა გარდასაბურავის გადაფენა.

მეფე-დედოფლის პატივისცემით „ქართველნი ძაძითა და შავით შეიმოსნენ“. მეფემ მიცვალებულის დასაფლავების შემდეგ სააღაპო ძროხა, ცხვარი, თევზი, ხიზილალა, მარილი, სანთელი და საკმეველი იმდენი მოატანინა, რომ ორმოცამდინ მცხეთას იდგინენ; სახსნილო დღეებში ასი ძროხა და ცხვარი დაიკვლოდა, მარხვის დღეებში ათასი ხმელი თევზი გაიჭრებოდა. ორმოცი დღის განმავლობაში დადიანის ასულს — მარიამ დედოფალს მარილიანი ვერ აჭამეს, ქერის პურის მეტი მას არა უჭამია რა.

დედოფალმა შვილის ქონება იერუსალიმს გაგზავნა, საყდრებსა და მონასტერთ შესწირა, „და შვილის საფლავი მოაფენინა“; შვილის გამდელი თავისი მსლებლებით შვილის საფლავზე დააყენა და სარჩო გაუჩინა. თბილისში ჩასულ დედოფალს მოქალაქეებმა შეწვევის და შეძლების ღონით გარდასაბურავი მიართვეს. მეფემაც დიდი ხარჯი გაიღო¹.

ოც წელიწადს დედოფალმა არც ხორცი ჭამა და არც შავი გამოიცვალა. როგორც მკითხველიც შეამჩნევს, საუბუნების მანძილზე საქართველოში გლოვის წეს-ჩვეულებებში ცვლილებები შესულა. XVII საუკუნეში იგი უფრო დამძიმებული ჩანს ახალ

¹ იხ. საქართველოს ცხოვრება, ახალი მოთხრობა 1469 წლიდან, ვიღრე 1800 წლამდე ორ წიგნად აღწერილი, მეორე გამოცემა ზ. ჭიჭინაძის მიერ, თბილისი, 1913, გვ. 309-311.



გაცილებით ანტისოციალური წესჩვეულებებით.

როდესაც მარიამ დედოფლის ძმას — სამეგრელოს მთავარს ლუკან დადიანს შვილი გარდაეცვალა, მამამ (ლევანმა) შვილის ტირილში „ლახტი თავს გადაიკრა და შვილს ზედ დააკვდა დაუშარხავს“².

სიუჟეტი ადამიანის ერთერთ მეტად მნიშვნელოვან სათნოებად ითვლებოდა. ფეოდალურ საქართველოში ყველა ცდილობდა თვისი სიუხვისათვის გაესვა ხაზი გლოვა იქნებოდა ეს თუ ქორწილი. ფეოდალური არისტოკრატის შესაძლებლობა გააჩნდა, რომ უხვი ყოფილიყო ხალხის ხარჯზე. ხოლო მაღალი წოდების წესჩვეულებებისადმი წაბაძულობა აჩანავებდა გლეხობასა და ხელოსნობას, უშუალოდ მწარმოებელთა ფენებს და საერთოდ ღარიბობას.

ქართველი მშრომელების საქორწინო წესჩვეულებაში ბევრი რამ ნახსენებია ქართველი მეფეებისა და ბიზანტიელი იმპერატორების საქორწინო ცერემონიალიდან იქამდე, რომ სიძეს და პატარძალს ქორწინების პირველ დღეებში მიეფხვს და დედოფალს ეძახდნენ.

დიდებულებისა და საერთოდ წარჩინებულის წოდების გავლენამ ქართველი ხალხის წესჩვეულებებში მრავალი ნეგატიური მომენტი შეიტანა.

ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მიღწეულია სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების ისეთი დონე, რომ საკვებით შესაძლებელია მავნე წესჩვეულებებისა და ტრადიციების დაძლევა.

მაგრამ ერთი ხელსაყრელი პირობების არსებობა და მეორე მისი სათანადოდ გამოყენება.

მავნე ტრადიციებთან და წესჩვეულებებთან ბრძოლას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება მიშვედნა წარმატება, თუ იგი ფორმალურ ხასიათს არ მიიღებს. ჩვენს სინამდვილეში ამ ამოცანის შესრულებაში დიდი როლი უნდა შეასრულოს სუბიექტურმა ფაქტორმა, ე. ი. მშრომელთა კომუნისტურმა აღზრდამ, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველ რიგში აღზრდის ქვეშ ჩვენ უნდა ვიგულისხმობთ მაგალითის მიცემით აღზრდა და არა მხოლოდ ლექციების, საგანეთო წერილებისა თუ ბროშურების მეშვეობით აღზრდა.

მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების

დაძლევის შესაძლებლობა გამომდინარეობს ჩვენი საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური სიმწიფიდან და ამდენად იგი არ არის ე. წ. ცარიელი შესაძლებლობა. ეს შესაძლებლობა უკვე გარკვეულად სინამდვილეა. საბჭოთა ადამიანები თავს როლი იტყუებენ ცარიელი შესაძლებლობებით. ისინი ნუგუს სჭიდებენ რეალურ შესაძლებლობასა და სინამდვილეს.

ზოგჯერ გვეუბნებიან, რომ ტრადიციები და წესჩვეულებები ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების უმნიშვნელო ფორმაა. ეს არ არის სწორი. მავნე ტრადიციები და წესჩვეულებები, მართალია ფორმაა, მაგრამ ფორმა, გარდამავალი შინაარსში, ფორმა რომელიც ხელს უშლის ან ხელს უწყობს საზოგადოებრივ პროგრესს.

მავნე ტრადიციებისა და წესჩვეულებების ლიკვიდაციის გზაზე წარმატების ერთერთი მნიშვნელოვანი საწინდარი იქნება აღმზრდელითი მუშაობის განუხრავი შეთავსება იმობიექტური ფაქტორების წინააღმდეგ ბრძოლასთან, რომლებიც ხელს უწყობენ ზემოხსენებულ ანტისოციალური მოვლენების არსებობას სოციალისტური საზოგადოების პირობებში.

ვფიქრობთ, მართებულია არის შენიშნული სამეცნიერო ლიტერატურაში, რომ „საერთოდ ტრადიციის განვითარება დაილაქტიკური პროცესია. ერთი მხრივ, სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობის ტრადიციები არსებითად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მეორე მხრივ — კი, მათ შორის არსებობს გარკვეული მემკვიდრეობითობა, ურომლისოდაც შეუძლებელია საერთოდ განვითარება“.

ტრადიციები, წესჩვეულებები და დღესასწაულები ზოგჯერ ძალიან დიდხანს განაგრძობენ არსებობას მათი უშუალო გამომწვევი მიზეზების ლიკვიდაცია-გაქრობის შემდეგაც. ასე რომ შესაძლებელია კაპიტლისტური საზოგადოებაში არა მარტო ფეოდალური საზოგადოების ტრადიციები და წესჩვეულებების ნაწილი იყოს შენარჩუნებული, არამედ ზოგჯერ მონათმფლობელური და ასე განსაჯეთ პირველყოფილთემური წყობილების წიაღში წარმოშობილი დღესასწაულები და ადა-წესებიც. ტრადიციებისა და წესჩვეულებების წარმოშობა-გაქრობის პროცესი საქმაოდ რთულია. უკლასო საზოგადოებრივ კლასობრივ საზოგადოებაში გა-

² იქვე, გვ. 322.

³ მ. გუგუტიშვილი, თანამედროვე საბჭოთა დღესასწაულები. წესჩვეულებები, ტრადიციები და მათი როლი რელიგიური გადმონაშთების დაძლევაში, იხ. აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე, XXI-XB—, 1972, გვ. 174.

დასვლის შემდეგ, რა თქმა უნდა, ძველი წესჩვეულებების ნაწილი მოიხსნა, ხოლო მათი ადგილი ახალ წარმოშობილმა ადათ-წესებმა დაიკავეს, ზოგამაც შეიცვალა შინაარსი და არსებითად სხვად იქცა, მხოლოდ ძველი ფორმა შეინარჩუნა. კერძო საკუთრების საწყისებზე დამყარებულ საზოგადოებათა სინამდვილეში რიგი ტრადიციები და წესჩვეულებები, ინგლისელების გამოთქმა რომ ვიხმაროთ, რაც უფრო იცვლებიან, მით უფრო ძველებური რჩებიან. ისინი საუკუნეების მანძილზე განაგრძობენ არსებობას. აქ დიდ როლს ასრულებს რელიგიის კავშირი მორალთან. თავდაპირველად მორალს რელიგიისაგან განსხვავებით თავისი სპეციფიკური სოციალური ფუნქციები ასაზრდოებდა, მაგრამ მონათმფლობელურ-ფეოდალურ და კაპიტალისტურ საზოგადოებებში ისინი გადაეწინეს ერთმანეთს და მნიშვნელოვანწილად განაპირობებდნენ ერთიმეორეს. მართალია, მორალი და რელიგია საზოგადოებრივი ცნობიერების სხვადასხვა ფორმებია, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში უპირატესად რელიგია ახდენდა გავლენას მორალზე. დიდი იყო რელიგიის გავლენა ტრადიციებისა და წესჩვეულებების ჩამოყალიბების საქმეში.

ცხადია, ცდებოდნენ ისინი, ვინც ფიქრობდნენ, რომ პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ შესაძლებელია მავნე ტრადიციების, დღესასწაულებისა და წესჩვეულებების სრული ლიკვიდაცია ერთი ხელის დაკვრით, ელვისებურად.

შეცდომა იქნებოდა აგრეთვე გვეფიქრა, რომ ახალი ტრადიციები და წესჩვეულებები შეიძლება წარმოიშვან და დამკვიდრდნენ მოკლე დროში; ახლის დამკვიდრებასაც დროის საკმაოდ ხანგრძლივი მონაკვეთი სჭირდება.

წარსულში (პირველყოფილისა 20-იან წლებში) დაშვებულმა შეცდომებმა რამოდენადმე განაპირობეს ახალი ტრადიციების დამკვიდრების საქმეში გარკვეული წარუმატებლობა.

ცნობილია, რომ 1958 წელს ახალი ტრადიციებისა და წესჩვეულებების ცხოვრებაში დანერგვის საკითხი აღძრა საკავშირო აღკვ XII ყრილობამ. 1959 წლის ბოლო თვეებში გაზეთმა „ივესტრიამ“ გამოაქვეყნა რიგი სტატიები თემაზე: „კარგ ტრადიციებს ჰქმნის ხალხი“.

მრავალი საინტერესო ღონისძიება ჩატარდა მომდევნო წლებშიც. მაგრამ ახალი ტრადიციებისა და წესჩვეულებების დასაწერებად წინ ჯერ კიდევ ბევრი საქმეა.

ცხადია, ყოველივე რაც ძველია, რაც

დამკვიდრდა ხალხის კულტურაში, ყოფასა და ჩვევებში, გადასადგები როდია.

ცნობილია, რომ ქრისტიანობამ, რომელიც ასე შეუპოვრად ებრძოდა თავის დროზე წარმართობას, ბევრი რამ აითვისა ძველ-ალმოსავლური კულტურიდან, განსაკუთრებით კი საკულტო ცერემონიებისა და ვალოზის სფეროში. როგორც აკად. ბ. ა. ტურაევი აღნიშნავდა, მართლმადიდებელ ქრისტიანთა-ზნორქნთა და რუსების ეკლესიების საგალობელნი თავისი მანერით, სტილით და ტონით მოგვგაგონებენ ძველბაზილონურ და ეგვიპტურ ჰიმნებს. და ქრისტიანობამ ამით მხოლოდ მოიგო. მის ხელში აღმოჩნდა მორწმუნეებზე მძლავრი შემოქმედების იარაღი. მორწმუნეთ კოლექტიური გრძნობები ეკლესიამ წარმართ მისთვის სასურველი მიმართულებით.

წარსულის ტრადიციებს უნდა მივუდგეთ ფრთხილად და მეტიმეტი ყურადღებით, მაგრამ მაინც კრიტიკულად. თუ რამ არის მასში ჩვენთვის მისაღები, უნდა დავტოვოთ, ხოლო რაც წინსვლაში ხელს შეგვიშლის, უკუვაგლოთ. არ შეიძლება ზოგიერთი ავტორივით წარსულის ტრადიციები მხოლოდ და მხოლოდ „საზიზღარის“ ეპითეტიტ შევაძყოთ.


წარსულიდან მიმკვიდრეობით მიღებული თუ ახალი ტრადიციები და წესჩვეულებები ისეთნაირად უნდა დაიხვეწოს და მიესადაგოს მგლოვიარე თუ მოწმიდე ინდივიდის და კოლექტივის გულსა და გრძნობას, რომ მასში გაადვივოს „აზრი წმინდა“ და „გულის სიწმიდით ახურებდეს“.

ერთი ჰქონდეს მას საგანი: მარმონია ძისი ნძების, ცხოვრებაში იყოს ბანი, ხან ლხენის, ხან მწუხარების!“

ჩვენ ზემოთ ძველი ქართული ტირილისა და ქორწილის მაგალითებზე ვნახეთ, რომ მასში ჩაქსოვილი იყო დიდი ემოციური შეგავლენის შესაძლებლობა.

როდესაც როსტომ ძემ იმერეთის მეფის აღექსანდრეს მის — მამუკა ბატონიშვილის სიკვდილი შეიტყო მან იგი „ქართველთა და კახთ ჭარით, მხარ-ჩახდითა და თავსცემით“ იტირა, ხოლო მარიამ დედოფალმა „თმა გაშლით, მკლავ-ჩახრით, გულ-მწუხარის ცრემლის ფრქვევითა, მამუკა ბატონის-შვილი მრავლის ქებით ტირილშიგან მოსთქვა და შავის ჩაცმით იგლოვა“.

ასევე დიდი იყო ცერემონიალურ ხანა-



საობითი მხარე რომაელთა ტირილში, როგორც ის აღწერილი აქვს თ. მომზენს.

ძველ ბერძენებში მიცვალებულის გავსენება წარმოადგენდა სამ მოქმედებთან დრამას, რომლის უწვრილმანესი დეტალებიც კი კანონებით და ჩვეულებებით იყო წინასწარ განსაზღვრული.

რაც შეეხება გლოვის მატერიალურ მხარეს, ძველ ათენში ესეც კანონმდებლობით იყო მოწესრიგებული. მიცვალებულის სახლიდან გამოსვენების წინ „დემეტებს“ მსხვერპლს სწირავდნენ. ათენში ბრძენმა სოლონმა კანონის მეშვეობით აკრძალა „დემეტებისათვის“ ხარის შეწირვა რიგ ბერძნულ ქალაქებში კანონი ზღუდავდა მიცვალებულისათვის საჭიროზე მეტი ტანსაცმლის ჩატანებას. სპარტაში მოქმედი კანონით, რომელიც ლიკურგეს ძივერეიოდა, მიცვალებულს ზეთის ხილის ფოთლებით მოსავდნენ და შემდეგ მას მხოლოდ საბრძოლო ლაბადას წააფარებდნენ.

ათენში კანონი აწესრიგებდა მიცვალებულის გამოსვენების წესს. მიცვალებულს წინ მიუძღოდა ქალი ღარნაკით ხელში, რომელსაც საფლავზე უნდა შეესრულებინა დვინის მსხვერპლად შეწირვის რიტუალი. შემდეგ მიდიოდნენ შავებში შემოსილი მიცვალებულის ნათესავები ნათესაობის ძეორე ხარისხის ჩათვლით. უფრო შორეულ ნათესავებს და გარეშეებს ეკრძალებოდათ სამგლოვიარო ცერემონიაში მონაწილეობის მიღება იმ შემთხვევაში, თუ ისინი სამოც წელს არ იყვნენ მიღწეულნი.

გამონაკლისის სახით დაიშვებოდა დაქირავებული მოტირალის მონაწილეობა სამგლოვიარო პროცესიაში. პროცესიას აბოლოებდა ფლეიტაზე დამკვრელების — ფლეიტისტების გუნდი, რომელნიც სამგლოვიარო ბგერებს უსადაგებდნენ ოჯა-

ხის წევრთა მოთქმას. სოლონის გავლენით რომში თორმეტი ტაბულის კანონების მიხედვით ფლეიტისტების რიცხვი იზღუდებოდა ათი კაცით.

სოლონის კანონი ქალებს უკრძალავდა გლოვის დროს სახის ფრჩხილებით დაკაწრას.

მიუხედავად ამისა, რომ ძველ ბერძენებში მიცვალებულს გავსენება უზომო ხარჯებთან არ იყო დაკავშირებული, იგი შთამბეჭდავი სანახაობა იყო და მთელ კოლექტივის განაცდევინებდა საყვარელი ადამიანის გარდაცვალებით გამოწვეულ მწუხარებას.

დიდად შთამავლებელი იყო ძველბერძნული და ძველქართული ქორწინების ცერემონიალის მრავალი მხარე.

ცნობილია, რომ მრავალი ხალხის ქორწინების რიტუალში ხაზგასმული იყო ქალის ყიდვის აქტი. ძველქართული ქორწინების ცერემონიაში პატარძლის პიროვნების პატივისცემის ნიშნები იჩენდა თავს. ეს კარგად ჩანს ვახტანგ ერეკლეს ძე ბატონიშვილისა და მეფე თეიმურაზ მეორის თხზულებებიდან. ბევრი რამ ძველქართული საქორწინო ცერემონიალიდან შენარჩუნების ღირსია, მხოლოდ ზედმეტი ღრეობის, დროისა და მატერიალურ საშუალებათა გადაჭარბებული ფლანგვის ტენდენციები უთუოდ დასავლობია.

მიცვალებულის გაპატიოსნება და „ლამაზად დასაფლავება“, მისი ღირსეულად გაცილება უკანასკნელ გზაზე საჭიროა, მხოლოდ მას უნდა ჩამოშორდეს არაშრომით შემოსავლის მქონე პირთა მიერ ხელოვნურად შეკოწიწებული ჩენჩო, ჩენჩო საოჯახო და საზოგადოებრივი დოვლათის „უხვად“ ხარჯვისა, ქეღებების, და წლისთავების სახით. საჭიროა გადავარდეს აგრეთვე წესი ნათესავებისა და მოყვრების „წამყოლით“ წასვლისა სატირალში.

ნამდვილი აღმზრდელი

დიდი აღამიანის, საყვარელი მასწავლებლის პროფესორ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის სახე მუდამ ცოცხალია ჩემს მეხსიერებაში, რადგან შეუმღებელია წაიშალოს ის კვალი, რომელსაც ლუარსაბი ტოვებდა ყველგან, სადაც კი ფეხს დადგამდა. განსაკუთრებით ძლიერი იყო მისი გავლენა მოსწავლე ახალგაზრდობაზე, კერძოდ სტუდენტობაზე. მე, როგორც სტუდენტი, ოთხ წელიწადს ვუსმენდი მას და მონიბლული ვიყავი მისით.

ცნობილია, რომ სტუდენტი თავის მასწავლებელს იმის მიხედვით აფასებს თუ რამდენად ღრმად ფლობს ის თავის საგანს, რამდენად მრავალმხრივი და ფართოა მისი ერუდიცია, რამდენად გასაგები და საინტერესოა მისი ლექციები როგორც შინაარსობრივად, ასევე ფორმითაც. ამასთან ერთად სტუდენტი ყურადღებას აქცევს იმას, თუ რამდენად კულტურული და კეთილშობილია მისი პროფესორი, როგორი პასუხისმგებლობით ეკიდება ის სტუდენტის აღზრდის საქმეს, აწუხებს თუ არა მას სტუდენტის ბედი, იჩენს თუ არა მამობრივ მზრუნველობას მის მიმართ.

აი სწორედ ყველა ეს თვისება ამკობდა ლუარსაბ ანდრონიკაშვილს. იგი ნამდვილად იმსახურებდა მასწავლებლის სახელს, მას ისე ძლიერ უყვარდა თავისი საქმე, უყვარდა სტუდენტი, როგორც მამას, ის აერთებდა საქმისა და მოსწავლის სიყვარულს, ის სრულქმნილი მასწავლებელი იყო. ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „მზრდელი ყმისა მეორე შემოქმედიარა“.

ეს ნამდვილად შეიძლება ითქვას ლუარსაბზე. ჩვენ ყველანი ვგრძნობდით, რომ საქმე გვექონდა ღრმა ცოდნის, დიდი კულტურის, მაღალი ზნეობის, უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობის, მამობრივი მზრუნველობის მქონე აღამიანთან. ლუარსაბს გულწრფელად უნდოდა გადმოეცა ჩვენთვის თავისი ფართო ცოდნა, რომ ჩვენ ნამდვილად ღრმად დაეფუფლებოდით არა მარტო მის საგანს, არამედ საშარბლის მეცნიერების ყველა დარგს.

სხვათა შორის, ამით აიხსნებოდა მისი ბრძოლა ზოგიერთი მასწავლებლის წინააღმდეგ, რომელიც მას შესაფერისად არ მიაჩნდა და ფიქრობდა, რომ მათ არ შეეძლოთ ცოდნის მიცემა.

ლუარსაბი საერთოდ სასტიკი მტერი იყო ყოველგვარი უნიჭობისა და განსაკუთრებით დიდ დანაშაულად მიაჩნდა, როდესაც უნიჭო


აღამიანი მასწავლებლობდა. ასეთ შემთხვევაში ის ულმობელი იყო. შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთის წინააღმდეგ ბრძოლის დროს ის უდემეტ სიმკაცრესაც კი იჩენდა, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ ის ამას გულწრფელად, უანგაროდ, მხოლოდ და მხოლოდ სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე ჩადიოდა.

ლუარსაბის ლექციას თითქმის ყველა სტუდენტი ესწრებოდა. მე დანაშაულად მიმაჩნდა მისი ლექციის გამოტოვება. ამ შემთხვევაში ჩვენ გვაშარბებდა არა საერთო დისციპლინა, ლექციებზე დასწრების მოვალეობა, არამედ თვითონ ლექტორი, მისი ლექციების საინტერესო, შეიძლება ითქვას, განუმეორებელი შთამბეჭდაობა.

მიუხედავად მისი ფართო განათლებისა, ის არასოდეს არ იჩენებდა ყველაფრის ცოდნას. ლუარსაბი თავის ლექციებში საკითხებს ფართოდ და ყოველმხრივ აშუქებდა. ჩვენ ვაწერდით მის ლექციებს, ზოგიერთი — თითქმის სტენოგრაფიულად, მაგრამ ლუარსაბი ყოველთვის გვაფრთხილებდა, რომ საგნის ღრმად შესწავლისათვის მარტო ლექციები საკმარისი არ არის, რომ აუცილებელია ცნობილი მეცნიერების სახელმძღვანელოების და სპეციალური ლიტერატურის შესწავლა. ის ყოველთვის მიმოიხილავდა არსებულ ლიტერატურას და გვისახელებდა, თუ რომელი იყო აუცილებელი და რომელი დამატებითი, დახმარე.

მაგონდება ასეთი შემთხვევა. მე და გერცელ ბააზოვმა ერთად მოვაშარბადე სისხლის საშარბლის ზოგადი ნაწილი და შარბის (გამოცდების დღე იყო) წავედით ჩახახარებულად. აუდიტორიაში ათამდე სტუდენტი უცდიდა პროფესორს. მე და გერცელი დავჯექით უკან, რადგან არ გვინდოდა პირველად გამოვეძახეთ. მოვიდა ლუარსაბი და დაიწყო გამოცდები. რვა კაცი გამოსცადა, აქედან სამს დაუწერა ნიშანი, დანარჩენებს უთხრა: კარგად შეისწავლეთ და შემდეგ მოდიეთ. მე და გერცელს (ჩვენი გამოცდა ვერ მოასწრო) ვვითხრა, რომ მეორე დღეს მასთან სახლში მივსულიყავით. ჩვენ ძალიან გაგვეხარდა, მეორე დღეს დანიშნულ საათზე მივედით ლუარსაბის ბინაში. მაშინ ის ცხვრობდა ძნელადი ქუჩაზე (ყოფილი საბიორის) ორ პატარა ოთახში მარტო. მისი მეუღლე შვილებთან იყო ლენინგრადში.

ჩვენ იმ დროს მივედით, როდესაც ლუარსაბს



მოემზადებინა წყალი და აბირებდა თავის დაბანას. ჩვენი მისვლა გაუხარდა და გვითხრა, თქვენმა გაზრდამ, ეს კარგია, ახლა თავის დაბანაზე დამეხმარებითო. ჩვენც სიამოვნებით დავუხსნით წყალი და დაიბანა თავი. შემდეგ ჩაიხე მიგვიპატიჟა, ტბილად გვესაუბრა, როგორც მახლობელი მეგობარი. ჩვენ ვიფიქრეთ, რომ ასეთი მიღების შემდეგ არც კი გამოგვცდიდა, ხელს მოგვიწერდა მატრიკულში და გავესტუმრებდა. მაგრამ ნურას უკაცრავად! ლუარსაბმა ტბილი, სტუმართმოყვარე მასპინძლის რომი დაასრულა და შეუდგა გამომცდელი პროფესორის როლის შესრულებას.

— აბა, ყმაწვილებო, მითხარით, რომელი სახელმძღვანელობით და რა დამხმარე ლიტერატურით მოამზადეთ საგანი? ჩვენ დავუსახელებთ ორი ავტორი და, რაც მთავარია, თავის ლექციები (ლექციების კონსპექტი ხელთ გვქონდა). ტაგანცევი არ შეგისწავლიათო? — შეგვეპოთხა ლუარსაბი. ჩვენი აზრით, საგანი კარგად ვიცოდით და ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა კარგად შეგვეძლო, მაგრამ ტყუილის თქმა ვერ ვაკადრეთ და უარყოფითი პასუხი მივეცით, თან დავძინეთ, რომ პროგრამის მიხედვით ყველაფერი ვიცითო.

„ამას თქვენგან არ მოველოდი. ხომ თავიდანვე გაგაფრთხილეთ, რომ ტაგანცევის ორტომეული აუცილებელია. ახლა წადით, შეისწავლეთ ტაგანცევი და შემდეგ მოდით“. ჩვენ, თავზარდაცემულდგამა, ძლივს ვუთხარით, რომ შევისწავლიდით და ერთ კვირაში მივიდოდით. „რაო? ერთ კვირაში, გეტყობათ, არც კი შეგიხედავთ ტაგანცევის წიგნებისთვის. სულ ცოტა, ერთი თვეა საჭირო, რომ ტაგანცევი დასძლიოთ. ორჯერ გულდასმით უნდა წაიკითხოთ!“ მისი ეს სიტყვები სწორი აღმოჩნდა. მართლაც ერთი თვის მეცადინეობის შემდეგ საგანი კარგად ჩავაბარეთ და მივიღეთ „ფრიადი“.

გამოცდის შემდეგ გერცელ ბააზოვმა უთხრა: „ბატონო ლუარსაბ, უღრმეს მადლობას მოგახსენებთ, რომ გვაძულეთ ტაგანცევი შეგვესწავლა. ახლა კი დავრწმუნდით, თუ რაოდენ სახარებლო და სასიამოვნოა ტაგანცევის შესწავლა“.

ამ სიტყვების გაგონებაზე ლუარსაბს სახე გაუბრწყინდა და დიდი კმაყოფილებით გვითხრა: „განა მე არ ვიცი, რომ თქვენ იმ დღეს ძალიან ნაწყენი წახვედით ჩემგან, მაგრამ იმედი მქონდა, რომ შემდეგ სწორად გაიგებდით ჩემი მოქმედების აუცილებლობას. ახლა თქვენ მე დიდად მასიამოვნეთ, ვმადლობთ“.

ამის შემდეგ ჩვენ ლუარსაბი კიდევ უფრო შეგვიყვარდა, და ვფიქრობ, რომ ისიც კმაყოფილი იყო ჩვენი. საერთოდ, ლუარსაბი ძალიან კაცთმოყვარე, გულწიარი, გულმხიარული, სიცოცხლით სავსე ადამიანი იყო. თუ სტუდენტს შეამჩნევდა ოდნავ ნიჭსა და მუყაითობას, ცდილობდა დაახლოვებოდა მას და დახმარებოდა. ბევრი მისი მოწაფე ლუარსაბის დახმარებით დაწინაურებულა მეცნიერებაში.

ერთხელ, ლექციების შემდეგ, ლუარსაბი გავაცილეთ და როდესაც ჩემს ბინას (ყაზბევის, 4) მივუახლოვდით, ვთხოვე ჩემთან წამობრძანებულოყო. ჩემდა სასიხარულოდ უარი არ მითხრა. როგორც კი ბინაში შემოვიდა და ორი დიდი კარადა წიგნებით სახსე დაინახა, თქვა, ეს კარგიაო, შემდეგ წიგნები გულდასმით დაათვალიერა და მითხრა — კარგია, რომ წიგნების შექმნა გყვარებიათ, მაგრამ ეს არ არის საკმარისი, საჭიროა წიგნების კითხვის სიყვარული. არიან ისეთებიც, რომელთაც წიგნების შექმნა უყვართ, კითხვა კი არა. „უსარგებლოა ისეთი წიგნი, რომელიც არ წაგაკითხავთ“.

ის სამი საათი, რომელიც ლუარსაბმა ჩემს ოჯახში დაჰყო, არასოდეს არ დამავიწყდება. რამდენი ქუთის სასწავლი ღარიგება მომცა მან მამსინ!

უნივერსიტეტის დამთავრებისას მე და გერცელ ბააზოვმა ვითავეთ ლუარსაბთან ვიწრო ჯგუფში სურათის გადაღება. წინასწარ შევუთანხმდით ცნობილ ფოტოგრაფს და შემდეგ მივმართეთ ბ-ნ ლუარსაბს. იგი უყოყმანოდ დაგვეთანხმა. მასთან გადაღებული ფოტოსურათი დღესაც მაგონებს ჩემს საყვარელ მასწავლებელს.

ბაბაქი მენაშვილი.

რამდენიმე ეპიზოდი ვახტანგ VI-ის მოღვაწეობიდან

პროფ. ი. სურგულაძე

ვახტანგ VI (1675-1737 წწ.) ჯერ ქართლის გამგებელი იყო, შემდეგ კი ქართლის მეფე. ქართლი და კახეთი ამ დროს სპარსეთის მიერ იყო ოკუპირებული. დასავლეთ საქართველო ოსმალებს ეკუთვნოდა.

ვახტანგი თავისი დროის მიხედვით ფრიად განათლებული ადამიანი იყო და ამასთანავე ქართული კულტურის უანგარო მოამაგემან თავის გარშემო შემოიკრიბა სწავლულნი, მეცნიერნი, მწერლები და შეუდგა აქტიურ კულტურულ მოღვაწეობას.

ვახტანგ VI-ის ინიციატივით „სწავლულთა კომისიამ“ შეადგინა „ქართლის ცხოვრება“ (ახალი რედაქცია).

ვახტანგი მოთავეა საკოდიფიკაციო მუშაობისა, რომელსაც საქართველოს ისტორიაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს. მისი ინიციატივით ქართულად გადმოთარგმნილ იქნა ბერძნული, ებრაული და სომხური სამართალი. ამასთანავე, შედგენილ იქნა ახალი სამართლის წიგნი — ვახტანგის სამართლის წიგნად წოდებული. სამართლის ამ წიგნებშიან დაურთო წინანდელი პერიოდების ეროვნული ხასიათის სამართლის წიგნები: ალბუღას სამართლის წიგნი (XIV საუკუნე), გიორგი ბრწყინვალეს სამართლის წიგნი (XIV ს.) და „კათალიკოსის სამართალი“ (XVI საუკუნე). სამართლის ეს წიგნები შეადგენენ ვახტანგის სამართლის წიგნთა კრებულს.

გარდა ამისა ვახტანგმა შეადგინა (1707-1709 წლებში) „დასტურალაალი“, რომელშიც მოცემულია სამეფო სოფლების განაწესი, ქართლის სამეფო მოხელეთა ფუნქციების წესდებანი, ქართლის ელგების გადასახადების და მმართველობის განაწესი და სადედოფლო მამულებისა და მოხელეების განაწესი. 1709 წელს ვახტანგმა თბილისში დააარსა

პირველი ქართული სტამბა, რომელშიც დაბეჭდა ქართული წიგნები და მათ შორის „ვეფხისტყაოსანი“.

„ვეფხისტყაოსანს“ ვახტანგმა გაუყვია კომენტარები, რომელიც ამ გენიალური ნაწარმოების ტექსტის მეცნიერული განმარტების პირველი ცდაა. გარდა ამისა, ვახტანგის მიერ ქართულად იქნა გადმოთარგმნილი ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაწარმოები. თავისი წვლილი შეიტანა ვახტანგმა ქართულ პოეზიაში.

ამ სტატიის მიზანია მკითხველებს გავაცნოთ ვახტანგის პოლიტიკური შეხედულებანი. პირველ რიგში შევჩერდით ვახტანგის მსოფლმხედველობის ზოგიერთ საკითხზე.

ვახტანგ VI შემოქმედებას პესიმიზმი ახასიათებს. ვახტანგის პესიმიზმის მიზეზი მისი დროის საქართველოს, აგრეთვე მისი პირადი მდგომარეობაა: ტყვეობა სპარსეთში, გადასახლება რუსეთში და სამშობლოსაგან სამუდამოდ მოწყვეტა, ჩანაფიქრების განუხორციელებლობა და სხვ. ვახტანგი მოსთქვამს, რომ მან მოიარა ქვეყანა, მაგრამ „ვერა პოვა“ რა; ამავე დროს მოაკლდა დას, ძმას, ნათესავებს². ვახტანგი ვერ ურიგდება სამშობლოს მოშორებას: „დაუტყვე სახლსამყოფი, თვისნი ტომნი მონაძევი, დავკარგულვარ უცხოთ თემსა, ვარ არვისგან მონაძევი“³.

ვახტანგს უმძიმეს საქართველოს დატოვება, დატოვება თბილისის, რომლის შესახებ ის წერს: „რა სჯობს მისში ტფილისსა, ვარდი ვარსკვლავებ ესხასო“⁴.


ავტორი ძლიერ გულგატეხილია ცხოვრებაზე: ვახტანგის აზრით, სოფელი არ ღირს იმად, რომ აღამიანა მისთვის იტანჯოს; სოფელი უსამართლო არის, ზოგს უღირსს გავამდიდრებს, ზოგს ღირსეულს დაჩაგრავს,

1 კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1952, გვ. 482-494; ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 11, 1140, გვ. 441-455; ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. II, 1966, გვ. 504-520; ვახტანგ VI, ლექსები და პოემები, ალ. ბარამიძის რედაქციით და შენიშვნებით, 1947, ლ. მენაბდე, ვახტანგ VI, 1966 წელი.

2 ვახტანგ VI, ოხუხლებათა კრებული, ალ. ბარამიძის რედ., 1947, გვ. 2.

3 იქვე, გვ. 10.

4 იქვე, გვ. 13.



ჯოჯოხეთად გადაუქცევს ცხოვრებას, ადამიანს სოფელი არ ახარებს, თუ მისცემს რაიმე კარგს, მაშინვე მიიყოლებს ცულსაც, რომ ის არ იყოს ბედნიერი.

ნეთეირი სიმდიდრე წარმავალია, „ყოველი სოფლისა დიდება გაცვდება“⁷. ვახტანგი ჩივის, რომ სოფელმა ჯერ ის გაახარა, აღხინა, შემდეგ შეაწუხა, გააშწარა, იმედები გაუცრუა, არ აუსრულა საწადელი, ვისიც იმედი ჰქონდა იმან მოატყუა, ფიცით ჰპირდებოდნენ ერთგულებას, მაგრამ დალატობდნენ⁸. ამიტომ საწუთრო მიუხდობელია⁹, ლხინის მაგიერ ჭირი მოაქვს ადამიანისათვის¹². ვახტანგი „დასწვა სოფლისა საცდურმა“, აწამა და სიკვდილამდე მიიყვანა ის¹³. პოეტს ცრუ სოფელი მხოლოდ კავშანს გვრის¹⁴. მაგრამ ავტორის პესიმიზმი არ არის სასოწარკვეთილებამდე მისული. მას საჭიროდ მიაჩნია ამ ცრუ საწუთროში ბრძოლა; ადამიანი მომაკვდავია, ეს ავალებს მას შექმნას, დატოვოს ისეთი რამე, რაც სახელს შეუქმნის, რითაც მას მოიგონებენ¹⁵. პოეტი წერს:

„კაცმან უნდა თავის საქმე ყველა ღვთითა მოივარგოს, ამ სოფელსა ხელი ჰყაროს, იქაც ბარგი დაიბარგოს, მოყვარეთ და ამხანავთა თავის რიგით რამე არგოს, სახელის ხე საჩრდილებლიდ წყლისა პირსა სამე დარგოს“¹⁶.

ვახტანგის ეს შესანიშნავი ფრაზა, თავისი შინაარსით ოპტიმისტური, უნდა იყო წინამორბედი ნიკოლოზ ბარათაშვილის განთქმული სტროფის: „მაგრამ რადვანაც კაცნი გჳკვიან“ და სხვ¹⁷. ვახტანგი ფეოდალთა კლასის პროგრესუ-

ლი ნაწილის წარმომადგენელია. ვის ბატონყმობის მახინჯ მხარეებს. არჩილის შეხედულებით, გლეხკაცი არის ფეოდალური საზოგადოების ბურჯი, რომ მისი გადაშენება ამ საზოგადოებასაც დაამხოხს; ვახტანგმა არა თუ ვაიზიარა, არჩილის შეხედულება, არამედ საკანონმდებლო წესითაც ისეთი ღონისძიება გაატარა, რომელიც მიმართული იყო გლეხობის უზომო ექსპლოატაციისაგან დაცვისაკენ. ვახტანგის სამართლის წიგნის მიხედვით, კანონით გაუთვალისწინებელი გადასახადის შემოღებას, კანონმდებელი მკვლელობის ოდენა დანაშაულად თვლის (ვახტანგის სამართლის წიგნი, მუხ. 214).

საყურადღებოა, რომ ვახტანგის სამართლის წიგნით თუ ბატონი ვისმეს გლეხს უბოძებდა, ან წაართმევდა, ან აყრიდა, ეშოკალანბაში და იასაულები, ე. ი. მოხელეები, რომელთაც მოყავდათ მეფის ბრძანება სისრულეში, ხარსა და მორჩილს გლეხს ართმევდნენ; კერძოთვე ართმევდნენ გლეხს სამდივნოსა და სამურდლოს. კანონმდებელი კრძალავს ამას: „ეს დიად დიდი უსამართლო იყო. ახლა ჩვენ ასრე ვაგვირიგებია: ვისცა გლეხი მიეცეს სამართლითა თუ წყალობით, იასაულს ჭარი და მარჩილ, ვისცა მიეცეს, იმან მისცეს, გლეხს ამაში ნურას გასჯიან. თუ ბატონისათვის ხელი იშობათოს, ბატონმა იასაულს სხვა რიგი წყალობა უყოს და გლეხს ნურას გამართვამს“ (მუხ. 270).

როგორც ვხედავთ, კანონმდებელი აქაც გლეხს ესარჩლება და ცდილობს დაიცავს ის თვითნებური გადასახდულებისაგან.

ამასთანავე, „დასტურლამალის“ (ვახტანგ VI მიერ შედგენილი) მიხედვით სოფლის მამასახლისი ვალდებული იყო შეეტყობინე-

5 ვახტანგ VI, თხზულებათა კრებული, ალ. ბარამიძის რედ., 1947, გვ. 49.
6 იქვე, გვ. 33.
7 იქვე, გვ. 11.
8 იქვე, გვ. 18.
9 იქვე.
10 იქვე, გვ. 19.
11 იქვე, გვ. 18.
12 იქვე, გვ. 11.
13 იქვე, გვ. 10.
14 იქვე, გვ. 8.
15 იქვე, გვ. 35.
16 იქვე, გვ. 1.
17 ალ. ბარამიძე, ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940, გვ. 446.

ბინა მეფისათვის, თუ სოფელში გლეხის მიმართ რაიმე ძალადობას ჰქონდა ადგილი¹⁸.

თვით ის გარემოება, რომ „დასტურდამალში“ გათვალისწინებულია სამეფო და საღვთოფლო სოფლების გლეხთა გადასახადები, ნიშნავს შემდეგს: გლეხობის გადასახადები განსაზღვრულია და თვითნებობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

ამასთანავე, სამეფო და საღვთოფლო მამულების გლეხთა გადასახადები სანიმუშო უნდა ყოფილიყო ფეოდალების მამულებისთვისაც.

ვახუშტის დახასიათებით ვახტანგი იყო „მოწყალე, ცოდნის — მოყვარე, ბრძენი და მხნე“. მან „მოშალა ტყვის — ყიდვა, დაამდაბლნა თათარნი“¹⁹. საყურადღებოა, რომ ვახტანგი ტყეებს ყიდვა-გაყიდვას შებრძოლებია.

ტყეების საქართველოს ფარგლებს გარეთ გაყიდვა, რასაც ხელს უწყობდა ოსმალეთი სპარსეთი, უსაზღვრესი სენი იყო ქართული ფეოდალური საზოგადოების და, მისი მოწინავე წარმომადგენლები ყოველთვის თავგამოდებით ებრძოდნენ ამ სენს.

ვახტანგი იბრძოდა ეროვნული კულტურის, ქვეყნის ეკონომიური განვითარებისათვის.

ვახტანგისათვის, ისე როგორც მისი დროის ქართველი საზოგადოებისათვის, ნათელი გახდა, რომ საქართველოს, ქართველ ხალხს არ ყოფნიდა ძალა იმისათვის, რომ გაეთავისუფლებოდა საქართველო ირანისა და ოსმალეთის დამოკიდებულებისაგან, რომ გაერღვია ბარბაროსული გარემოცვა.

დადგა ქართველი ხალხის ყოფნა-არყოფნის საკითხი. ვახტანგ VI კარგად იცნობდა ირანსა და ოსმალეთს, და არაფერს სასიკეთოს ამ ქვეყნებიდან ის არ მოელოდა. ბუნებრივი იყო, რომ ასეთ ვითარებაში, ევროპიდან დახმარების მიღების მიზნით ვახტანგის მოციქულის სულხან-საბა ორბელიანი ევროპაში გაემგზავრა (1712 წ.).

ევროპიდან საქართველომ დახმარება ვერ მიიღო.

ვახტანგის წინაშე კვლავ წამოიჭრა საკითხი ორიენტაციის შესახებ. ევროპაში მოციქულის გაგზავნამდეც ცდილობდა ვახტანგი რუსეთთან დაკავშირებას და ამისათვის სათანადო ზომებსაც ღებულობდა, მაგრამ სულხანის ევროპაში მოციქულობის უშედეგობამ

ვახტანგი საბოლოოდ დაარწმუნა, რომ ბარბაროსული გარემოციდან საქართველოს გამოსნისი ერთადერთი საშუალება რუსეთთან კავშირი იყო. ვახტანგ VI თვალსაზრისით, პეტრე I ლაშქრობა სპარსეთის წინააღმდეგ საბოლოოდ იხსნიდა საქართველოს, ამიტომაც, ვახტანგი უყუყუანოდ გამოვიდა თავისი ჯარით პეტრე I მხარეზე.

ვახტანგს აკრიტიკებდნენ მისი თანამედროვენი და შემდეგი დროის მოღვაწენიც, რომ პეტრე I ლაშქრობასთან დაკავშირებით ვახტანგის ზოგიერთი მოქმედება ნაჩქარეო იყო, რამაც გამოიწვია ქართლის აოხრება და ვახტანგის 1200 ქართველით რუსეთში გადასახლება. ამასთან დაკავშირებით საჭიროდ მიგვაჩნია შედარებით დაწვრილებით შეეჩერდეთ პეტრე I ხსენებულ ლაშქრობაზე და ამასთან დაკავშირებით ვახტანგ VI გამოსვლებზე.

1721 წელს პეტრე I გამარჯვებით დაასრულა შვედებთან ომი და სენატმა მას იმპერატორის ტიტულიც უბოძა. რუსეთს ამის შემდეგ შეეძლო სპარსეთისათვის უფრო სერიოზული ყურადღება მიექცია. მისი სავაჭრო ინტერესები მოითხოვდა კასპიის სანაპიროების შემოერთებას. რუსეთი თავისი ელჩების საშუალებით სწავლობდა სპარსეთის საქმეებს და ემზადებოდა აქტიური მოქმედებისათვის.

ასტრახანის გუბერნატორს დავალებული ჰქონდა კარგად შეესწავლა სპარსეთის საქმეები, მისი საშინაო და საგარეო მდგომარეობა, და ამის შესახებ სათანადო ცნობები მიეწოდებია თავისი მთავრობისათვის. ა. ვოლინსკი ამ მიზნით სპარსეთში მოგზაურობდა ვითარცა რუსეთის ელჩი.

ა. ვოლინსკი, რომელიც 1717 წელს ჩავიდა ისპაჰანს, სწერდა რუსეთის მთავრობას (კანცლერს): „შაჰი ჰუსეინის მსგავსი სულელის მონახვა უბრალო ადამიანებში ძნელია, არათუ მეფეებში“, შაჰი დალუპვის გზაზეა მისული, სპარსეთში ღიდი არეულობაა, რომ ასეთ ვითარებაში სპარსეთის ღიდი ტერიტორია შეიძლება „რუსეთს შეუერთდეს. ახლა არის ამის დრო, და ეს შეიძლება გააკეთოს რუსეთმა მცირე ჯარითაც კი“²⁰.

ა. ვოლინსკი დანიშნეს ასტრახანის გუბერნატორად. 1720 წლის 22 მარტს ახალ გუბერნატორს პეტრე სწერდა: მონახე ქარ-

¹⁸ ქართული სამართლის ძეგლები, ი. სურგულაძის რედ., 1970, გვ. 617, § 123.

¹⁹ ქართლის ცხოვრება, II, დ. ჩუბუნაშვილის გამოცემა, 1854, გვ. 71. ქართლის ცხოვრება, IV, ს. ყაუჩაიშვილის რედ., 1973, გვ. 481-482.

²⁰ С. М. Соловьев, История России с древнейших времен, кн. IX, т. 17—18, 1963, гв. 367—368.



თველი ბრინცი (ვახტანგი) და დაითანხმე რომ საჭიროების დროს ჩვენ მისი იმედი გვექონდესო, მასთან მოციქულად გამოიყენე ვინმე არჩილის სახლიდან²¹.

ვახტანგი რუსეთის მთავრობას ურჩევდა: 1. 5-6 ათასი რუსი ჯარისკაცი გაიგზავნოს საქართველოში, იმ საბაბით, რომ თითქოს იქ ფეოდალური აშლილობაა. 2. რუსეთმა გადასახს დესანტი სპარსეთში — ათი ათასი კაცი ან მეტი, რომ წაართვას სპარსეთს დერბენდი ან შემახია, და შემდეგ დაიწყოს ომი სპარსეთთან, რუსეთმა ააშენოს ციხე თერგზე და ჩააყენოს შიგ კაზაკთა გარნიზონი საქართველოსთან კომუნიკაციების დასაცავად²². ამასთანავე, ვახტანგი სწერდა, რომ სპარსეთი სუსტია, წინააღმდეგობას ვერ გაგვიყვებ და რომ მას შეუძლია რუსეთის დასახმარებლად სპარსეთის წინააღმდეგ გამოიყვანოს 30 000—40 000 ჯარისკაცი²³.

ა. ვოლინსკი ვახტანგის წინადადებას დადებითად აფასებდა, ხოლო კავკასიის სხვა სარწმუნოების ხალხებთან კავშირის დაჭერისაგან თავის შეკავებას ურჩევდა პეტრეს, რადგანაც ისინი არ არიან სანდონიო²⁴.

საყურადღებოა აღინიშნოს, რომ პეტრე I ვახტანგის წინადადება მიიღო, გარდა საქართველოში ჯარების გადმოსხმისა. 1721 წლის 7 აგვისტოს ლეკების მფლობელმა დაუდ-ბეგმა და ყუმუხების მფლობელმა სურჯაიმ აიღეს შემახია, გაძარცვეს და დაარბიეს ის. ამასთანავე დაარბიეს და გაძარცვეს რუსი ვაჭრებიც, რომელთაც 500 000 მანქონება წაართვეს. პეტრე, რომელიც ზრუნავდა რუსეთის ვაჭრობისათვის, მზად იყო ამისთვის ომიც დაეწყოს²⁵. პეტრე ატყობინებდა ვოლინსკის, რომ „დააიშედეთ ქართველი პრინცი ვახტანგი და ქრისტიანები, მაგრამ ჩვენს ჩამოსვლამდე არ ამოქმედდნენო“²⁶.

1722 წელს სპარსეთში არეულობა დაიწყო, პეტრე I აზრით დაყოვნება აღარ შეიძლებოდა“²⁷.

ს. სოლოვიოვი აღნიშნავს, რომ ვაჭრებთან კასიის ქრისტიანულ ხალხებს შორის სარწმუნოებით ყველაზე ახლო რუსეთთან ქართველი ხალხი იღვა.

ამასთანავე სოლოვიოვის გადმოცემით ქართველები სხვა ქრისტიანულ ხალხებთან შედარებით უფრო დამოუკიდებელია, თავიანთი მეფეები ყავს; ქართლის მეფე ვახტანგი კი დიდად მნიშვნელოვანი პიროვნება იყო შაჰ-ჰუსეინის კარზეო²⁸. ამიტომაც ვოლინსკის ავალბდა პეტრე, რომ ვახტანგთან ჰქონოდა ურთიერთობა სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობის შემთხვევაში.

1722 წელს, როდესაც პეტრე პირველი სპარსეთის წინააღმდეგ სალაშქროდ წამოსვლას აპირებდა, მასთან მოსოვეში ჩავიდა ვახტანგ VI მოციქული, თავადი, თურქისტანიშვილი ლათინურად დაწერილი წერილით, რომლითაც ვახტანგი პეტრეს მფარველობას სთხოვდა²⁹.

პეტრემ ვახტანგის მოციქული ბორის თურქისტანიშვილი წაიყვანა ასტრახანში და აქედან ამ მოციქულის ხელთ გამოუგზავნა ვახტანგს წერილი: „თქვენი წერილი მოსკოვში მივიღეთ და თქვენ მიერ გამოგზავნილი ბორის თურქისტანიშვილის ზეპირი მოხსენებაც მოვისმინე, რომელზეც წინასწარ პასუხის მოცემა არ ვამჯობინეთ. მაგრამ ახლა კი ასტრახანს ჩამოსვლის შემდეგ, ამივე თავად ბორისის პირით გიბასუხებთ: ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ როდესაც მოციქული თქვენთან მოვა, ჩვენს სპარსეთის სანაპიროებზე ვიქნებით. ვფიქრობთ, რომ ეს თქვენთვის სასიამოვნო იქნება, და თქვენ ქრისტიანობის სასარგებლოდ, თქვენი დაპირების თანახმად, თქვენი ლაშქარით ჩვენთან იქნებით, — მაგრამ საჭიროა რომ ქრისტიანები, რომლებიც ოსმალეთის ხელისუფლების ქვეშ არიან, არ ამოძრავდნენ, რომ არ მიიქციოს ოსმალეთის ყურადღება და არ გაართულოს დღეისაგან დალოცვილი საქმე“³⁰. ზეპირად პეტრესაგან თურქისტანიშვილს დაბარებული

²³ С. М. Соловьев, История России с древнейших времен, кн. IX, т. 17—18, 1963, გვ. 371.

²² იქვე, გვ. 371.
²³ იქვე, გვ. 369.
²⁴ იქვე, გვ. 371.
²⁵ იქვე, გვ. 373.
²⁶ იქვე, გვ. 374.
²⁷ იქვე, გვ. 375.
²⁸ იქვე, გვ. 404.
²⁹ იქვე.
³⁰ იქვე, გვ. 404.



პქონდა, რომ როცა ვახტანგი რუსეთის ჯარებთან შესაერთებლად გამოვა, გზაზე ლეკები დალაშქროს³¹.

თურქისტანიშვილი დაბრუნდა პეტრესთან და მოუტანა ამბავი, რომ ვახტანგი მზად არის შესარულოს პეტრეს დანაბარებში³². ვახტანგი 40 000 ჯარისკაცით წაიდა პეტრეს შესახვედრად და ჩააღწია განჯას.

რა ხდებოდა ამ დროს პეტრეს ბანაკში? 1722 წლის 18 ივლისს პეტრე გამოვიდა ასტრახანიდან ზღვით. თან ახლდა: 22 000 ქვეითი ჯარისკაცი, 9 000 ცხენოსანი (ხმელეთით მოდიოდა), 20 000 კაზაკი, ამდენივე ყალმუხი, 30 000 თათარი, 5 000 მატროსი. 27 ივლისს პეტრე გადასხდა ნაპირზე აგრახანის გუბესთან და დაუტადა ცხენოსან ჯარს, რომელმაც უწყლობისა და საკვების ნაკლებობის გამო დიდი გაჭირვება განიცადა. 5 აგვისტოს დაიწყო ლაშქრობა, 12 აგვისტოს მიუახლოვდა ტარკებს, 16 აგვისტოს დაიწყო სვლა დერბენდისაკენ, 23 აგვისტოს შევიდა დერბენდში. მას სერიოზული წინააღმდეგობა არ ხდებოდა გზაზე³³.

პეტრემ წერილი მისწერა სენატი გამარჯვების შესახებ. სენატი თავის პასუხში პეტრეს აღეჭასანდრე მაკედონელს ადარებდა, რომელიც აგრეთვე სპარსეთში შეიჭრა და ულოცავდა პეტრეს დიდ გამარჯვებას. „სენატორებს შეეძლოთ დაენახათ პეტრეს წერილებიდან, რომ იმპერატორს არ პქონდა განზრახვა განეგრძო ომი დერბენდს იქით, უნდა დაეშინებოდა ბაქოში გარნიზონის გაგზავნას“³⁴.

29 აგვისტოს პეტრემ მოიწვია სამხედრო საბჭო, რომელზედაც აღინიშნა ჯარების მობარაგების სიძნელეები³⁵. მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა პეტრეზე იმ გარემოებამ, რომ მისი ცხენოსანი ჯარი, რომელიც ხმელეთით მოდიოდა კასპიის სანაპიროებზე, მძიმედ დაზარალებული შეუერთდა პეტრეს, რომელმაც ზღვით გაიარა ეს მანძილი. უგზოობა დიდ სიძნელეებს უქმნიდა ჯარს, მთავარი და მთავარი ჯარის სურსათით მო-

მარაგება იყო. ლაშქრობის გაგრძელება კიდევ უფრო გაზრდიდა რუსეთის ჯარის მტრულ გარემოცვას. ამიტომ საბჭოზე გადაწყდა რუსეთის ჯარის სასწრაფოდ უკან გაწვევა. პეტრემ გარნიზონი დატოვა დერბენდში, თვითონ კი ჯარებით გაემგზავრა უკან ასტრახანისაკენ, 4 ოქტომბერს, პეტრე ასტრახანშია; ხოლო 13 დეკემბერს ის აღლუმით შედის მოსკოვში³⁶. პეტრეს ძლიერ აწუხებს ბაქოს აღდებლობა, ის გენერალ-ლეიტენანტ მატეიუშკინს წერს: უნდა აიღო ბაქო, ეს არის „მთელი ჩვენი საქმის გასაღები“, ვადასხი 1000 ჯარისკაცი, თუ საჭირო იყოს მეტიც, ბაქოს შემოერთება აუცილებელია³⁷. ბაქო აღებულ იქნა. პეტრე ყოველგვარ ზომებს იღებდა იმისათვის, რომ კასპიის სანაპიროები რუსეთს დარჩენოდა.

როდესაც პეტრე დერბენდიდან ასტრახანში ბრუნდებოდა, გზიდან ვახტანგთან გაგზავნა პოდპორუჩიკი ივანე ტოლსტოი. ტოლსტოის დაბარა: 1) აუხსენი ვახტანგს, რომ ჯარებისათვის მომარაგების სიძნელეების გამო დავბრუნდი უკან, საჭიროა სასურსათო საწყობების შექმნა. ეს ყველაფერი მომზადდება, შეიძლება ჩქარა არა, მაგრამ საეჭვო არ არის, რომ მომზადდება; 2) დაარწმუნოს ვახტანგმა შაჰი, რომ დაგვიტომოს კასპიის სანაპიროები და ქრისტიანული სამფლობელოები³⁸. ამასთანავე პეტრე ავალებდა ტოლსტოის შეისწავლოს ვახტანგის სამფლობელო, როგორია ხალხი, რამდენად ერთგულია რუსეთის, როგორი დისციპლინა აქვს ვახტანგს და სხვა³⁹.

ტოლსტოი ატყობინებს რუსეთის მთავრობას, რომ თბილისში ვახტანგი არ დახვდა მას (ვახტანგი ჯარებით განჯაში იყო წასული პეტრეს შესახვედრად და ჯერ კიდევ არ იყო დაბრუნებული).

თბილისში ტოლსტოის დახვდა ვახუშტი ბატონიშვილი, ვახტანგის მიერ ქართლის გამგებლად დატოვებული; ტოლსტოის გადმოცემით ვახუშტი უკიდურეს სასოწარკვე-

³¹ იქვე.
³² იქვე, გვ. 404-405.
³³ С. М. Соловьев, История России с древнейших времен, вып. IX, т. 17—18, 1963, გვ. 378—379.
³⁴ იქვე, გვ. 379.
³⁵ იქვე, გვ. 379-380.
³⁶ იქვე, გვ. 381.
³⁷ იქვე, გვ. 383.
³⁸ იქვე, გვ. 405.
³⁹ იქვე.



თილბაში ჩავარდა, როდესაც ვაიგო პეტრეს უკან გაბრუნდა⁴⁰.

1723 წლის 12 სექტემბერს პეტრე I პეტერბურგში სპარსეთს დაუდგა ხელშეკრულება, რომლის მიხედვით კასპიის სანაპიროები გადადიოდა რუსეთის ხელში⁴¹.

კონსტანტინეპოლში რუსეთის ელჩს აცნობეს, რომ პორტამ უნდა დაეპიროს ქართლი თბილისით⁴².

1724 წლის 12 ივნისს ოსმალეთსა და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით კასპიის სანაპიროების რუსეთის ხელში გადასვლას სცნობდა ოსმალები, ამ სანაპიროს მიმდგომი ადგილებზე გადიოდა რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი⁴³, საქართველო რჩებოდა ოსმალეთის ხელში.

ვახტანგმა თანმხლები ქართველებით რუსეთს მიაშურა. მეფის ამაღლაში 1200 კაცი იყო. ვახტანგი ასტრახანში ჩავიდა, ასტრახანის გუბერნატორმა ვახტანგი მოსკოვს გაისტუმრა.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ პეტრე I არც კი იცოდა ვახტანგის კატასტროფული მდგომარეობა. ზემოთ ჩვენ მოვიყვანეთ პეტრე I მიერ ვახტანგთან მოციქულად ტოლსტოის გაგზავნა. პეტრე ვახტანგს უთვლის, რომ იზრუნოს რუსეთის ინტერესებისათვის და დაარწმუნოს სპარსეთის შაჰი, რომ უკანასკნელმა დაუთმოს რუსეთს კასპიის სანაპიროები.

ამით ჩვენ იმის თქმა გვიწევს, რომ პეტრეს მთავრობას სუბიექტურად ვახტანგისათვის ზიანის მიყენება კი არ უნდოდა, მაგრამ ის მოქმედებდა თავის სახელმწიფო ინტერესებისათვის. რასაკვირველია, რუსეთის მთავრობისათვის უმჯობესი იყო რომ ასეთი მომხრეები, როგორც ვახტანგი იყო, მრავალი ყოფილიყო. რუსეთის მთავრობა კიდევ ზრუნავდა ვახტანგისათვის, მაგალითად, როდესაც რუსეთმა 1732 წელს, სპარსეთს კასპიის სანაპიროები დაუბრუნა, მაშინ სპარსეთს პირობა ჩამოართვა, რომ თუ კი ქართლის სამეფო კვლავ სპარსეთის ხელში გადავიდოდა, მაშინ იქ მეფედ ვახტანგი დაესვათ⁴⁴.

1723 წლის 19 აპრილს პეტრე I წერილის მიხედვით მას განზრახვა აქვს, ვახტანგის თხოვნის თანახმად, რუსეთიდან ჯარის მცირე ნაწილი გამოგზავნოს (2.000 კაცი)⁴⁵, მაგრამ ამ დროისთვის ვახტანგს უკვე ტახტი დაკარგული აქვს და პეტრეს ეს განზრახვა არ განხორციელებულა. რუსეთის მთავრობამ ვახტანგი თანმხლები პირებით ისტუმრა და წლების განმავლობაში შეინახა კიდევ.

პირადად პეტრე I კეთილად იყო განწყობილი ქართველებისადმი. დიდ ყურადღებას იჩენდა ქართული კოლონიისადმი მოსკოვში, ძლიერ უყვარდა ალექსანდრე არჩილის ძე ბაგრატიონი, დიდად შეუწუხდა მისი გარდაცვალების გამო და სხვ. მაგრამ პეტრე I, პირველ ყოვლისა, რუსეთის სახელმწიფოს მეთაური იყო და ამდენად მისი მოქმედებანიც რუსეთის სახელმწიფოს ინტერესებით განისაზღვრებოდა. სამწუხაროდ, საქართველოში, განათლებული პირებიც კი, გულუბრყვილოდ მსჯელობდნენ სახელმწიფოთა ურთიერთობის შესახებ. მაგალითად, ისტორიკოსი პაპუნა ორბელიანი სწერს, რომ ვახტანგ VI პეტრეს ცოცხალს ველარ მიულსწრო, მაგრამ მომავლევამა პეტრემ ანდერძი დატოვა: „საქართველოს უჭირსო და რჯულის გულისათვის მოეხმარენითო, ჩემის ხაზინით ჯარი ათხოვეთო“⁴⁶, პ. ორბელიანის სიტყვებით პეტრეს ამ ანდერძის შესრულებას რუსეთის მეფეები ცდილობდნენ, მაგრამ ქართველები ერთმანეთს მტრობდნენ და ეს უშლიდა ხელს საქმის კეთილად დაგვირგვინებას⁴⁷. პეტრე I ეკლესიასა და სარწმუნოებას რუსეთშიც ებრძოდა და მით უფრო სარწმუნოებისათვის საქართველოსთან დაკავშირებით ის ომს არ დაიწყებდა. გარდა ამისა, დამახასიათებელია, რომ მაშინ საქართველოში იმდენად სჯეროდათ რუსეთის მეფეების და მათ მიერ ქრისტიანობის გამოქომაგების, რომ შეთხზეს კიდევ პეტრეს ანდერძის ზემოთმოყვანილი სიტყვები. რასაკვირველია, პეტრესათვის მიწერილი ან-

40 იქვე.

41 იქვე, გვ. 384.

42 იქვე, გვ. 394.

43 იქვე, გვ. 402-403.

44 Очерки истории СССР, XVIII в., 1957, гв. 372.

45 С. М. Соловьев, История России с древнейших времен, кн. IX, т. 17—18, 1963, гв. 636.

46 ქართლის ცხოვრება, 6. II, დ. ჩუბინაშვილის გამოცემა, 1854, გვ. 458.

47 იქვე.

1963, გვ. 636.

დერძის სიტყვები, სინამდვილეს არ შეეფერება⁴⁸.

როგორც ჩანს, ზოგიერთი მოვლენის შეფასებისას, გულუბრყვილობას ერთგვარი ხარკი ვახტანგ მეექვსეზე მიუძღვნა.

„დავითიანის“ მიხედვით, როცა ვახტანგმა სახელმწიფო საბჭოში რუსეთთან დაკავშირების საკითხი დააყენა, მეფეს უთხრეს: რუსეთზე ორიენტაციის საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, მაგრამ ამით მეზობლები გადაგვემტერებიანო, რუსეთი კი დახმარებას ვერ გაგვიწევსო. დავით გურამიშვილი შენიშნავს, რომ მეფემ ეს მოისმინა, მაგრამ თავისი გადაწყვეტილება მტკიცედ ჰქონდა მიღებული:

„ვითარ ირემსა მაშვარალსა წყაროსა
წყალი სწყუროდა,
ეგრეთ მეფესა რუსეთის ხელმწიფის
ნახვა სუროდა“⁴⁹.

ბოლოს ვახტანგი მიხვდა რომ მისი ცდა „ქვეყნის შველისა“ უშედეგოდ დამთავრდა⁵⁰.

დავით გურამიშვილი, ვახტანგის შვილს, ბაქარს, ვახტანგის შესახებ ათქმევინებს:
„ვერა ვნახე რა მაგისი ღრმად საქმე
მინანდრომარე,
რაზედაც მიღვა, არ დარჩა ის საქმე
წაუჭდომარე“⁵¹.

შეიძლება ითქვას, რომ ასეთივეა დავით გურამიშვილის შეხედულება ვახტანგის მოღ-

ვაწეობაზე. დავითი იმას კი არ უწუნებს ვახტანგს, რომ ის რუსეთთან კავშირის გზას დაადგა, არამედ იმას, რომ ვერ გაითვალისწინა რუსეთისა და მეზობელი სახელმწიფოების შესაძლებლობანი.

საერთოდ კი, დავითი დიდად აფასებდა ვახტანგის ამავს, მის დამსახურებას ქართული კულტურის წინაშე, ამიტომაც ასეთი ბოძი წაიქცა, სახლ-კარი თავს დაგვექციაო⁵².

დასკვნა: 1) ვახტანგის საქმიანობა იქით იყო მიმართული, რომ გაეთავისუფლებინა სამშობლო სპარსეთისა და ოსმალეთის უღლისაგან, ამით იყო განსაზღვრული მისი საგარეო პოლიტიკა.

2) ვახტანგის ცლა, ბარბაროსული გარემოცვის გარღვევისა დასავლეთ ევროპის ქვეყნების ან რუსეთის დახმარებით, პროგრესული იყო.

3) პეტრე I სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობასთან დაკავშირებით ვახტანგის გამოწვევა ნაჩქარევი აღმოჩნდა და ამდენად მცდარი, მაგრამ ამის მიხედვით არ უნდა შეეფასოთ ვახტანგის შეხედულებანი, საერთოდ მისი მოღვაწეობა საგარეო ორიენტაციის საქმეში. ეს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტაქტიკური შეცდომა იყო, ხოლო ვახტანგის საერთო სტრატეგია, საგარეო პოლიტიკური პრინციპები სწორი იყო და საბოლოო ჯამში რუსეთზე ორიენტაციამ იხსნა საქართველო დაღუპვისაგან.

3. Авалов, Присоединение Грузии к России, 1906, гл. 78.

49 დავით გურამიშვილი, დავითიანი, 1955, გვ 55, სტრ. 206.

50 იქვე, 101, სტრ. 532, გვ. 102, სტრ. 538.

51 იქვე, გვ. 103, სტრ. 544.

52 დავით გურამიშვილის დავითიანი, 1955, გვ. 106, სტრ. 569.



ქართული სამართლის ნივნავის ზოგადი გზის გაერთიანებული ნაქონისათვის

მ. კაკელი

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცულია ვახტანგ VI სამართლის წიგნთა კრებულის S — 3683 ხელნაწერი, რომელსაც დართული აქვს მდივან-მწიგნობრის სოლომონ მაღალაძის შედგენილი ზანდუკ-საძიებელი.

აკად. ი. დოლიძის გამოცემით, ზანდუკ-საძიებელი 985 პუნქტისაგან შედგება. ჩვენი დაკვირვებით: ა) პუნქტების შინაარსი ყველაზე უფრო ტიპობრივად მიჩნეულ ამა თუ იმ მუხლიდან არის ამოღებული. ბ) ერთგვაროვანი პუნქტებისათვის, დასათუტების მნიშვნელობით, აწიებზე ცალკე გაუკეთებით მინაწერები.

ზოგიერთი პუნქტის შინაარსს და დასათუტების მნიშვნელობით გაკეთებულ მინაწერს, საფუძვლად დადებია. არამცთუ ამა თუ იმ მუხლის შინაარსი, არამედ მთელი წინადადებებიც კი. მინაწერებში, სჯულმდებელი მეფის ხელიც არის ამოცნობილი.

ამდენად პუნქტების და აწიებზე გაკეთებულ მინაწერების მნიშვნელობა სწორუპოვარია. სწორუპოვარია იგი ამა თუ იმ ბუნდოვანი მუხლის შინაარსის გავებისა თუ უკეთ წაკითხვის თვალსაზრისითაც. ამის გათვალისწინებით შევეცდებით დავასაბუთოდ ვახტანგ VI სამართლის წიგნის, გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ და ბაგრატ კურაპალატის სამართლის წიგნის ზოგიერთი მუხლის მართებულ წაკითხვას.

I. დღემდე ყველა გამოცემელი ვახტანგის სამართლის წიგნის 203-ე მუხლს კითხულობს: „გლეხი კაცის ქვრივი რომ დაქვრივ-

დეს, მისი მებატონე ქვრივს ძალად ნუ გაათხოვებს...“

ამჟამად იგონება ულოგიკოა. „ქვრივი და ქვრივი და“, გულისხმობს ერთხელ უკვე დაქვრივებულის და შემდეგ გათხოვილის მეორედ დაქვრივებას. ასეთ ინსტიტუტს კი კანონი არ იცნობს.

უნდა ვიფიქროთ, რომ აქ კალმისეულ ლაფსუსთან გვაქვს საქმე, რაც შემდეგ მექანიკურად ყველა ხელნაწერმა გაიზიარა. ეს მაგალითი იმის კარგი მასალაც არის, თუ როგორ ფრთხილობდნენ გადაწერები „ხელეცით“ ამჟამად შეცდომისათვისაც კი, რათა არ „შეერყვნათ“ დედანი. იგი იმის მაჩვენებელიც არის, თუ რა შორს დარჩა კანონი, სჯულმდებელი მეფისაგან საბოლოოდ რედაქტირების საქმეში.

სამართლის წიგნის აღნიშნული მუხლი, ჩვენი აზრით, უნდა ასე იკითხებოდეს: „გლეხი კაცის ცოლი რომ დაქვრივდეს, მისი მებატონე ქვრივს ძალად ნუ გაათხოვებს“.

ასე წაკითხვის მართებულება ს. მაღალაძის ზანდუკის სათანადო პუნქტიდან მომდინარეობს, რომელშიც 203 მუხლის შინაარსი ასეა გადმოცემული: „გლეხის კაცის ცოლი რომ დაქვრივდეს“, ძალად ნუ გაათხოვებენ“ და მითითებულია ვახტანგის სამართლის წიგნის 203 მუხლი.

ზანდუკიდან ისიც ჩანს, რომ ეს პუნქტი წაკითხავს ვახტანგ VI, მაგრამ მის შინაარსს რაიმე გაუგებრობა არ გამოუწვევია და იქვე აწიებზე სხვა პუნქტებისათვისაც საერთო სათუთრად მიუწერია „ქვრივის გათხოვებისა“ (გვ. 16)³.

¹ ბოლო სამი პუნქტი მაღალაძის ხელით არაა ჩაწერილი. პუნქტი, მოსაძებნი მუხლის შინაარსს გადმოგვცემს. მაგ. ერთ-ერთი პუნქტი ასეა ჩამოყალიბებული: „შუათანა ძმებს რა უნდა მიეცეს“ (გაყრისის) და მიუთითებს ვახტანგის სამართლის წიგნის 102-ე მუხლზე, რომელიც საშუალო ძმის წილს განსაზღვრავს გაყრისას.

² ერთგვაროვანია ისეთი პუნქტები, რომლებიც ერთი სახის იურიდიულ ურთიერთობებს აწესრიგებს. მაგ. რამდენიმე პუნქტი მკვლელობას ეხება, რამდენიმე ცილისწამებას და ა. შ.

³ თუ როგორაა გაკეთებული ამ ხასიათის მინაწერები იხ. ქართული სამართლის ძეგლები ტ. I, ტექსტი გამოსცა, გამკვევია და ლექსიკონი დაურთო პროფ. ი. დოლიძემ გვ. 31, რიგითი № 282, სქოლიო 2.

„გლეხის კაცის ცოლი რომ დაქვრივდეს“ ასეა ფიქსირებული 203 მუხლის შინაარსი სხვა ხელნაწერებზე დართულ ზანდუკ-სამძიებლებში (Q—880, გვ. 49 V; H—11 02 გვ. 15 V).

203-ე მუხლის შინაარსის ასეთ გაგებას მხარს უჭერს ვახტანგის სამართლის წიგნის რუსული რედაქციაც, რომელშიც ვკითხულობთ: **Никто не вправе принуждать свою крестьянскую вдову вступать в новое супружество»⁴.**

II. სჯულმდებელი მეფის მიერ რედაქტირებულად მიჩნეული S —3683 სამართლის წიგნთა კრებულის ხელნაწერს, ვახტანგის სამართლის წიგნის 225-237 მუხლები აკლია. **თ. ენუქიძემ და ი. დოლიძემ** საგვებით მართებულად იგი სხვადასხვა ხელნაწერებიდან შეაგეს. მათ შორის 227 მუხლი აღდგენილია იმ ხელნაწერების მიხედვით, რომელშიც იკითხება: **„წაძრახვისათვის ვინც ვისაც წაძრახოს, იმით სისხლს და რაც რომ ჩხუბი მოკდეს, ნახევარი წამძრახავმან ვარდაქალოს და ნახევარი მქნელმან. და თუ იმ წაძრახვით ჩხუბი არ მოკდეს რა და გულის მოწყვეტისათვის უთხრას, გულის მოწყვეტა და თავის გატეხა ერთგან ჩაგვიგდიო, რასაც გვარისა იყოს, იმ წესით თავის გატეხასთან ჩაივდება და იმთონი გარდაუქალოს“.**

რუსულ თარგმანში ეს მუხლი სულ სხვა შინაარსისაა (თ. ენუქიძის მიერ მითითებულ B ნუსხის ტიპის ხელნაწერიდან) და ჩვენთვის საინტერესო წინადადება შიგ არ გვხვდება.

მუხლის ზემოთ მოტანილ აღგილიდან **„ერთგან ჩაგვიგდიო“**—ო, გამოდის, რომ **„წაძრახვას“** თუ ჩხუბი არ მოყვეს და ასეთი „გულის მოწყვეტისათვის“ უთხრას საკითხი ისე უნდა გადაწყდეს, რაზედაც სადაც უკვე თქმულა. **„გულის მოწყვეტისათვის“** და **„თავის გატეხვისათვის“** ვათვალისწინებულ რომელიც მუხლში.

ეს მაშინ, როცა ვიცი, რომ „გულის მოწყვეტისათვის“ პასუხისმგებლობას ვახტანგის სამართლის წიგნი საერთოდ არ იცნობს.

ამჟამად, რომ აქ ტექსტი დამახინჯებულა და სიტყვების „გულის მოწყვეტა“ და თავის გატეხვა ერთგან ჩაგვიგდიას“ ნაცვლად უნდა იკითხებოდეს „გულის მოწყვეტა და თავის გატეხა ერთად ჩაგვიგდიო“

(ან „ჩაივდება“). აქი კანონმდებელი იქვე ამბობს: **„რასაც გვარის იყოს იმ წესით თავის გატეხასთან ჩაივდება და იმთონი გარდაუქალოს“**—ო. ე. ი. კანონმდებელმა „გულის მოწყვეტა“ (რომელსაც სხვა მუხლი არც იცნობს) „თავის გატეხას“ გაუთანაბრა.

ტექსტის ასეთი წაკითხვის სასარგებლოდ ლაპარაკობს ხელნაწერ H—3167 (1797 წლის) სამართლის წიგნის 227 მუხლიც, რომელშიც ჩვენთვის საინტერესო აღგილი ასეა შეტანილი: **„თუ იმ წაძრახვით ჩხუბი არ მოხდეს რა და გულის მოწყვეტისათვის უთხრას. გულის მოწყვეტა და თავის გატეხა ერთად ჩაგვიგდიო“**. (გვ. 138—139). თავდაპირველად ტექსტში „ჩაივდება“ ეწერა, რომელიც იმავე ხელით და მეტონი გადასწორებულია: **„ჩაგვიგდიო“**.

მუხლის ასეთ გამართვას მხარს უჭერს სხვა სამართლის წიგნებიც (H—1236, გადაწერილია 1784 წელს, გვ. 65 V; H—1070, გადაწერილია 1751 წელს).

ყურადღებას იქცევს ისიც, რომ ვახტანგის სამართლის წიგნში, როცა რომელიმე მუხლი სხვა ნორმაზე მიუთითებს, „ერთგან ჩაგვიგდიო“—ო კი არ წერენ, არამედ, როგორც აკად. ი. დოლიძე შენიშნავს: **„ზემოდ“, „ზეით“, „სხვაგან“** ან **„დაგვიწერიაო“⁵.**

III. ვახტანგის სამართლის წიგნის 231-ე მუხლში ვკითხულობთ: **„ქ. ვის შვილი დარჩეს მას უკან მოკუდეს, დედაცაი დარჩეს უშვილოდ, თუ სახლში დადგების, რადგან ქმარი და შვილი იქ მოკლომია ისრევ თავის პატივით იყოს“**.

როცა ვკითხულობთ **„ვის შვილი დარჩეს, მას უკან მოკუდეს“**—გავიანზრებთ— მშობლის სიკვდილს. თუმცა მუხლის ბოლომდე ჩაკითხვით ყველაფერი ნათელი ხდება, რომ „შვილის სიკვდილზე“ ყოფილა ლაპარაკი, მაგრამ ამ კონტექსტში სიტყვა **„მოკუდეს“** შეუსაბამოა მაინც შეიმჩნევა.

ყველაფერი გასწორდება, რომ **„მოკუდეს“** ნაცვლად **„მოკუდეს“** ეწეროს. ეს რომ ასე უნდა იყოს, იქიდანაც სჩანს, რომ მაღალაძისეულ ზანდუკში ამ მუხლის დასათარებმა თვით ვახტანგ VI-ს ხელით ასეა ჩაწერილი: **„ვის შვილი დარჩეს და მასუკან მოკუდეს და დარჩეს დედაცაი უშვილო...“** (გვ. 15).

⁴ Сборник законов Грузинского царя Вахтанга VI, издание А. С. Франкеля. 1887, стр. 59.

⁵ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 671.



IV. მაღალაძისეულ ზანდუკ-საძიებლის გვ. 34r-ზე ერთი პუნქტის შინაარსი ასეა გადმოცემული: „სასაფლაო, ხატი და ჯვარი და საყდრის მამული საერთოა, თუ არ გაიყოფენ ისი სჯობს...“, მითითებულია სომხური სამართლის 358 და ვახტანგის სამართლის 106 მუხლები.

როგორც ირკვევა, პუნქტის შინაარსი ვახტანგის სამართლის 106-ე მუხლიდან არის გადატანილი, რომელშიც ვკითხულობთ: „სასაფლაო, ხატი, ჯვარი, საყდრის მამული ერთია...“ აქ სიტყვა „ერთია“. ტოლობის შინაარსის გამომხატველი უფროა, ამდენად ზანდუკის მიერ შემოთავაზებული „საერთოა“ უფრო უპრიანია. მუხლშიც ასე უნდა ჩასწორდეს.

რუსულში ეს ადგილი თარგმნილია როგორც: «Общее имение».

V. მეფე გიორგის „ქეგლის დადების“ 43-ე მუხლი ასეა ჩამოყალიბებული: „ამიერნი ქვეისბერნი და ჰეროვანი იმიერთა ნუოდეს მიუდგებიან, ნუცა სალაშქროდ, ნუცა სასაუროდ ისაქმებენ ერთმანეთთანა თავის თავისასა საერისთავოსავან კიდე.“

და რომელიც მიუდგეს, თუ უნდა იმიერი ამიერსა ანუ ამიერი იმიერსა დარბაზით მამული წაედოს და ციხე დაეჭიოს“.

ტექსტში ბუნდოვანია სიტყვები: „მიუდგებიან“, „მიუდგეს“. მუხლის რუსულად მთარგმნელს «Соединийтсья»-დ გადაუღია.

ძველ ქართულში სიტყვა „მიდგომას“ ვხვდებით: „მიმხრობის“ (ქართლის ცხოვრება, ტ. II, გვ. 37), „გაყოლის“ (საკითხავი წიგნი ძველ ქართულ ენაში II გამოცემა ივ. იმნაიშვილმა გვ. 177) და „დაორსულების“ (ივ. იმნაიშვილი ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი 1948, გვ. 337; ძველი ქართული ლიტერატურის ისტორია II, შედგენილი სოლ. ყუბანეიშვილის მიერ 1946, გვ. 443) მნიშვნელობით.

როგორც ვხედავთ, სიტყვა „მიუდგეს“ ასეთ გაგებათაგან არცერთი არ უდგება „ქეგლის დადების“ 43-ე მუხლის შინაარსს.

მოცემულ მუხლში სიტყვა „მიუდგებიან“ („მიუდგეს“) აკად. ი. დოლიძეს საცხებით მართებულად ესმის როგორც „მიხლომა“,

„შეგმა“ — ე. ი. ნუ მიუხდებიან ნუ შეგბიანონ.

მუხლის შინაარსის ამგვარ გაგებას გვთავაზობს, მაღალაძისეული ზანდუკის ის პუნქტიც, რომელიც 43-ე მუხლის შინაარსს ასე გადმოგვცემს: „ამიერნი ქვეისბერნი იმიერთ ნუოდეს მიუხდებიან“ (გვ. 15 V).

43 მუხლში, რომ „მიუხდებიან“ უნდა ეწეროს, ეს იქიდანაც ჩანს, რომ S—3683 ხელნაწერ ტექსტში „მიუდგებიან“-ს იმთავითვე მიუტყვევია გადამწერის ყურადღება და იგი გადაუხაზავს სინგურის მეღნიით გვ. 252r).

ვახტანგის კანონთა კრებულის სხვა ხელნაწერის ზანდუკშიც ასეა ჩაწერილი ამ მუხლის შინაარსი: „ამიერნი ქვეისბერნი იმიერთ ნუოდეს მიუხდებიან“ (Q—880—გვ. 48 V).

ვეფქრობთ მოტანილი დასაბუთება საკმარისია იმისათვის, რომ 43-ე მუხლში სიტყვები „მიუდგებიან“ და „მიუდგეს“ შეცვლილი იქნეს სიტყვებით: „მიუხდებიან“ და „მიუხდეს“.

VI. მაღალაძისეული ზანდუკ-საძიებლის მოშველებით უფრო ვასაგებო ხდება კანონთა კრებულში შემავალი სხვა სამართლის წიგნების ბუნდოვანი ადგილებიც მაგ. აკად. ი. დოლიძის გამოცემაში ბაგრატ კურაპალატის 130 მუხლი (S—3683 ხელნაწერ კანონთა კრებულში 131-ე მუხლია. იხ. გვ. 273). ასე იკითხება: „თუ დიაცსა ავინოს თორმეტი გლეხი დაუფრგოს მარტივითა საქსრითა. მამაკაცისა და დიაცის საბატობასა უნდა გამოხაზავა“. „დიაცსა ავინოსო“ — გამოდის, რომ ქილს ავიწებენ. იგია მხარე. აღნიშნული მუხლი კი ასეა გატარებული ზანდუკში: „კაცმა კაცს თუ დიაცი ავინოს“ და მითითებულია მხოლოდ აღბუღას 131-ე მუხლზე (გვ. 12 V).

ასეა ამ მუხლის შინაარსი ხელნაწერ Q-575-ის ზანდუკშიც (გვ. 11 V). ხოლო H—1070 ხელნაწერის ზანდუკში: „ცოლის გინებიან“ (გვ. 9 V).


როგორც სჩანს, კანონის 130-ე მუხლის შინაარსის მართებული გაგებით, დამნაშავე დიაცს — ქალს კი არ ავიწებს, არამედ ქმარს უვიწებენ დიაცს — ცოლს. როგორც ვხედავთ, სხვაობა წაკითხვითა შორის მეტად მნიშვნელოვანია.

6 ი. დოლიძე, გიორგი ბრწყინვალის სამართალი, 1957, გვ. 137.



ჩვენი მოსაზრების სისწორე, იქიდანაც ჩანს, რომ 130-ე მუხლის ლოგიკურ დასაწყისადაც 129 მუხლის დასაწყისი: „თუ კაც-მან კაცსა“ — უნდა იქნას მიჩნეული. მსგავსივე დასაწყისის გაკეთება 130-ე მუხლისათვის კანონმდებელმა მხოლოდ იმიტომ არ სცნო მიზანშეწონილად, რომ მოდავე მხარეები იგივენი დარჩნენ. სწორედ ამიტომაც თავი აარიდა განმეორებას (როგორც ეს ხშირად კეთდება ძველი სამართლის წიგნებში).

ასე, რომ ყოფილიყო, მუხლის დასაწყისი გადმოიცემოდა სიტყვებით: „თუ კაცმან კაცსა დიაცი აიგნოს...“ და ა. შ. ასეთია, მოკლედ, ჩვენი მოსაზრებები, რომლებსაც S—3683 ხელნაწერზე დართული სოლომონ მაღალაძისეული ზანდუკ-საძიებელი იძლევა სამართლის წიგნთა კრებულის ზოგიერთი სამართლის წიგნის, ცალკეული მუხლის წარყვნილი ადგილის აღგენასა, თუ მისი შინაარსის მართებულ გავებასთან დაკავშირებით.



ვესტანგ VI კანონთა კრებულის თარგმნის, პუბლიკაციის და გამოყენების ისტორიიდან XIX საუკუნის პირველ ნახევარში

რ. ლომინაძე

ქართლ-კახეთის შემოერთების შემდეგ ცარიზმმა აქ სასამართლოს რუსული სისტემა შემოიღო. სამართალწარმოება რუსულ ენაზე ხდებოდა და სისხლის სამართლის საქმეებიც რუსული კანონებით წყდებოდა. ადგილობრივ პირობებთან ამ სისტემის შესაბამის მიზნით (თუ დავაში, ერთი მხრიდან მაინც, ქართველი მონაწილეობდა), სამოქალაქო საქმეების გადასაწყვეტად ძალაში დატოვეს ვახტანგ მეექვსის კანონთა კრებული და ქართული ჩვეულებითი სამართლის ნორმები. სასამართლოებში საქმის რუსულ ენაზე წარმოების პირობებში ქართულ კანონთა გამოყენებისათვის აუცილებელი იყო ჩვეულებითი სამართლის ნორმების შეკრება და ვახტანგ VI კანონთა კრებულთან ერთად რუსულ ენაზე თარგმნა. ამ საქმეს ადგილობრივმა ხელისუფლებამ თავიდანვე მოჰკიდა ხელი.

ქართული ჩვეულებითი სამართლის ნორმების შეგროვება-ჩაწერა და რუსულ ენაზე თარგმნა 1815 წელს დამთავრდა¹. უფრო დიდხანს გაგრძელდა ვახტანგ VI კანონთა კრებულის თარგმნა.

ჭერ კიდევ 1802 წლის ზაფხულში მთავარმართებელმა კნორინგმა მისი შესრულება რუსული ენის კარგ მცოდნეს, თავად დავით ჩოლოყაშვილს დაავალა და ჯამაგირიც დაუნიშნა წელიწადში 400 მანეთის ოდენობით².

კნორინგის პოლიტიკურმა მემკვიდრემ პ. ციციანოვმა დ ჩოლოყაშვილს უბრძანა ეთარგმნა კრებულის მხოლოდ ზოგიერთი მუხლი, რომელიც, მისი აზრით, მართლმსაჯულებაში ჭერ კიდევ შეიძლებოდა გამოეყენებინათ. დ. ჩოლოყაშვილმა დავალბა 1809 წლისათვის შესრულა და თარგმანი ახალ მთავარმართებელს, გრაფ ა. გულოვიჩს წარუდგინა³.

ამ დროისათვის ქართლ-კახეთის რუსულ სასამართლო სისტემაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა: 1807 წლის 11 დეკემბრის უწენახეს ბრძანებულებით სააბედაციო სამოქალაქო საქმეები, რომლებსაც აქამდე საქართველოს უმაღლესი მთავრობის საერთო საკრებულო იხილავდა, გადავიდა მმართველ სენატში, სადაც იხინი ქართული კანონების საფუძველზე უნდა გადაეწყვიტათ. ამიტომ 1809 წლის 3 იანვრის რეკრიატიტი საქართველოს მთავარმართებელს დაევალა დეჩქარებინა ვახტანგ VI კანონთა კრებულის რუსულ ენაზე თარგმნა. სენატში გადატანილი საქმეების განხილვა თარგმნის დამთავრებამდე უნდა შეჩერებულიყო⁴. ამ დავალების შესასრულებლად გულოვიჩმა იმავე წლის 9 მარტს საქართველოს მთავრობის საერთო საკრებულოს გადაუგზავნა დავით ჩოლოყაშვილის თარგმნილი ვახტანგისეული კანონები და ბრძანა შემოეწმებინათ იგი, შეედარებინათ დედანთან და, თუ რაიმე აკლდა, დაემატებინათ.

საერთო საკრებულომ აღნიშნა, რომ ჩოლოყაშვილის თარგმანი სრული არ იყო და მიზანშეწონილად ჩათვალა ყველა იმ მუხლის თარგმნა, რომელიც სამოქალაქო დავას აწესრ გებდა. ამის შესრულება ისევ დ. ჩოლოყაშვილს დაევალა, ხოლო თარგმნისათვის კონტრაოლი უნდა გაეწიათ საკრებულოს მრჩეველებს ორბელიანს, ქილაშვილს, თუმანიშვილს და იანიშვილს, რომლებსაც ყველა დონე უნდა ემბარათ დავალების სწრაფად შესრულებისათვის⁵.

საკრებულოს ამ მრჩეველებმა საკიროდ მიიჩნიეს, რომ ჩოლოყაშვილის მიერ თარგმნილი მუხლები დედანთანაც უნდა შედარებულიყო და უნ-

1 საქ. ცსა, ფ. 26, ა. I, ს. 957, ფურც. 5.
2 იხ. ი. დოლიძე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ., 1960.
3 საქ. ცსა, ფ. 2, ა. I, ს. 27, ფურც. 240.
4 ი. დოლიძე საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ., 1960, დანართები, გვ. 187.
5 რუსეთის იმპერიის კანონთა სრული კრებული, ტ. 32, № 25429.
6 ი. დოლიძე, დასახ. პუბლ., გვ. 183—184.
7 იქვე, გვ. 187.

და შესწორებულიყო კიდეც. მალე ორბელიანსა და იანიშვილს სხვა საქმე დაევალოთ, ამიტომ ეს სამუშაო ჭილაშვილმა და თუმანიშვილმა დამთავრეს და 1810 წლის 16 სექტემბერს თარგმანი წარუდგინეს მთავარმართებელ ტორმასოვს, რომელმაც იმავე წლის 5 ოქტომბერს იგი სენატს გაუგზავნა.

ვახტანგ VI კანონთა კრებულის რუსულ თარგმანზე მუშაობა ამით არ დამთავრებულა, იგი კიდევ დიდხანს გრძელდებოდა. ამასთან დაკავშირებით ისმის საინტერესო საკითხი: რატომ მოხდა, რომ დ. ჩოლოყაშვილის თარგმანი რედაქტორებმა უფარვისად მიიჩნიეს და შემდეგ ასევე შეაფასეს პეტერბურგშიც? დ. ჩოლოყაშვილმა ხომ ორივე ენა კარგად იცოდა. დ. ჩოლოყაშვილი საკმაოდ ცნობილია როგორც დრამატურგი, პოეტი და მთარგმნელი, იგი თავისუფლად თარგმნიდა რუსულიდან ქართულზე და პირიქით. გარდა ამისა, ირკვევა, რომ ახალგაზრდობისას 20 წლის მანძილზე მსახურობდა რუსეთის არმიას¹⁰, ხოლო 1802 წლის თავადთა შეთქმულების მონაწილეებმა სწორედ მას დაავალეს გარსეფან ჭავჭავაძისადმი მიწერილი წერილის რუსულ ენაზე თარგმან¹¹. მეორე მხრივ, ისიც ცნობილია, რომ დ. ჩოლოყაშვილი კარგად იცნობდა ვახტანგის კანონებსაც: 1794—1801 წლებში იგი მდივანბეგი იყო კახეთში¹².

მაშ რატომ აღმოჩნდა მისი თარგმანი უფარგისი? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისათვის გვიხსენოთ პაატა გუგუშვილის ფრიად საინტერესო ვარაუდი, რომოთქმული იმ ქართველი თავადების გამო, რომლებიც ქართული ადათობრივი სამართლის ნორმათა შეკრებაზე მუშაობდნენ და რომელთა შორის დიდი უთანხმოება წარმოიშვა ამ ნორმების დადგენის დროს. პ. გუგუშვილი წერდა: „ხომ არ იდგა მათ წინაშე საკითხი იმის შესახებ, რომ ესარგებლათ პოლიტიკური მდგომარეობით, რათა უფრო გეფართოებინათ და განმტკიცებინათ თავიანთი

პრივილეგიები“¹³ ლოგიკური ჩანს ასეთივე კითხვის დასმა ჩვენს შემთხვევაშიც. მართლაც, ხომ არ ცდილობდნენ დ. ჩოლოყაშვილი ან მისი რედაქტორები თარგმნისას ვახტანგის კანონების ისე დამახინჯებას, რომ ქართველ თავადაზნაურობას აქედან მაქსიმალური სარგებლობა მიეღო? ცხადია, ამ საკითხზე პასუხის გაცემა შესაძლებელი იქნება მხოლოდ დ. ჩოლოყაშვილის თარგმანის გამოვლენითა და ორიგინალთან შედარებით, რაც სპეციალურ კვლევა-ძიებას მოითხოვს.

დაახლოებით ამავე დროს, 1811 წელს, ვახტანგ VI კანონთა კრებული თარგმნა და იმპერატორს წარუდგინა სენატორმა მირიან ბატონიშვილმა. მასალებიდან არ ჩანს, ვინ დაავალა მირიანს ეს სამუშაო. შესაძლოა, თვით სენატმა, რადგან, როგორც აღვნიშნეთ, სამოქალაქო საქმეებში უმადლესი სააპელაციო ორგანო სწორედ სენატს იყო. მაგრამ შეიძლება ბატონიშვილმა ეს საკუთარი ინიციატივითაც გააკეთა, რათა როგორმე შეემსუბუქებინა იმ თანამემამულეთა მდგომარეობა, რომელთა საქმეები სენატში ხელუხლებლად ეწყო ქართულ კანონთა რუსული ტექსტის უქონლობის გამო.

მირიანის თარგმანის განხილვა და დ. ჩოლოყაშვილისეულ თარგმანთან შედარება დავალა ერთ-ერთ იურისკონსულტს, რომელმაც ამ თარგმანებს შორის დიდი განსხვავება აღმოაჩინა¹⁴. ეს გასაგებია. მირიანი და დავითი ხომ ვახტანგის კრებულის სხვადასხვა ხელნაწერებით სარგებლობდნენ, რომელთა შორის, როგორც ცნობილია, საკმაოდ დიდი განსხვავებაა. ამიტომ, გასაგებია, არც თარგმანები იქნებოდა ერთნაირი. გარდა ამისა, თუ დავუშვებთ შემოთ გამოთქმულ მოსაზრებას დ. ჩოლოყაშვილის თუ მისი რედაქტორების ტენდენციურობის შესახებ, მაშინ უფრო გასაგები გახდება ამ თარგმანებს შორის არსებული უთანხმოების მიზეზები.

ორივე თარგმანის საბოლოო განხილვისათვის

⁸ იქვე, გვ. 188.

⁹ იქვე, გვ. 188—189, 198.


¹⁰ საქ. ცსა, ფ. I, ა. I, ს. 174, ფურც. 3.

¹¹ კავკასიის არქეოგრაფიკული კომისიის აქტები, ტ. I, № 495.

¹² საქ. ცსა, ფ. I, ა. I, ს. 174, ფურც. 3. თავისი მდივანბეგობის ამ წლებს (1794—1801) დ. ჩოლოყაშვილი თვითონვე მიუთითებს მთავარმართებელ გუდოვიჩისადმი წარდგენილ თხოვნაში. ეს წყარო საგვებით სწავლით მიგვაჩინა. ამიტომ ვერ დავეთანხმებით იმ მკვლევარებს, რომლებიც დავითისათვის ამ თანამდებობის ბოძების თარიღად 1785 (მ. კეკელია, სასამართლო ორგანიზაცია და პროცესი საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ, წ. I, თბ., 1970, გვ. 143), 1790 (ა. იოსელიანი წიგნში „საქართველოს ახალი ისტორიის საკითხები“, თბ., 1971, გვ. 11) ან 1795 (თ. ენუქიძე, აღმოსავლეთ საქართველოს მდივანბეგთა ქრონოლოგიური რიგი, „მრავალთავი“, ტ. I, 1971, გვ. 322) წლები მიაჩნით.

¹³ იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1939, ნაკვ. III, გვ. 70.

¹⁴ საქ. ცსა, ფ. 16, ა. I, ს. 1459, ფურც. 7.



1813 წელს სენატმა შექმნა სპეციალური კომიტეტი სენატორების დავით ბატონიშვილის, მიკლაშევსკისა და კონდოიდის, აგრეთვე სენატის ობერ-პროკურორის პოსნიკოვისა და იუარისკონსულტ ანენსკის შემადგენლობით¹⁵. კრებულის პირველივე განხილვის შემდეგ კომიტეტმა დაასკვნა, რომ ვახტანგის კანონებში არის ისეთი ნორმები, რომელთა გამოყენებაც ახლა, საქართველოში ვითარებისა და მდგომარეობის შეცვლის გამო, სარგებლობის ნაცვლად ზიანს მოიტანდა¹⁶. მალე კომიტეტმა წარადგინა კრებულის შესწორებული რუსული თარგმანი. 1815 წელს კომიტეტის მოხსენება გადაეცა სახელმწიფო საბჭოს, ხოლო 1820 წელს მთელი მასალა გადაეგზავნა საქართველოს მთავარმართებელ ერმოლოვს, რათა მას წარმოედგინა აზრი ადგილობრივი პირობების შესაფერისი დამატებებისა და ცვლილებების შესახებ¹⁷.

უნდა აღინიშნოს, რომ ერმოლოვს, მისივე მოწმობით, არასოდეს უმუშავებია სამართლებრივ საკითხებზე და ამ სფეროში მისი ცოდნაც არასაკმარისი იყო¹⁸. მიუხედავად ამისა, მისივე თქმით, იგი უმაღლვე დარწმუნდა ვახტანგის კრებულის თარგმანის მნიშვნელოვან უზუსტობასა და მრავალ უსარგებლო გამეორებებში. ამიტომ 1821 წლის 7 სექტემბრის წერილში იშუამდგომლა მ. სპერანსკის წინაშე, რათა ამ უკანასკნელს ეთხოვა იმპერატორისათვის ნებართვა თბილისში საგანგებო კომისიის გახსნისა, რომელიც რუსულ ენაზე თარგმნიდა კრებულის ყველა მუხლს¹⁹.

ნებართვა ერმოლოვმა მიიღო და 1822 წლის 15 აპრილს შეადგინა კომისია საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორ გენ. ხოვენის (თავმჯდომარე), სინოდის კანტორის პროკურორ ს. კილაშვილის, საგუბერნიო პროკურორ ი. კილაშვილის, კეთილშობილური სასწავლებლის დირექტორ ბუკრინსკისა და ნადვორნი სოვეტნიკ ნ. ფალავანდიშვილის შემადგენლობით, რომლებმაც კარგად იცოდნენ ქართული ენა²⁰. საქართველოს ეგზარქოსის დავალებით კომისიას დახმარებას უწყვეტად ეგზარქოსის კანცელარიის მოხელე, ტიტულიარნი სოვეტნიკი ნ. ჩუბინაშვილი²¹.

1824 წლის ივლისში გენ. ხოვენმა ერმოლოვს მოახსენა, რომ კომისიამ დაასრულა კრებულის თარგმნა და ამით დამთავრა საქმე, რომლის მოგვარებაც, მიუხედავად ყველა ცდისა, მთავრობამ ვერ მოახერხა 20 წლის განმავლობაში, რის გამოც საქართველოს ათასობით ოჯახი ორი ათეული წლის მანძილზე ელოდება თავის ხვედრის გადაწყვეტას, რაც დამძიმებულა აქაური მხარის კანონების უტოლინარობით²².

იმავე წელს თარგმანი გაიგზავნა სენატში, ხოლო 1825 წლის 28 თებერვლის უზენაესი ბრძანებით სენატმა დაიწყო მისი გამოყენება მრავალი წლის მანძილზე (1805 წლიდან!) უმოძრაოდ მყოფი ქართული სამოქალაქო საქმეების განხილვისას²³. 1828 წელს სენატმა პირველად გამოაქვეყნა ვახტანგის კრებული რუსულ ენაზე. ამავე წიგნში დაიბეჭდა ქართული ჩვეულებითი სამართლის კრებულებიც.

ამრიგად, სულ შესრულებულა ვახტანგ VI კანონთა კრებულის ოთხი თარგმანი 1. დავით ჩოლოყაშვილისა, 2. მირიან კილაშვილისა, 3. სენატის სპეციალური კომიტეტისა დავით ბატონიშვილის მონაწილეობით და 4. განსაკუთრებული კომისიისა საქართველოს სამოქალაქო გუბერნატორის გენ. ხოვენის თავმჯდომარეობით. 20-იანი წლების დასასრულისათვის ეს უკანასკნელი თარგმანი გამოაქვეყნდა კიდევ.

* * *

ისმის კითხვა: რით და როგორ ხელმძღვანელობდნენ რუსულ ენაზე მოქმედი საქართველოს სასამართლოები, ვიდრე ვახტანგის კრებულის რუსული თარგმანი გამოიცემოდა? დადგენილება საქართველოს მმართველობის შესახებ სასამართლოებს ავადებდა სამოქალაქო საქმეებში ეხელმძღვანელათ ვახტანგ VI კანონთა კრებულით და ჩვეულებითი სამართლის ნორმებში. მაგრამ დადგენილებაში იყო მეტად მნიშვნელოვანი დამატებაც: იმ შემთხვევაში, თუ ეს კანონები არასაკმარისი აღმოჩნდებოდა, უნდა ეხელმძღვანელათ რუსული კანონებით²⁴. ცხადია, ეს ორაზროვანი მითითება ფართო ასპარეზს აძლევდა რუს მოხელეებს კანონები სა-

15 იქვე.
 16 სსრკ ცსა, ფ. 1149, ა. I, ს. 4, ფურტ. 3.
 17 იქვე, ფურტ. 13.
 18 იქვე, ფურტ. 20.
 19 იქვე, ფურტ. 18.
 20 საქ. ცსა, ფ. 16, ა. I, ს. 2759, ფურტ. 1—2.
 21 იქვე, ფურტ. 10.
 22 იქვე, ფურტ. 29.
 23 რუსეთის იმპერიის კანონთა სრული კრებული, ტ. 40, № 30272.
 24 აქტები, I, № 550.

კუთარი ნება-სურვილით გამოეყენებინათ. მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ არც ქართულ კანონებზე*, არც ადგილობრივ ადამ-წესებზე და არც ქართული ენა ესმოდათ. ხოლო ვახტანგ VI კანონთა კრებულის რუსული ტექსტის უქონლობის, თარგმანთა უქმარისობისა და მათი უმეტესობის სრული უვარგისობის პირობებში, ისინი სულაც არ იწუხებდნენ თავს ქართული სამართლის ნორმების გამოყენებით. გარდა ამისა, თუმცა ეს კანონები ოფიციალურად ძალაში იყო დატოვებული, მისი გამოყენება არავის არ მაინდა სავალდებულოდ. ქართულ კანონებს იყენებდნენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც რუსულ კანონებში არ მოიძებნებოდა შესაბამისი მუხლი დავის გადასაწყვეტად, თანც იმ პირობით, თუ მათი გამოყენება არ ეწინააღმდეგებოდა მთავრობის მიერ დასახულ მიზანს — მჭიდროდ შეერწყა იმპერიისათვის საქართველო და გაერუსებინა ადგილობრივი მოსახლეობა. რუსი მოსამართლეები თავისებურად განმარტავდნენ ქართულ კანონებს ან სულაც არ იყენებდნენ, ხელისუფლება კი მათ საერთოდ აუქმებდა. ასე, მაგალითად, 1805 წელს პ. ციციანოვმა გააუქმა ვახტანგ VI კანონთა კრებულის 162 და 163 მუხლები, რომლებიც, მისი აზრით, ეწინააღმდეგებოდნენ მთავრობის დადგენილებას საქართველოს შესახებ²⁵; 1810 წელს გაუქმდა ვახტანგის დებულება მამულის გაყოფის დროს მეოცედი ნაწილის ხაზინაში შეტანის შესახებ²⁶; 1827 წელს გაუქმდა სარჩელის წარდგენის ქართული კანონებით გათვალისწინებული 40 და 80 წლიანი ვადა და იგი განისაზღვრა რუსული კანონით დაწესებული 10 წლით²⁷, და ა. შ.

ქართულ კანონებს მაინცდამაინც არც მათი რუსული თარგმანის გამოცემის შემდეგ იყენებდნენ. მართალია, ჯერ კიდევ 1825 წლის 28 ივნისს ერმოლოვმა გასცა განკარგულება, რომ სასამართლოებს ეხელმძღვანელათ ხოვენის კომისიის მიერ თარგმნილი კრებულით, მაგრამ იგი არავის შეუსრულებია. ათი წლის შემდეგაც

კი, მთავარმართებელ ბარონ როზენის მოწმობით, საქართველოს სასამართლოები იყენებდნენ ვახტანგის კრებულის ან ქართულ ხელნაწერებს, რომლის მუხლებსაც თავისი შეხედულებით თარგმნიდნენ, ან უწინდელ, უუარგისად მიჩნეულ და არასრულ თარგმანს²⁸.

ამრიგად, როგორც ჩანს, 1828 წელს პეტერბურგში გამოცემული ქართული კანონების კრებული საქართველოში არ გადმოუგზავნიათ და აქ პრაქტიკაში გამოიყენებოდა დავით ჩოლოყაშვილის მიერ 1810 წელს თარგმნილი და თუშანიშვილისა და ჭილაშვილის მიერ რედაქტირებული ვახტანგ VI კანონთა კრებული. მაგრამ ეს თარგმანიც ყველა სასამართლოს არ გააჩნდა. იგი ჰქონდათ მხოლოდ სასამართლოსა და დასჯის ექსპედიციას და თბილისის სამაზრო სასამართლოს, ხოლო სხვა სასამართლოებში არ იყო არა თუ ეს თარგმანი, არამედ სწორად კრებულის ქართული ხელნაწერიც კი, ან ეს უკანასკნელი იმდენად გაცვეთილი იყო, რომ მათი გამოყენება შეუძლებელი ხდებოდა²⁹.

ამიტომ, ბარონ როზენის წარდგინებით, გამოცა უზუნაესი ბრძანებულება საქართველოს სასამართლოების მიერ ვახტანგის კრებულის უკანასკნელი თარგმანის გამოყენებისა და მისი დაბეჭდვის შესახებ³⁰.

მასალები გვიჩვენებს, რომ ვახტანგის კრებულის რუსული თარგმანი ხელახლა, ე. ი. მეორედ, 1886 წელს გამოუციათ; იმავე წლის 21 მაისს სენატმა საქართველოს მთავარმართებელს გადმოუგზავნა ამ გამოცემის 100 წიგნი და დაავალა გაცეა განკარგულება, რათა ამიერიდან მოსამართლეებს ეხელმძღვანელათ კრებულის ამ გამოცემით. ეს წიგნები სასამართლოებს 1886 წლის ბოლოს დაურიგდათ³¹.

ქართულ კანონთა კრებული 1886 წელს რომ ხელახლა გამოუციათ, ამას სხვა წყაროც ადასტურებს: 1887 წლის დასაწყისში სენატორ ბარონ ვანს, რომელიც საქართველოში ჩამოსავლელად ემზადებოდა, მართლვეს ვახტანგის

* ვახტანგის კანონების გამოყენების პრაქტიკაში საქმე კუროიზამდევ კი მიდიოდა. ასე, მაგალითად, ამ კანონებს იყენებდა ელიზავეტპოლის მაზრის (ყოფილი განჯის სახანო) საოლქო სასამართლო, სადაც ეს კანონები რუსეთთან შეერთებამდე არასოდეს არ გამოუყენებიათ. მხოლოდ 1818 წელს გაიცა ბრძანება, რომ აქ ეხელმძღვანელათ არა ქართული, არამედ რუსული კანონებით (იხ. საქ. ცსა, ფ. 2, ს. 655, ფურც. 3).

²⁵ სსრკ ცსა, ფ. 1377, ა. I, ს. 37, ფურც. 114.

²⁶ საქ. ცსა, ფ. I, ა. I, ს. 244, ფ. 2.


²⁷ რუსეთის იმპერიის კანონთა სრული კრებული, გამოცემა მეორე, ტ. 2, № 1007.

²⁸ საქ. ცსა, ფ. 2, ა. I, ს. 3912, ფურც. 4—6.

²⁹ იქვე, ფ. I, ა. I, ს. 716, ფურც. 3; ფ. 16, ა. I, ს. 4430, ფ. 5, 8—18.

³⁰ იქვე, ფ. 2, ა. I, ს. 3912, ფურც. 8.

³¹ იქვე, ფურც. 10, 15, 16.



კრებულის „ახლად დაბეჭდილი“ ხუთი ეგზემპლარიო — ნათქვამია ერთ-ერთ დოკუმენტში³².

ამრიგად, ირკვევა, რომ 1858 წელს განხორციელებულა ვახტანგ მეექვსის კანონთა კიდევ ერთი, აქამდე უცნობი, რუსული პუბლიკაცია. ამგვარად, სიზუსტეს მოკლებულია სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული და სხვადასხვა ენციკლოპედიებში შესული აზრი იმის შესახებ, რომ ვახტანგის კანონები რუსულ ენაზე მეორედ 1887 წელს გამოსცა დიმიტრი ბაქრაძემ. სინამდვილეში დ. ბაქრაძისეული გამოცემა მხოლოდ მესამე პუბლიკაციაა.

აღნიშნული წიგნების მიღების შემდეგაც კი ქართული კანონები სასამართლო პრაქტიკაში

იშვიათად გამოიყენებოდა, ხოლო სულ მალე, ბარონ განის 1840 წლის რეფორმის შემდეგ, თითქმის აღარ იხმარებოდა. 1859 წელს კი ისინი ოფიციალურადაც გააუქმეს.

ცხადია, სასამართლო პრაქტიკაში ვახტანგ VI კანონთა კრებულის გამოყენების საკითხი საკიროებს შემდგომ კვლევა-ძიებას, პირველ რიგში სასამართლო გადაწყვეტილებების შესწავლის გზით, მაგრამ ზემონათქვამიც ნათლად გვიჩვენებს, რომ ამ საქმეში სრული ქაოსი არსებობდა და ვახტანგის კანონების ოფიციალურად ძალაში დატოვება არსებითად მხოლოდ უორმაღლური აქტი იყო.

³² სსრკ ცსა, ვ. 1268, ა. I, ს. 8, ფურც. 1.



სახელმწიფოსა და სამართლის საკითხები ი. ბაგრატიონის „კალმასობაში“

სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებს „კალმასობაში“ საკმაოდ დიდი ადგილი უჭირავს. ი. ბაგრატიონი მათ ხშირად ეხება არა მარტო იმისათვის, რომ მკითხველი გაარკვიოს სახელმწიფოსა და სამართლის საკითხებში, არამედ იმტომაც, რომ ი. ბაგრატიონს, როგორც მოღვაწეს, მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში აღუვებდა ის პოლიტიკური პრობლემები, რომლებითაც დინტერესებული იყო მასინდელი მოწინავე თავადაზნაურული ახალგაზრდობა.

ი. ბაგრატიონი ნათლად ხედავდა, რომ რუსეთს საქართველოსთან შედარებით ჰქონდა ერთგვარი უპირატესობა სახელმწიფო მმართველობის სისტემასა და ფორმებში. მაგრამ იგი ასევე ნათლად ხედავდა მათ მანკიერებასაც, კარგად იცოდა, რომ რუსეთი ამ მხრივ ბევრად ჩამორჩებოდა დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნებს.

მართალია, შეიცვალა ძველი თანამდებობები (სახლთუხუცესის, მდივანბევის, ემიკალასპაშის, ბოქაულთუხუცესის, სარდლის და სხვ), შეიცვალა, რაც მთავარია, თანამდებობათა მემკვიდრეობით გადაცემა, დაწესდა თანამდებობის პირთათვის სელფასის დანიშვნა, მაგრამ რუსეთის მიერ შემოღებული მმართველობის ახალი ფორმებიც ფეოდალური იყო და მიზნად სხვა ერზე გაბატონებასა და ჩაგვრას ისახავდა.

ქართლ-კახეთის სამეფოს სუთ მაზრად დაყოფა და მათ უფროსებად რუსი მოხელეების დანიშვნა, სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა რუსული კანონების მიხედვით და სხვა ღონისძიებები დიდმპყრობელურ კოლონიურ-პოლიტიკურ მიზანს ემსახურებოდა. ი. ბაგრატიონს ეს ყველაფერი კარგად ესმოდა, მაგრამ იგი ამავე დროს ხედავდა, რომ ახალი მმართველობით ბოლო ეღებოდა თავნება ფეოდალების ბატონობას, თანამდებობათა საშვილიშვილოდ დაჩემებას და მათ მემკვიდრეობით გადაცემას. ამასთანავე ახალი მმართველობა, რომლის სფეროშიც მოხვდა არა მარტო ქართლ-კახეთი, არამედ მთელი საქართველო და მალე კავკასიაც, საფუძველს უყრიდა ფეოდალურ ერთეულებად დაშლილ საქართველოს გაერთიანებას.

„კალმასობა“ სწორედ იმ წლებში იწერებოდა, როდესაც საქართველოში პოლიტიკური ცხოვრება დუღდა, ბევრი რამ იცვლებოდა, მმართველობის ახალი

სისტემა იწერებოდა და მას მოსდევდა ხალხთა მკვლევარება, აზნაურთა შეთქმულება, გლეხთა აჯანყებები და სხვ. ესმარება თუ არა „კალმასობა“ ამ მოვლენებს და როგორია მათ შესახებ ი. ბაგრატიონის აზრი? პირდაპირი გამოხატულება ი. ბაგრატიონს არ შეეძლო. მართალია, იგი არ ყოფილა პოლიტიკური ემიგრანტი, მაგრამ პეტერბურგში თავისი სურვილით არ გადასახლებულა. ამასთანავე გასათვალისწინებელია, რომ ი. ბაგრატიონი მხარს უჭერდა რუსეთ-საქართველოს კავშირის ვითორეფესკის ტრაქტატის საფუძველზე.

„კალმასობა“ ისტორიული ნაწარმოებია, ამიტომ, რა თქმა უნდა, იქ რუსი მოხელეების კრიტიკას ვერ ვიპოვით, მაგრამ განა XIX საუკუნის პირველ მეოთხედში არსებობდა საქართველოში რაიმე შეიცვალა? რუსეთის მეფის მთავარმმართველის აპარატში ქართველი თავადაზნაურობა მოხვდა და მართვის ახალ სისტემაში ის ძველებურად საქმიანობდა. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ „კალმასობაში“ ქართველი მოხელეების კრიტიკა შეგება არა მარტო ძველ „გაუქმებულ“ მოხელეებს, არამედ ი. ბაგრატიონის თანამედროვეებსაც. ქართველი ენციკლოპედიტი, ერთის მხრივ, მკითხველებს უჩვენებს ძველ მოხელეთა მანკიერ თვისებებს იმისათვის, რომ ნათელაქყოს ფეოდალური საქართველოს დაცემის ერთ-ერთი მიზეზი. მეორე მხრივ, იგი ამ მანკიერებას აწუთავდებს და აპყავს ერთ პრინციპში. „კალმასობიდან“ ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა: მოხელე მოძალადეა, მტაცებელი, წამგლეჯი — თანაც უვიცი და ურცხვი წამგლეჯი.

ი. ბაგრატიონს სჯერა, რომ სახელმწიფო სისტემის შეუცვლელად, თუ ქვეყანას წესიერი მეფე და მოხელეები მართავენ, ხალხს შეიძლება მიეცეს დიდი შედგავითი, „სულ ცუდი მოხელეებისაგან არის ქვეყანა ნაკლოვანებაში“, — ამბობს იოანე. მაშ როგორი უნდა იყოს მოხელე, სახელმწიფო მოღვაწე? პირველად უნდა იყოს მტკიცე თვისისა სარწმუნოებასა ზედა და ფიცისა; მეორე — უნდა იყოს ერთგული მამულისა და მეპატრონისა თვისისა; მესამე — არ იყოს ანგაარი და ქრთამის მოყვარე, სოლო მეოთხე — სწავლული და ჭკვიანი და მდიდარი, რომ სხვის ხელს არ შესთხოვდეს¹. მაგრამ განათლებასთან ერთად საჭიროა მოხელე იყოს ზრდილობიანი, კარგი

¹ იოანე ბატონიშვილი. „კალმასობა“, ტ. I, კ. ქვეკლდისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, სახელგამი, 1936, გვ. 25.



ყოფაქცევის, ზნეობრივად სპექტაკი და, რაც მთავარია იცოდეს საქმე. „უნდა პირველად ისწავლო სამსახური, ყოფაქცევა და მერე შეხვიდე საქმეში“ — ურჩევს იოანე ბერი მუხრან—ბატონისშვილს.

სახელმწიფო მოღვაწის მორალს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. პოლიტიკა ეთიკას არ ეწინააღმდეგება. პოლიტიკოსი, პირველ რიგში, უნდა იყოს ზნეობრივად ამაღლებული.

ნიწოწმინდელთან საუბარში იოანე ჯერ განმარტავს ეთიკას, ხოლო მერე პოლიტიკას. ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს მათი ურთიერთკავშირი. „ეთიკა არს ხელოვნება ზნესწავლულებისა, წინაღვე მოსაწერელი კანონთა. თუ ვითარ ჯერარს უზნობა და ცხოვრებასა შინა თვისსა წესიერად და სწავლულებით განმარტვად ვნებათათა თვისთა. ხოლო უკანასკნელ განხილვად ერთ ზნესთსწავლულება კეთილმოქმედებისა საშვალობისათა და ყოვლითა კეთილმოქმედებითა კაცობრიობისათა“². რაც შეეხება პოლიტიკას ეს არის „კანონთა გონიერებისათა და არაბოტუ ზაკვისთა და სხვათა მაცთურყოფისა ცნობა არს... პოლტიკა არს ცნობა მმართველი საქმეთა მგებობრბასა შინა მოქალაქობითსა ანუ საზოგადოებითსა შესდომილვებათამებო დროთასა, გარნა საითიკო უკვე პოლტიკაი. ყოვლთვის დაფუძნებულ არს ჭეშმარიტებასა ზედა“³. როგორც ვხედავთ ორივე — ეთიკაც და პოლიტიკაც სიმართლეს, ჭეშმარიტებას ეყარება. ჩვენ აქ არ მოგვკავს ადგილები „კალმასობიდან“, სადაც იოანე ბაგრატიონი ლაპარაკობს იმ ზნეობრივ და ინტელექტუალურ ღირსებებზე, რომლებიც უნდა გააჩნდეს კაცს, რომელსაც აბარია ქვეყნის საქმეები, მაგრამ ხაზგასმულია ორი პირობა, რომლებსაც, ავტორის აზრით, უნდა აკმაყოფილებდეს ყოველი მოხელე: განათლება და სამართლიანობა⁴.

„კალმასობაში“ ძველ ფეოდალური საქართველოს სისტემის მორუილებელ კრიტიკას ვხვდებით იოანე ბერის სოლომონთან საუბრის დროს. აქ ლაპარაკია თუ როგორ პატრონობენ თავიანთ თავსა და საზოგადოებას სოლომონ მხარგრძელი და სხვა მოხელეები. „ჟონ გყავთ ამხანაგები და თანაშემწეინ? — ეკითხება იოანე, „სარდალი, მელიქი ამოლახვარი, ერისთავი, თარხანი, ეშკადაში და სახლთუხუცესი და მე მხარგრძელი, ხოლო სამღვდელთში — ვორთაპეტი და თბილელი და არქიმანდრიტი“ — უპასუხებს სოლომონი. ზურნა—ნადარას მეტი „აღარა გკლებია რა“ — დასცინა იოანემ, რადგან აქ მსხვილ ფეოდალებს თვითონ გადაუწყვეტიათ ქვეყნის მართვა მეფის გარეშე.

„მრავალგან არის რესპუბლიკა“? — წამოიძახა სოლომონმა. იოანე რესპუბლიკის საწინააღმდეგოდ არაფერს ეუბნება. მაგრამ რესპუბლიკას, მისი აზრით, სხვანაირი ადამიანები უნდა „არა თქვენი ჭკუისანი“. ამის შემდეგ იოანე ბერი სასტიკად ამართახებს უსწავლელ მოხელეებსა და მეფის საგვარეულოს, რომლებსაც თავი მოაქვთ მეფის ქალიშვილობით, სიძეობით, ნათესაობით, არ იცნობენ თათიანთ ქვეყანას, მის ეკონომიურ შესაძლებლობას — თქეროს გამოღობას ან „სხვა მეტალთა მოპოვებას, სწავლა და სიბრძნე მათ მიუღიათ, „ბერუა ნაღბანდის დუქანში“⁵.

რუსი და ვეროპელი განმანათლებლების მსგავსად იოანე ბაგრატიონიც მმართველობის სამ ფორმას არჩევს: რესპუბლიკურს, მონარქიულსა და დესპოტურს. არც „კალმასობაში“ და არც სხვა რომელიმე ნაწარმოებში იგი რესპუბლიკური მმართველობის წინააღმდეგ არ გამოდის, მაგრამ თვითონ, როგორც ჩანს, მომხრეა მონარქიულის, ოღონდ მისი წარმოდგენით სახელმწიფო მმართველობის მონარქიულ ფორმას არაფერი სურთო დესპოტურთან არ გააჩნია.

„კალმასობაში“ ვხვდებით იოანე ბერის გრძელ დიდაქტიკურ სიტყვას, რომელსაც თუ ჩავუკვირდებოთ, ნათლად დავინახავთ მასში თეორიულ დებულებებს „განათლებული მონარქიზმის“ შესახებ. მასში მთელი პროგრამა „მეფეფილოსოფოსისათვის“, რომელიც სახელმწიფოს მართავს ჰუმანური და რაციონალისტური პრინციპების მიხედვით. მეფე კეთილმოქმედი, განათლებული, მდაბალი, სულით უბიწო, ფილოსოფოსებისა და მეცნიერების მფარველი, მდიდრისადმი და ღარიბისადმი ერთნაირი სამართლიანი, მახვილგონიერი, მბრძანებლობაში ჭკვიანი, მიმტყვებელი და შემწყალებელი ქვრივ-ობლები, სანუელთა და გლახაკთა ხელისაპყრობელი, ერთგული თავისი მამულისა, მშვიდობის მოყვარე მეზობლისადმი, შეზღუდვათა „დედოფალთა და საკუთარ ძეთა უფლებებისა“. კანონის ერთგული დამცველი და მის წინაშე ყველა ადამიანის, განურჩევლად ქონებრივი, სოციალური მდგომარეობისა, ერთნაირად პასუხისმგებელი.

„კალმასობიდან“ ჩანს ი. ბაგრატიონი იზიარებდა მონტესკიეს თეორიას მმართველობის ოთხი ფორმის (მონარქიული, რესპუბლიკური, კონსტიტუციური, დესპოტური) შესახებ ი. ბაგრატიონიც წინააღმდეგე არ არის სხვადასხვა სახელმწიფოებრივი ფორმებისა — რესპუბლიკურის ჩათვლით, მაგრამ მას უფრო მიზანშეწონილად მიაჩნია მონარქიული წყობილება, რომელსაც რესპუბლიკურთან ერთად უპი-

² „კალმასობა“ ტ., 1, გვ. 166.
³ იქვე, გვ. 167.
⁴ იბ. ტ. I, გვ. 203, 210, 212; ტ. II, გვ. 36-37.
⁵ „კალმასობა“, ტ. 1, გვ. 221-222.
⁶ იქვე, გვ. 210-212.

რისპირებს ყოვლად მიუღებელ და შეუწყნარებელ ტირანისებურ — დესპოტურს.

„კალმასობაში“ საკმაოდ დიდი ადგილი უკავია ამ უკანასკნელის კრიტიკას. „მეგობრობას უნდა ყოველთვის ერიდებოდეთ ტირანისასა, ამისთვის რომელ ტირანი დასხნის კეთილობასა, სძულობს მდიდარსა, აღამაღლებს ბოროტსა და დასთრგუნავს კეთილ-მოქმედებასა“.⁷

„კალმასობის“ გამოუქვეყნებელ ნაწილში დაწერილებით განხილულია სახელმწიფო მმართველობის ფორმები. იოანე ბერი განმარტებებს დაასლობით მონტესკიეს მიხედვით იძლევა. „რესპუბლიკა არს ეს გუარი სამპყრობელო, რომელსაცა შინა უმაღლესი უკუე ხელმწიფობაი, იმყოფების ხელთა შინა მრავალთა მმართველთასა“.⁸ ხოლო „მმართველობაი მონარხისებრი არს იგი, ოდესაც უმაღლესი უკუე ხელმწიფობაი, სახელმწიფოისა იმყოფების ხელთა შინა ერთისა თვითმპყრობელისათა“.⁹

აქვე იოანე არჩევს არისტოკრატიულ მმართველობასაც. „რამ არს არისტოკრატებრივი მართებლობაი — კვითხებანი მას. არისტოკრატებრივი მართებლობაი არს იგი, ოდესაც უმაღლესი უკუე ხელმწიფობაი იმყოფების ხელთა შინა რამდენთავე გუამთა, აღრჩეულთა რიცხუთაგან კეთილშობილთათა“.¹⁰

ი. ბაგრატიონი მონტესკიეს თეორიას მისდევს. „დემოკრატებრივი უკუე მართებლობაი არს იგი, ოდესაც ყოველი უკუე მოქალაქეი მექონ არს სასამართლოსა შინა მიცემად ყმისა თვისსა სამართლისა: ესე იგი პაზრისა თვისისა საქმეთა შინა საზოგადოთასა, ესრეთ რომელ დროსა დაწყებისა ქსაულთასა, დროსა ბრძოლისა და ომიანობის გამოცხადებისასა დროსა ხარკის შეწერისასა, და სხვათა ესე ვითართა შესდომილებათა შინა ძალედვას ყოველგან თვისისა აზრებისა მიცემა“.¹¹

ი. ბაგრატიონი ჩამოთვლის ყველა სახის სახელმწიფოებრივ ფორმას, მაგრამ დესპოტიზმის გარდა ყველას მიმართ იგი ლიბალურია ისევე როგორც მონტესკიე. მაინც რომელი უფრო მეტად მოსწონს მას „ვითარ სახე მართებლობისა, უმჯობეს იქნების ერთათვას, სხვათა ყოველთა ზედა?“ — ეკითხებიან. „ესრეთ სხვაი, — პასუხობს ი. ბერი, — უმჯობესი ამასა ზედა ვერა მოეპოვნესთ მონარხობითი მართებლობა“. მაგრამ როგორი მონარქიულა? ისეთი, „რომელიცა შეერთებულ ჰყოფს

უფროს მრავალთა სარგებლობათა და უმცირეს ზიანთა. სხვებ თანამედობაი შეკრულ ჰყოფს თვითვეულსა უკუე მოქალაქება, მორჩილებად სახისავებ მართებლობისა, რომელიცა მოდებულ არს ადგილსა მას შინა, სადაცა მყოფობს იგი: ყოველთა მარცხებლობათა ზედა, უმჯობეს არს იგი, ოდესაც ყოველი სარგებლობს სამართალითა თვისთა და არცა თუ ვინმე არიან შეიწროებულნი სხუთათგან“.¹²

ი. ბაგრატიონი ქადაგებს ისეთ მონარქიულ წყობილებას, სადაც განათლებული მეფე წარმოადგენილია ზეკლასიურ პიროვნებად, სადაც ხელმწიფე ერთნაირად მოითხოვს ყველასაგან კანონისადმი დამორჩილებას, სადაც იგი ერთგვარ პარმონიას ჰქმნის სხვადასხვა წოდებათა შორის და არ უშვებს ერთის ძალმობრეობას მეორეზე. თანაც, ი. ბაგრატიონის აზრით, მეფე მარტო შიამომავლობით კი არ უნდა აღიოდეს სამეფო ტახტზე, არამედ არჩევითადაც „ხელმწიფობაი განიყოფების ორად: ესე იგი; მემკვიდრეობითად, და აღრჩევითად“. აქვე იძლევა ორივე სახის ხელმწიფობის განმარტებას. საინტერესოა არჩევითი. „აღრჩევითი ხელმწიფება იწოდების ესრეთა რომელსა შინა ხელმწიფე აღვალს ტახტსა ზედა კანონიერისა აღრჩევისა გამო, სრულიად სახელმწიფოს მოხელეთა და გამგეთა მიერ“.¹³

„კალმასობაში“ მოქმედება წარმოებს გიორგი მეცამეტის მეფობის დროს. ამიტომ ი. ბაგრატიონს ქართული ისტორიული მასალა არ აძლევს საშუალებას იმსჯელოს თავისი დროის პოლიტიკურ საკითხებზე, საამისოდ მას უფრო მეტი გასაქანი ეძლევა რუსეთისა და ევროპული ქვეყნების შესახებ მსჯელობისას.

იგი არ კმაყოფილდება სხვა ქვეყნების მიმოხილვის დროს უბრალო ინფორმაციებით, გამოსთქვამს თავის აზრს მათ ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ევროპის ქვეყნების პოლიტიკური მიმოხილვიდან ვგებულობთ, რომ სახელმწიფო მმართველობის ფორმებიდან ი. ბაგრატიონს უფრო მეტად მოსწონს კონსტიტუციური მონარქიზმი. იგი მხოლოდ ასეთ მმართველობის მქონე ქვეყნებს აქებს, რაც შეეხება მეფის შეუზღუდავ მმართველობას — ტირანიას, იგი მას ყველგან უარყოფითად იხსენიებს.

„კალმასობის“ ავტორი აქებს პოლანდიას, მის შრომისმოყვარე ხალხს, რომელიც მისდევს ვაჭრობასა და მრეწველობას. „ერნი შრომის მოყვარენი და ვაჭრობითა შინა განართლნი და სხვათა და

⁷ „კალმასობა“, ტ. I, გვ. 224.
⁸ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფონდი S—5374, გვ. 264.
⁹ იქვე.
¹⁰ იქვე.
¹¹ იქვე.
¹² ფონდი S—5374, გვ. 265.
¹³ ფონდი S—5374, გვ. 265.



სხვათა ქარხნებითა და საქსოვრებითა მუშავებულნი...“ მას მოსწონს აგრეთვე მათი მმართველობა „მართებლობაი აქუთ შერეენილი, ესე იგი, არის-ტოკრატიკური და დემოკრატიკური. სხუანი თვითეულნი სამფლობლონი შეადგენენ საკუთარსა დამოკიდებულებასა რესპუბლიკისასა, გარნა მხოლოდ ყოველნი ესე, ვალდებითისა კავშირებითა, შვერთებულ არიან ერთისა საზოგადოისა სახელსა შინა“¹⁴.

ი. ბაგრატიონს კიდევ უფრო მეტად მოსწონს ინგლისის კონსტიტუციური მონარქიზმი, სახელმწიფო მმართველობა, სადაც მეფე შეზღუდული არის. „დემოკრატიკური კანონი კონსტიტუციისა, რომელიცა სამფლობელოსა მათსა საკუთრად შეუქმნს უპირველესსა მუსლებთა ჰსკულისა მომცემელისთა. და ყოველსა გუარსა დაწყებისთანა მოუძებთ პატივსა და განსხვავებასა“¹⁵. „მართებლობა თითქმის ანდლიასა შინა, — კვითსულებთ შემდეგ, — არს მრავალგვარ შერეენილი სხვათა და სხვათა ადგილებთაგან. კაროლს მრჩეველთ გარდა არ ძალუძს თავით თვისით ქმნაი საქმისა, ოდესმე იქნება ანუ ჯარსა ანუ ხომალდთა ანუ სხუათა რომელთაზე მოხელეთა შეცვლა და მომატებაცა ინების და აღასრულონ, სხუებ ახლისა ჯულდებისა არა ძალუძს განწყესებად“¹⁶.

„უპირველესი პარლამენტი შედგების მრჩეველთა აზნაურთა და ლორდებთაგან, რომელიცა ესე ერთი არს უპირველესი მართებლობა, მეორე მდებალი ვაჭართა, სასულიერო მართებლობანი არიან ლორდთაგან არხიებისკოპოსთა და ეპისკოპოსთაგან, აგრეთვე რომელნიმე მართებლობანი ქუეყნისანი არიან გუარით და რომელნიმე ახლად მიცემით, ვგრეთვე არიან მართებლობანი ღრაფებთაგან სადრაფთა შინა, და მოქალაქეთაგან ვაჭართა და სხუათა მოქალაქეთა“¹⁷.

ინგლისში მეფე შეზღუდულია „მრჩეველთა“ მიერ და იოანე ამაში მიუღებელს ვერაფერს ხედავს. იოანე „მრჩეველს“ უწოდებს პალატის წევრებს და პარლამენტს წარმოგვიდგენს ერთგვარ სათათბირო ორგანოდ, სადაც მეფე ათანხმებს მნიშვნელოვან საკითხებს. ინგლისის მეფეს შეუძლია თავისი შეზღუდულებებისამებრ ნებისმიერი მოხელის შეცვლა. მაგრამ მას ახალი „სკულდების“ განწყესება „არა ძალუძს“ და ამაში გამოიხატება ძირითადად მეფის შეზღუდვა. შეზღუდული მონარქისათვის ყველაზე დამახასიათებელ ნიშნად ი. ბაგრატიონი მიიჩნევს საკანონმდებლო უფლებების შეზღუდვას. იგი შეზღუდულ და შეუზღუდავ მონარქიას ძირითადად

იმით განასხვავებს, თუ ვინ არის კანონმდებელი. რუსეთში აბსოლუტური მონარქიაა და „შემძლებელ არს თვით ხელმწიფე ჰსკულდებად“. ხოლო ინგლისში მეფე კანონმდებლობის საკითხში შეზღუდულია და კონსტიტუციურ მონარქიასთან გვაქვს საქმე.

ინგლისში კონსტიტუციური მონარქიზმი, რომელიც ი. ბაგრატიონს საესებით მისაღები მმართველობის ფორმად მიაჩნია და უფრო მეტიც, მმართველობის ამ ფორმით ინგლისი მაღალ განვითარებულ სახელმწიფოდ იქცა, ვაჭრობა და მრეწველობა აქ ისეთ დონეზეა, როგორც სანატრელი აქვს ი. ბაგრატიონს საქართველოსათვის. ინგლისის ქალაქებს ი. ბაგრატიონი შემდეგნაირად ახასიათებს: „სატახტო ქალაქი ანდლიასა შინა არის ლონდონი მდებარე მდინარის პირსა ზედა ტემზისა. ესე ქალაქია ევროპისა შინა უდიდესი ქალაქი და მცხოვრებნი მუნ ვიდრე ერთ მილიონამდე სულნი, არის აყვავებულ ვაჭრობითა და საქსოვარისა ქარხნებითა, სამჭედლოებითა; სხვადასხვა გუარის ხელოვნების სახლებითა და მისანიკოსობის საქმითა და ხელოვნებითა ჩინებულნი ქუეყანასა ზედა აგრეთვე არის ღირსნი ქების ქალაქები... ბრისტოლი და ესენიდა არიან დიდი სავაჭრო ადგილინი“¹⁸.

ი. ბაგრატიონს საფრანგეთის რესპუბლიკაც მოსწონს, მაგრამ აქ მას მხედველობაში აქვს არა რომესპიერის რესპუბლიკა, არამედ ნაპოლეონის მმართველობის სისტემა. ამ უკანასკნელს ი. ბაგრატიონი მეფეს კაროლს ამ იმპერატორს არ უწოდებს. ის კონსულაი, რესპუბლიკის მეთაურია.

ინტერესს მოკლებული არ არის ჯერ თვით ფრანგების დეხასიათება „ფრანციელებნი, — წერს ი. ბაგრატიონი, — სახით არიან ლამაზნი ხალხნი, ყოფაქცევაი კარგად ზრდილინი, მეცნიერნი სწავლულნი თითქმის დიდიდან მცირემდე, დიდსულნი, უზენი, გონიერნი და მზიარულნი და მოხუბარნი და კარგად მოუბარნი. რომელთაცა უცხო მხარეთა მცხოვრებნი მრავალნი ბაძვენ მათსა ყოფაქცევას“¹⁹. ეს სტრეიტონები დაწერილია 1812 წლის სამამულო ომის შემდეგ, სწორედ იმ დროს, როდესაც რუსეთში რვაქცია მძვინვარებდა და ბურჟუაზიული საფრანგეთის მიმართ მტრული დამოკიდებულება საუფიქრად. ფრანგებზე ასე წერა მამინ მტყად სხიფათო იყო.

„უკანასკნელი კოროლი იყო, — წერს ი. ბაგრატიონი, — ლუდოვიკ მეოთქესმეტე, დღეს ფრანკია არის რესპუბლიკა“. „უკანასკნელ კოროლისა

14 ი ქ ვ ე, გვ. 282.
 15 ფონდი, S—5374, გვ. 278.
 16 ი ქ ვ ე.
 17 ი ქ ვ ე.
 18 ფონდი S—5374, გვ. 277.
 19 ი ქ ვ ე, გვ. 272.

ღირსება აღტყობს არს საფრანგეთსა შინა წელს 1792-სა და ნაცვლად მისა დაწესებული არის მართებლობა რესპუბლიკისა. ფრანციის რესპუბლიკა გამოცდელი თვით ზედა მრავალთა შერეულბათა და მყოფთ შერდომილთა სხვათა და სხუათა ცვლილებათა ქვეშე. უკანასკნელ აღირჩიეს წელსა შინა 1799-სა მოაგრად თესად ნაპოლენ ბონაპარტე, შობილი კორსიკასა შინა ავგისტოს 3 რიცხსა, 1769-სა, რომელიცა არს განთქმული ქუეყანასა ზედა სამეფოდ რაისა თვისისა ღუაწლითა და მეცნიერებითა²⁰.

იოანე ნაპოლენს ქება-დიდებას ასხამს მაშინ, როდესაც საფრანგეთი ომში დაპარცებული იყო, ნაპოლენი აღარც პირველ კონსულად და არც იმპერატორად არ ითვლებოდა. იგი წმინდა ელენეს კუნძულზე იყო გადასახლებული და ვერაბის რეაქცია დღესასწაულობდა თავის გამარჯვებას. ი. ბაგრატიონი აქვე ისტორიის ფარდას ეფარება და ისე აპარებს მეციხველს ნაპოლენისა და მისი ბურჟუაზიული რეჟიმის ქება-დიდებას.

ი. ბაგრატიონს „კალმასობაში“ აღწერილი აქვს ეგვიპტის დესპოტური სამეფოც, რომელიც ნაპოლენმა სასტიკად დაამარცხა. სხვათა შორის ავტორი მოგვითხრობს კახელ მარტყოფელ ტყვე აბრამ შინჯიკაშვილზე, რომელმაც ბეგობა მიიღო და ხელთ იგდო ეგვიპტის მართვა-გამგებობა.²¹

„კალმასობაში“ განსაკუთრებული ადგილი უკავია რუსეთის ისტორიის პოლიტიკურ აღწერას.

„რუსნი ზომიერი პასაკისანი არიან, მსხვილნი, ძლიერნი, თერთ ყირმიზნი და ქერათმიანნი, თვალჭრელნი“, მაგრამ „ახსურნი უფრო უსაქმო კაცნი“. „მართებლობა რუსეთსა შინა არს ორგუარი, სასულიერო და მონარხოზითი, რომელიც შემძლებელი არს თვით ხელმწიფე მსჯულდებად და გამოცვლადცა აგრეთვე სენატთა და სხვათა მოხარისხეთა, სამოქალაქოთა და სამხედროთა შინა, დადგინებად და გარდაყენებად“²². გამოდის, რომ სენატი და სხვა ორგანოთა როლი დაყვანილია ნოლამდე. მეფე განუსაზღვრელი უფლებებით, ის არის „სჯულმდებელი“, თვითმპყრობელი, შეუზღუდავი მონარქი.

ი. ბაგრატიონი, მონტესკიეს მსჯავსად, არ ანსხავებს აბსოლუტურ მონარქიზმს აღმოსავლეთის ქვეყნების დესპოტიზმისაგან. ორივე შემთხვევაში იგი კმაყოფილდება შეუზღუდავ მონარქიაზე მითითებით. იმისათვის, რომ დაგვანახოს თავისი უარყოფითი დამოკიდებულება მმართველობის ამ ფორმისადმი, ი. ბაგრატიონი შეუზღუდავი მონარქიის მაგალითად ასახელებს არა ევროპული ქვეყნების აბ-

სოლუტურ მონარქს, არამედ სპარსეთის ხელმწიფის დესპოტურ მმართველობას.

პატრის კითხვაზე: „ყოფილნი უკუე ერთმთავარნი, არიან ერთებგვარი ხელმწიფებისა მქონი?“²³ იოანე პასუხობს: „არა, სხუანი რომელნიმე სრულებით არიან არადამოკიდებულნი არა რომელთამე მსჯულთაზედა, რომელნიცა მთავრობენ სიცოცხლესა და ქონებასა ზედა ქუემევირომთა თვისთასა და არცა მეცნავი სხვისა ჟულივლებისა, გარდა ნების თვისისა. ვართქუათ სპარსეთის ხელმწიფე. სხუანი რომელნიმე სარგებლობენ ხელმწიფობითა გარემუნიებელთა მსჯულთაგან“²⁴.


„კალმასობაში“ რუსეთის სახელმწიფოს ისტორიიდან განსაკუთრებულ ადგილს იკავებს პეტრე პირველის მეფობა. ი. ბაგრატიონს ცამდე აყავს პეტრე პირველი, მეფე განმანათლებელი, მეფე გამჭრიახი, მშრომელი, რომელმაც რუსეთი გამოიყვანა ჩამორჩენილობიდან და დასავლეთ ევროპის გზით წაიყვანა.

„პეტრე იყო ფრიად მხნე და სახელოვანი, გარნა იზარეს ცარევნა სოფია რომელიცა მართებდა სრულიად სახელმწიფოსა, მუნ დრომდენ ვიდრე პეტრე დიდი განაშორებდა ტახტით... მჭერემან პეტრემ ძველთა მხედრობათა როსიელთასა, ვერა მიიღო კმაყოფილება, მით რამეთუ არა უწყოდენ წესი და კანონნი, რეგულის გუარისანი, და ამისთვის გულისმოდგინედ შეუდგა, და მოიყვანა ევროპიდან გამოცდილნი აფიცარნი მცოდნენი, განსწავლებად მხედრობათა, და აგრეთვე ხელოვანნი არტელარისა ანუ თოფხანისანი, და მოკლესა უკუ ჟამისა განასწავლნა მხედრობანი თვისნი და სხუანიცა ხელოვნებანი უკუე განამრავლნა და მოიყვანა რუსეთი აღყავებასა შინა“²⁵.

მართალია, პეტრე პირველი აბსოლუტური მონარქიზმის ტაპირი განსახიერება იყო, მაგრამ ი. ბაგრატიონმა იცოდა, რომ იმ დროს განათლებული აბსოლუტური მონარქიზმი მისაღები იყო და აკი თვითონაც, თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში, „მსჯულდებამი“ აბსოლუტურ მონარქიზმს პადავებდა.

ერთხელ კიდევ უნდა გავუსვათ ხაზი იმას, რომ ი. ბაგრატიონმა ისტორიული თემა განგებ აიღო. მას ხელს არ აძლევს ელაპარაკა XIX საუკუნის პირველი მეოთხედის საქართველოსა და რუსეთის ამბებზე. არ უნდა დაგვიწყვით, რომ იგი, მართალია, პატიმრის მდგომარეობაში არ იყო, მაგრამ არც რუსეთის მეფის მეთვალყურეობა აკლდა. XIX საუკუნის პირველი მეოთხედი რუსეთისა და სა-

²⁰ ფონდი S—5374, გვ. 276.
²¹ იქვე, გვ. 273.
²² იქვე, გვ. 13.
²³ ფონდი S—5374, გვ. 264.
²⁴ იქვე, გვ. 265.
²⁵ ფონდი H—2170, გვ. 18—18.



ქართველოს ისტორიის მეტად მწვავე, დიდი პოლიტიკური მოვლენებით აღსავსე პერიოდი. მის აღწერას, ბუნებრივია, არ შეიძლება არ მორიდებოდეს ი. ბაგრატიონი, მაგრამ ამ მოვლენათა თვალსაზრისით არის განსილული მის მიერ გადმოცემული მეტად საინტერესო ისტორიული მასალა.

ამრიგად, ი. ბაგრატიონი თავისი მოვლევების პირველ პერიოდში იცავდა აბსოლუტურ მონარქიზმს. მისი „სჯულდება“ დაწერილია იმ ისტორიულ მოვლენათა გათვალისწინებით, რომლებსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევარში. „სჯულდებას“ გარკვეული პრაქტიკული მისანი ჰქონდა და მიმართული იყო საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიური კატასტროფის თავიდან აცილებისაკენ. ი. ბაგრატიონის აზრით, საქართველოს მამინ სჭირდებოდა სწორედ ისეთი ძლიერი აბსოლუტური მონარქიული წესწყობილება, რომელიც დაიცავდა მას გარეშე მტრებისაგან და ბოლოს მოუღებდა მსხვილ ფეოდალთა ურჩობას.

სულ სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე „კალმასობის“ შექმნის პერიოდში. ეს ძველი იწერებოდა პეტერბურგში, როდესაც დამოუკიდებელი საქართველო აღარ არსებობდა. ამიტომ ი. ბაგრატიონის შეხედულებებს სახელმწიფო მმართველობის შესახებ მხოლოდ თეორიული მნიშვნელობა აქვთ. იგი სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკური მიმოხილვის დროს გამოთქვამს თავის საკუთარ აზრს სახელმწიფო მმართველობის ფორმების შესახებ.

ი. ბაგრატიონს ჰქონდა თავისი შეხედულებები არა მარტო სახელმწიფოს მმართველობის ფორმებზე, არამედ სამართალზეც. მის „სჯულდებას“ და „კალმასობაში“ სამართლის საკითხებს საკმაოდ დიდი ადგილი უკავია.

„სჯულდებას“ წყაროები უმთავრესად ქართული სამართლის ძეგლებში უნდა ვეძიოთ. ი. ბაგრატიონი აქ მოქმედ ქართულ სამართალს ეყრდნობა, თუმცა, ამასთანავე, მოძველებული სამართლებრივი სისტემის შეცვლასაც ცდილობდა ისეთი სამართლით, როგორც განვითარებულ ქვეყანას შეეფერებოდა. „სჯულდებასაგან“ განსხვავებით „კალმასობაში“ ვერ ვხვდებით სისხლის სამართლის ცალკეულ საკითხებზე მსჯელობას, მაგრამ სამაგიეროდ განსაზღვრულია იურისპრუდენციის ზოგადი მეთოდოლოგიური საფუძვლები. ი. ბაგრატიონი რუსი და დასავლეთ ევროპელი განმანათლებლების მსგავსად ბუნებითი სამართლის თეორიას ჰქადავებს.

იოანე ბაგრატიონი „სჯულდებაში“ მეფის ხელისუფლების განმტკიცებას ცდილობდა. ისიც დავით ბაგრატიონივით აბსოლუტიზმის მომხრეა, მაგრამ რუსეთში გადასახლების შემდეგ მისი შეხედუ-

ლებები შეიცვალა. იგი სთვლის, რომ კანონი, სამართალი საზოგადოებამ თვითონ უნდა მიიღოს და აირჩიოს საწარმოებლად „სამართალი სამოქალაქო დაფუძნების სჯულთა მათ ზედა, რომელთაც აღირჩევს თვითული უკვე საზოგადოებანი, რათა იქმნენ მათ მიერ წარმოებულნი“²⁶.

დავით ბაგრატიონისაგან განსხვავებით, იოანე ბაგრატიონი სთვლის, რომ კანონმდებლობას მეფე კი არ ადგენს, არამედ საზოგადოება. აქ ი. ბაგრატიონს ბუნებითი სამართლის თეორიის იცავს, მისი აზრით სამართალმემოქმედი ერთი კაცი არ შეიძლება იყოს, რადგან თვითონ სახელმწიფო ადამიანთა მიერ ხელშეკრულების შედეგად წარმოიქმნა, ასევე ხელშეკრულების შედეგად უნდა შეიქმნას სამართალი, ის მთელმა საზოგადოებამ უნდა დაამკვიდროს.

ცნობილია, რომ აბსოლუტიზმის დროს მეფის ხელისუფლება შეუზღუდველია, სამართალი მეფემ უნდა მიიღოს, ხოლო ხალხი კი მას უსიტყვოდ უნდა დაემორჩილოს, რადგან მის მაგივრად ფიქრობს აბსოლუტური მონარქი. ი. ბაგრატიონი გამოდის ამ პოლიტიკური დოქტრინის წინააღმდეგ, რაც უკვე უნდა პროგრესულ ხასიათს ატარებდა.

პროგრესული და ჭეშმარიტად განმანათლებლურია ი. ბაგრატიონის მიერ სამართლისა და იურისპრუდენციის განმარტება. „ზაალ მდივანბეგის კითხვაზე, რა არის იურისპრუდენცია? იოანე პასუხობს: „ვემ ლექსი ნიშნავს, სჯულდებთ გამოცდილებასა, ზაალს იამა და უთხრას: რაი არს სჯულის გამოცდილება? იოანე: სჯულის გამოცდილება არს სწავლა სჯულთათვის, ჩვეულებათა და საზოგადოთ დაწესებათა მათ, რომელნიც ხმარობენ მიზედა, რათუმიცა ყოველთა უკვე წევრთა საზოგადოებასა შინა მისცენ მსჯავრი და სამართალი“²⁷.

ი. ბაგრატიონის აზრით, საზოგადოების ყველა წევრი თავის მოვალეობას უნდა ასრულებდეს. საზოგადოება ჰარმონიული უნდა იყოს და არც ერთმა წევრმა ეს ჰარმონია არ უნდა დაარღვიოს, ყმა არ უნდა ოხრავდეს და „გულმოდინებით აღასრულებდეს განწესებულსა თვისსა“. მაგრამ, თავის მხრივ, ბატონსაც უნდა ახსოვდეს, რომ ყმაც „კაცი არს გულისხმიერი და აქვს გრძნობა შეწუხებისა“.

ი. ბაგრატიონის აზრით, საჭიროა ბუნების სამართლის შემსგავსებელი, მიღებული ყველა სწავლული ერეზისაგან სახალხო, ანუ საერო სამართალი, რომელიც ყოველ ერს დაიცავდა ჩაგვრისა და მძლავრობისაგან. ეს სამართალი აკრძალავს ურთიერთთავდასხმასა და უსამართლობას. „სამართალი სახალხო ანუ საერო მღვთმარებობს რომელთამე დაწესებათა და ჩვეულებათა შინა, შემსგავსებულთა სამართლისადმი ბუნებითისა და მიღებულთა ყო-

26 „კალმასობა“, ტ. I, გვ. 202.
27 „კალმასობა“, ტ. I, გვ. 202.

ველთა სწავლულთა ერთგან; ხოლო ესე გვარნი უკ-
ვე დაწესებანი აღკძალვენ და დააყენებენ ურთი-
ერთისადმი ერთგან შედადსხმასა, უსამართლობას
და მძლავრობას“²⁸.

ი. ბაგრატიონი სახალხო ანუ საერო სამართალში
გულისხმობს საერთაშორისო სამართალს, რომელიც
სახელმწიფოებს შორის მოაქსრიგებს ყველა სადა-
ვო საკითხს მშვიდობიანი გზით.

ი. ბაგრატიონი ბუნებით სამართალს იშველი-
ებს, როდესაც უშვებს ტირანისათვის მოძალადი-
სათვის წინააღმდეგობის გაწევას.

ადამიანს უნდა ახსოვდეს, რომ არ შეიძლება
გაუკეთო სხვას ის, რაც შენთვის არ გინდა, ხოლო
თუ ვინმე ამ მოთხოვნას დაარღვევს და უსამართ-
ლობას ჩაიდენს, მაშინ საჭიროა მას წინ აღუდგე
„სამართალი ბუნებითი არს იგი, რასაცა შეამცნებს
ანუ შთაგონებს კაცს ბუნებაი და მრთელი უკვე
სამსჯულოთ: ესე ვითარნი არიან სხვათაც შორის
შემდგომნი უკვე სამართალნი არა ქნად მისა სხვა-
თადმი, რასაც არა ვისურვით თავისთვის ჩვენისა;
ფგრეთვე მოგერებად პირისპირ ჩვენსა მტერნი ანუ
ესეგვარი უკვე კაცნი, რომელნიც გვეუსამართლო-
ებიან, და არა მართლიად გვედენიან ჩვენ“²⁹.

ბუნებითი სამართლიდან გამომდინარე ყოველ
ადამიანს შეუძლია მოძალადეს წინააღმდეგობა გა-
უწიოს, ასეთი განმარტებით ი. ბაგრატიონი ამართ-
ლებს ტირანის საწინააღმდეგო მოქმედებას, იგი
უშვებს გლეხის უფლებას წინ აღუდგეს ბატონს
თუ კი ბატონი თავის უფლებებს გადააცილებს და
უსამართლობას ჩაიდენს. მებატონე, რომელიც ყმას
ზომასზე მეტს გამოართმევს, სამართალს გააპურდებს
— ქურდია, ბორტმოქმედი, „ესე ყოველნი პარვად
ითქვიან, რომელ ვისმე წარტაცებით მიუდოს რა-
იმე ანუ უგრძობელად წარიდოს, ანუ სამართალი
უცხო რამ იპყრას და გააპრუდოს სამართალი თეთ-
რისათვის ანუ პატიოსანს ვისმე პატივი მიუდოს,
ანუ მოხარვს სარკი მეტი გამოართოს, ანუ სხვა
ვინმე თვისად მძლავრობით მონად პყოს, რომე-
ლიც მას არა თვის ეყოდეს, ესე გვარნიც ქურდობად
შერაცხალ არიან“³⁰.

აქ უკვე წამლილია სოციალურ ფენებს შორის
სხვაობა. რომელ წოდებას ეკუთვნის პიროვნება
მნიშვნელობა არა აქვს — იგი ქურდად ითვლება
თუ კი ძალადობით მიიღებს იმას, რაც მას არ ეკუთ-
ვნი.

ითანე ბაგრატიონი ბუნებით სამართალს განმარ-
ტავს, როგორც პროგრესული მოაზროვნე განმანათ-
ლებელი. იგი არა მარტო უშვებს მებატონესათვის

წინააღმდეგობის გაწევას, როდესაც ის უსამართ-
ლობას სჩადის, არამედ სხვებსაც მოუწოდებს, რათა
ასეთ დროს გლახაკებს, ჩაგრულებს გამოესარჩონ
და მჩაგვრელის წინ აღსდგენ. „და შეუწვევი გლა-
ხაკთა და მყოფთა განაყადელსა შინა და არა და-
ითმენ ძლეურისაგან შეწუსებასა უსამართლოდ უღო-
ნოთასა“³¹.

მაგრამ ისევე, როგორც რუსი და ევროპელი ლი-
ბერალურად მოაზროვნე განმანათლებლები, ი. ბაგ-
რატიონიც ცდილობს, არსებული სოციალური სის-
ტემის შენარჩუნებას და ამავე დროს მოითხოვს სა-
ზოგადოების ყველა წევრისათვის სამართლიანობის
დაცვას ი. ბაგრატიონის იდეალია საზოგადოება,
სადაც ყოველი წევრი თავის მოვალეობას კეთილ-
სინდისიერად ასრულებს, არ არის ადამიანის ჩაგვრა
და უსამართლობა, ბატონს ახსოვს, რომ ყმა ადამი-
ანია და მას სიყვარულით ეპყრობა, თავის მხრივ,
ყმაც ერთგულად მუშაობს და პატივსა სცემს ბა-
ტონს. საზოგადოების ყველა წევრი კმაყოფილია და
სუფიქსს პარმონია, რომელიც არავინ არ უნდა და-
არდვიოს.

ი. ბაგრატიონი ამ ოცნების განხორციელებას
სწავლა-განათლების შეტანით აპირებს. იგი ახსე-
ნებს თავგასულ ბატონს, რომ ბუნებით ყველა ადა-
მიანი თანასწორი იბადება და ყმას უფლება აქვს
თავის მჩაგვრელს წინ აღუდგეს თუ კი უსამართ-
ლოდ მიექცევიან. ი. ბაგრატიონს სჯერა, რომ გა-
ნათლებული ადამიანი უსამართლოდ არ მოიქცევა.
სამართლის მცოდნე მოსამართლე სამართალს სწო-
რედ გადასჭრის და თუ კი საზოგადოების ყველა
წევრს ეცოდინება ბუნებითი სამართლის ნორმები
და გაითვალისწინებს მის ცხოვრებაში, უსამართლო-
ბაც მოისპობა.

ითანე ბაგრატიონს მიაჩნია, რომ არსებობს ძი-
რითადად სამგვარი სამართალი: პირველი განმსაზ-
ღვრელი სამართალია ბუნებითი სამართალი, რო-
მელიც ნაკარნახევია თვით ადამიანის ბუნებით და
აზიტიომ ის — უმაღლესია. ბუნებითი სამართალი
ადამიანს შთაგონებს სიკეთეს, თანასწორობას, თა-
ვისუფლებას და ამავე დროს აძლევს ადამიანს უფ-
ლებას თავი დაიცავს თუ კი მას უსამართლოდ და-
ჩაგრავენ.

ბუნებითი სამართლის შემდეგ მოდის სახალხო
ანუ საერო სამართალი, რომელიც უნდა ემსგავსე-
ბოდეს ბუნებით სამართალს, იგი გონებრივ საწყი-
სებზე უნდა აყოს აგებული და მიდებულ უნდა იქ-
ნეს ყველა ცივილიზებული ერის მიერ. სახალხო სა-
მართალი საერთაშორისო სამართალია, რომელიც
აკრძალავს ომებს, მოაწესრიგებს ელჩების მიმოს-

²⁸ „კალმასობა“, ტ. I, გვ. 202.
²⁹ „კალმასობა“, ტ. I, გვ. 202.
³⁰ იქვე, გვ. 151—152.
³¹ იქვე, გვ. 229.



ლას და მოსპობს სახელმწიფოთა შორის „წედდას-მასა უსამართლობას და მძლავრობას“.

მესამე სამართალია სამოქალაქო სამართალი, რომელსაც დებულობს და ხმარობს ყოველი საზოგადოება დამოუკიდებლად, სამოქალაქო სამართალი თვითონ სახელმწიფოს შიგნით მოქმედი სამართალია და ამიტომ ცალკეულმა ხალხმა თვითონ უნდა აირჩიოს.

როდესაც ვარჩევთ ი. ბაგრატიონის პოლიტიკურ და იურიდიულ შეხედულებებს არ შეიძლება ვეძიოთ ჩამოყალიბებული პოლიტიკური ან იურიდიული თეორიები, ზუსტი სამართლებრივი დოქტრინები და სხვ. „კალმასობაში“ მოცემულია ი. ბაგრატიონის პოლიტიკური მისწრაფებები, ფილოსოფიური, იურიდიული და სხვა შეხედულებები, მაგრამ არა ჩამოყალიბებულ სისტემებით. იგი უნდა განხილულ იქნას როგორც მხატვრულ-ენციკლოპედიური ნაწარმოები.

ი. ბაგრატიონი იყო უდავოდ პროგრესული მოაზროვნე. მან განიცადა გავლენა იმ ფრიად მნიშ-

ვნელოვანი პოლიტიკური მოვლენებისა, რომლებსაც ადგილი ჰქონდა მისდრთინდელ საქართველოსა და რუსეთში, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ ქართველი ბატონიშვილის საზოგადოებრივი მდგომარეობა. ადამიანი, რომელიც იზრდებოდა სამეფო კარზე და ოცნებობდა ბაგრატიონის დინასტიის გაგრძელებაზე, ვერ ამადლდებოდა რადიკალურად განწყობილ ფრანგ და რუს განმანათლებელთა იდეურ დონემდე, ვერ გახდებოდა რადიკალური მოაზროვნე.

ი. ბაგრატიონის იდეურ ევოლუციას ხელს უწყობდა აგრეთვე ისიც, რომ თავიდანვე უარყოფითად იყო განწყობილი მსხვილი ფეოდალების მიმართ, იყო ჯანსაღად მოაზროვნე და შესანიშნავი პიროვნება, ფრიად განსწავლული მეცნიერი, მწერალი, მოღვაწე თბილქტურ ფაქტორებთან ერთად, რასაკვირველია, არ შეიძლება დავივიწყოთ ეს სუბიექტური მონაცემებიც.

ალ. ტალიაშვილი

8/9/86



ფაბო 50 333.

ИНДЕКС 70185

საბჭოთა სამართალი № 1

(На грузинском языке)

Орган Верховного Суда ГССР, Прокуратуры ГССР
и Министерства Юстиции Грузинской ССР